სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

ს�ი საუნჯე

2

SUMMARY
РЕЗЮМЕ

ივნისი, 2014

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე

№2(12), 2014



თბილისი
ივნისი, 2014

უაკ: 070 (479.22)
ს-21

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“**.

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2014.

სარჩევი

იუბილე
მერაბ ბერძენიშვილი — 85 4

განათლება
ზურაბ ცუცქირიძე, ზნეობის მეკობრეები 5
ნაილი სვანიძე, ენებისა და კულტურების დიდაქტიკა 12
ინეზა იამანიძე, გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა 24

ქართლის ცხოვრება
მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), საქართველოს გზა 31
თინა იველაშვილი, საუკუნის უმძიმესი დანაშაული 40
ანზორ თოთაძე, „მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა“ 49
გვანცა კოპლატაძე, სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში 58

საშშობლოს მოამაგენი
ელდარ ბუბულაშვილი, ღვაწლი დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძისა 70
მამუკა ცუხიშვილი, მიხეილ ვორონცოვი – XIX საუკუნის საქართველოს აღმშენებელი 84

არმენოლოგია
ბონდო არველაძე, სომხური ფალსიფიკაციის მხილება გრძელდება 106

პოლიტიკა
გულბაათ რცხილაძე, ანტიქართული შეთქმულება 118
ირაკლი ყიფიანი, რას მოიგებს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით? 123
გრიგოლ რუხაძე, საქვეყნო ამბების მიმოხილვა 125

თეზისები
ვალერიან მაჭარაძე, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო 133

ჩვენი ავტორები 155

РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 159
SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 165

მერაბ ბერძენიშვილის კაცობის დასალოცად



ჯეშმარიტ მამულიშვილსა და უბადლო მოქანდაკეს, ბატონ მერაბ ბერძენიშვილს 85 წელი შეუსრულდა. საბედნიეროდ, საიუბილეო თარიღი მას ბევრმა თანამემამულემ მიულოცა და არავის დავიწყებია, რომ მისი ხელოვნების დიდებულებასთან ერთად ავტორის ჯეშმარიტი მოქალაქეობისთვისაც გაესვა ხაზი. მართლაც, მნელია ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში რომელიმე საჯირბოროტო მოვლენის გახსენება, რომლის გამოც ზნეობის ამ ერთგულ მეცხოვნეს ზარი არ დაერისხებინოს. როგორც ჩანს, ბატონ მერაბს სწორედ შეუდრეკელობამ გადაატანინა ის გულისტკენა, რაც ქუთაისის გმირთა მემორიალის განადგურებით ბოროტმოქმედმა „ნაცებმა“ შეამთხვიეს. მართალია, ეს ფაშისტური აქტი მთელი ქართველი ხალხის ჩაწიხლვას ნიშნავდა, მაგრამ, ეჭვგარეშეა, ყველაზე მძაფრად იგი თავად ხელოვანმა განიცადა.

ალბათ, გმირთა მემორიალის აღდგენას კიდევ დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას მაინც აქვს შესაძლებლობა იუბილარის და არა მარტო მისი, არამედ ყველა თბილისელის გულის გასახარად, ნაცთაგან გაძევებული ძეგლი წმიდა დავით აღმაშენებლისა ბოლოს და ბოლოს ჰირვანდელ ადგილზე დააბრუნოს.

დაილოცოს შენი კაცობა, დიდებულო ქართველო, მრავალჟამიერ!

სარედაქციო საბჭო.



ზურაბ ცუცქირიძე

ზნეობის მეკობრეები

წარსულში დიდი სოციალური უბედურება იყო მეკობრეობა, სისასტიკით ყაჩაღობისაგან არსებითად განსხვავებული — დაუნდობელი და უშეღავათო. იგი ზღვებსა და ოკეანეებზე წარმოიშვა და განვითარდა, თუმცა არც ხმელეთზე მცხოვრებთათვის დაუკლია ხელი. ახალ ეპოქაში განვითარებულმა სახელმწიფოებრიობამ, ახალმა საერთაშორისო ურთიერთობებმა და კოლექტიურმა თანამშრომლობამ პრაქტიკულად სრულად აღკვეთა იგი, როგორც საფრთხე, რომელიც ყველას თანაბრად ემუქრებოდა. მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთეს დასაწყისში ბევრი საკაცობრიო უბედურების რეინკარნაცია მოხდა, ზოგჯერ უფრო შემზარავი სახითა და მიზნებით. ზოგი უბედურება პირვანდელი სახით აღდგა, ზოგმა სახე ისე იცვალა, რომ ვერც კი მიხვდება კაცი, უბედურებაა ეს, თუ სრული ნეტარება. უბედურების პირვანდელი სახით აღდგენას დიდი ნიჭი და მატერიალური რესურსები არ სჭირდება. მაგალითად, მეკობრეობა სომალში „ტრადიციის“ სრული დაცვით გაცოცხლდა: სომალელი მეკობრეები მოიტაცებენ გემს თავის მგზავრებიანად და, მერე, ვიდრე გამოსასყიდს არ მიიღებენ, ჰყავთ მგზავრები დაბმულები ან დამწყვდეულები.

დღეს მეკობრეობის ამგვარ პრაქტიკასთან ბრძოლა განვითარებული ქვეყნებისათვის პრობლემა არ არის, მათ რომ საამისო სურვილი ჰქონდეთ. ამერიკელებმა ერაყის წინააღმდეგ რომ განახორციელეს ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ და ერთ საათში გაყარეს ერაყელთა ჯარები ქუვეითიდან, ამდენი ძალისხმევა კი არ სჭირდება სომალელი მეკობრეების „ჭკუაზე მოყვანას“, მაგრამ...

აი, ზნეობის მეკობრეობას, რასაც ვერც კი გრძნობს კაცობრიობის ერთი ნაწილი, როგორ უნდა ებრძოლო, სწორედ ესაა „საკითხავი და საზრუნავი“! ამ ახალ მეკობრეებს არც გემები სჭირდებათ და არც თვითმფრინავები, არც თოფი და ხმალი. ფული და საინფორმაციო

საშუალებებია მათი იარაღი, რითაც ოსტატურად აჰყავთ „აბორდაჟზე“ მთელი სახელმწიფოები და თაობები. ეს კი გვარიან ჭკუასა და მატერიალურ სახსრებს მოითხოვს, რაც სომალისნაირებს არ აქვთ. იგი აქვთ მდიდარ ქვეყნებსა და კიდევ უფრო მდიდარ მასონურ კლანებს და ეფექტიანად იყენებენ კიდეც მას სუპერმეკობრულ საქმიანობაში. ჰო, და რატომ აღმოფხვრიან სომალურ ტრადიციულ მეკობრეობას, რომელიც ეფექტიანად იქცევს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას?! გაიტაცებენ, თავად საწყალი და გაღლეტილი სომალელები, მათსავით გაჭირვებულების ერთ უბადრუკ ხომალდს და ატყდება ერთი ვაი-ვიში „დემოკრატიულ“ მსოფლიოში (პირველ ყოვლისა, ევროპაში!): არიქა, დაიღუპება ჩვიდმეტი დაქირავებული ბოგანო მეზღვაური და ხმელეთზე დარჩენილი მათი ოჯახები, თუ საერთო ძალისხმევით არ ვუშველეთ და არ გამოვიხსენითო. იწყება საერთაშორისო ზრუნვა მეკობრეთაგან იმ უბედური მეზღვაურების დახსნისათვის და ამ დროს ზნეობის მეკობრეებს თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, მეტიც, ზოგჯერ დიდი ხალისითაც აჰყავთ „აბორდაჟზე“ ჩვიდმეტიოდე გატაცებული მეზღვაურის გათავისუფლებისთვის დაქიჩმაჩებული ქვეყნების ხალხები და მათი ხელისუფლება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც. ართმევენ მათ ზნეობას და უზნეო არარსებობისათვის განამზადებენ იმ უბედურებს. ართმევენო, კი ვთქვი, მაგრამ ეს წართმევა ხშირად გასაძარცვის მხურვალე თანხმობით ხდება. მეტიც, ეს თანხმობა ზოგჯერ ერთობ აგრესიულიც კი არის იმათ მიმართ, ვინც მოიწადინებს და უზნეობისთვის განწირულთათვის ზნეობის შენარჩუნებას მოინდომებს.

ჩემი ეს ლაპარაკი მიკიბულ-მოკიბულად რომ არ ჩამითვალონ, უკვე, მკითხველის ნებართვით, საქმის არსებით მხარეზე გადავალ.

რა არის ზნეობის მეკობრეობა და რა ხიფათს უქმნის იგი საზოგადოებას (მთლიანად კაცობრიობასაც!), სრულად გასაგები ვერ იქნება, თუ არ გავარკვიეთ, რა როლი აკისრია ზნეობას ადამიანის შვილის ადამიანად ჩამოყალიბების პროცესში. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ხანია გარკვეულია და რომ ვამბობ „გავარკვიოთ“-მეთქი, იმას ვგულისხმობ, რომ ერთად გავიხსენოთ ეს გარკვეულობა.

როგორც ცნობილია, ზნეობა არის იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას. ადამიანის თანდაყოლილ მისწრაფებას მისკენ, ადამიანის ნაშიერის სოციალურ გარემოში, მიზანმიმართული ან სტიქიური აღზრდის პროცესში ჩამოყალიბება და განვითარება სჭირდება და ადამიანის ადამიანურობაც იმით ფასდება, თუ რა ხარისხით ფლობს იგი ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებულ ზნეობრივ კანონებს.

განსხვავებულ საზოგადოებებში (ცივილიზაციისა და კულტურის სხვადასხვა დონე, განვითარების განვლილი გზის სპეციფიკური თავისებურებები, ეროვნული და ეთნიკური ნიშნები, ტრადიციები და ა. შ.) გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებში გარკვეულწილად აისახება ამ საზოგადოების სპეციფიკური თავისებურებანი, მაგრამ არსებობს ზოგადადამიანური ზნეობრივი პრინციპები, რაც კაცობრიობას აერთიანებს და ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს. ეს პრინციპები იმ ფუნდამენტურ გრძნობებსა და განცდებში ვლინდება, რომელთა ჩამოყალიბებაც ნებისმიერი დროისა და ხალხის აღზრდის სისტემის ის უმთავრესი ორიენტირია, რომელიც ათადან-ბაბადან არსებობს და კაცობრიობასთან ერთად მუდამ იარსებებს.

ეს ფუნდამენტური ადამიანური (ზნეობრივი!) გრძნობები და განცდებია: **სირცხვილის გრძნობა, მოვალეობა-პასუხისმგებლობის გრძნობა, თანაზიარობისა** და **თანაგრძნობის განცდა, ცოდვის გრძნობა, წარსულის ხსოვნა** და **პერსპექტივის განცდა**. ერთ-ერთ ამ გრძნობასა და განცდას მოკლებული სუბიექტი სრულყოფილი ადამიანი არ არის, ხოლო მათი სრული დაკარგვა, რაც ზნეობაზე ხელის აღებას ნიშნავს, ადამიანს სოციალურ სახეს აკარგვინებს და ცხოველად აქცევს. არ ვიცი, ვის უნდა სურდეს ეს, მაგრამ ჩვენში დაბეჯითებით რომ ებრძვიან ზნეობას სახელმწიფოს მიერ „კონტროლირებადი“ ყველა საინფორმაციო-პროპაგანდისტული საშუალებით, ეს აშკარაა. ამასთან, ამგვარ ბრძოლას, რასაც უცხოელი ემისრები და მსუყე გრანტებით მოსყიდული ადგილობრივი აქტივისტები ეწევიან, „ევროპული ღირებულებებისა“ და დემოკრატიის დამკვიდრებას უწოდებენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზნეობის მეკობრეები ფრიად დახვეწილი, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებით მუშაობენ. მათ იციან, ადამიანი რომ უზნეო საქმის კეთებაზე დაითანხმო, რომ მოისყიდო თუ გადაიბირო, ჯერ ღირსება უნდა დაუკარგო მას. უღირსებო კაცი ყველაფრის მკადრებელია, მეტიც: მისთვის ცნება „უკადრისი“ სრულიად გაუგებარია. ღირსება კი როგორ უნდა წაართვა ადამიანს? ის ხომ არც ტანსაცმელია, რომელსაც გახდი და არც ფულია, რომელსაც ჯიბიდან ამოაცლი. ღირსება პიროვნული თვისებაა, რომელიც სამ ძირითად ადამიანურ განცდას — თავმოყვარეობის, პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას ეფუძნება. ყველა ეს განცდა

კი სათავეს იღებს სირცხვილის გრძნობიდან. უსირცხვილო კაცს არც თავმოყვარეობა აქვს, არც პასუხისმგებლობა და არც მიკუთვნებულობა. ამიტომაც, ზნეობის მეკობრეებმა სამიზნედ სირცხვილის გრძნობა დაისახეს.

ეს ბრძოლა დაიწყო იმით, რომ აღზრდის უმთავრესმა ინსტრუმენტმა, სკოლამ უარი თქვა (ათქმევინეს!) აღზრდაზე. აღზრდის სისტემა ძირფესვიანად მოიშალა, თვით ტერმინი „აღზრდა“ გაქრა საგანმანათლებლო სივრციდან. ბუნებრივია, რომ ჩვენმა „განმანათლებელმა რეფორმატორებმა“ ამ მოვლენას „დასაბუთება“ მოაყოლეს. სისტემური აღზრდა, თურმე, არის ძალადობა პიროვნებაზე, იგი ხელს უშლის თავისუფლ აღზრდა-განვითარებას, რადგან მოზარდს თავს ახვევს წინასწარ მომზადებულ სქემებს, რაც შეიძლება ყველასათვის მისაღები არ იყოს.

მაინც რა სქემებია ეს, რაც, თურმე, ხელს უშლის პიროვნების თავისუფალ განვითარებას? ეს არის იმ ზოგადკაცობრიულ ღირებულებებზე ორიენტირებული რწმენისა და შეგნების ეტალონური მოდელების რეალიზაცია მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში, რაც პიროვნების სოციალიზაციის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

აბა, რა სოციალურ მზაობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ადამიანს არ აქვს მიკუთვნებულობის შეგნება (რომელ გვარს, რომელ სოციალურ ჯგუფს, რომელ ეთნოსსა და ერს მიაკუთვნებს თავს), არ აქვს პასუხისმგებლობა და მოვალეობა თავისთავისა და სხვათა (მშობლების, დედმამიშვილების, მეგობრებისა და ა. შ.) წინაშე, ერთმანეთისაგან ვერ არჩევს სიკეთესა და ბოროტებას და, ამიტომ, მისი ქცევა არაპროგნოზირებადია.

„თავისუფალი პიროვნების“ აღზრდის აპოლოგეტები, როგორც წესი, ვერ ხსნიან „თავისუფლების“ არსს. ჩვენ უნდა აღვზარდოთ თავისუფალი პიროვნება, რომელიც თავისუფლებას არჩევანის თავისუფლებაში ახორციელებსო. ასეთი პიროვნება წინასწარ შემუშავებული სისტემის მიხედვით კი არ აღიზრდება, არამედ სწავლების პროცესში მიწოდებული შინაარსის საფუძველზე დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების ბუნებრივი განვითარების გზითო.

ესე იგი ადამიანი არის ის, რასაც იგი თვითონ შექმნის თავის თავისაგანო. ეს იდეოლოგია ახალი არ არის. იგი ათეისტური ფილოსოფიის ნააზრევია, რომელმაც გასული საუკუნის ბოლოს „ღმერთის სიკვდილი“ გამოაცხადა (ფრ. ნიცშე). ღმერთი თუ არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დასაშვებია, ანუ ადამიანი სრულიად თავისუფალია. ასე თუ არის, პიროვნების სრული თავისუფლების რეალიზაციისათვის ყველა საშუალება მისაღებია: ძალადობა, სხვისი დაჩაგვრა, ყველაფრის მიტაცება. ამას „თავისუფალი პიროვნების“ აღზრდის იდეოლოგები კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბებას უწოდებენ. ამ გზაზე სირცხვილის გრძნობა ერთობ მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის. ამიტომო, ამბობენ ჩვენი „განმანათლებლები“, „სირცხვილი“ ის პიროვნული თვისებაა, რაც ნეგატიურად აკომპლექსებს ადამიანს და ხელს უშლის მისი გონებრივი თუ ფიზიკური აქტივობის სრულყოფილად გამოვლენასო.

ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა, რომელიც, ერთგვარად, სოფისტურ ნიშნებსაც შეიცავს. კერძოდ, ამ დემაგოგიის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა თითქმის არ ასხვავებს ერთმანეთისაგან „სირცხვილსა“ და „მორცხვობას“. არადა, სირცხვილი და მორცხვობა რადიკალურად გასხვავებული მოვლენებია. სირცხვილი ზნეობრივი კატეგორიაა, „მორცხვობა“ კი დაბალი თვითშეფასებით გამოწვეული კომპლექსია, რაც მართლაც უშლის ხელს პიროვნების აქტივობის სრულ გამოვლენას. „მორცხვობას“ ვერანაირი „სრული თავისუფლება“ ვერ უშველის და „მორცხვის“ აქტივობის გამოვლენას ხელს ვერ შეუწყობს. პირიქით!

სირცხვილის გრძნობის მატარებელი ადამიანი „სრულ თავისუფლებას“ ვერ მიიღებს. ამიტომ, სრული თავისუფლება მხოლოდ სირცხვილზე ხელის აღების შემდეგ არის შესაძლებელი.

ზნეობის მეკობრეებს „აბორდაჟი“ მოზარდებზე აქვთ მიმართული. მათ კარგად იციან, რომ რაც უფრო მცირეწლოვანია ბავშვი, რაც უფრო ნაკლებად აქვს ათვისებული სოციალური გამოცდილება და თვისებები, მით უფრო ძლიერია მასში ცხოველური მოთხოვნილებები, რასაც შემდგომში, სწორედ, ზნეობრივი შეგნება თრგუნავს და აწესრიგებს. ყველამ იცის, რომ ჩვილობის ასაკიდან გამოსული ბავშვი „სრულ თავისუფლებას“ ესწრაფვის, რაც უფროსებმა თუ არ აღკვეთეს (აღმზრდელობითი შეგონებებისა და დასაშვები სანქციების საშუალებით!), იგი უსათუოდ კატასტროფით დასრულდება.

ახლა ყველა ხედავს, რომ პედაგოგიური აღმზრდელობითი ზეგავლენის მოშლამ სკოლაში, რაც ჰუმანიზმისა და ბავშვის პიროვნების თავისუფლების სახელით გაკეთდა, რა შედეგები გამოიწვია. მასწავლებელი თუ შენიშვნას მისცემს, ან უფრო უარესი — დატუქსავს ბავშვს, ის მისი პიროვნების შეურაცხყოფა და ძალადობაა, ბავშვს კი უფლება აქვს, არა თუ შენიშვნა მისცეს პედაგოგს, არამედ გაფიცვაც

კი მოუწყოს მას. ეს მისი უფლებაა, რადგან „რეფორმატორ-განმანათლებლებს“ მიაჩნიათ, რომ ბავშვი თვითონ ქმნის თავისთავს.

ე. წ. მარქსისტული ფილოსოფიისა და პედაგოგიკის წარმომადგენლებიც ათეისტი მატერიალისტები იყვნენ, მაგრამ ნიცშესა და, ნაწილობრივ, სარტრისაგან განსხვავებით, აღზრდას სოციალურ მოვლენად თვლიდნენ და მის აუცილებელ ფაქტორად საზოგადოებრივ ყოფას მიიჩნევდნენ, რაც ზნეობრივი კანონებით არის მოწესრიგებული. ესე იგი, მარქსისტული (კომუნისტური) ფილოსოფია და პედაგოგიკა აღზრდას სოციალური გამოცდილების ათვისებას უკავშირებდნენ, რაც ზნეობრივი განვითარების ეტაპობრივ აღმავლობას გულისხმობს. ზნეობრიობის დაცვა-განმტკიცების ერთადერთი გარანტი რომ რელიგიაა, აი, ამის აღიარება არ სურდათ და არ სურთ ათეისტური (ანუ პოზიტიური) მეცნიერების წარმომადგენლებს და ასეთ გარანტად რაღაც ქიმერული სამოქალაქო შეგნება მიაჩნიათ. სამოქალაქო შეგნების არსებობის გარანტი რაღაა? ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, რადგან იგი არსაით მიდის.

სრულიად აშკარაა, რომ ზნეობრიობის საფუძველი და მისი სიმტკიცის გარანტი არის რელიგია. ამიტომ არის, რომ ზნეობის მეკობრეები სირცხვილის გრძნობის ამოშანთვას რელიგიასთან ბრძოლის პროცესში ცდილობენ.

თანამედროვე ზნეობრივი მეკობრეების ყველაზე ვერაგული იარაღი დემაგოგიაა. აი, მაგალითად, ეს მეკობრეები ჩვენში საერთოდ რელიგიას კი არ ებრძვიან, არამედ მართლმადიდებლობას, რაც ჩვენი ზნეობრიობის საფუძველთა საფუძველია. ამ დროს აქტიურად, უფრო სწორად, აგრესიულად უჭერენ მხარს არამართლმადიდებლურ სექტებს, მაგალითად, იეღოველებს, რომლებიც განსხვავებული ზნეობრივი (უფრო კი, უზნეო) შეგნების პროპაგანდას ეწევიან, ამით ისინი თითქოს გვეუბნებიან: ჩვენ ათეისტები კი არ ვართ, არამედ მცდარ მართლმადიდებლობას ვაკრიტიკებთო. სწორედ ამის მაგალითი იყო სულ ახლახან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ანტისახელმწიფოებრივი რესპუბლიკური პარტიის წინაძღოლის, დავით უსუფაშვილის გამოსვლა ქრისტიანული კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებულ V საერთაშორისო სიმპოზიუმზე — „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში“.

ზნეობის მეკობრეობა მხოლოდ რომელიმე ქვეყნისთვის კი არ არის დამახასიათებელი, იგი გლობალური პრობლემაა. ამ მეკობრეებმა ბევრ ქვეყანაში უკვე მიაღწიეს სრულ გამარჯვებას: უზნეო ქვეყნებში

პედარასტები ჰყავთ საგარეო საქმეთა თუ კულტურის მინისტრებად, დედაქალაქის მერებად თუ რეგიონების გუბერნატორებად და ამისთვის იქ სირცხვილით არავინ წითლდება.

აი, ასე, აღარაფრის რცხვენიათ ზნეობის მეკობრეების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში და ამ უბედურებას (ეროვნული იდენტობის დაკარგვა!) მიხვედრილები უკვე მწარედ ტირიან, მაგრამ რაღა დროს...

ამ უბედურების სიმპტომები აშკარაა ჩვენში!

ვიდრე ჩვენც მწარედ ავტირდებოდეთ, იქნებ დავირაზმოთ და განათლების სისტემას დავუბრუნოთ აღზრდის ფუნქცია; იქნებ, მეკობრეთა მიერ აბორდაჟზე აყვანილი სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები ვიხსნათ და ამით ადამიანობა გადავარჩინოთ საქართველოში.

დავიჯეროთ, ბოლოს და ბოლოს, რომ განათლების სისტემასა და შოუბიზნესს ზნეობის მეკობრეთა საერთაშორისო ცენტრის მიერ მსუყე გრანტებით მოსყიდული ე. წ. ადამიანები ხელმძღვანელობენ და სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან ჩვენს სამშობლოს.

ნაილი სვანიძე

ენებისა და კულტურების დიდაქტიკა
რომელი კულტურა უნდა ვასწავლოთ? ლიტერატურული ტექსტის ადგილი ენებისა და კულტურების სწავლებაში

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ენების დიდაქტიკა ენებისა და კულტურების დიდაქტიკა გახდა. ამან სპეციალისტები კიდევ უფრო მეტი სირთულეების წინაშე დააყენა, რაც მრავალი ფაქტორით არის განპირობებული: პირველ რიგში იმით, რომ ტერმინი «კულტურა» პოლისემიურია (ამ ტერმინის ორასზე მეტი განმარტება უნდა არსებობდეს: ყველაზე მოკლედან დაწყებული: *კულტურა, ეს არის ადამიანის არსებობის ფორმა და სტილი*, ყველაზე დეტალურით დამთავრებული). იმავდროულად, არ არის გამოკვეთილი, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს კულტურასა და ცივილიზაციას შორის.

ასევე, არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა ენასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთობების დადგენა და მათი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა.

ერთსულოვნებას არის მოკლებული მკვლევართა მოსაზრება იმის თაობაზეც, თუ როგორი ურთიერთმიმართება არსებობს უცხოურ ენებსა და კულტურებსა და მშობლიურ ენასა და კულტურას შორის, თუ როგორი უნდა იყოს ამ უკანასკნელის როლი უცხოური ენებისა და კულტურების სწავლება/შესწავლის დროს. რა უპირატესობები და დაბრკოლებები შეიძლება წარმოშვას მშობლიური ენისა და კულტურის ფაქტორის გათვალისწინებამ ან უგულვებელყოფამ.

შეხედულებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა იმ ინტერკულტურული ასპექტის ინტერპრეტაციაც, რომელიც ზემოაღნიშნული ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. ასევე არაერთგვაროვანია პასუხი ძალზე მნიშვნელოვან კითხვაზე: უცხოური ენების სწავლების დროს როგორი უნდა იყოს კულტურის ის შინაარსი, რომელიც სასკოლო თუ საუნივერსიტეტო პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს? ღია რჩება კითხვა იმის თაობაზე, უცხოელს ენის მატარებლის კულტურული კომპეტენცია უნდა შევძინოთ თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი გაცნობით და გაანალიზებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

მეცნიერ-დიდაქტიკოსთა, ლიტერატორთა, ლინგვისტთა შორის არ არის ერთსულოვნება იმის თაობაზეც, უნდა გამოვიყენოთ თუ არა ლიტერატურული ტექსტი უცხოური ენებისა და კულტურების სწავლების დროს. ზოგიერთი მეცნიერი კატეგორიულად უარყოფს ლიტერატურული ტექსტის დიდაქტიზირების შესაძლებლობას.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბოლო წლებში უცხო ენის შესწავლის მიზანი არ არის მხოლოდ მოგვიანებით მისი სხვებისთვის სწავლება, ფილოლოგიური კვლევების წარმოება ან, უბრალოდ, საკუთარი კულტურის გამდიდრება. უცხო ენის შესწავლის მიზანი გახდა მომავალში ამ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება, რაც სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობის გაზრდამ განაპირობა.

ეს არის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი იმ კითხვებისა, რომლებიც იბადება, როდესაც ენებისა და კულტურების დიდაქტიკაზე ვსაუბრობთ. ჩვენი მიზანია, ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ დასმული პრობლემატიკის გარშემო და პასუხი გავცეთ ერთ-ერთ მთავარ კითხვას: რას უნდა ნიშნავდეს ინტერდისციპლინარული მიდგომა ენებისა და კულტურების კვლევის და სწავლება/სწავლის დროს? ამისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია, განვსაზღვროთ, როგორი უნდა იყოს კავშირი ლინგვისტიკას, ლიტერატურას, კულტუროლოგიას, ტექსტოლოგიას (ტექსტის თეორიას), ლინგვოკულტუროლოგიასა და დიდაქტოლოგიას, უფრო კონკრეტულად კი, ენებისა და კულტურების დიდაქტიკას შორის, რათა შევძლოთ პასუხი გავცეთ კიდევ ერთ, არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვას: საუნივერსიტეტო კურიკულუმის შედგენის დროს როგორ ავსახოთ კავშირი ამ ექვს მნიშვნელოვან დისციპლინა/კომპონენტს შორის, რაც, ფაქტობრივად, დაგვანახებს ენებისა და კულტურების სწავლებისადმი ინტერდისციპლინარულ მიდგომას.

თავდაპირველად, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს ინტერდისციპლინარიზმი, მიდგომა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენ-

ებისა და კულტურების სწავლების დროს. როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს სხვადასხვა დისციპლინების არსენალში მყოფი კონცეპტები თუ მიდგომები და, შესაბამისად, ეს დისციპლინები, როდესაც ენების/კულტურების დიდაქტიკაზე ვსაუბრობთ.

ჟან პიაჟეს განმარტებით, «*L'interdisciplinarité désigne les échanges et les interactions entre disciplines permettant un enrichissement et une fécondation mutuelle*»[1] [Cuq 2003:138]. მას აქვე შემოაქვს ტრანსდისციპლინარიზმის, მულტიდისციპლინარიზმისა და პლურიდისციპლინარიზმის ცნებები. ტრანსდისციპლინარიზმი ნიშნავს ცოდნის სხვადასხვა წყაროს გარკვეულ სინთეზს და აღნიშნავს იმას, რაც ნასესხებია სხვადასხვა დისციპლინისაგან და რომელიც თითოეულ მათგანს სცილდება. რაც შეეხება მულტიდისციპლინარიზმსა და პლურიდისციპლინარიზმს, ისინი გამოიყენება როგორც სინონიმური ცნებები და ნიშნავს რამდენიმე დიციპლინის თანაარსებობას, რომელთაგან თითოეული ინარჩუნებს მისთვის, როგორც მონოდისციპლინისათვის, დამახასიათებელ თეორიასა და მეთოდოლოგიას [*idem*]. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვადასხვა სფეროს სპეციალობებს შორის თანამშრომლობასა და ინტერაქციასთან.

ჩვენი აზრით, ლინგვოკულტუროლოგია უნდა იყოს ის ტრანსდისციპლინა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს დიდაქტოლოგია, ზოგადად, და ენებისა და კულტურების დიდაქტიკა, კონკრეტულად. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ინტერლინგვალური და ინტერკულტურული დიდაქტიკების ერთობლიობას, ვინაიდან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა მშობლიურ ენასთან მუდმივი პარალელების გავლების, მსგავსებებისა და განსხვავებების დაფიქსირების გარეშე, რაც თავის მხრივ, საკუთარი ენის ღრმა, საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ენისა და კულტურის, ცივილიზაციის, დიდაქტიკის, ინტერკულტურული კომუნიკაციის, ანუ იმ ცნებითი აპარატის არა ერთი განმარტება, რომელიც აუცილებლად გვჭირდება, როდესაც ენებისა და კულტურების დიდაქტიკაზე ვსაუბრობთ.

ჩვენ არჩევანი იმ განმარტებების სასარგებლოთ გავაკეთეთ, რომლებსაც გვთავაზობს 2003 წელს ავტორთა ჯგუფის (ჟან-პიერ კუკის რედაქტორობით) მიერ გამოცემული *ფრანგულის როგორც*

[1] «ინტერდისციპლინარიზმი ნიშნავს დისციპლინებს შორის ურთიერთგაცვლასა და ინტერაქციას, რაც ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთგანაყოფიერების საშუალებას იძლევა».

უცხო ენისა და მეორე ენის დიდაქტიკის ლექსიკონი.

ენის განმარტების დროს ავტორები ეყრდნობიან ზოგად ენათმეცნიერებაში, კონკრეტული ენის გრამატიკასა და სოციოლინგვისტიკაში ჩატრებული კვლევების შედეგებს და ენის კონცეპტს ახასიათებენ როგორც ორი ურთიერთშემავსებელი ასპექტის ერთობლიობას: პირველი ასპექტი აბსტრაქტული და სისტემურია. ასეთ შემთხვევაში ენა გაიგივებულია *იდიომთან*. მეორე ასპექტი სოციალურია და ამ შემთხვევაში ენა გაიგივებულია კულტურასთან. ანუ, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის როგორც ნიშანთა სისტემის სოსიურისეულ გაგებასთან. მეორე შემთხვევაში ენა როგორც სოციალური ფენომენი გაიგივებულია კულტურასთან, სადაც სამი ფაქტორი იყრის თავს და ურთიერთზემოქმედებს: *ლინგვისტური მრავალფეროვნება*, მათი *ფუნქციები* და ამ ენაზე მეტყველი *სუბიექტი*. პირველ შემთხვევაში ენას, როგორც *იდიომს*, სწავლობს ენათმეცნიერება, ხოლო მეორე შემთხვევაში ენას როგორც სახესხვაობას (გაიგივებულს კულტურასთან) სწავლობს სოციოლინგვისტიკა. ამიტომაც, უცხო ენის დიდაქტიკა, რომელიც განიხილება როგორც ენის მეცნიერებების ნაწილი, მოიცავს როგორც ენას, ასევე კულტურას, ვინაიდან ენა განისაზღვრება როგორც სწავლებისა და შესწავლის საგანი, რომელიც ორი ზემოთნახსენები კომპონენტისგან შედგება.

ის პარალელიზმი, რომელიც დადგენილია ენის იდიომურ (სხვაგვარად, ლინგვისტურ) ასპექტსა და კულტურულ აპექტს შორის, სვამს იმ ერთიანი მეცნიერების არსებობის აუცილებლობის საკითხს, რომელიც დიდაქტიზირებულ კულტურას შეისწავლის. ამისათვის მხედველობაშია მისაღები, რაც შეიძლება დიდი რაოდენობის კულტურული რეფერენციები, რომელთა გარეშე ენობრივ პროდუქციას აზრი არ აქვს. ამგვარად, მეცნიერულ (წიგნიერ) კულტურას დიდაქტიკა უპირისპირებს ანთროპოლოგიურ კულტურას, სხვაგვარად, *კულტურულ პრაქტიკებს*, იმ კულტურას, რომელიც ადამიანის არსებობის ფორმასა და სტილს არეგულირებს და რომელიც თითოეული ინდივიდის თვითმყოფადობის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

თვითმყოფადობის ამ ასპექტს სხვადასხვანაირად ვიღებთ მხედველობაში ენის სტატუსის მიხედვით, ანუ ენა, რომელსაც ვასწავლით, მშობლიურია, მეორე ენაა თუ უცხო ენა. მშობლიური ენის შემთხვევაში იდენტურობის (თვითმყოფადობის) ასპექტი ფუნდამენტურია.

ბავშვი ენას და კულტურას ბუნებრივ გარემოში დაბადებიდანვე ითვისებს. მეორე ენის შემთხვევაში თვითმყოფადობის ასპექტი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის მრავალენოვნების, ანუ შეიძლება ითქვას, კონფლიქტურ კონტექსტში ყალიბდება.

ნაკლებად მწვავედ დგას თვითმყოფადობის საკითხი უცხო ენის შემთხვევაში, როდესაც მისი შესწავლა ინსტიტუციონალურ გარემოში, ხშირ შემთხვევაში თავისუფალი არჩევანის პირობებში ხდება და ამდენად, «*უცხო ენა ვერ ახდენს მოსწავლის კულტურული კაპიტალის რღვევას*». ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ მოსწავლე საკმარისად ფლობდეს იმ სიმბოლურ ქსელს, რომელიც უცხო ენას შესწავლის ობიექტად ხდის, რათა მოახერხოს ამ ენაზე არსის პროდუცირება და აღქმა. ზემონათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება გავიზიაროთ იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც ასკვნიან, რომ დიდაქტიკური თვალსაზრისით «*La culture est un domaine de références qui permet à l'idiome de devenir langue, que la fonction symbolique de ces références lui accorde le statut de LM, LS ou LE et conditionne la fonction communicative*» [2] [idem: 149].

რაც შეეხება კულტურის განმარტებას, მას იმ აქსიომატური განმარტებების (სიცოცხლის, საზოგადოების, სამართლის) რიცხვს მიაკუთვნებენ, რომლებიც ინტუიტურად გამჭვირვალე და ყველასთვის გასაგებია. თუმცა ის ფაქტი, რომ დღეისათვის კულტურის ორასზე მეტი დეფინიცია არსებობს, გვაფიქრებინებს, რომ მეცნიერებს უკიდურესად გაუჭირდებათ, შეთანხმდნენ და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინონ მისი ამომწურავი განმარტება. ვფიქრობთ, არც ის მნიშვნელოვანი გარემოება უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურა ისეთი ფენომენია, რომელიც მრავალი ჰუმანიტარული მეცნიერების კვლევის ობიექტია. შესაბამისად, ანთროპოლოგები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, ხელოვნებისა და კულტურის კრიტიკოსები მის სხვადასხვა დეფინიციებს იძლევიან.

მეცნიერები ახდენენ ამ მრავალრიცხოვანი განმარტებების კლასიფიკაციას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. არსებობს კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით. ამგვარად გამოყოფენ დესკრიფციული, ისტორიული, ნორმატიული, ფსიქოლოგიური, სტრუქტურალური, გენეტიკური და ა.შ. ტიპის განმარტებებს. კლასიფიკაცია ხდება მიდგომათა მიხედვითაც. ჟაკ დემორგონი გამოყოფს რვა

[2] «კულტურა რეფერენციების ის სფეროა, რომელიც იდიომს ენად აქცევს : ამ რეფერენციების სიმბოლური ფუნქცია მას ან მშობლიურის, ან მეორე, ან უცხო ენის სტატუსს ანიჭებს და, შესაბამისად, კომუნიკაციურ ფუნქციას განაპირობებს».

სახის მიდგომას: სინქრონულს, დიაქრონულს, სტრატეგიულს, დინამიურს, განზომილებადობიანს, სექტორულს, გეო-ისტორიულს და ჰეტეროქრონიკულს [Demorgon 2004: 286-291].

კულტურის მნიშვნელობის არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას ჟაკ დემორგონი ხსნის ორი სხვადასხვა მიდგომიდან გამომდინარე: პირველი, მისი აზრით, ეს არის ლოგიკური, ანალიტიკური მიდგომა, რომელიც ასახავს იმას, თუ რა მიზანი გვამოძრავებს კულტურული ფენომენების განხილვისას. შეიძლება დავინტერესდეთ კულტურული პროდუქტით ან იმ პროცესებით, რომლებიც ამ პროდუქტებს წარმოშობს. ან, როგორც ეს ხდება სოციოლოგიისა და ეთნომეთოდოლოგიის დაპირისპირების შემთხვევაში, დავინტერესდეთ საზოგადოებებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდებზე ან, პირიქით, დავინტერესდეთ ინდივიდებით, რომლებიც ქმნიან კულტურებსა და საზოგადოებებს.

მეორე მიდგომა გეოისტორიულია. „კულტურის" ყველაზე ელიტისტური გამოყენება ალბათ ფრანგული კლასიკური გამოყენებაა. ამ შემთხვევაში ის ე.წ. კულტივირებულ კულტურას ნიშნავს, რომელსაც ერთადერთ უნივერსალურ კულტურად მიიჩნევენ. ბრიტანელებისა და ამერიკელებისათვის პრიორიტეტულია ამ სიტყვის ანთროპოლოგიური გამოყენება, რაც იმ კულტურათა მრავალფეროვნებით აიხსნება, რომლებსაც ბრიტანელები თავიანთ კოლონიებში ხვდებიან, ხოლო ამერიკელები ინდიელებთან და მათ შავ მონებთან ურთიერთობის დროს. ამიტომაც ამ ქვეყნის წარმომადგენელმა მეცნიერებმა შექმნეს მთელი მიმდინარეობა, რომელსაც კულტურალიზმი შეარქვეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კულტურის ეთნოგრაფიული განმარტება, რომელსაც ცნობილი ანთროპოლოგი ბურნეტ ტეილორი გვთავაზობს: «*La culture est cet ensemble complexe qui comprend la connaissance, les croyances, l'art, la morale, le droit, les mœurs et toute capacité et habitude acquises par l'homme comme membre d'une société*»[3] [ციტ. in: Maddalena de Carlo: 25]. ეს განმარტება შეკუმშული და ლაკონური ფორმით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: *კულტურა არის ადამიანის არსებობის ფორმა და სტილი*. ის არ არის, როგორც ამას აბდუ დიუფი ამბობს, «*une «donnée» de la nature… c'est le produit de l'esprit humain, de choix*

[3] «კულტურა არის კომპლექსური ერთიანობა, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, მორალს, სამართალს, წეს-ჩვეულებებს და ყველა იმ უნარსა და ჩვევას, რომელსაც ადამიანი იძენს როგორც ამა თუ იმ საზოგადოების წევრი».

individuels et collectifs constants. Elle se construit constamment dans l'interaction qui différencie, en même temps qu'elle crée, les conditions de l'échange avec les autres»[4] [Diouf 2008: 53]. ამგვარად, კულტურა არის კონცეპტი, რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც სოციალურ ერთიანობას (თვით მთელ საზოგადოებას), ასევე ცალკეულ ინდივიდს.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი ვრცელი კულტურის შიგნით ყოველთვის თანაარსებობს უფრო პატარა კულტურები, რომელთა ფუნქციონირების სქემაც იგივეა. ამიტომაც, როდესაც კულტურაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვილაპარაკოთ მრავლობით რიცხვში, ვინაიდან არ არსებობს წმინდა კულტურა, ის ყოველთვის სხვადასხვა კულტურების ნარევია, ის პლურალისტური მთლიანობაა. შესაბამისად, ჩვენ მიერ დამოწმებული ლექსიკონის ავტორების კვალდაკვალ შეიძლება გამოვყოთ კულტურის შემდეგი ტიპები: ეროვნული კულტურები, რომელთა შიგნით შეიძლება უცხოური კულტურები თანაარსებობდნენ და ურთიერთზემოქმედებდნენ; პროფესიული კულტურები, თაობების კულტურები, აქტიური ცხოვრების შემდეგი, ე.წ. მესამე ასაკის კულტურა; რელიგიური კულტურები, რეგიონალური კულტურები, ერთნაირი გატაცების მქონე ადამიანების ჯგუფობრივი კულტურები; უხილავი კულტურები. აქვე უნდა გამოვყოთ კულტურის კიდევ ერთი, ენობრივი ტიპი, როდესაც ამა თუ იმ სიტყვის ცოდნას ემატება ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ცოდნაც.

ერთ მოცემულ ჯგუფში ან ერთ ინდივიდში აკუმულირებას ახდენს რამდენიმე ტიპის კულტურა. შესაბამისად, ისინი შეიძლება სხვადასხვა კულტურებს ეკუთვნოდნენ. აქედან გამომდინარე, ლაპარაკია არა კულტურაზე, არამედ კულტურულ პრაქტიკებზე.

მოცემული კულტურის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა ეს კულტურა, ასე ვთქვათ, შიგნიდან, ხშირად გაუთვიცნობიერებლად შეიძინეს. უცხოელები, რომლებსაც საკუთარი, განსხვავებული კულტურა აქვთ, ენის შესწავლის პროცესში ამ ენის მატარებლების კულტურას გარედან ეუფლებიან, აცნობიერებენ რა იმ განსხვავებებს, რომლებიც ამ ორ კულტურას შორის არსებობს. ამიტომაც, ისინი იძულებულნი არიან ერთმანეთს რაღაცნაირად დაუკავშირონ შესასწავლი კულტურის ელემენტები და მოახდინონ იმის რეკონსტრუირება, რაც ამ კულტურის მატარებლებმა სპონტანურად შეიძინეს, დაუბრუნდნენ კვლავ საკუთარს, რომელმაც უცხოური ენისა და კულტურის შესწავლის პროცესში გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა იმ გაგებით, რომ მათ კულტურული ცოდნა გაიმდიდრეს და საკუთარ ქცევაში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს.

[4] «ბუნებისგან «ნაბოძები», ის ადამიანის გონების ნაყოფია, მუდმივი, ინდივიდუალური და კოლექტიური არჩევანის ნაყოფი. ის იქმნება მუდმივი ინტერაქციის პროცესში, ინტერაქციისა, რომელიც თან განასხვავებს, თან სხვებთან გაცვლის პირობებს ქმნის».

ასეთ შემთხვევაში, კულტურის ცოდნის აგება, შეძლება ითქვას, სპირალის ფორმას იღებს. გამოვდივართ საკუთარი კულტურიდან, ვიხსნებით სხვა კულტურის გაგებისა და, გარკვეულწილად, მისი ათვისებისათვის და უკან ვუბრუნდებით საკუთარს, რომელმაც ამასობაში გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა. სწორედ ეს პროცესი ასახავს ინტერკულტურულ კომუნიკაციას და მის მეცნიერულ დონეზე წარმართვას დიდაქტიკის ის ასპექტი უზრუნველყოფს, რომელსაც ინტერკულტურული დიდაქტიკა ჰქვია.

ამასთან ერთად, ენებისა და კულტურების დიდაქტიკის ამოცანა, პირველ რიგში, ამ განსხვავებების გამოკვეთა და იმ მეთოდოლოგიის შემუშავებაა, რომელიც განსაზღვრავს რომელი კულტურა და როგორ უნდა ვასწავლოთ და როგორ დავუკავშიროდ მისი სწავლება ენის როგორც იდიომის სწავლებას.

რაც შეეხება ენასა და კულტურას შორის კავშირს, სადაო აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეს ორი ფენომენი ერთმანეთისაგან განუყოფელია. ეს ღრმა და, შესაძლებელია, ყველაზე საიდუმლოებით მოცული კავშირი, რომელიც ენასა და კულტურას შორის არსებობს, შემდეგში მდგომარეობს: 1. ენა არ არსებობს ადამიანის გარეშე და, პირიქით, ადამიანი არ არსებობს ენის გარეშე. 2. კულტურა არ არსებობს ადამიანის გარეშე და, პირიქით, ადამიანი არ არსებობს კულტურის გარეშე.

ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ისევე, როგორც ადამიანი, რომლის გარეშეც ეს ორი ფენომენი არ არსებობს, ენაც და კულტურაც ინტერდისციპლინარული კვლევის ობიექტებია, რაც თავის მხრივ გასაგებს ხდის მიდგომათა და მეთოდოლოგიათა მრავალფეროვნებას, რომლებსაც თითოეული დისციპლინა მათი კვლევის დროს იყენებს. ამ ორ ფენომენს შორის არსებული მჯიდრო კავშირი, ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთის გარეშე არ მოიაზრებიან, იმის აუცილებლობას ბადებს, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ რომელიმე ცალკე აღებული მეცნიერების შესწავლის საგანი კი არ უნდა იყოს, არამედ ისეთი მაინტეგრირებელი დისციპლინისა, რომელიც ცხადყოფს ამ განუყოფლობას და შეისწავლის

ამ კავშირის თავისებურებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ასეთი მაინტეგრირებელი დისციპლინა – ლინგვოკულტუროლოგია – უკვე შემოღებულია, მიგვაჩნია, რომ ის უნდა შედიოდეს ყველა იმ სპეციალობის პროგრამაში, სადაც ნებისმიერი სახის ინტერაქცია მოიაზრება.

როგორი გზა გაიარა ფრანგულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიამ და, შესაბამისად, სახელმძღვანელოებმა ენაში არსებული კულტურული კომპონენტის სწავლების თვალსაზრისით იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა და რა ცვილებებს განიცდიდა დიდაქტიკა როგორც მეცნიერება (გამოყენებითი ლინგვისტიკიდან ენებისა და კულტურების დიდაქტოლოგიამდე). ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნული პრობლემატიკის დეტალურ ანალიზს საჟურნალო სტატიისათვის განკუთვნილი ადგილის სიმცირის გამო. ერთს კი აღვნიშნავთ, რომ სწორედ ლიტერატურა იყო ყველა დროის სახელმძღვანელოს ის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომლითაც უცხო ენის სწავლებაში კულტურული კომპონენტი იყო გამოკვეთილი.

ვიდრე ენისა და კულტურის სწავლებაში ლიტერატურის როლზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ენასა და ლიტერატურას შორის ურთიერთმიმართების საკითხს.

როგორც მირეი ნატურელი აღნიშნავს, «... *l'objet littéraire, quoiqu'il se réalise à travers le langage, n'est jamais donné dans le langage; il est, au contraire, par nature, silence et contestation de la parole»*[5] [Naturel 1995: 25]. თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: ლიტერატურული ტექსტი ასწავლის კომუნიკაციას? ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ლიტერატურული ტექსტი განიხილება როგორც კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმა, ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ მას ეს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს გარკვეულ პირობებსა და კრიტერიუმებს, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვსაუბრობთ ლიტერატურის სწავლებაზე, ეს სხვა პრობლემაა და მას სხვა მეთოდოლოგია, სხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ჩვენ ვსაუბრობთ ლიტერატურული ტექსტებით ენისა და, განსაკუთრებით, კულტურის/ცივილიზაციის სწავლებაზე. იმავდროულად, იმ

[5] "ლიტერატურული ფაქტი (ლიტერატურული ობიექტი), მიუხედავად იმისა, რომ მისი რეალიზაცია ენის საშუალებით ხდება, არასოდეს არის მოცემული ენაში : პირიქით, ის წარმოადგენს სიტყვის მიჩუმათებას, მისი მუდმივი კამათის საგნად გახდომას".

ენისა და ენობრივი ხერხების სწავლებაზეც, რომლებიც კულტურისა და ცივილიზაციის ამა თუ იმ ფორმებით გამოხატვას, წარმოჩენას ემსახურება. ჩვენ ვიზიარებთ იმ სპეციალისტების მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლიტერატურას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს უცხო ენის სწავლება/შესწავლის პროცესში, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ლიტერატურული ტექსტი «*est un laboratoire langagier, où la langue est si instamment sollicitée et travaillée, que c'est en lui qu'elle révèle et exhibe le plus précisément ses structures et ses fonctionnements»*[6] *[Papo 1989: 8]*. შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლიტერატურა არ/აღარ უნდა იყოს ე.წ. კულტურული "დამატება", არამედ ის უნდა იყოს ენის სწავლების პროცესის მთავარი საფუძველი და საძირკველი.

ჩვენი აზრით, ლიტერატურული ტექსტების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი უმრავლესობა პასუხობს მეტ-ნაკლებად კოდირებულ ნორმებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი გაზიარებულია, პირველ რიგში, ავტორის მიერ და მასთან ერთად მკითხველის და ყველა იმ ინსტიტუციონალური პარტნიორის მიერ, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ლიტერატურულ კომუნიკაციაში. როგორც სოციოლოგი ბურდიე აღნიშნავს, „... *les auteurs ayant autorité pour écrire (les écrivains) contribuent à produire tout à la fois la langue officielle, c'es-à-dire cette variante particulière de la langue constituant la norme théorique à laquelle toutes les pratiques linguistiques sont objectivement mesurées, et la croyance dans les règles qui en gouvernent les enjeux* "[7] [ციტ. in: Papo 1989: 28]. შესაბამისად, ლიტერატურული ტექსტი ენობრივი და სოციოკულტურული ფენომენია, რომელიც იმავდროულად, კულტურულისა და ინტერკულტურულის თავმყრის ადგილს, მათ წყაროს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, უცხო ენის სწავლების დროს ლიტერატურული ტექსტების გამოყენება ოთხ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს: 1. ენობრივი სრულყოფა. 2. კითხვის კომპეტენციის, ზოგადად, და ლიტერატურული ტექსტის (მრავალმხრივი) წაკითხვის

[6] "ენობრივი ლაბორატორიაა, სადაც ენაზე მოთხოვნა ისე ძლიერია, ის იმდენად დამუშავებულია, რომ ენა სწორედ ამ ლაბორატორიაში გამოავლენს სრულყოფილად თავის სტრუქტურებსა და ფუნქციონირებას".

[7] "ავტორებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წერონ (მწერლებს), წვლილი შეაქვთ ოფიციალური ენის, ანუ ენის იმ განსაკუთრებული ვარიანტის შექმნაში, რომელიც თეორიულ ნორმას წარმოადგენს და რის მიხედვითაც ყველა ლინგვისტური პრაქტიკები ობიექტურად იზომება. ისინი ხელს უწყობენ ასევე იმ წესებისადმი რწმენის დამკვიდრებაში, რომლებიც მის მნიშვნელობას (დანიშნულებას) მართავს".

კომპეტენციის გამომუშავება. 3. ლიტერატურული ცოდნის შეძენა. 4. კულტურის/ცივილიზაციის შესწავლა.

ვიდრე ლიტერატურული ტექსტების შერჩევის კრიტერიუმებზე გადავიდოდეთ, განვსაზღვროთ თუ რა განსხვავებაა არალიტერატურულ და ლიტერატურულ ტექსტებს შორის.

ცნობილია, რომ კითხვა ნიშნავს აღქმას. ხოლო როგორც ნებისმიერი აღქმითი ქმედება, კითხვის პროცესი მნიშვნელობის მიმნიჭებელი პრაქტიკაა. აღიქვა რაიმე, თავის მხრივ, ნიშნავს მიანიჭო მას რაღაც არსი, მნიშვნელობა/მნიშვნელობები. კითხვის პროცესში მკითხველი ხელახლა ახდენს არსის პროდუცირებას, კონსტრუირებას. პირვილი ტიპის, ანუ არალიტერატურულ ტექსტს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, ერთი არსი აქვს, მაშინ, როდესაც ლიტერატურული ტექსტი პლურალისტური წაკითხვის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი დიდაქტიკოსის აზრით, არალიტერატურული ტექსტით შეგვიძლია ყოველდღიური კულტურა ვასწავლოთ. ლიტერატურული ტექსტით კი ზოგადად ცივილიზაციური ხასიათის ერუდირებულ, ანუ კულტივირებულ კულტურას ვასწავლით. თუმცა ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ ლიტერატურული ტექსტების გამოყენებით ფრანგული ენის სწავლებაში დაგვიგროვდა, იმის მტკიცების უფლებას გვაძლევს, რომ ლიტერატურულმა ტექსტმა ორივე ტიპის კულტურის შესწავლას, ზოგადად ამ ენაზე კომუნიკაციის სწავლებას შეიძლება შეუწყოს ხელი, როდესაც მათი შერჩევის დროს შემდეგ კრიტერიუმებს ვეყრდნობით:

1. ტექსტი უნდა იყოს, პირველ რიგში, თხრობითი და ინფორმაციული თვალსაზრისით მდიდარი. ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, კულტურულ/ცივილიზაციური ხასიათის უნდა იყოს.

2. გამოკვეთილი უნდა იყოს ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი.

3. ტექსტს უნდა ჰქონდეს ინტერაქციული პოტენციალი.

4. იმისათვის, რომ ტექსტი იყოს ინტერაქციული პოტენციალის მატარებელი, მთხრობელი უნდა იყოს მოქმედების მონაწილე, ანუ თხრობა უნდა მიმდინარეობდეს პირველ პირში და მთხრობელმა სხვა პერსონაჟებიც ამ პრინციპით უნდა შემოიყვანოს.

5. იმავდროულად, ნაწყვეტი იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ სტუდენტს მთლიანი ნაწარმოების წაკითხვის სურვილი გაუჩნდეს, რაც ლიტერატურული ცოდნის შეძენას შეუწყობს ხელს.

ყოველივე ზემონათქვამს მივყავართ იმის აუცილებლობამდე, რომ დავფიქრდეთ, როგორ მოვამზადოთ პედაგოგები უცხო ენებისა და

კულტურების სასწავლებლად, თემა, რომელიც ცალკე დისკუსიის საგანია. თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მათ აუცილებლად უნდა მივაწოდოთ ძალზე მნიშვნელოვანი ცნებითი და კონცეპტუალური აპარატი, რაც რამდენიმე დისციპლინის აუცილებელმა სწავლებამ უნდა უზრუნველყოს: ლინგვისტიკის, ლიტერატურული კრიტიკის, ტექსტის თეორიების/დისკურსის ანალიზის, სოციოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის დისციპლინებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა შედიოდეს საუნივერსიტეტო პროგრამაში.

ბიბლიოგრაფია

1. Carlo Maddalena de – *L'interculturel. CLE International, Paris, 1998.*

2. Cuq *Jean-Pierre, sous la direction de - Dictionnaire de didactique du français langue étrangère et seconde. CLE International Paris, 2003.*

3. Jacques Demorgon – *Complexité des cultures et de l'interculturel. Contre les pensées uniques. Ed. ECONOMICA, 2004.*

4. Diouf Abdou – *Au service du pluralisme culturel. In: Manière de voir. Le Monde diplomatique. La bataille des langues. Bimestriel, Numéro 97, février-mars 2008.*

5. Naturel Mireille – *Pour la littérature. De l'extrait à l'œuvre. CLE International, Paris, 1995.*

6. Papo E. – Bourgain D. – *Littérature et communication en classe de langue. Une initiation à l'analyse du discours littéraire. LAL. Hatier, Paris, 1989.*

ინეზა იამანიძე

გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა

ათ წელზე მეტია, რაც საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმა მიმდინარეობს. ქვეყანაში ახალი ეტაპი დაიწყო, როცა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დაამტკიცა რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელსაც სახელმწიფო დონეზე უნდა განესაზღვრა, თუ რას ემსახურება განათლება, კონკრეტულად კი — სკოლა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაკვეთა განათლებაზე ასეთია: „ქვეყანაში განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. ეს არის და ეს. არაფერს ამბობს პროცესზე, როგორ აწარმოო პროდუქტი; რა ხერხებით, მეთოდებითა და მექანიზმებით მიიღწევა შედეგი.

სისტემაში მექანიზმების ნაკლებობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ შესაძლოა სკოლამ ვერ იპოვოს ის გზა, რომლითაც სისტემის სრულქმნილი პროდუქტის, საზოგადოებისთვის სასურველი პიროვნების ჩამოყალიბება იქნება შესაძლებელი.

ისიც ცნობილია, რომ რაციონალურად დაგეგმილი ცვლილებების გარეშე მაღალი ხარისხის განათლება არ მიიღწევა. მიმდინარე პროცესში, განათლების შედეგების განსაზღვრა სრულიად შეუძლებელია დიაგნოსტიკური ხასიათის კვლევების, პროცესის სისტემატური მონიტორინგის გარეშე, რაც ქმნის საშიშროებას, მხედველობიდან გამოგვრჩეს წარუმატებლობა მთლიან სისტემაში, ან მის რომელიმე მნიშვნელოვან მიმართულებაში, მათ შორის აღზრდაში.

ამგვარი მაშტაბური რეფორმა წარუმატებლობისაგან დასაზ-

ღვევად აუცილებლად მოითხოვდა რეფორმის ინდიკატორების განსაზღვრას და პროცესის სისტემატურ მონიტორინგს, რაც არ განხორციელებულა. რომ არა საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები, ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა სწავლების შედეგებზე, კერძოდ, იმის შესახებ, რომ 2006 – 2011 წლების შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილე 45 ქვეყნიდან საქართველო 37-ე ადგილზეა და რომ ამ მონაცემებით სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უარესი შედეგები გვაქვს. ჩვენს შემდეგ არიან სამხრეთ აფრიკა, კუვეიტი, კატარი.

ახლა კი მინდა მივუბრუნდე აღზრდის საკითხებს, რომელმაც ფაქტობრივად სადღეისოდ შეცვალა სკოლის მისია, მაგრამ ამის შესახებ ისევ და ისევ ბევრი არაფერი იცის პედაგოგიურმა საზოგადოებამ, რაც ქვეყნის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა არაკომპეტენტურობითაა გამოწვეული.

არავინ სვამს კითხვას — რას ნიშნავს აღზრდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესში? უნდა წარიმართოს თუ არა 21-ე საუკუნის დემოკრატიული განათლება „საერთაშორისო მოქალაქის“ აღზრდის გლობალური ასპექტების გათვალისწინებით? ანუ ადგილი ეთმობა თუ არა აღზრდაში იმავე ღირებულებებს, რაც აქამდე არსებობდა, თუ დადგა დრო, როცა საზოგადოება რაღაც ახალ მორალურ ფასეულობებზე უნდა შეთანხმდეს. ამ საკითხებზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს. შეთანხმებაა საჭირო — სკოლაში აღზრდა ეროვნულ საწყისებზე უნდა განხორციელდეს, თუ აუცილებლად უნდა გასცდეს ეროვნულ ჩარჩოებს.

გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა და მოითხოვა აუცილებლობა იმისა, რომ აღზრდის ერთ-ერთი მიმართულება საერთაშორისო მოქალაქის აღზრდას ემსახურებოდეს. ასე რომ, სიტუაცია პრობლემური და რთულია. ამიტომაც დუმილს ამჯობინებენ რეფორმის მამები და ღირებულებებსა და მათ დეფინიციაზე არა თუ საზოგადოებაში, არამედ თვით სისტემაშიც კი არ კამათობენ.

არადა, ფაქტი ერთია — საზოგადოებისთვის გამოცანად რჩება, ვინ უნდა „გამოუშვას“ ამ რეფორმით მომუშავე ქართულმა სკოლამ. არ ჩანს თანამედროვე იდეალებისა და ეროვნულობის კონკრეტული თემები. ასევე სრულიად არ არის განსაზღვრული სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია — აღზრდა, აღზრდის უპირატესობა, აღზრდის პრიორიტეტები.

რეფორმატორებს ყურადღებიდან გამორჩათ ის პრობლემური სიტუაციაც, რომელშიც ცხოვრობს დღევანდელი თაობა. ეს არის

კარდინალურად განსხვავებული ორი ეპოქა: საბჭოური და ახალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესი. არ არსებობს თეორიები სწავლებასა და აღზრდაში, რომელიც ყველა ეპოქაში ვარგისია. დროის ფაქტორი არსებითია. ცნობილია, რომ აღზრდის სისტემის პირველი რგოლი ოჯახია, მაგრამ დღეს მისი ავტონომიურობა და ტრადიციები დაარღვია გარემოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც მხოლოდ ხელისშემშლელნი აღმოჩნდნენ აღსაზრდელის ზნეობრივი და ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

ასე რომ, საქმე მარტივად არ არის. ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულებების“ აღქმის საკითხებში ძალიან არაერთგვაროვანია. ნაკლებად ჩანს რაიმე თანხმობა. ჩვენი იდენტობის საყრდენად და მომავალი თაობის ზნეობრივ ორიენტირად ღირებულებათა რა სისტემა ვაღიაროთ, — ლგბტ საზოგადოებისა და სხვადასხვა უმცირესობების ინტერესები დავიცვათ, თუ ბრძოლა გამოვუცხადოთ მათ?

ამას გარდა, მრავლად შეიძლება მაგალითების მოყვანა იმის შესახებ, რომ საზოგადოების ამ ეტაპზე არსებობს გარკვეული აცდენები და დისონანსები ღირებულებების დეფინიციისა. თუმცა არის საკითხები: ოჯახური ტრადიციები, პატრიოტიზმი (სიტყვა, რომლის ხსენებაც არ არის „ზოგადი განათლების“ შესახებ კანონში), ეროვნული კულტურა, რომლისკენაც მოსწავლეებს მოუწოდებენ პედაგოგები და რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის ასახული. ეს ღირებულებებიც ბეწვის ხიდზე უნდა გადავატაროთ და უნდა ვეცადოთ, რომ ისინი მომავალი თაობების ცხოვრების განმსაზღვრელ ფასეულობებად დარჩნენ და იდეოლოგიურ იარაღად არ გადაიქცნენ.

მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში. ამ შემთხვევაში ხომ იგი ფუნქციააყრილ ინსტიტუტად დარჩება სისტემაში, თანაც ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა აღზრდა. პარადოქსია!

მოსწავლეებში იმატა აგრესიამ, ხშირია კონფლიქტები, აღვირახსნილობა, ნარკომანია, რომლებიც ხშირად მძიმე შედეგებით მთავრდება. ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია და რომლის აღმოფხვრისათვის სრულიად არ არის საკმარისი ის ღონისძიებები, რომლებიც დღევანდელ განათლების სისტემაში ტარდება.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა

აკადემიის მცდელობა, შექმნას რეკომენდაციები, რომელიც პედაგოგიური ანალიზის საფუძველზე ხელს შეუწყობს ახალი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, კონკრეტულად, დანაშაულის პრევენციას, მართლაც დროულია.

აკადემიის მიერ განათლების სისტემაში საფუძველი ეყრება ახალ მიმართულებას, იურიდიულ პედაგოგიკას, რაც, ჩვენი აზრით, მეტად სასარგებლო მექანიზმი აღმოჩნდება მოსწავლეთა დანაშაულის პრევენციის საქმეში.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს თუ ნამდვილ სახელს დავარქმევთ, შეიძლება გაგვიჭირდეს მართვის ორიენტირის მიგნება. გამოსავალი ერთადერთია, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს განათლების სისტემაში აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში. აუცილებელია, მოხდეს საკანონმდებლო ბაზის სერიოზული რევიზია და ამის შემდეგ აღზრდის საკითხში გათვალისწინებულ იქნეს კანონის დაცვისა და მისი პატივისცემის უნარ-ჩვევა, მით უმეტეს მაშინ, როცა ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას.

ხელისუფლებები დროებითია, მუდმივია ისტორიული მეხსიერება, რომელიც არ დაივიწყებს იმას, რომ წინა ხელისუფლებამ მძიმედ დააბინძურა გარემო, არა მარტო სამართლებლივად, არამედ ზნეობრივადაც. სამორინეებით, ტოტალიზატორებით, ღამისა და სტრიპტიზ ბარებით გაივსო ქვეყანა. სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივ, უხამს გადაცემებზე და ფილმებზე აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის, და რომ ამ გარემოში ძალიან გაუჭირდება ქართულ სკოლას — აღზარდოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სრულფასოვანი მოქალაქე, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებს. ამაზე პასუხის გაცემა არა მხოლოდ სკოლის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულ კატაკლიზმებში სკოლამ გარდა იმისა, რომ პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი და ფუნქცია დაკარგა, არა ერთი საერთაშორისო კვლევის შედეგით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთ ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. ჩვენ ვამბობთ, რომ მოსწავლეებმა დაკარგეს სწავლის ინტერესი, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: დღეს ჩვენში არსებული სისტემა ვერ უზრუნველვყოფს მათ სწავლებასა და აღზრდას განათლების ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყანაში.

„სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქე სულიერი აგრესიისაგან, — ბრძანებს პატრიარქი, — რომ სექტების მოქმედება უკვე ანტიეროვნულ სახეს იღებს, მათი ძირგამომთხრელი

საქმიანობა კი არა მხოლოდ არ იზღუდება, არამედ კიდევ უფრო მეტად აკანონებენ მათ უფლებებს და მათ წინააღმდეგ მიმართულ აქციებს კრძალავენ. არის სექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საზოგადოებას და საერთოდ ქვეყანას". არავინ იცის რამდენი მოსწავლე და ახალგაზრდაა გაერთიანებული სადღეისოდ ამ სექტებში. ამ საკითხის სრულყოფილი ანალიზი ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს, მაგრამ კანონი უმცირესობათა შესახებ ამას კრძალავს, არადა გარდა სულიერი გადაგვარებისა, სექტების მონაწილეები, მოქცეულნი ფანატიზმის ზემოქმედების ქვეშ, ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენნი ხდებიან.

ქვეყანაში, სადაც გარემო გაჯერებულია პიარტექნოლოგიებით, სადაც კარგადაა აპრობირებული ახალი ტიპის ოკუპაცია ინტერნეტითა და საინფორმაციო საშუალებებით, ცხადია, ადვილი არ არის გზის გაკვლევა. „ისიც უნდა იცოდე, როგორ აპირებ საითმე წასვლას", რაც სადღეისოდ გაურკვეველია. გაურკვევლობას ქმნის „კომუნიკაციების ეროვნული ბიურო", რომელმაც შექმნა დოკუმენტი მოზარდის ეროვნული და ზნეობივი ცნობიერების სულიერი ნგრევისა ისეთი მასალების მიწოდებით, როგორიცაა ოკულტიზმის მარგინალური გავლენა მათ ცნობიერებაზე.

საინფორმაციო რევოლუციამ, ტელე-კომპიუტერულმა კავშირებმა ძირეულად შეცვალა ყოფა. გლობალიზაციის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეროვნული სახელმწიფოების შემდგომი არსებობაც კი. ასეთ პირობებში მარტივი არ არის შევინარჩუნოთ ადამიანური ეროვნული ღირებულებები. როგორი იქნება უახლესი და მომავლის შედეგები თაობათა აღზრდის საქმეში, რთული არ არის პროგნოზირება. ის რაც დღეს ხდება აღზრდის სფეროში, ცუდი საწყისია ერის მომავლისათვის.

ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ამ სირთულეების მოგვარება შეეძლო ან მომავალში შეძლებს მას მანდატურის სამსახური. ადამიანის აღზრდას საუკუნეების პედაგოგიური გამოცდილება, განათლება, ჰუმანურობა და ბუნებით ნაბოძები ნიჭი სჭირდება, რასაც სამთვიანი და, თუ გნებავთ, მეტხნიანი კურსების დამთავრება ვერ განაპირობებს. ადამიანი, რომელმაც აღსაზრდელზე გავლენა შეიძლება იქონიოს, კარგად უნდა იცნობდეს მის პიროვნებას და იმ მეცნიერებებს, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს მოზარდის უნარებისა და მიდრეკილებების გამომჟღავნებას, ხელშეწყობას იმაში, რომ მან მართოს საკუთარი ინსტიქტები, შეძლოს განერიდოს კონფლიქტებს, და კიდევ მრავალი რამ, რაც ძალისმიერი მეთოდებით არ იმართება.

აქსიომაა, რომ აღზრდის საფუძველი სიყვარულია. ვერ შეიყვარებ იმას, ვისიც გეშინია, ამიტომაც ძალადობა და სტრესი აღზრდაში მიუღებელია.

და მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ განსხვავებით პოლიციური სამსა-ხურებისგან, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები ეყრდნობა პრინციპებს — მასწავლებელი აღიარებს მოსწავლეს და პირიქით — მოსწავლე აღიარებს მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს მისი სწავლებისა და აღზრდის საქმეში. პედაგოგია ის, ვინც ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე, მოსწავლის სწორი აღზრდით წყვეტს საზოგადოების აღზრდისა და გარდაქმნის პორობლემას.

სკოლა ის ორგანიზმია, რომელშიც გამოკვეთილად და აშკარად ჩანს ის ინდივიდები, რომელთა ქცევაში შეიმჩნევა მიუღებელი ქმედებები, თავისებურებები, არასახარბიელო მიდრეკილებები — დაუდევრობის, ზოგჯერ დაუმორჩილებლობის სახით. და თუ ეს ყველაფერი რეაგირებისა და ყურადღების მიღმა დარჩა, მას შედეგად შეიძლება მძიმე დანაშაულიც კი მოყვეს. ეს რომ ასე არ მოხდეს, ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ უსაფრთხო სკოლის დებულება ან მანდატურის სამსახური, დირექციის, სამეთვალყურეო და პროფილაქტიკური საბჭოებისა და კომიტეტების შექმნით ასეთი მდგომარეობის პროფილაქტიკა შეუძლებელია.

აუცილებელია სკოლაში არსებობდეს ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც იქნება დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რათა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში დისციპლინის ამაღლებას, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია.

დადგა დრო, რომ აღზრდას დავუბრუნოთ ეროვნული განათლების სულიერი ფუნქცია, რის არარსებობამაც დღეს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სასულიერო პირები პარლამენტისა და მთავრობისაგან გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ, რათა „დავიცვათ ჩვენი შვილები ნებისმიერი მავნე ზეგავლენისაგან და აღვზარდოთ ისინი ჩვენი ტრადიციების, ზნეობისა და რელიგიური მრწამსის შესაბამისად".

სიტუაცია იმდენად ზღვარს გადასულია, რომ პატრიარქიც ხმას იმაღლებს და ბრძანებს: „ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა, ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო".

„იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე", წერია სააღდგომო ეპის-

ტოლეში, და საწინააღმდეგოდ ამისა პატრიარქი იმავე ეპისტოლეში გვაწვდის ღირებულებათა მთელ სისტემას აღზრდისა, რომლის მიხედვითაც სამართლებლივი კანონებით დაცულ სინდისს სინდისით დაცული კანონი სჯობია. ეს ღირებულება აღსაზრდელში ნამდვილად სკოლამ უნდა განახორციელოს.

„მასწავლებლის სიტყვა ყოველნაირ იარაღზე ძლიერია“, — ბრძანებს ბრძენთა ბრძენი სოკრატე, მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ ძნელია დღევანდელობის შეცნობა. თუმცა აქ უკვე ჰომეროსის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ: „ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება“. ეს ადამიანი კი ჩვენ გვერდითაა, ეს გახლავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II , რომელიც „დროს დაუფლებული“ გვმოძღვრავს:

„ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად“.

ღმერთმა მოგვანიჭოს ამის ძალა!



მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)

საქართველოს გზა

წერილი I

ქვეყანა, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს, ყოველთვის დგას იმ დიდი არჩევანის წინაშე, რომელიც მის აწმყოს და მომავალს განსაზღვრავს. ქრისტეს შობამდე საქართველოს გარკვეული კავშირი ჰქონდა სპარსეთთან, განიცდიდა რომის გავლენასაც; შემდეგ იყო ბიზანტია, არაბები, მონღოლები, თურქები. ახლა კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ: აქეთ რუსეთი, იქით — ევროპა და ამერიკა, რომელსაც დასავლეთს უწოდებენ დღეს. რა არჩევანს აკეთებს ერი? იცვლებოდა თუ არა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი არჩევანი იმისდა მიხედვით, ვინ ვის ენაცვლებოდა: აღმოსავლეთიდან სპარსეთს — მონღოლეთი, დასავლეთიდან რომს — ბიზანტია, სამხრეთიდან არაბებს — სელჯუკები, ბოლოს — სპარსეთი და თურქეთი, ჩრდილოეთიდან კი — რუსეთი.

15 საუკუნის მანძილზე, თუ მეტი არა, ქართველ ერს არ შეუცვლია თავისი ეროვნულ-კულტურულ-სარწმუნოებრივი ორიენტაცია, ის არჩევანი, რომელიც თავისუფლად, ძალდატანების გარეშე გააკეთა. ვგულისხმობ ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრებას, სარწმუნოებას. ამ არჩევანმა განაპირობა თავისთავადობა და დიდებულება ქართული კულტურისა, არქიტექტურისა და მხატვრობისა, მწერლობისა (აგიორგაფია, ჰიმნოგრაფია) და გალობისა, მანვე იქონია გავლენა საკანონმდებლო სამართლებრივ აქტებზეც. საწინდარი ამ არჩევანისა განცხადებული იყო პირველ საუკუნეში, როცა უფლის კვართი მობრძანდა საქართველოში და როდესაც მოციქულები, ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, ბართლომე, თადეოზი და მატათა შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და იქადაგეს სახარება. საუკუნეების მანძილზე გვაიძულებდნენ არჩევანის შეცვლას. მოწამე-

ობის და სისხლის ფასად ვუერთგულეთ ჩვენს თავისუფალ არჩევანს — უფალს, შემოქმედს ცისა და ქვეყნისა, და მის სიტყვას.

დღეს გარეგნული თავაზიანობით თავს გვახვევენ ახალ არჩევანს — ორიენტაცია ავიღოთ ევროპულ ღირებულებებზე. ზნეობრივი კატეგორიები, სულიერი ღირებულებები არ ექვემდებარება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. ქრისტიანობა საქართველოში დასავლეთიდან შემოვიდა. მაშინ ჩვენ ავირჩიეთ არა ევროპა და ევროპული ღირებულებები, არამედ უფალი და მისი სიტყვა, სჯული, რომელიც იმ დროს ვრცელდებოდა ევროპაში. I საუკუნეში ეს პროცესი ნაკლებად ჩანდა, ძლიერი იყო წარმართობა, მაგრამ IV-Vსაუკუნეებში უკვე განცხადდა. ევროპის გაქრისტიანებამ, რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ მიიზიდა საქართველო ამ არჩევანისკენ. რომი ახალ რომად იქცა, საქართველოში მოციქულების მიერ დათესილი ჯუშმარიტი სარწმუნოების მარცვლები უხვად აღმოცენდა წმიდა ნინოს ქადაგებით და ასურელი მამების მოღვაწეობით.

დღევანდელი „ევროპული“ ღირებულებები, რომლებსაც გვთავაზობენ, განსხვავდება ქრისტიანული ღირებულებებისგან. გვხიბლავენ იმით, რომ ეს თანამედროვეა, პროგრესულია, მაგრამ რა არის საზომი თანამედროვეობის, ან პროგრესულობის?

15 საუკუნე მტკიცედ ვიდექით ერთ სარწმუნოებაზე, ერთგული ვიყავით იმ არჩევანის, რომელიც იძულების გარეშე გავაკეთეთ, და ვერავითარი ზეწოლა, კულტურული თუ სამხედრო, ძალისმიერი, ამ არჩევანს ვერ ცვლიდა, ვერც ბიზანტიის იმპერიის არსებობისას და ვერც მისი დაცემის შემდეგ. არაბთა, თურქთა თუ სპარსთა ბატონობის დროს, იძულებით თუ ზეწოლით, ქართველთა გარკვეული ნაწილის გამაჰმადიანება ხდებოდა, მაგრამ ის, რასაც ეწოდა საქართველო, ქრისტიანული დარჩა. საქართველოს დეფინიცია ჩამოყალიბებულია საუკუნეების წინ: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. ეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი დეფინიცია ძალაშია დღემდე. რა არჩევანი გავაკეთოთ დღეს? მივიღოთ ახალი შემოთავაზება? თუ ევროპულ ღირებულებებზე გადასვლით ქართველი ერის მენტალობა შეიცვლება, საქართველო აღარ იქნება ქვეყანა, „რომელსა შინა ჟამი ქართულითა ენითა შეიწირვის“. პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონიუნქტურას თუ ავყვებით, შეიძლება ვცვალოთ ღირებულებები: ევროპული, აზიური, აფრიკული, ამერიკული, ავსტრალიური და ნებისმიერი სხვა.

რა სხვაობაა ე.წ. ევროპულ ღირებულებებსა და ქრისტიანულ ღირებულებებს შორის, რომელზეც ჩვენი ერი საუკუნეების მანძილზე დგას და რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ჩვენი კულტურა, ჩვენი მენტალობა? რატომ არის მიუღებელი არჩევანი, რომელსაც დღეს პოლიტიკური მოღვაწეები გვთავაზობენ? „ევროპული“ ღირებულებები, ერთი მხრივ, თავის თავში შეიცავს ქრისტიანული ღირებულებების ნატამალს და მეორე მხრივ, არაქრისტიანულს და ანტიქრისტიანულს. უპირველეს ყოვლისა, ანტიქრისტიანულია ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით, შემწყნარებლობის ნიღბით არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა, გავრცელება და სოციალურ ფენომენად გადაქცევის მცდელობა. გამონაკლის შემთხვევაში ადამიანში პათოლოგიურ გადახრას აქვს ადგილი, ამას არავინ უარყოფს. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაში, ამგვართა რიცხვი, ერთად აღებული, 1%-საც კი არ შეადგენს. ეს არის მუტაცია, მუტანტები არ მრავლდებიან. მათ გამო ერი ორიენტაციას არ შეიცვლის. ე.წ. ევროპული ღირებულებები პათოლოგიური გადახრის დაკანონებას მოითხოვენ, პარადების მოწყობით საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებენ და სკოლებში გაუკუღმართებული ურთიერთობების დანერგვას სწავლების სახით ცდილობენ. ფიზიო-პათოლოგიური გადახრის სოციალურ მოვლენად აღიარება დაგმობილია ღვთის მიერ როგორც ძველი აღთქმის, ისე ახალი აღთქმის წიგნებში; ასევე სხვა რელიგიები, იუდაიზმი იქნება თუ მაჰმადიანობა, ამ მოვლენას ერთხმად უარყოფითად აფასებენ.

რა არის ჩვენთვის დღეს საქართველოს გზა, რომლითაც უკვე 15 საუკუნეზე მეტია მოვდივართ, რის გამოც ბევრი სისხლი დაგვიღვრია, ბევრი განსაცდელი გადაგვიტანია? თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები გვთავაზობენ, ძველი გზა წარსულში დავტოვოთ და ავირჩიოთ ის, რომელიც დრომ მოიტანა. რაც დრომ მოიტანა, ის შეიძლება დრომვე განაქარვოს. გზა, რომელიც ღვთისგან დაშორებას და ღვთისადმი დაპირისპირებას ქადაგებს, სიკეთეს არავის მოუტანს. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს, ითქვა: სადაც ადამიანთა შორის გაუკუღმართებული ურთიერთობები გამრავლდა, ის ერი და სახელმწიფო დაიშალა და დაინგრა. წარღვნის წინა პერიოდს გავიხსენებთ, თუ წარღვნის შემდგომ, ბაბილონის გოდლის შენების დროს, სოდომსა და გომორს, თუ სხვა ქვეყნების ისტორიას, შედეგი ერთია: ყველა ქვეყანა, რომელიც ამ გაუკუღმართებული ურთიერთობების პოეტიზაციას და პროპა-

განდას ეწეოდა, დაიშალა. იგივე ელის დღეს სამყაროს, რომელიც ამ გზას დაადგა. საქართველოს ეს გზა არ გამოადგება.

ჩვენ გვაშინებენ ჩრდილოელი მეზობლით — რუსეთით და გვიკიჟინებენ, რომ — „რუსეთი ამას და ამას გიზამთ თქვენ“... ქვეყანა, რომელმაც წარსულში ბევრი ბოროტება დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას, მომავალში კიდევ უფრო მეტად გაგვამწარებს, „რუსეთს ეს და ეს გაუკეთებია ჩვენთვისო“... რუსეთთან საქართველოს სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია აქვს. მანამდე ეს ურთიერთობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ამ ურთიერთობის მთავარი სიკეთე იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს ეძლეოდა საშუალება არსებობის იმ გზით გაგრძელებისა, რომელიც 15 საუკუნის წინ აირჩია, რაც ძალიან კარგად იცოდა ერეკლე მეორემ. თუ მის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯის შედეგს ფართო მასშტაბით, ობიექტურად გავაანალიზებთ, ისტორიული პროცესი დაგვიდასტურებს, რომ რუსეთთან თანაცხოვრების პერიოდი, საქართველოსთვის დადებითი იყო, თუმცა დღეს ბევრი საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობს.

ჩვენ გთავაზობთ შედარებითი ანალიზის საფუძველზე მსჯელობას. უფალი გვეუბნება: „ხე ნაყოფით იცნობა“. ქართველ პოლიტიკოსებს რატომღაც არ უნდათ ნაყოფის მიხედვით განსჯა. ქართველ ერს, რომელიც არჩეულ გზას თავგანწირვით იცავდა, XVIII საუკუნის ბოლოს თურქების, სპარსელების, ლეკების შემოსევების შედეგად ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქრა. მისი მოსახლეობა მილიონზე ნაკლები იყო. ერთი საუკუნის მანძილზე, XIX საუკუნეში, მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, ქართველობა 3 მილიონზე მეტი გახდა და, რაც მთავარია, სარწმუნოება არ შეუცვლია. ღვთის განგებამ რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევით ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, ერმა არა თუ ენა და სარწმუნოება დაკარგა, არამედ თანამედროვე ქრისტიანული კულტურა შექმნა. ქართველი ერის ის ნაწილი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში მოექცა, მართალია, გამრავლდა, მაგრამ გათურქების გზით, ანუ დაივიწყა მშობლიური ენა, დამწერლობა, შეიცვალა სარწმუნოება, კულტურულ სფეროშიც ვერაფერი შექმნა.

რუსეთს ბრალად ედება საქართველოს სამეფოს გაუქმება, დიდი დანაშაულია, მაგრამ ვინც იცის ისტორიული მასალები, იცის, რომ ამ დანაშაულში გარკვეული წვლილი ჩვენს იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასაც მიუძღვის. რუსეთმა გააუქმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია, დიდი დანაშაულია, დიდი შეცდომაა რუსეთის იმპერიისა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ტაძრების ნგრევა, მონასტრების აოხრება და, ზოგადად,

ქრისტიანობის დევნა საქართველოში. პირიქით, ქართველი თავადების მიერ მიტაცებული საეკლესიო მიწები ეკლესიას დაუბრუნდა, გაიხსნა სამრევლო სკოლები, აღდგა მონასტრები, ტაძრები: ბეთანია, ზარზმა, ჭულევი და სხვა მრავალი, და შესაბამისად, აღდგა სასულიერო განათლების კერები, სემინარიები. XIX საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი სასულიერო პირები, როგორებიც იყვნენ გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსანდრე ოქროპირიძე; ჩვენი ეკლესიის პირველი პატრიარქები იყვნენ ისინი, ვინც სასულიერო განათლება და მღვდელთმთავრის ხარისხი სწორედ ეგზარქოსობის ხანაში მიიღეს.

სამწუხაროდ, ვრცელდება მოარული შეხედულება, რომ რუსებმა შურის გამო გადაათეთრეს ჩვენი ტაძრები და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალეს. ეს განცხადება ვიღაცამ ოდესღაც გააკრცელა და ბევრმა აიტაცა ისე, რომ არც გაანალიზა, რაში იყო საქმე. საერთოდ ტაძრები კი არ შეუთეთრებიათ, არამედ რუსეთის მეფის საქართველოში სტუმრობის წინ, გზაზე, რომელზეც მას უნდა გაევლო, იმ ტაძართა კედლები, რომლებზეც ფრესკების მხოლოდ ფრაგმენტებიღა იყო შემორჩენილი, რადგან მათი რესტავრაციის ან ხელახალი მოხატვის საშუალება არ იყო, შეათეთრეს და ხატები დაკიდეს; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში სიონის, სამების, მამადავითის ტაძრები ხელახლა მოიხატა. რაც შეეხება ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვას, ამის შესახებ ვიტყვით: სწორედ XIX საუკუნეში დაიბეჭდა ის საღმრთისმსახურო წიგნები, რომლითაც დღესაც სარგებლობს საქართველოს ეკლესია. რისთვის იბეჭდებოდა, თუ ქართულად მსახურება აკრძალული იყო? რუსეთის იმპერიამ ვერ აკრძალა ბეჭდვა ქართულ ენაზე? ვის წასაკითხად იყო ისინი გამიზნული, თუკი ტაძრებში ქართულად მსახურება დაუშვებელი იყო?

სლავურად მსახურება სრულდებოდა საკათედრო ტაძრებში და იქ, სადაც რუსულენოვანი მრევლი იყო, სამხედრო გარნიზონის სობოროში, რუსების მიერ აშენებულ ტაძრებში: მიხეილ ტვერელის, ალექსანდრე ნეველის, იოანე ღმრთისმეტყველის და სხვ. თუ გაბრიელ ეპისკოპოსის ან ალექსანდრე ორქოპირიძის ქადაგებებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქართულადაა წარმოთქმული. ისინი ქართველ მრევლს მიმართავდნენ და ქართველ ერს მოძღვრავდნენ ქართულად. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ენა ზოგადად ღმრთისმსახურებისთვის აკრძალული არ ყოფილა. იგივე ითქმის ქართული საეკლესიო გალობის შესახებაც, მისი კანონიკურობა რუსეთის სინოდმა აღიარა და ეგზარქოსმა საგანგებო კურთხევა მისცა, რომ სწორედ კანონიკური ქართული გალობა არა მარტო

ოჯახებში ეგალობათ, არამედ სკოლაშიც ესწავლებინათ. იმავეს ვერ ვიტყვით თურქეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათი მრევლის შესახებ.

რუსოფობიის გარკვეული ტალღა ცდილობს, შავ ფერებში წარმოაჩინოს რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი საქართველოში და რატომღაც სრულიად დავიწყებას ეძლევა სხვა იმპერიების ბატონობის შედეგები საქართველოში, იქნებოდა ეს არაბებისა, მონღოლებისა, სპარსელებისა თუ თურქების. მაშინ რა მდგომარეობაში იყო ეკლესია და მთლიანად ქართველი ერი?

ყველა იმპერიას თავისი მიზნები აქვს, თავისი ინტერესები, მას სულაც არ ედარდება შენი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული წარსული და ა.შ. მაგრამ როცა ჩვენ ერთმანეთს ამ იმპერიების ბატონობათა ნაყოფს ვადარებთ, შედეგს და კვალს ჩვენი ერის ისტორიაში, ობიექტურები თუ ვიქნებით, დავინახავთ, რომ ქართველი ერისთვის ღმრთის განგებამ, რომლითაც ჩვენი ქვეყანის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა, მისი და მის მიერ არჩეული გზის გადარჩენა განაპირობა, არა მხოლოდ იმით, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, არამედ ეროვნული კულტურა განვითარდა; შეიქმნა ქართული კლასიკური ხელოვნება, ლიტერატურა, პოეზია, მხატვრობა... აღარაფერს ვამბობ შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის დაარსებაზე. ეს ყველაფერი გაიხსნა, დაარსდა და მოქმედებდა სწორედ რუსეთის იმპერიის წიაღში. იმპერიის მხრიდან იყო წინააღმდეგობა, იყო დამცირება, უსამართლობა — ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ საბოლოო ჯამში რუსეთის იმპერიის წიაღში ყოფნა მაინც სასიკეთო აღმოჩნდა ჩვენთვის, რისი თქმაც ნამდვილად არ შეიძლება საქართველოს იმ ნაწილზე, რომელიც თურქეთის იმპერიამ დაიპყრო და შეიერთა. რატომღაც ამ შედარებას ჩვენ ვერიდებით, არ გვინდა დღეს ამის გახსენება.

ისტორიული ფაქტები გემოვნების საკითხი არ არის, თავს ნუ ვიტყუებთ! რა მოგვიტანა რუსეთთან დაპირისპირებამ და რა შედეგი მივიღეთ თურქეთთან დამეგობრებით დღეს? ჩვენი ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია და ერთ-ერთი პრიორიტეტი — სოფლის მეურნეობა — დაქცეულია. თურქეთის ენერგეტიკული პოტენციალის გაძლიერებისათვის ჩვენს ქვეყანას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვაყენებთ, პანთურქისტული იდეის განხორციელების შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით სატრანზიტო კუნძული თურქეთსა და თურქმენეთს შორის. ჩვენი ქვეყნის თურქიზაცია დაწყებულია, რისგანაც ევროპა არ დაგვიცავს.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ თურქეთში მყოფი ქართველები, ვისაც ეროვნული მენტალობა ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს, ოდესმე, თურქეთის იმპერიის დაშლის შემთხვევაში, შეიძლება დაუბრუნდნენ ისტორიულ გზას, რომელიც მათმა წინაპრებმა აირჩიეს. ეს გზა ჩვენთვის არ უკარნახია არც მონღოლს, არც არაბს, არც სპარსელს, არც თურქს, არც რუსს, არც ევროპელს. ეს ჩვენი თავისუფალი არჩევანი იყო. საუკუნეების მანძილზე ამ არჩევანის ერთგულები ვიყავით, მიუხედავად მისთვის გაღებული დიდძალი მსხვერპლისა. ალბათ, სწორედ ამიტომ განაგო უფალმა ჩვენი ერის გადარჩენა ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად, ეკონომიკურად, რუსეთის იმპერიის წიაღში. ეს ღმრთის განგების საკითხია და წინ ნუ აღვუდგებით მას.

ევროპა გვთავაზობს შესვლას მის ერთობაში, ევროპის გაერთიანებულ ქვეყნებში. რა საშიშროებას წარმოადგენს ეს? ეკონომიკურად, სამათლებრივად შესაძლოა ეს უკეთესი იყოს ჩვენთვის, თუმცა დასაფიქრებელია, რატომ აღმოჩნდა ევროკავშირში გაერთიანებული ევროპის რამდენიმე ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისში! ევროპა გვპირდება, რომ იქნება გარკვეული გარანტი ჩვენი დაცვისა რუსეთის ექსპანსიისგან. დღემდე ევროპამ საქმით არ დაგვიცვა და ვერც დაგვიცავს. როდესაც რუსეთში რევოლუცია მოხდა, საქართველოში ხან გერმანული კორპუსი შემოვიდა, ხან ინგლისური, მაგრამ ჩვენ ბოლშევიკების ექსპანსიისგან არცერთს დავუცვივართ. ბოლშევიკების იდეოლოგია ევროპიდან იყო ექსპორტირებული რუსეთში. რუსეთი თვითონ აღმოჩნდა მსხვერპლი ევროპაში გავრცელებული ათეიზმისა და სოციალურ-კომუნისტური იდეებისა. ევროპამ და ამერიკამ დააფინანსეს ჯერ რევოლუცია და მერე სამოქალაქო ომი რუსეთში. იმედი, რომ ევროპა რუსული იმპერიული ზრახვებისაგან ჩვენი დაცვის გარანტი იქნება, ჯერჯერობით არაფრით არ დასტურდება.

სიტყვიერი დაპირების სანაცვლოდ ევროპა ჩვენგან დასავლეთში მიღებულ სამართლებრივ ნორმებთან ერთად ადამიანებს შორის გაუკუღმართებული ურთიერთობების ნორმად აღიარებას და ამა თუ იმ სახით პროპაგანდას ითხოვს, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩვენ გვაყენებენ არჩევანის წინაშე — გადავუხვიოთ ისტორიულ, ქრისტიანულ გზას და მოვახდინოთ აღრევა ქრისტიანობისა ანტიქრისტიანობასთან, ზნეობისა — უზნეობასთან, ღმრთის სათნო ცხოვრებისა — ღმრთის საგმობ ცხოვრებასთან. ამგვარი შინაგანი განხეთქილება კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ერს.

ევროპულ ღირებულებათა შორის უმთავრესად ადამიანის უფლე-

ბების დაცვა ითვლება, მაგრამ რატომღაც ადამიანთა უმრავლესობის უფლებების საწინააღმდეგოდ, მთავრობები თავიანთი ხალხებისგან გაუკუღმართებული ურთიერთობების კანონად მიღებას იძულების წესით ითხოვენ. თვით ევროპაშიც კი, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში ხალხი ერთსქესიანთა ქორწინებისა და ერთსქესიან დაქორწინებულთათვის ბავშვის მიშვილების დაკანონების წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ დემოკრატიულმა ევროპამ, ხალხის პროტესტის მიუხედავად, ანტიქრისტიანული კანონები მაინც მიიღო, საპროტესტო გამოსვლები კი დაარბია. ამას უწოდებს ევროპა ადამიანის უფლებების დაცვას; ე.ი. 1%-ის პათოლოგიური გადახრები ნორმად ვაქციოთ, ხოლო ბუნებითი ნორმით მცხოვრებთა უფლებები შევზღუდოთ. ეს არის ევროპული ღირებულება?

დასავლეთი სიტყვის თავისუფლების დეკლარირებას ეწევა, მაგრამ რატომღაც სიტყვის თავისუფლებად მარტო თავისი პოზიციის ქადაგება მიაჩნია; ხოლო როცა ეკლესია ხმას აიმაღლებს და თავის სიტყვას იტყვის, ყველა ტრიბუნიდან მის ჩახშობას ცდილობს. ამ პოზიციის მიხედვით, მხოლოდ ეკლესიას, ქრისტიან ქართველს არა აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. ეს უცნაური დაპირისპირება, ცნობიერების დეზორიენტაცია საზიანოა ქართველი ერისთვის, მის მიერ არჩეული მრავალსაუკუნოვანი გზით სვლისათვის.

დაბოლოს, დასკვნის სახით ვიტყვით: ქართველი ერის გზა საუკუნეების მანძილზე იყო ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, რომელიც მან აირჩია ძალადობრივი ზეწოლის გარეშე და სხვა გზა, მიუხედავად მრავალმხრივი იძულებისა, არ მიიღო. უკეთუ სხვა გზას ძალით თუ ხიბლით თავს მოგვახვევენ, ქართველი ერი დაკარგავს თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის საფუძველს, რაც კატასტროფა იქნება მისთვის.

დღეს ჩვენ კვლავ ვდგავართ არჩევანის წინაშე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამიტომ ობიექტური საზომებით უნდა შევაფასოთ, რა ემსახურება ნამდვილად ჩვენს კეთილდღეობას, მომავალს, ჩვენი თვითმყოფადობის გადარჩენას, შენარჩუნებას და განვითარებას. შეძლებს თუ არა ქართველი ერი ქვეყნებისა და ერების მსოფლიო მასშტაბის ერთობაში თავისი სიტყვის თქმას, ხალხთა მრავალფეროვნებაში საკუთარი სახის შენარჩუნებას, თუ გაითქვიფება ამსოფლის გაურკვეველ ღირებულებებში, რომლებსაც „თანამედროვეს“, „პროგრესულს“ უწოდებენ. არსებობს თანამედროვეობის ერთი ობიექტური საზომი — ეს არის

ღმრთის სიტყვა, ღმრთის მცნება, სჯული, მარადიული ცხოვრების კანონი, რომელიც უარყოფითად აფასებს ადამიანის დაცემას, გაუკუღმართებულ ცნობიერებას, ხედვას და ქმედებას, ამიტომ ღმრთისგან დაშორებას არა პროგრესს, არამედ დეგრადაციას უწოდებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ერი ერთგული დარჩება თავისი ისტორიული არჩევანისა და მონახავს თავის თავში ძალას, რათა დაიცვას თავისი ისტორიული, კულტურული და სარწმუნოებრივი თვითმყოფადობა, როგორც მას აქამდე იცავდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში განაგებს უფალი ჩვენს გადარჩენას.

აქვე მინდა გავცე პასუხი კითხვას, რომელიც ხშირად ისმება, სახელდობრ, რაში მდგომარეობს ამ პროცესში თითოეული ჩვენგანის, როგორც ქრისტიანის და მოქალაქის ვალი? — უწინარესად, ყოველი ჩვენგანის ვალია, რომ იყოს ქრისტიანი, რადგან ღმრთის ხატად არის შექმნილი. ეს რას ნიშნავს? არსებობს კურთხევა ღმრთისა: „აღორძინდით, გამრავლდით, აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“, ე.ი. უნდა გამრავლდე. შემდეგი კურთხევაა: „დაიცავი მცნებები“; და ასევე: „შენს ქვეყანას მოუარე, უპატრონე და დაამუშავე, აღორძინე“. თუ შენ გამრავლდები, მცნებებს დაიცავ და ზნეობრივად იცხოვრებ, უფალთან ერთობა გექნება და ღმრთის კურთხევას შეასრულებ, მაშინ ერი გადარჩება. ცხადია, ყველა არ ცხოვრობს კურთხევით, მცნებების დაცვით, მაგრამ გავიხსენოთ პასუხი უფლისა აბრაამისადმი, რომელიც მას სოდომის გადარჩენას შეევედრა: „ათი მართალი რომ ყოფილიყო სოდომში, არ დაიღუპებოდა ქალაქი“, ანუ მცირერიცხოვანი მართალი უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ერის ბედზე, ვიდრე ცრუთა სიმრავლე, რადგან ღმრთის წინაშე ისინი ბევრად უფრო ფასდებიან, ვიდრე ცრუნი, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა.

ამიტომ თითოეული ქართველის პასუხისმგებლობა ღმრთის წინაშე ისტორიულად გაკეთებული არჩევანისა და შესაბამის გზაზე სვლის დაცვაა. ქართველმა უნდა შეასრულოს ის, რაც ღმრთისგან არის კურთხეული. უკეთუ ჩვენს ერში ღმრთის ერთგულებას მისი მცირე ნაწილი მაინც შეინარჩუნებს, მაშინ იგი თავის ისტორიულ გზაზე დარჩება და ღმრთისგან იქნება დაცული. არჩევანის გაკეთება და დადასტურება საერთოდ ერის არჩევანისა, თითოეული ადამიანის შინაგანი ბრძოლის შედეგად ხდება. საღმრთო ისტორიაში ჩვენ ამის მრავალი მაგალითი გვაქვს. პასუხისმგებლობა თითოეული ადამიანისა იმაში მდგომარეობს, რომ იყოს ქრისტიანი, რადგან დაბადებით, როგორც ეს საუკუნეების წინ ითქვა, ყველა ქრისტიანია.



თინა იველაშვილი

საუკუნის უმძიმესი დანაშაული
წერილი II

საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინ დიდი მოწონებით, ერთსულოვნად მიიღო საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელსაც 2 მაისს მონდომებითა და ენთუზიაზმით მოაწერა ხელი საქართველოს პრეზიდენტმა და რომელიც ხელმოწერისთანავე ძალაში შევიდა. მის პირველ მუხლში მითითებულია: „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, **სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად**“. ამ მუხლში ძალიან სახიფათოდ ჟღერს ეს უკანასკნელი ფრაზა.

როგორც ჩანს, იგი ეფუძნება: ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის განცხადებას (17. 05. 2011); ადამიანთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს კომისრის მოხსენებას „დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის საფუძველზე ევროპაში“ (23. 06. 2011); ადამიანთა უფლებების შესახებ გაეროს რეზოლუციას „ადამიანის უფლებები, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტურობა“ (17. 06. 11); „ჰომოფობიასთან“ დაკავშირებით ჰომოსექსუალისტებისა და მათი გაერთიანებებისათვის განსაკუთრებული პრივილიგირებული უფლებების მინიჭების შესახებ; ევროსასამართლოს ზოგიერთ აშკარა ტენდენციურ და ორმაგი სტანდარტების შემცველ გადაწყვეტილებას და არა ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებას.

საერთოდ, „სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანის შესაძლებლობა ან გამოცდილება, მოიხიბლოს რომელიმე, ან ორივე სქესი, რომანტიკულად და/ან სექსუალურად“. რაც შეეხება გენდერულ იდენტურობას, იგი განსაზღვრულია იმისდა მიხედვით, თუ „ადამიანი თავს როგორ მიიჩნევს, როგორც ქალი, ან კაცი. პიროვნების გენდერული იდენტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის კულტურას, ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობას, საზოგადოების გავლენას, როგორც სკოლამდელ, ასევე უფროს ასაკში“ (გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 2003, გვ. 112).

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის კულტურას, ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობას, საზოგადოების გავლენას, როგორც სკოლამდელ, ასევე უფროს ასაკში, ეს ნათლად გამოჩნდა ანდრეს ბრეივიკის პირადი ცხოვრების ისტორიიდან, რამდენიმე წლის წინ მის მიერ ჩადენილი სისხლიანი დანაშაულიდან გამომდინარე.

აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, რომ „სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტურობა“ არსებითად განსხვავდება მოსახლეობის უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის, აზროვნების, ქცევის ფსიქოლოგიისა და შეხედულებათა სისტემისაგან. საერთოდ ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“ საეჭვოა, რადგან ნორმალურად ითვლება მხოლოდ ის ორიენტაცია, რომელიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვას გულისხმობს. სხვა დანარჩენი, ე. წ. ორიენტაცია ბიოლოგიური ნორმიდან გადახრაა, რომელიც ფსიქოლოგიურ დავადებად ითვლება. 1973 წლამდე ოფიციალურად ასეც იყო მიღებული. ამ წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება დაავადებათა ნუსხიდან ჰომოსექსუალიზმის ამოღების შესახებ, რაც ნაკარნახევი იყო არა მეცნიერული კვლევებით, არამედ პოლიტიკური მოტივებით. ჰომოსექუალისტების ნორმალურობის დასასაბუთებლად მათი უფლებადამცველები ამ ერთადერთ დოკუმენტს იშველიებენ.

ფაქტობრივად, იგი ჩამოყალიბდა გარკვეული სექტის იდეოლოგიად, რომელსაც აქვს აგრესიული პროზელიტური ხასიათი და

საყოველთაო აღიარების, უნივერსალობის, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მხარდაჭერის პრეტენზია. მავანთა და მავანთა ხელშეწყობითა და ფინანსური დახმარებით დღეისათვის იგი მეტად საშიშ სექტას წარმოადგენს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ამის ნათელი დასტურია მათ მიერ 1987 წელს მიღებული საყოველთაო მანიფესტი, რომლის ავტორია მაიკლ სვიფტი. ამ მანიფესტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს ე. წ. ორგანიზაცია არა მარტო მცირერიცხოვანი ერებისათვის, არამედ საერთოდ, კაცობრიობისთვის ფსიქიკურად გადახრილთა საკმაოდ საშიში ორგანიზაციაა. აღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ თვით მანიფესტის ზოგიერთ დებულებას. ისინი თავხედურად და გამომწვევად მიმართავენ ყველა ნორმალურ საზოგადოებას: „ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებისა და ჩვეული სიცრუის სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ მათ ვაცთუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებელში, გიმნაზიებში, გასახ-დელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოფილმების ტუალეტებში, სამხედრო ყაზარმებში, მოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს. ისინი ჩვენი იმიჯის რევანშირებას ახდენენ. მათ ექნებათ ჩვენი მწველი სურვილი და გაგვაღმერთებენ ჩვენ.

ქალებო, მოითხოვეთ თავისუფლება, თქვენ ამბობთ, რომ კაცები თქვენ უკვე აღარ გაკმაყოფილებთ, რომ ისინი ანგრევენ თქვენს ბედნიერებას. კი ბატონო, ჩვენ მამაკაცის სახის, მამაკაცის სხეულის დამფასებელნი, ჩამოგართმევთ მათ თქვენ. ჩვენ მათ გავართობთ, ვასწავლით, გულში ჩავიხუტებთ, როცა იტირებენ.

ქალებო, თქვენ ამბობთ, რომ კაცებთან ცხოვრების ნაცვლად, ერთმანეთთან ცხოვრება გსურთ, მაშინ, მიდით იცხოვრეთ ერთმანეთთან. ჩვენ მივანიჭებთ თქვენს კაცებს მათთვის აქამომდე არნახულ სიამოვნებას, იმიტომ რომ ჩვენ უპირველესად მამაკაცები ვართ, და მხოლოდ მამაკაცმა იცის, თუ ჭეშმარიტად როგორ ასიამოვნოს მეორე მამაკაცს. მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ჩასწვდეს მეორე მამაკაცის გრძნობებსა და განცდების სიღრმეს, გაუგოს მის გონებასა და სხეულს.

ყველა კანონი, რომელიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. მის ნაცვლად მიღებულ იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ყველა ჰომოსექსუალისტმა მხარი მხარს უნდა მისცეს როგორც ძმებმა. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიზეიმებთ, როდესაც შევძლებთ ჩვენი ბოროტი ჰეტეროსექსუალური მტრისათვის ჩვენი ერთიანობის ჩვენებას.

თუ თქვენ გაბედავთ და გვიწოდებთ ჩვენ გეის ან პედერასტებს, ჩვენ განვგმირავთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს მკვდარ უბადრუკ სხეულებს.

ჩვენ მივუძღვნით ლექსებს მამაკაცებს შორის სიყვარულს. ჩვენ დავდგამთ სპექტაკლებს, რომლებშიც მამაკაცები ღიად ეალერსებიან მამაკაცებს. ჩვენ გადავიღებთ ფილმებს მამაც გმირებს შორის სიყვარულზე, რომლებიც შეცვლიან თქვენს იაფფასიან ხელოვნურ სენტიმენტალურ, მოსაწყენ, ინფანტილურ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს... ჩვენ ყველგან ვართ — ჩვენ შევაღწიეთ თქვენს რიგებში. არანაირი კომპრომისი არ იქნება, ჩვენ ვართ არა საშუალო კლასი, არამედ ძალიან ინტელექტუალური, ბუნებრივი არისტოკრატები ადამიანის რასაში, ხოლო ცისფერი სისხლი არასდროს წავა დათმობაზე. ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ წავლენ, განდევნილ იქნებიან...

ოჯახი — ეს სიცრუის, ღალატის, უძლურების, პირმოთნეობის და სისასტიკის სანაგვე — გაუქმდება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვასა და თრგუნავს თავისუფალ ნებას, აღმოფხვრილი იქნება. გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება სრულყოფილი ვაჟების ჩასახვა და გამოზრდა. ისინი გაერთიანებულნი იქნებიან კომუნებში, რომლებსაც გამოცდილი პიროვნებები უხელმძღვანელებენ.

ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთები სიმპათიური ჭაბუკები არიან. ჩვენ სილამაზის, ზნეობრიობისა და ესთეტიკის კულტის მიმდევრები ვართ... ვინაიდან ჩვენ გაუცხოებულნი ვართ საშუალო კლასის ჰეტეროსექსუალური წრეებისათვის, ამიტომ შეგვიძლია ვიცხოვროთ წმინდა წარმოსახვის მიხედვით.

ჩვენ მოვახდენთ ჰომოსექსუალიზმის, ინტელექტუალობისა და შემოქმედების უწყვეტი კავშირის დემონსტრირებას. ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვამოძრავებს საუკუნეების მანძილზე და-

ჩაგრულთა მწარე ხვედრი... ჩვენი მომავალი დახვეწილი საზოგადოების მართვას განახორციელებს ელიტა... ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვამოძრავებს დამანგრეველი მწარე ტანჯვა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იძულებულნი არიან, ითამაშონ საცოდავი, მეორეხარისხოვანი როლი თქვენს უგემოვნო ჰეტეროსექსუალურ შოუში". — მოტანილი ფრაგმენტული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ჰომოსექსუალისტთა ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა შეუწყნარებლობა და სიძულვილი, რასისტულ-ექსტრემისტული დამოკიდებულება ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მქონე, როგორც არასრულფასოვანი, ადამიანებისადმი.

აღნიშნული სექტა მსოფლიო მასშტაბით უკვე რომ მომძლავრებულია და თავისი სეფე სიტყვის სათქმელად და მისი ცხოვრებაში გატარებისთვის მზადაა. ამაზე მიუთითებს, მის მხარდასაჭერად ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციები თუ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირთა მიერ გაკეთებული საჯარო და ოფიციალური განცხადებები.

ამ ვრცელი ამონარიდებიდან ნათლად იკვეთება, თუ რამდენად რასისტულ და ადამიანთა მოძულე ახალ, საშიშ და დაუნდობელ სექტასთან გვაქვს საქმე, რომლის შემქმნელებს აშკარა ფსიქიკური გადახრები ახასიათებთ და თუ მავანთა და მავანთა ფინანსური, ასევე იდეოლოგიური მხარდაჭერით მომძლავრდებიან, საზოგადოების მომავლისათვის სახიფათონი გახდებიან. ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებამ, ხალხისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონში ერთი ფრაზის — „**სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის**" — ჩასმით, საქართველოში სწორედ ამ ფაშისტურ, კაცობრიობის გადაგვარებისა და განადგურების იდეოლოგიის მქონე სექტას აუნთო მწვანე შუქი.

ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოციქულო ეკლესია რჩევას იძლეოდა, ხელისუფლება არ აჩქარებულიყო, ეს საჭირბოროტო საკითხი კარგად, მთელი სიგრძე-სიგანით გაეაზრებინა, თუ რა ნაღმი იქნებოდა მასში ჩადებული და შემდეგ მიეღო სათანადო გადაწყვეტილება. მიუხედავად ამგვარი გაფრთხილებისა, გარეშე ძალებისა და ცალკეული პირების ზეწოლით საქართველოს მთავრობამ გადადგა მეტად სახიფათო ნაბიჯი და აღნიშნული კანონი, თითქოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებით, აჩქარებული წესით სახელდახელოდ დაამტკიცა. ამასთან დაკავ-

შირებით საქართველოს საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში აღნიშნულია: „ვრცელდება არასწორი აზრი, თითქოს გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ანტიდისკრიმინაციული კანონი მისაღები გახდა ეკლესიისთვისაც. კანონპროექტის ახალ ვერსიას საქართველოს საპატრიარქო ვერ დაეთანხმება, რადგან ბოლო ვარიანტის გაანალიზების საშუალება არ გვქონდა. ზეპირი საუბრებით და ცალკეული სასულიერო პირების განცხადებებით კი ასეთ სერიოზულ თემაზე ნაჩქარევი შეფასების გაკეთება ეკლესიის მხრიდან მართებული არ არის".

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში შეგნებულად თუ უცოდინარობით საკმაოდ სახიფათო მუხტია ჩადებული. კერძოდ, ზემოთ დამოწმებულ პირველსავე მუხლში ტერმინი სქესი გაშლილია მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციად და გენდერულ იდენტურობად და იგნორირებულია ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მგონე ადამიანთა უფლებების დაცვა. ამ ორი უკანასკნელი ნიშნის გვერდით, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ამ კანონში ასევე გაეშალათ რასა, სოციალური კუთვნილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ. მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა ასე დაენაწევრებინათ: კოჭლი, ცალთვალა, ფეხმოჭრილი, ხელმოჭრილი, ცალთვალა, ენაბლუ და ა. შ. ან კიდევ, როცა წერია ზოგადად რელიგია, ესეც გაეშალათ და ჩამოეთვალათ: მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, ისლამი, იუდაიზმი, ბაპტიზმი და ხელისუფლებაში მოკალათებული ქართველი თუ უცხოელი ლიბერტიანელების უხვი დაფინანსებით ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული სხვადასხვა ჯურის სექტები.

კანონში სახიფათო ისაა, რომ ეროვნულობა და ეთნიკური კუთვნილება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტურობასთან გათანაბრებულია და ერთ ჭრილში განიხილება, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ კანონის მიღების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „როგორც მთავრობის მეთაური და კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ მიიღება არცერთი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი კანონი და არავითარი საფრთხე არ არსებობს, რომ ამ კანონით ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ტრადიციებსა და ფასეულობებს საფრთხეს შევუქმნით". სამწუხაროდ, ბატონო ირაკლი, ამ კანონის მიღებით ჩვენს ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებს მომკვდინებელი საფრთხე უკვე

შეუქმენით, როცა ჰომოსექსუალი ინდივიდი და ეთნოსი ერთ სიბრტყეზე დააყენეთ. აქვე მინდა, გავიხსენო პარლამენტის სპიკერის, დავით უსუფაშვილის საჯაროდ გამოთქმული შეხედულება თავისუფლების შესახებ: „ჩემს შვილს არ ვასწავლი, რომ საშობლოსათვის დადოს თავი, ვასწავლი, რომ პირადი ბედნიერებისათვის იბრძოლოს“. ამგვარი მიმართვით მან საკუთარ შვილს ნება დართო, თავისი პიროვნული სიამოვნებისთვის ცოლად მოიყვანოს მამაკაცი, იყოს მამათმავალი, ბისექსუალი, ჰომოსექსუალი ან თუნდაც ნარკომანი. ბატონო პარლამენტის თავჯდომარევ და ბატონო პრემიერო! სიფრთხილე გმართებთ, რომ თქვენი კოლეგებისა და თქვენ მიერ დღეს ნაჭამმა ტყემალმა მომავალში თქვენს შვილიშვილებს არ მოსჭრას კბილი და სახლში რძლად წვერ-ულვაშიანი მამაკაცი არ იხილოთ.

უცხოეთიდან მსუყედ დაფინანსებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია: „მედიის განვითარების ფონდი“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“, „იდენტობა“, „საფარი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ აღშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სექსუალური გადახრების მქონე ადამიანები, ზემოთ აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, სრულიად სამართლიანად ფსიქიკურად დავადებულებად მიიჩნია. მათი აზრით, ასეთი განცხადებები ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონცეფციას და თითქოს საზოგადოებაში ამგვარი ადამიანების მიმართ შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ატმოსფეროს აძლიერებს. მათ შევახსენებთ, რომ ქართული საზოგადოება ყოველი დაავადებულის (ფსიქიკური თუ ფიზიკური) მიმართ ყოველთვის შემწყნარებელი იყო და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. ამდენად, ქართველი კაცის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ არ შეიძლება შეფასდეს, როგორც რაღაც სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაცია, დევნა, სიძულვილი, სოციალური იზოლაცია და ძალადობა. დღეისათვის სექსუალური უმცირესობის მიმართ

კრიტიკული დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ იგი იდეოლოგიად იქცა, პროზელიტური ხასიათისაა და საყოველთაო აღიარების, უნივერსალობის, საერთაშორისო აღიარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პრეტენზია აქვს.

ზემოთ ნახსენებ ვაიდამცველებს კი შევახსენებთ, რომ, მართალია, გარკვეული პოლიტიკური მოტივებით ეს დაავადება ამჟამად ამოღებულია დაავადებათა ნუსხიდან, მაგრამ მისი შესწავლა-კვლევა სპეციალისტებს არ შეუწყვეტიათ და გარკვეული შედეგებიც მიიღეს. ამის ნათელი დასტურია, 1995 წელს გამოცემული ცნობილი ამერიკელი პედერასტოლოგის მაიკლ სოკარიდესის ფუნდამენტური ნაშრომი, სადაც დასაბუთებულია, რომ სწორი ფსიქო-თერაპიული მკურნალობის შედეგად გარკვეული რაოდენობის (მინიმუმ ერთი მესამედის მაინც) განკურნება სრულიად შესაძლებელია. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციამ მისი დაავადებათა ნუსხიდან ამოღებით შეგნებულად გადაფარა ზემოთ მითითებული სექტანტური საქმიანობის ნამდვილი ამოცანები და მიზანი.

ეს კანონი არ მიესადაგება ქართველი ერის ტრადიციებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს. ყოველი ასეთი კანონი ერის სულიერსა და სახელმწიფოებრივ, ტერიტორიულსა თუ რელიგიურ გახლეჩადანაწევრებას გამოიწვევს. სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, უცხოეთის ყურმოჭრილი მონის ფსიქიკითაა მოცული, ერისა და ბერის უკითხავად, მასთან შეუთანხმებლად აკანონებს (კანონის სახეს აძლევს) იმას, რასაც კარნახობენ გარე ძალები ან კონკრეტული პიროვნებები.

ფრთხილად, ბატონებო! კარლ მარქსის სიტყვები: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“, დღეს შეიძლება ასე გამოითქვას: „აჩრდილი დადის მსოფლიოში, აჩრდილი ჰომოსექსუალიზმისა“. სექსუალური უმცირესობების საერთაშორისო ორგანიზაციის მანიფესტი, არც მეტი და არც ნაკლები, გამეორებაა მეოცე საუკუნის დასაწყისში კომუნისტთა საყოველთაო მოწოდებისა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. მასში მხოლოდ ერთი სიტყვა პროლეტარები შეცვლილია ჰომოსექსუალისტებით, იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვით კი უცვლელია, რომლის მიზანია: მსოფლიოს მასშტაბით არა პროლეტარიატის, არამედ მამათმავლებისა და ჰომოსექსუალების ჰეგემონობის დამყარება, რაც პირველ რიგში მცირერიცხოვანი ერების ფიზიკურ მოსპობას, მათი თვითმყოფადობისა და კულტურის გაქრობა-განადგურება-დასა-

მარებას გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, „მსოფლიოს ახალი მოწყობის“ და „ახალი ადამიანის გამოყვანის“ ორგანიზატორების, გლობალისტების მიერ მართულმა საქართველოს ხელისუფლებამ არ იკმარა ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა კონფესიის გამოყენებით საქართველოს სახელმწიფოებრივობისა და, შესაბამისად, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების ძლიერი დამცველის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვეითება-დაკნინების დაწყება და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ თავსმოხველი კანონის მიღებით, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის (იქნებ საქართველო საკუთარ ქვეყნად და ქართველი ხალხი საკუთარ ხალხად არც მიაჩნიათ) წინაშე, ამ საუკუნის მორიგი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა.



ანზორ თოთაძე

„მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა“

საქართველოში უაღრესად მძიმე დემოგრაფიული ვითარების ფონზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აბორტი, რომელიც გულისხმობს ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას. იგი შეიძლება იყოს სპონტანური ან ხელოვნური. ქალის ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშია ხელოვნური აბორტი, რომელიც უპირატესად ხორციელდება საშვილოსნოში ინსტრუმენტული ჩარევის გზით და ხშირად იწვევს უნაყოფობას; განსაკუთრებით, პირველი ორსულობის დროს.

წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით აბორტს აკეთებდნენ ეგვიპტეში, ძველ რომსა და საბერძნეთში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ბევრგან კანონით ებრძოდნენ აბორტის გაკეთებას. ჩვენთანაც ძველ დროში კანონით ისჯებოდა მუცლის მოშლა. „დედაკაცმან რომ ქნას რამე წამალი და თავის მუცელში შვილი მოიკლას, დედაკაცი იგი ცოტა ხანს ექსორია (გაძევება-განდევნა) უყონ. რომელმან დედაკაცმან ანუ მამაკაცმან მისცეს წამალი დედაკაცსა და მუცელში შვილი მოიკლას, უკეთუ ღარიბი იყოს, მეფემ შეიპყრას, სცეს, გაკრიჭოს, ლაფი დაასხას, ვირზე შესვას და ბაზარში შეარცხვინოს. ხოლო უკეთუ მდიდარი იყოს, დიდად დაარბიოს და გააგდოს“.[1] უფრო ადრე, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ნებსით და განზრახ მკვლელობად თვლიდა აბორტს «ეფთვიმე მთაწმიდელი, როდესაც „მისცემენ წამალთა, ჩჩვილის მკლველთა საშოსა შინა“. ამ შემთხვევაში „კაცის მკულელნი არიან: მიმცემელნი იგი წამლისანი და მიმღებელნი მისნი“, ანუ დედები».[2]

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 152.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 198.

არსებული კანონდებლობის მიხედვით საქართველოში ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუ ორსულობის ვადა არ აღემატება 12 კვირას და მისი ჩატარება დასაშვებია მხოლოდ სათანადო ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში სერტიფიცირებული ექიმის მიერ. აბორტის წინ ორსულს უნდა ჩაუტარდეს კონსულტაცია და გასაუბრებიდან პროცედურამდე მოსაფიქრებლად სამი დღის ვადა ეძლევა. თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული სამედიცინო და სოციალური ჩვენების შემთხვევაში. საქართველოს პარლამენტში ამჟამად მზადდება კანონპროექტი, რომლის მიხედვით აბორტის გასაკეთებლად მოსაფიქრებელი ვადა სამი დღის ნაცვლად ხუთი დღით უნდა შეიცვალოს. ამ კანონპროექტის შესახებ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა სრულიად ზედმეტი აურზაური ატეხეს, რომელსაც, ეჭვი არ არის, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მესვეურებიც — კოჟორიძეები, ლომჯარიები, გიგაურები და „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტებიც — დაუჭერენ მხარს.

მათი მთავარი არგუმენტია ის, რომ აბორტის გასაკეთებლად ლოდინის, ანუ მოსაფიქრებელი პერიოდის 5 დღემდე გაზრდას მრავალი ნეგატიური მხარე აქვს, რომელთაგან უპირველესია ადამიანის უფლებების დარღვევა. მათი აზრით, იგი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქალების მიმართ დისკრიმინაციული კანონი, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამრიგად, პრობლემას ისინი განიხილავენ ადამიანის უფლებების ჭრილში. რადგან ჩვენთან მიღებული კანონმდებლობით აბორტი ნებადართულია, ქალს აუცილებლად უნდა მივცეთ საკმარისი დრო მოსაფიქრებლად, რათა მან ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ დაუბადებელი ბავშვისათვის სიცოცხლის წართმევის უფლება არავის აქვს, რადგან თვით სიცოცხლე ჩასახვიდან იწყება და არა დაბადებიდან. სიცოცხლის დასაწყისში მისთვის ისევე უნდა ვზრუნავდეთ, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში და თვით სიცოცხლის დასასრულს, რადგან მიგვაჩნია, რომ პირადი და ოჯახური უფლებების დაცვა ამ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები ხარისხისაა, ვიდრე ჩასახული ნაყოფის ხელყოფა. ამასთან, რადგან კანონმდებლობით ქალს მინიჭებული აქვს აბორტის გაკეთების უფლება, ამ უფლების განხორციელების პროცესში შეიძლება წარმოიშვას სხვა (სხვისი) უფლებებიც (დედობის უფლების დაკარგვის

საშიშროება მეორადი უნაყოფობის გამო, ხანდაზმულობის ასაკში თავის ოჯახში ცხოვრების უფლება, მეუღლის უფლებების გაუთვალისწინებლობა და სხვ.), რომელნიც ერთმანეთთან შეუთავსებელნი აღმოჩნდებიან. საჭირო ხდება ამ უფლებათა დაბალანსება იმ უფლებების სასარგებლოდ, რომელიც საზოგადოების აზრით უფრო მნიშვნელოვანია და, საერთოდ, უფრო წონიანია.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 136-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ამრიგად, კანონმდებლობით მამაკაცებსაც აქვთ უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ შვილების რაოდენობა, მაგრამ რადგანაც თანამედროვე განვითარებულ სამყაროში ეს პრობლემა ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდა (თუმცა, ბევრ ქვეყანაში ბავშვების რაოდენობას ოჯახში ჯერ კიდევ მხოლოდ მამაკაცი განსაზღვრავს) და პრიორიტეტი მაინც ქალს ეკუთვნის, ამასთან, რათა ერთის უფლებამ მეორის უფლება არ შელახოს (როდესაც გადაწყვეტილება, არც ისე იშვიათად, მიიღება ნაჩქარევად, დაუფიქრებლად ან ახალგაზრდა ქალის აფექტურ მდგომარეობაში ყოფნისას), ხუთი დღე დიახაც საჭირო ვადაა გადაწყვეტილების კარგად ასაწონ-დასაწონად, მშობლებთან ან მეუღლესთან მოსათათბირებლად და რადგან უფლება ვალდებულების გარეშე არ არსებობს, ქალი ვალდებულიც არის, ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა ერთპიროვნულად არ გადაწყვიტოს, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება. განქორწინების დროს ერთ თვესაც კი აძლევენ მეუღლეებს მოსაფიქრებლად, აბორტის გაკეთება კი ბევრად უფრო პრობლემატური საკითხია და გადაწყვეტილება სწრაფად და მოუფიქრებლად არ უნდა იქნას მიღებული.

დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთი ალიაქოთის ატეხვა იმის შესახებ, რომ ქალს უფლება აქვს გაიკეთოს აბორტი და როდესაც ამ გადაწყვეტილების მიღებისას მოსაფიქრებლად აღარ უტოვებენ გონივრულ დროს, შეიძლება ქალის ბევრად უფრო წონადი უფლებები შეილახოს, რაც არც ისე იშვიათად ქალს მთელ ცხოვრებას უმრუდებს და ერთ დროს დაუფიქრებლად მიღებული აბორტის გაკეთების გადაწყვეტილება სანანებელი უხდება. შეიძლება მას საერთოდ წაერთვას დედობის უფლება, ასევე იმის უფლება, რომ მოხუცებულობაში შვილებმა უპატრონონ და

სხვ. ამიტომ, როდესაც ახალგაზრდა ქალი და ამჟამად, არცთუ იშვიათად, 13-17 წლის გოგონებიც აბორტს იკეთებენ, ანაქრონიზმად მიგვაჩნია დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ციტატების მოყვანა და იმის განცხადება, რომ აბორტის მომსახურება უნდა იყოს განხორციელებული იმგვარად, რომ პატივი სცენ ქალს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, რაც გულისხმობს მოფიქრების პერიოდის გაუქმებას.

გაუგებარია, არასამთავრობოები რაში ხედავენ ქალის უპატივცემულობას. აქ ლაპარაკია მხოლოდ აბორტის გაკეთების მოსაფიქრებელი ვადის ორი დღით გაზრდაზე და ეს პრეტენზიები კიდევ უფრო გაუგებარია დამოუკიდებელი საქართველოს უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში. ამასთან, ღმერთის მიერ ჩასახული ცოცხალი არსების მკვლელობის ასაცილებლად, თუკი ეს შესაძლებელია, რატომ უნდა დავეკითხოთ ჭკუას მეტად საეჭვო რეპუტაციის მქონე გარეშე თუ ჩვენთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს?

აბორტის პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყება და ნაადრევი ქორწინება. ცხადია, როდესაც იზრდება ნაადრევი სქესობრივი კავშირები და ნაადრევი ქორწინებები, იზრდება აბორტების რაოდენობაც. მოვლენა უფრო ნათელი რომ გახდეს, და რადგან ჭეშმარიტებაც ყოველთვის კონკრეტულია, შემდეგიც უნდა ითქვას. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, უაღრესად გაახალგაზრდავდა სქესობრივი ცხოვრების დებიუტი და, მაშასადამე, მოზარდის ასაკში გაიზარდა არასასურველი ორსულობის რაოდენობა. მორალის თვალსაზრისით, საზოგადოებას მეტად აღელვებს მოზარდთა სქესობრივი კავშირები. მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სკოლებში შემოღებულია სავალდებულო პროგრამები სექსუალური განათლების შესახებ. მაგრამ ეს პროგრამები ზოგ შემთხვევაში ისეა შედგენილი, რომ უფრო მეტად ცნობისმოყვარეობას აღძრავს და ძირითად მიზანს ნაკლებად პასუხობს. შვედეთი არის პიონერი ქვეყანა, სადაც 1942 წელს სკოლებში შვიდი წლის ასაკიდან შემოიღეს სექსუალური განათლების პროგრამები. მიუხედავად ამისა, შვედეთში მოზარდთა 60% სექსუალურ ცხოვრებას 16 წლის ასაკამდე იწყებს, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში მათი რაოდენობა 20-40 პროცენტია. ანალოგიური ვითარებაა ევროპის ბევრ ქვეყანაში.[3]

[3] **Жур. «Здравоохранение Российской Федераций», 1997, с. 46.**

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ახალგაზრდებს ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ზედმეტი თავისუფლება მისცეს სქესობრივი ცხვორების სფეროში, რაც ახლა საზოგადოებას თავსატეხ პრობლემად გადაექცა. ოჯახი, საზოგადოების არსებობისა და განვითარების მთავარი ფენომენი, კრიზისის პირას აღმოჩნდა. ახალგაზრდები, „როცა სისხლი დუღს“, აკრძალულ ხილს უფრო მეტად ეტანებიან, მით უმეტეს, როდესაც საზოგადოებამ ამ მწვავე პრობლემის მიმართ ყურადღება უაღრესად მოადუნა. მოზარდთა უსაფრთხო სექსი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბავშვებს ბავშვობა წაერთვათ. ბევრისთვის ცენტრალური ადგილი ცხოვრებაში სექსმა დაიკავა. ასეთ შემთხვევაში გოგონები თავიანთ ახალგაზრდულ ენერგიას ვერ იყენებენ საკუთარი პიროვნების სრულყოფისათვის, ვიწროვდება მათი ინტერესების სფერო და ყველაფერი ადამიანური მხოლოდ სქესობრივი ცხოვრების გარშემო იყრის თავს. განათლება და ინტელექტი საგრძნობლად ჩამორჩა მათ ფიზიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდებს ურჩევდნენ არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად გამოეყენებინათ ჩასახვის საწინააღმდეფო საშუალებები და ტრადიციული მეთოდები, სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული მოზარდთა განათლების მიღების, დაორსულების და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აბორტის თავიდან აცილების მხრივ. ამიტომ თანდათან დაიწყო პროპაგანდა იმისა, რომ უსაფრთხო სექსის ნაცვლად მოზარდებს მთლიანად შეეკავებინათ თავი ქორწინებამდე. აშშ-ში უსაფრთხო სექსის პროპაგანდამ გამოიწვია ზნეობის დაცემა. ამჟამად ამერიკაში გამოიყოფა უდიდესი სახსრები ქორწინებამდე ქალწულობის შენარჩუნების რეკლამებზე.

უკანასკნელ წლებში საქართველოშიც მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვი სქესობრივი ცხოვრების ნაადრევი დებიუტისა. ჩვენ ახალგაზრდობის სქესობრივი ცხოვრების საკითხებზე 2003 და 2013 წლებში ჩავატარეთ სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. 2003 წელს დაუქორწინებელი სტუდენტი გოგონების (190 რესპოდენტი) 11,6 პროცენტს, ანუ 22 სტუდენტს ჰქონდა სქესობრივი კავშირი, ხოლო 2013 წელს — 328 რესპოდენტიდან 18,9 პროცენტს, ანუ 43 სტუდენტს. ამრიგად, ათი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 7,3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთან, 2003 წელს იმ 22 სტუდენტიდან, რომლებსაც სქესობრივი კავშირი ჰქონდათ, 4 სტუდენტი 16 წლისაც არ იყო, ხოლო 2013 წელს — ასეთი 43-დან 17 სტუდენტი იყო. მეტად ნიშანდობლივია, რომ 18 წლის ასაკამდე 2003 წელს პირველი აბორ-

ტი გაიკეთა მხოლოდ ორმა სტუდენტმა, 2013 წელს კი — შვიდმა.

ჩვენი მოსაზრება აბორტის გაკეთების დროს მოსაფიქრებელი ვადის აუცილებლობის შესახებ შეიძლება შემდეგი მონაცემებითაც გავამაგროთ. ნაადრევი ქორწინება 1990-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საგრძნობლად გადიდდა ახალგაზრდა დედების რიცხვი. თუ 1989 წელს საქართველოში 16 წლამდე ასაკში 47 ქალმა გააჩინა ბავშვი, 1994 წელს უკვე ამ ასაკში 528 ქალს შეეძინა შვილი, 16 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებელი უკვე 1281, ხოლო 17 წლის ასაკში 2475-ს უდრიდა, ანუ ამ წელს დაბადებული ბავშვების 4,3 პროცენტს, რაც უაღრესად მაღალი მაჩვენებელია. შედარებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ანალოგიური მაჩვენებელი 1989 წელს 1,7 პროცენტს შეადგენდა.

ადრეულ ასაკში გოგონების მიერ ბავშვების დაბადების ბევრი შემთხვევა შემდეგ წლებშიც აღირიცხა. კერძოდ, 1998 წელს 15 წლისა და უფრო ახალგაზრდა 162 დედას პირველი შვილი შეეძინა, ხოლო შვიდს — მეორე; 2009 წელს 15 წლამდე ასაკის 38 ქალს შეეძინა ბავშვი, 2010 წელს კი — 25 ქალს; მათ შორის 12-ს ქალაქად (4-ს — 13 წლის ასაკში) და სამს სოფლად. ამასთან, ცალკეულ წლებში თითქმის ათამდე შემთხვევა აღირიცხა, როდესაც 17 წლის დედას მესამე შვილი ეყოლა. ეროვნული ნიშნის მიხედვით ახალგაზრდა დედებში ქართველები ჭარბობენ. მაგალითად, 2007 წელს 15 წლამდე ასაკის 15 დედას შეეძინა შვილი, აქედან 10 ქართველს, 2 ოსს, და სამ აზერბაიჯანელს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა დედების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. ახლა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წელს, ოფიციალური მონაცემებით, 15 წლამდე ასაკის მხოლოდ ერთმა ქალმა გაიკეთა აბორტი, ხოლო 2012 წელს — 19-მა. 15-19 წლის ასაკის ქალებში აბორტი გაიკეთა, შესაბამისად, 787-მა და 1955 ქალმა. ზემოთ მოტანილი სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი, კერძოდ, სტუდენტი გოგონების სქესობრივი ცხოვრების, მათ მიერ გაკეთებული აბორტების რაოდენობის, ნაადრევ ასაკში გაჩენილი ბავშვების რიცხოვნობის შესახებ, ცხადად მიუთითებს, რომ უკანასკნელ წლებში საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა ნაადრევ ასაკში გაკეთებული აბორტების რიცხვი. ის, რომ ოფიციალური მონაცემებით 2000-2012 წლებში 15 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაკეთებული აბორტები ერთიდან 19 აბორტამდე გაიზარდა, ოდნავადაც არ ასახავს სინამდვილეს. ადრეულ ასაკში გაკეთებული აბორტების რაოდენობა გაცილებით მეტია, რაც თანამედროვე პირობებში აბორტის გა-

კეთებისთვის მოსაფიქრებელი გონივრული დროის აუცილებლობაზე მიუთითებს. ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევის შედეგს თუ მივიღებთ მხედველობაში, რომლის თანახმად 328 სტუდენტიდან 43 ეწევა სქესობრივ ცხოვრებას და აქედან 15 წლამდე აბორტი 4-მა, ხოლო 18 წლამდე 7 სტუდენტმა ქალმა გაიკეთა და ამ მონაცემებს სტუდენტთა მთელ რაოდენობაზე გავარცელებთ, მეტად საკვალალო სურათს მივიღებთ. კერძოდ, 15 წლისა და ნაკლებ ასაკში აბორტი გაკეთებული აქვს 790 სტუდენტს, ხოლო 18 წლისა და ნაკლებ ასაკში — 1382 სტუდენტს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ამ ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისად 160 და 280 აბორტი კეთდება. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები ახალგაზრდა ქალების მხოლოდ სტუდენტთა კატეგორიას ეხება.

ნაადრევ ასაკში დაორსულებული ქალებისა და მათი მშობლების დიდი უმრავლესობა ანგარიშს უწევს ადათს, ჩვეულებებს, ცხოვრების წესს და აბორტი სარისკო პირობებში, არალეგალურად, მაგრამ სამაგიეროდ დაფარულად, გახმაურების გარეშე კეთდება. ისმება კითხვა, თუ რა ვქნათ ასეთ შემთხვევაში — ახალგაზრდა ქალებს მივცეთ საჭირო მოსაფიქრებელი დრო მშობლებთან, ბავშვის მამასთან მოსათათბირებლად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან ინსტრუქტაჟის მისაღებად, თუ ბავშვების ჭკუაზე ვიაროთ? ხომ ცნობილია, რომ განსაკუთრებით პირველი აბორტის შემთხვევაში ხშირად ქალს შეიძლება საერთოდ აღარ ეყოლოს ბავშვი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ერთმევა დედობის უფლება, ხანდაზმულ ასაკში შვილების მიერ მასზე ზრუნვის უფლება. მოხუცებულობაში შეიძლება მას ჭიქა წლის მიმტანიც არავინ ეყოლოს. მართალია, ჩვენი კანონმდებლობით საბოლოოდ ქალის უფლება არ იზღუდება ამ ასაკში, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მან გონივრულ მოსაფიქრებელ ვადაში უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე დედობის უფლების სასარგებლოდ. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ხშირად ახალგაზრდა ქალები შიშის, სირცხვილის თუ სხვა გარემოებათა გამო ისე იკეთებენ აბორტს, რომ ამის შესახებ არავინ, ბავშვის მამამაც კი არაფერი იცის. ისინი ხშირად მიმართავენ აბორტმახერებს, არასერთიფიცირებულ ექიმს, არალეგალურად. ამიტომ პარლამენტში მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო მონიტორინგის არსებითად გაძლიერებას აბორტისწინა კონსულტაციის სერვისებზე, რათა ქალებმა არ მიმართონ არაპროფესიონალების დახმარებას სამედიცინო დაწესებულების გარეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდობის პრობლემები, რომლებიც უკანასკნელ

ხანს მნიშვნელოვნად გამწვავდა, მეცნიერულად უნდა შევისწავლოთ, დავსახოთ შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაგვარებლად, არ უნდა დავტოვოთ ახალგაზრდობა ჩვენი ტელევიზიისა და პრესის მეტად იაფფასიანი, არაფრისმომცემი, ხშირად ამორალური, უზნეო გადაცემებისა და პუბლიკაციების ამარა, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები თვითდინებაზე არ უნდა მივუშვათ.

დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციები, ოღონდაც აბორტის გასაკეთებლად მოსაფიქრებელი ვადის შემოკლების მნიშვნელობა დაასაბუთონ და იმასაც კი აღნიშნავენ, რომ აბორტის ჩატარების წინ დასაფიქრებელი პერიოდის შემოღება, ან მისი პერიოდის გახანგრძლივება შედეგად მოიტანს აბორტების გაკეთებას ორსულობის უფრო გვიან ვადაზე და ამდენად გააძნელებს პროცედურასო. გაუგებარია, რატომ ჰგონიათ ჩვენს ოპონენტებს, რომ უკლებლივ ყველა მაინცდამიანც მეთორმეტე კვირის ბოლო დღეებს დაუცდის საკონსულტაციოდ. ასეც რომ იყოს, ამით არსებითად არაფერი შეიცვლება.

უკანასკნელ წლებში აბორტთან დაკავშირებით მეტად მწვავე პრობლემა წარმოიშვა. კერძოდ, აბორტს ხშირად იკეთებენ იმ შემთხვევაში, თუ მუცლადმყოფი ნაყოფი არის ქალი და უნდათ ვაჟი ჰყავდეთ. ამდენად, ჩვენ ვძალადობთ ქალზე და სიცოცხლეს ვსპობთ მხოლოდ ერთადერთი მიზეზით, არ გვინდა გოგონას დაბადება, რაც საშინელებაა.

მუცლადმყოფი ნაყოფის სქესის გამო აბორტის გაკეთება დემოგრაფების, მედიკოსების, სოციოლოგებისა და სხვა მათი მონათესავე მეცნიერებების ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რადგან ხელოვნურად სქესთა თანაფარდობის რეგულირებას მეტად უარყოფითი შედეგები მოჰყვება საზოგადოების განვითარებაში — შემცირდება შობადობა, საპატარძლოები, გაიზრდება პროსტიტუცია, საზოგადოება გახდება აგრესიული და სხვ. ბევრმა ქვეყანამ სწორედ ამის გამო აკრძალა ორსულობის ადრეულ ეტაპზე მუცლადმყოფი ნაყოფის ტესტირება მისი სქესის დასადგენად, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს, ასეთი ტესტები უკანონოდ კეთდება და ქალები ხშირად მიმართავენ აბორტს, თუ მათ უნდათ ეყოლოთ გოგონა და არა ვაჟი.[4]

საერთოდ, ყოველ 100 გოგონაზე 103-105 ვაჟი იბადება. ეს არის კანონზომიერება, რომელიც საქართველოში აღნიშნული მიზეზის გამო დაირღვა. 1995 წლიდან, რაც ექოსკოპიით შესაძლებელი გახდა სქესის დადგენა, საქართველოში 100 გოგონაზე 110-111 ვაჟი იბადება. ასეთი ვითარება გამოიწვია ვაჟის კულტის გავრცელებამ. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ მიერ თბილისის ქორწინების სასახლეში

[4] Народонаселение мира 2000 г. Фонд ООН в области Народонаселения, с. 12.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ახალდაქორწინებულთა 80 პროცენტს სურდა სამი შვილიდან ორი ვაჟი და ერთი გოგონა ყოფილიყო, ხოლო 6 პროცენტს სურდა სამივე ვაჟი. ვაჟის კულტი გავრცელებულია ჩინეთში, კორეაში, ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აშშ-შიც კი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს გაიგოს მომავალი შვილის სქესი, სოციოლოგიური გამოკვლევის დროს გამოკითხულთა 39 პროცენტმა აღიარა, რომ უნდა პირველი შვილი ვაჟი იყოს.[5]

სელექციური აბორტის შედეგად შემცირდა გოგონების რაოდენობა, რამაც გაზარდა ვაჟების და ქალების თანაფარდობა — უხეში გაანგარიშებით, 1995 წლის შემდეგ, საქართველოში ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, სულ ცოტა 25 ათასი ქალით ნაკლები დაიბადა, ე.ი. 25 000 აბორტი გაკეთდა მხოლოდ იმის გამო, რომ არ სურდათ გოგონას დაბადება. ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ ეჭვის ადგილი აღარ რჩება იმისათვის, რომ აბორტის გაკეთების დროს საჭიროა ქალს მიეცეს მოსაფიქრებლად ხუთი დღე, თუნდაც ჩვენთან ჩამოყალიბებული სქესთა თანაფარდობის თავისებურების გათვალისწინების გამო. ქალმა უნდა მიიღოს სრული და ამომწურავი ინსტრუქტაჟი სპეციალისტებისგან, მას უნდა ჰქონდეს მოსაფიქრებლად გონივრული დრო, უნდა შეეძლოს კარგად გაანალიზოს თუ რაოდენ უმძიმდება ცოდვა, როდესაც სიცოცხლეს სპობს მხოლოდ იმიტომ, რომ მუცლადმყოფი ნაყოფი გოგონაა და რაოდენ სახიფათოა საზოგადოებისთვის ბუნების მიერ ნაბოძებ სქესთა თანაფარდობის ხელოვნურად შეცვლა, რათა ეს მანკიერი შეხედულება ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს საზოგადოების ცნობიერებაში.

დასკვნის სახით, თუ ზემოთ აღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ქალისთვის მინიჭებული აბორტის გაკეთების უფლების განხორციელების პროცესში სხვა წონადი უფლებებიც წარმოიშობა, რომელთა დაბალანსების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია ლოდინის ანუ მოსაფიქრებელი პერიოდის 5 დღემდე გაზრდა. მთავარი მაინც ის არის, რომ ჩასახული ბავშვის სიცოცხლის უფლება დავიცვათ და რაც შეიძლება მეტი ბავშვის სიცოცხლე გადავარჩინოთ. ეს მით უფრო არსებითია, რომ ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის პირას იმყოფება; ამასთან, ჩვენი სტატიის სათაურად მოტანილი შექსპირის გამოთქმასაც მოვიშველიებთ, „მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა“, რადგან ამ დიდი მოაზროვნის თანახმად, „შთამომავლობის გამრავლებით მიწა მშვენდება.“

[5] В. Медков. Демография, М., 2009, с. 168-169.

გვანცა კოპლატაძე

სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში
ნაწილი III

მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ 1809 წლის 15 ნოემბერს თურქებს ფოთი წაართვა, ხოლო 1810 წლის ივლისში — სოხუმი[1], თურქეთის ბატონობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბოლო მოეღო, რის შერიგებასაც იგი, რა თქმა უნდა, არ აპირებდა. ამ მხარის დასაბრუნებლად თურქებმა გეგმა შეადგინეს, რომლის განხორციელებაშიც მნიშვნელოვანი როლი იმერეთის ლტოლვილ მეფეს — სოლომონ მეორეს უნდა შეესრულებინა, რომელიც ამ დროს ახალციხის ფაშასთან იმყოფებოდა. გეგმის მიხედვით, უფრო აქტიური დახმარება უნდა გაეწიათ სოლომონისთვის და თურქეთის მფარველობაში „აღედგინათ“ იმერეთის სამეფო. რა თქმა უნდა, დიდი გონიერება არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ „აღდგენილ“ სამეფოს დიდი დღე არ ეწერა, როგორც კი რუსებს საქართველოდან განდევნიდნენ, თურქეთი ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარებისთვის აგრესიულ პოლიტიკას ძველებურად გაატარებდა. სოლომონის იმერეთის ტახტზე დაბრუნებით, თურქეთი რუსეთის ყურადღების იმერეთზე გადატანას ცდილობდა, რაც ახალციხის საფაშოს, როგორც საქართველოზე თავდასხმების ბაზას, ამოსუნთქვის საშუალებასა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის უკეთ მომზადების საშუალებას მისცემდა.

მიზნის მისაღწევად, ერთიან ლაშქრობაზე არზრუმისა და ტრაპიზონის სერასკირები ემინ ფაშა და სულეიმან ხაზინადარ ოღლი და ახალციხის ფაშა შერიფი შეთანხმდნენ. ზღვისპირეთის დაბრუნება სულეიმან ხაზინადარ ოღლის დაევალა, რომელიც, მართალია, ძველი ქართული ფეოდალური გვარის შთამომავალი იყო, მაგრამ სარწმუნოებაგამოცვლილისთვის მოდგმა და ჯიში არაფერს ნიშნავდა. ლაშქრობის დაწყებას იგი მხოლოდ იმ მიზეზით აგვიანებდა, რომ დარწმუნებული არ იყო იმაში, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი და გურიელი ბრძოლაში ვის დაუჭერენ მხარს: რუსებსა და სამშობლოს გადარჩენისათვის მებრძოლ ქართველობას, თუ სასტიკ დამპყრობელ თურქეთს.

1811 წლის 18 მარტს ემინ ფაშამ და ხაზინადარ ოღლიმ მამია გურიელთან იუსუფ გეგიძე გააგზავნეს წერილებით. წერილებში მას ატყობინებდნენ, რომ საქართველოში „სულთანის მიწების გამოსახსნელად“ (?!) დიდი ლაშქრობა იწყებოდა, რომლის დროსაც არზრუმის სერასკირი თბილისისკენ 100.000 კაცით გაემართებოდა, ტრაპიზონისა — დასავლეთ საქართველოში 80.000 კაცით შევიდოდა; ბრძოლაში მონაწილეობას ახალციხის ფაშაც მიიღებდა. სერასკირები ცდილობდნენ, გურიელი თურქების უცილობელ გამარჯვებაში დაერწმუნებინათ, რათა მას ყოყმანი დაეთმო და თავის გადასარჩენად გამარჯვებულის მხარე თავიდანვე დაეჭირა.

მანამდე, 1811 წლის ზამთარში, მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩმა, რადგან ოსმალეთის ჯარები მოქმედების დაწყებას აყოვნებდნენ, ახალქალაქის აღება გადაწყვიტა, რაც მამაც პოლკოვნიკს კოტლიარევსკის დაევალა. კოტლიარევსკიმ ქართველ გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონითა და 100 კაზაკით თოვლიანი თრიალეთი გადალახა და 7 დეკემბერს ახალციხის საფაშოში შეუმჩნევლად შეიჭრა. მეორე დღეს, საღამოთი, იგი თავისი რაზმით ასევე შეუმჩნევლად მიადგა ახალქალაქს. ღამის ორ საათზე რუსმა სალდათებმა ციხის კედლებს კიბეები მიადგეს და მტერს გოწზე მოსვლაც არ აცალეს. ციხემ და მისმა გარნიზონმა საათნახევარში დაყარა იარაღი. ამ წარმატებისთვის კოტლიარევსკიმ გენერლობა დაიმსახურა. ქართველთაგან ახალქალაქის აღებისას განსაკუთრებით მამაცურად ზაქარია, ქაიხოსრო და დიმიტრი ჯავახიშვილებსა და ძმებს საგინაშვილებს უბრძოლიათ.[2]

ახალქალაქის დაკარგვა და მის ციხეში რუსული გარნიზონის ჩაყენება ახალციხის საფაშოს არსებობას მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ეს კარგად იცოდნენ თურქებმაც და გათურქებულმა ქართველებმაც, ამიტომ იანვარში შერიფ ფაშამ ორჯერ სცადა მისი დაბრუნება, თებერვალში სამჯერ, მაგრამ უშედეგოდ.

[1] იხ. სამი საუნჯე, №1, 2014.

[2] ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964, გვ. 38.

ამ პერიოდში ახალქალაქის ციხის დაცვას გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი ხელმძღვანელობდა, ქვეყნის ერთგული და მამაცი შვილი. ახალქალაქთან განცდილ დამარცხებათა გამო შერიფ-ფაშამ თხოვნა ვერ შეუსრულა 1812 წლის კახეთის აჯანყების მესვეურთ და სამხედრო ძალები ვერ მიაშველა.[3] ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ სინამდვილეში ეს არა სახალხო აჯანყება იყო, არამედ ორგანიზებული ამბოხი, მოწყობილი საქართველოს მტრებისა და მოღალატე ქართველთა მიერ, რომელთათვისაც წარმავალი პატივი და დიდება, თუნდაც უზნეო გზით მოპოვებული, უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახის შენარჩუნება, ანუ სულიერი და ფიზიკური გადარჩენა საკუთარი ერისა.

მიუხედავად თურქების მხრიდან ახალქალაქის დაბრუნების მრავალგზის წარუმატებელი ცდისა, რუსეთმა და საქართველომ, მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ახალქალაქისა და ფოთის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლეს. 1812 წ. 16 მაისს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ისინი როგორც იარაღის ძალით „მიტაცებულნი“ (!) თურქეთს უბრუნდებოდა. ამ მოულოდნელ დათმობაზე წასვლას სხვა მიზეზი გარდა იმისა, რომ რუსეთს დასავლეთიდან რეალური საფრთხე დაემუქრა, ვერ მოეძებნება.

ბუქარესტში ზავის დადებიდან თვეზე ცოტა მეტი იყო გასული, როცა 24 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე პირველს, მის პატივსაცემად გამართულ ბალზე შეატყობინეს, რომ ნაპოლეონის მრავალრიცხოვანმა არმიამ (ნახევარ მილიონზე მეტი) რუსეთის საზღვრები გადმოლახა. მართალია, ნაპოლეონი რუსეთს თავს გაუფრთხილებლად დაესხა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებასა და სამხედრო წრეებს არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდათ ნაპოლეონის მზადება რუსეთზე თავდასხმისათვის. ცხადია, ომის მოლოდინში მყოფ ქვეყანას ამჯერად თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ერჩივნა, თუნდაც წამგებიანი პირობებით, ვიდრე მასთან საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა. ნიშანდობლივია, რომ გადაეცა თუ არა ახალქალაქი თურქებს, ახალციხის საფაშოდან მსწრაფლ განახლდა თავდასხმები ქართლზე. ყარსისა და ახალციხის ფაშები, მიუხედავად საქართველოს მმართველობის მხრიდან მრავალგზისი მოთხოვნისა, სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებს არ ასრულებდნენ და ქვეყნის ძარცვა-გლეჯასა და აოხრებას ძველებურად განაგრძობდნენ.

[3] **Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, Петербург, 1886, т. VI, გვ. 35.**

ორიოდე სიტყვა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის შესახებ, რომელიც, როგორც ამაზე ფაქტები მეტყველებენ, იქიდან გამომდინარე, თუ ვისი მხარდაჭერით შეძლებდა სამცხე-ჯავახეთის საათაბაგოში მმართველობის ხელში ჩაგდებას — თურქეთისა თუ რუსეთის, ორმხრივ თამაშს ეწეოდა. ამიტომ ზოგი მას თურქების წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტად მიიჩნევს, ზოგიც გადაგვარებულ ქართველად, რომელსაც მხოლოდ ვიწრო, საკუთარი ხელისუფლების გაზრდის ინტერესები ამოძრავებდა. სწორად წერს შ. ლომსაძე, როცა აღნიშნავს, რომ რამდენადაც ახალციხის საფაშოს რუსეთთან შეერთების შემთხვევაში მისი იდეალი, სამეგრელოს მთავრის მსგავსად, ავტონომიური უფლებების მოპოვება იყო და არა ერთიან საქართველოზე ზრუნვა და რამდენაც მისი ფაშობისას ქართლსა და იმერეთზე არც მძარცველური თავდასხმები შეუწყვეტია და არც ტყვეთა სყიდვა, მას თავდადებულ პატრიოტად ვერ ვაღიარებთ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მის მიერ გამოტანილ დასკვნას, რომელიც ამგვარი მსჯელობის შემდეგ მართლაც უცნაური ჩანს. „ეს ყველაფერი, — წერს მკვლევარი, — რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ **არ არის საკმარისი მისი, როგორც ეროვნული მოღვაწის, უარსაყოფად,** რადგან ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს იგი ძირითადად ადგილობრივ, ქართულ ელემენტს ეყრდნობოდა და მოკავშირედ ქართველი მთავარი ეგულებოდა გურიელის სახით, რომელიც ამ შემთხვევაში რუსეთს განასახიერებდა“.[4]

სამწუხაროდ, ამ ტიპის დასკვნებს, რომლებშიც ზღვარი ზნეობასა და უზნეობას შორის წაშლილია და ცნებები ერთმანეთში აღრეული, მხოლოდ ბ-ნ შოთა ლომსაძესთან როდი ვხვდებით, რომლის „სამცხე-ჯავახეთიც“ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ნამდვილად გამოირჩევა პირველწყაროების უხვად გამოყენებითა და მათი ობიექტური ანალიზით. ასეთი ზღვარწაშლილობა და აღრევა საერთოდ დამახასიათებელია მე-20 საუკუნის, განსაკუთრებით მეორე ნახევრის ქართული მეცნიერებისათვის, რისი მიზეზიც, ალბათ, დასავლეთიდან იმპორტირებული ათეისტური იდეოლოგიაა, რადგან ზნეობასა და უზნეობას ერთმანეთისაგან მკვეთრად მხოლოდ სჯული მიჯნავს და მხოლოდ მისი მცნებათა ცოდნა გვაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ რა არის ცოდვა და რას შეიძლება ვუწოდოთ იგი, როგორც ამას პავლე მოციქულიც გვასწავლის: **არამედ ცოდვაჲ არა ვიცოდე, გარნა შჯულისაგან. რამეთუ გულის-თქუმაჲ არა ვიცოდე,**

[4] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 145-146.

უკუეთუმცა არა შჯული იტყოდა, ვითარმედ „ნუ გული-გითქუამნ“ მიზეზი უკუე პოვა ცოდვამან მცნებისა მისგან და შექმნა ჩემ თანა ყოველი გულის-თქუმაჲ, რამეთუ თჳნიერ შჯულისა ცოდვაჲ მკუდარ არს. ხოლო მე ცხოველ ვიყავ ოდესმე თჳნიერ შჯულისა, და ოდეს მოიწია მცნებაჲ იგი, ცოდვაჲ განცოცხლდა, და მე მოვკუედ (რომ. VII, 7-10). სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ტენდენცია ზნეობას და უზნეობას შორის ზღვარის წაშლისა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ისე განვითარდა და გაიზარდა, რომ დღეს უკვე მათ შორის გამყოფი ზღვარის დადებაზე კი არ მიდის საუბარი, არამედ იმაზე, რომ ცოდვა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებად და უფრო მეტიც, სათნოებადაც უნდა იქნეს თუ არა გაგებული.

თურქეთის სულთნები ქვეშევრდომებს მერყევ ერთგულებასა და მსახურებას, ჩვეულებრივ, არ პატიობდნენ და სასტიკად სჯიდნენ. ეს ბედი ეწია სელიმ ფაშასაც. 1815 წელს აჭარაში ჩაკეტილი სელიმ ხიმშიაშვილი არზრუმის სერასკირმა ბაბა ფაშამ დაამარცხა და თავი მოჰკვეთა.

1828 წ. დასაწყისში დამთავრდა თითქმის ორწლიანი ომი, რომელიც რუსეთს ირანმა გამოუცხადა. ომის დამთავრებას, რასაც რუსეთი თურქეთთან შექმნილი საბრძოლო ვითარების გამო ასე ესწრაფვოდა, დიდად შეუწყო ხელი გიორგი ერისთავის მიერ თავრიზის აღებამ. ამ ომის შედეგად რუსეთმა ერევან-ნახჩევანის სახანოები შემოიერთა და ამიერკავკასიაში თავისი საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვა. 1827 წლის ოქტომბრიდან, როცა რუსეთმა საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტში საბერძნეთის მხარე დაიჭირა და თურქეთის ფლოტი გაანადგურა, ეს უკანასკნელი მასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამალებულ მზადებას შეუდგა. არზრუმის სერასკირად[5], რომელშიც 11 ვილაიეთი იქნა გაერთიანებული, ყოფილი დიდი ვეზირი, ნაპოლეონ ბონაპარტეს კარზე ყოფილი ელჩი და ბუქარესტში დადებული ზავის მონაწილე ღალიბ ფაშა დაინიშნა, სამხედრო საქმეებში მოადგილედ მას ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ქიოსა მაჰმად ფაშა დაუდგინეს.

ფაშებს აზიაში სტამბულიდან ფულთან ერთად წერილებიც დაუგზავნეს, რომლებშიც მათგან ომის დაწყებისათვის მზადებას მოითხოვდნენ. ღალიბ ფაშამ, გარდა ლაშქრის შეკრებისა, სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა შეკეთება-გამაგრება ბრძანა. საზღვრისპირა რაიონებიდან არათურქი მოსახლეობა, მათ შორის ისინიც კი,

[5] სერასკირი, სერასქერი — ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი.

რომელნიც უკვე გამაჰმადიანებულები იყვნენ, აყარეს და ქვეყნის სიღრმეში გადაასახლეს, ხოლო არამაჰმადიან მოსახლეობას იარაღი ჩამოართვეს. გარდა ამისა, ამიერკავკასიაში მრავალი ადამიანი შემოაგზავნეს საიდუმლო დავალებით, კერძოდ, მათ რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა-აგიტაციით ასაჯანყებლად არა მხოლოდ მუსულმანური მოსახლეობა, არამედ სხვებიც უნდა განეწყოთ. თურქეთი ამ საქმეში დიდ იმედებს ბატონიშვილებზე — ალექსანდრესა და ვახტანგზე ამყარებდა და არცთუ უსაფუძვლოდ. 1812 წლის კახეთის აჯანყების ფარული ორგანიზატორი და შემდეგში მისი აქტიური მონაწილე სწორედ ალექსანდრე იყო, რომელმაც, მარჯვედ გამოიყენა რა ხალხის სიყვარული მისი დიდ მამისადმი, სამეფო ტახტზე ასვლის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილმა, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ დიდძალი მსხვერპლი გააღებინა თანამემამულეებს ამ სურვილის განხორციელებისათვის.

თურქებმა ფოთის გარნიზონი 700 კაცამდე გაზარდეს, ქობულეთისა და ლიხაურის მიდამოებში ახალი სიმაგრეები ააგეს, გააძლიერეს აწყურის გარნიზონიც, ხოლო ტაბაწყურისა და თავფარავნის ტბის მიდამოებში სპეციალური რაზმები ჩააყენეს. თუ ახალციხელებმა ღალიბ ფაშას ბრძანებას ჯარში წასვლაზე უარით უპასუხეს, სამაგიეროდ ახალქალაქის თურქულ გარნიზონს 1000-მდე ლაზი და აჭარელი შეემატა. არზრუმში ჩაყენებულ ათიათასიან ჯარს სტამბულიდან გამოგზავნილი 3000 ჯარისკაცი და 24 ევროპელი ოფიცერი შეუერთდა, რომელთაც ლაშქრისათვის ევროპის ქვეყნების საბრძოლო გამოცდილება უნდა გაეზიარებინათ.

თურქები ყარსთან 60.000 კაციანი არმიის შეგროვებას ვარაუდობდნენ, რომელსაც გეზი თბილისისაკენ უნდა აეღო, ხოლო იმერეთში შეჭრა და მისი დაკავება ახალციხის ფაშას ევალებოდა. იმერეთის აღების შემდეგ, იგი ყარსიდან დაძრულ მთავარ ჯარს უნდა შეერთებოდა თბილისის დასაპყრობად.

რაც შეეხება რუსეთს, მისი სამხედრო კორპუსი, რომელიც კავკასიაში იდგა 15.000-მდე კაცს შედგენდა. ამას ემატებოდა ადგილობრივი მოსახლეობიდან შეკრებილი ლაშქარიც, რომლის რიცხვიც დადგენილი არ ყოფილა. 1828 წლის მარტში ერევნის ომში გამარჯვებულ პასკევიჩს, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა, საიდუმლოდ აცნობეს, რომ ომი თურქეთთან მალე დაიწყებოდა; მართლაც, იმავე წლის აპრილში პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ. შეგროვდა და დამზადდა სურსათის მარაგი, მოეწყო

სახელდახელო ჰოსპიტლები და მოძრავი ლაზარეთები, შეკეთდა საზღვრისპირა გზები, ირანის ომთან შედარებით უკეთ იქნა ორგანიზებული ტრანსპორტის საქმე. ამ ომის დროს დაქირავებულ ურმებსა და ხარვარზე[6] ფასები გაიზარდა. ასე რომ, გლეხს, რომელიც თავისი ურმითა და ყევარი ხარით ჯარს მოემსახურებოდა, შეიძლებოდა 40-50 მანეთი ეშოვნა. რადგან ომის დაწყების წინ ერთი დივიზია საქართველოდან რუსეთში გადაიყვანეს, პასკევიჩის ჯარი ამჯერად უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე სპარსეთთან ომის წინ. ამიტომ პასკევიჩი განუწყვეტლივ ფიქრობდა და ეძებდა გზებს, რომლითაც რიცხვით აღმატებულ მტერზე გამარჯვებას შეძლებდა. გამარჯვების მოპოვება საიმედო გახადა იმ ფაქტმაც, რომ დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ, შავი ზღვის პირას მდგარი ციხე-სიმაგრე ანაპა დაეცა, რამაც, თავის მხრივ, რუსეთის არმიის ნაწილებისათვის ფოთის უბრძოლველად დანებება განაპირობა. პასკევიჩმა გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის, რომელიც მოქმედებას აგვიანებდა, შეტევაზე გადასულიყო და არზრუმი და ახალციხე ერთმანეთისაგან მოეწყვიტა.

ყარსის აღება, 1828 წ. მხატვარი იანუარ სუხოდოლსკი (1797-1875).

[6] ხარვარი, ხარვალი (თურქ.) — მარცვლეულის ერთგვარი საწყაო, ქართ. კაბიწი: 12 კოდი და ნახევარი (ნ. ჩუბ.).

1828 წლის 14 ივნისს, განთიადისას, გუმრის ციხიდან საზღვრისაკენ დაიძრა ჯარი, რომელსაც სურსათით დატვირთული 2000 ურემი მისდევდა და 2500 ხარვარი. აღსანიშნავია, რომ ქართველ მეურმეებს სპეციალური ნაწილები იცავდნენ. რვა საათზე დაცლილი სოფლების — თიხნისისა და ფალდარავანის გავლით სოფელ მუშკოს მიადგნენ, რომელსაც თურქთა ცხენოსანი რაზმი იცავდა. მტერმა უკან დაიხია და 18 ივნისს რუსეთის არმიის ნაწილები ყარსის ახლოს, აზატხევში დაბანაკდნენ. მანამდე, 16 ივნისს, ყარსში მდგარი თურქეთის თერთმეტათასიანი ლაშქრის დასახმარებლად სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა მივიდა 15.000 კაცით. ყარსის ალყა 20 ივნისს დაიწყო და 23 ივნისს გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლაში თავი ქართველ ცხენოსანთა რაზმმაც გამოიჩინა. ყარსის აღებამ კავკასიის კორპუსის ბრძოლისუნარიანობის გაზრდას ხელი დიდად შეუწყო.

ახალციხის განთავისუფლება – 16 აგვისტო, 1828 წ.

პასკევიჩმა ახალქალაქის ციხის აღება და ახალციხისკენ წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მტრისათვის თავგზის ასაბნევად თავდაპირველად არზრუმის გზას დაადგა, თუმცა პირი მალევე იბრუნა, გვექტაღის მთა გადმოვლო და ჯავახეთის ზეგანზე დაეშვა, 23 ივლისის დილას კი, ახალქალაქის ციხის ახლოს, თავფარავნისა და მურჯახეთის მდინარეებს შორის დაბანაკდა. ციხის კომენდანტთან მან ელჩები წარგზავნა და უბრძოლველად დანებება შესთავაზა. ციხის სიახლოვეს ელჩებს წინ ოთხი იარაღასხმული კაცი გადაუდგა და განუცხადა, რომ ისინი არც ერევნელები იყვნენ და არც ყარსელები, არამედ — ახალციხელები. არც ცოლშვილი ჰყავდათ ციხეში და არც ქონება ჰქონდათ, ამიტომ ციხის ათასივე მცველს ქალაქის კედლებთან სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

ახალქალაქის გარნიზონმა, რომელიც ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა და სელიმ ფაშას შვილი ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილი მეთაურობდა, გასაოცარი ფანატიზმი გამოამჟღავნა.[7] შეტევის დაწყების წინა საღამოს მეომრებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ ალაჰის სახელისათვის დაიხოცებოდნენ. 24 ივლისს, განთიადისას, მინარეთიდან აზანი გაისმა, რასაც ციხის მცველთა სიმღერა მოჰყვა ყურანის სიტყვებზე და ერთი საათი გაგრძელდა. რუ-

[7] **Потто В., Кавказская война, в отдельных эпизодах, легендах и биографиях, Петербург, 1885, т. IV. გვ. 108.**

სული ნაწილები ციტადელს ჭურვებს 18 დიდი ზარბაზნით უშენდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ციხის კედლებზე ხელების ქნევით რამდენიმე კაცი გადმოდგა, რაც მოლაპარაკების დაწყების თხოვნას ნიშნავდა. ამიტომ ცეცხლი შეწყდა და ციხის კარებთან მოსალაპარაკებლად რამდენიმე კაზაკთან ერთად ობუხოვი მივიდა, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებაზე მინიშნება მხოლოდ ვერაგული ხერხი გამოდგა და იგი მოკლეს. როცა ციხის იმედგადაწურულმა მცველებმა დანებება გადაწყვიტეს, მოედანზე მათი უფროსი ფარხად-ბეგი ხიმშიაშვილი გამოვიდა და დადებული ფიცი შეახსენა. ამ გზით აიძულა მან დაქანცულ მეომრებს წინასწარ დასამარცხებლად განწირული ბრძოლის განახლება, რომელიც დიდხანს აღარ გაგრძელებულა: ციხე დაეცა. ცოცხლად გადარჩენილთა ერთი ნაწილი ციტადელიდან ხერთვისისაკენ გაიქცა, მაგრამ გაქცეულებს დაედევნენ და ხერთვისში ძალიან ცოტამ ჩააღწია. ცოცხალი მხოლოდ ის სამასი კაცი გადარჩა, რომელიც დანებდა. ბრძოლაში დაიღუპა ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილიც. არტაანიდან დასახმარებლად გამოგზავნილი 2000 ლაზი ახალქალაქს მაშინ მიუახლოვდა, როცა ბრძოლა თითქმის უკვე დამთავრებული იყო; ლაზები უკან გაბრუნდნენ.

ახალქალაქიდან ხერთვისამდე ოთხი გზა არსებობდა, მაგრამ პასკევიჩმა ის გზა აირჩია, რომელიც მდ. თავფარავნის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა, სადაც მრავალი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. როცა ხერთვისის გარნიზონს იარაღის უბრძოლველად დაყრა შესთავაზეს, ახალქალაქის ბედით დაშინებულმა თავკაცებმა პოლკოვნიკ რაევსკის ციხის გასაღები უბრძოლველად ჩააბარეს. ხერთვისის დანებების შემდეგ 150-მა მცველმა ასპინძის ციხე მიატოვა და გაიქცა. ასაღები ახალციხეღა რჩებოდა. ოთხ აგვისტოს გენერალ მურავიოვის ავანგარდი ახალციხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა. პასკევიჩმა ბორჯომის ხეობაში მდგარ პოპოვს ახალციხისკენ დაძვრა უბრძანა, იგი ჯარს იმერეთიდანაც ელოდებოდა. ახალციხეში ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, თურქეთმა 12-60 წლამდე მაჰმადიანთა მობილიზაცია გამოაცხადა და შეაიარაღა; ასე რომ, ბრძოლის წინ ახალციხის გარნიზონის რიცხვი 10.000-იდან 15 ათასამდე გაიზარდა; რაც შეეხება ქრისტიან ქართველებსა და ებრაელებს, მათ იარაღი ჩამოართვეს და ზედამხედველობდნენ. ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად, რომელსაც ახმედ ფაშა მეთაურობდა, 30.000 კაცით სოღანლუღიდან სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა დაიძრა და ახალციხესთან 4 აგვისტოს მიაღწია.

პასკევიჩმა გადაწყვიტა, მისთვის ახალციხეში შესვლის საშუალება არ მიეცა, და ველზე შებმოდა. 5 აგვისტოს გამართულ ბრძოლაში, რომელიც რუსულმა ნაწილებმა მოიგეს, თავი ქართველმა მხედრებმაც გამოიჩინეს: პოდპოლკოვნიკმა ანდრონიკოვმა, იასონ, სპირიდონ, რომან ჭავჭავაძეებმა და სხვებმა.[8]

შვიდ აგვისტოს რუსთა ჯარს ბორჯომის ხეობიდან მოსული გენერალი პოპოვი შეუერთდა თავისი რაზმით, მაგრამ მალევე ცნობილი გახდა, რომ თურქები ახალციხის გასამაგრებლად კიდევ 10.000 ლაზს აგზავნიდნენ. პასკევიჩმა სასწრაფოდ სამხედრო საბჭო მოიწვია. მისი წევრებიდან ზოგი ბორჯომის ხეობით უკან გაბრუნებას მოითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ საბჭომ ცნობილი დეკაბრისტის პუშჩინის წინადადება მოიწონა, რიმლის მიხედვითაც ახალციხეზე შეტევა იმ ღამესვე უნდა დაწყოთ. რუსული არმიის შემტევ ნაწილებს წინ ახალქალაქის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მუთი ბეგ ფალავანდიშვილი გაუძღვა, რომელმაც ახალციხისკენ მიმავალი ყველა ბილიკი ხუთი თითივით იცოდა.

ბრძოლა დილის ოთხ საათზე დაიწყო და რუსების უპირატესობით წარიმართა, ხუთასი თურქი ათი ზარბაზნითურთ ტყვედ დანებდა, თავად სარდალი ქიოსა მაჰმად ფაშა მძიმედ დაიჭრა. 11 აგვისტოს ციხის ჩრდილოეთ ნაწილში თეთრი ბაირაღი გადმოფინეს და მოლაპარაკება ითხოვეს, მაგრამ ქიოსა ფაშამ ამის ნება არ დართო. 12 აგვისტოს პასკევიჩმა გარნიზონს დანებება შესთავაზა და მოსალაპარაკებლად მუთი ბეგი და კაპიტანი ყორღანოვი გააგზავნა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მათ შორის მოციქული მხოლოდ ხმალი იქნებოდა.

15 აგვისტოს დღის ოთხ საათზე ახალციხეზე შტურმი დაიწყო. შეტევაზე ორკესტრის მუსიკის თანხლებით პირველი შირვანის პოლკი გადავიდა. ახალციხის განთავისუფლებისათვის პირველი შეტევისას დაეცნენ მამაცი პოდპორუჩიკი ვაჩნაძე და ოცი სალდათი. შირვანის პოლკის მეომრები პირველები შევიდნენ ქალაქის გარეუბანში, მათი მამაცი მეთაური პოლკოვნიკი ბოროდინი მათ თვალწინ მოკლეს. მაჰმადიანები ერთ გოჯ მიწასაც კი არ თმობდნენ უბრძოლველად; ძალიან რომ გაუჭირდათ, ბრძოლაში მამაკაცურად გადაცმული მუსულმანი ქალებიც ჩაებნენ. როცა რუსების ნასროლმა ყუმბარამ ერთ-ერთ სახლს ცეცხლი წაუკიდა, პასკევიჩმა, რომელიც დარწმუნდა, რომ ქალაქის არა თუ ყოველი უბნის, არამედ ყოველი

[8] Потто В., Кавказская война, т. IV. გვ. 131.

სახლის შტურმით აღება დასჭირდებოდა, მისი ხანძრისთვის მიცემა გადაწყვიტა. ხანძარი, რომელიც პირველად სამხრეთ-დასავლეთის უბნებს მოედო, უეცრად ამოვარდნილმა ქარმა კიდევ უფრო გააძლიერა. ქალაქის ცეცხლში გახვევას ხელი მისმა ტერასულმა განლაგებამაც შეუწყო. რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ახალციხელები, მათ შორის ქალებიც, ტყვედ ჩავარდნასა და დანებებას გამძვინვარებულ ცეცხლში გამობუგვას ამჯობინებდნენ. ბევრმა მათგანმა თავი ხანჯლითაც მოიკლა. ამას დაერთო შავი ჭირი, რომელიც ახალციხეში არზრუმიდან მოსულმა ჯარმა შემოიტანა, და შიმშილობა. ქალაქის მახლობელი სოფლების პური და საქონელი რუსულ სამხედრო ნაწილების გამოკვებას დასჭირდა, ხოლო ციხის მცველმა გარნიზონმა მოსახლეობისათვის სურსათის მიცემაზე უარი თქვა.

15 აგვისტოს, პასკევიჩის ბრძანებით, ახალციხეში შეჭრილმა შირვანის პოლკის, ქართული მილიციისა და ქართველ გრენადერთა პოლკის ნაწილებმა ციტადელი დაიკავეს, ახმედის მინარეთზე აღმართული რუსთა ნასროლი ყუმბარით სანახევროდ მოგლეჯილი ნახევარმთვარე ჩამოხსნეს და ოქროსფერი ჯვარი აღმართეს.[9]

მიუხედავად ამისა, ახალციხის დაშლილი გარნიზონი დამარცხებას არ ურიგდებოდა და 15-სა და 16 აგვისტოს ღამით ხანძრით განათებულ ქუჩებში ხელჩართული ბრძოლები გრძელდებოდა. 16 აგვისტოს, დილით, ქიოსა მაჰმად ფაშამ 5 დღით დროებითი ზავის დადება მოითხოვა. პასკევიჩმა მოსაფიქრებლად მხოლოდ ხუთი საათი მისცა. ქიოსა ფაშას მოსაფიქრებლად ხუთი საათი არ დასჭირვებია, ერთ საათში შემოთვალა, რომ ციხეს ჩააბარებდა, თუ გარნიზონს ქალაქიდან გასვლის ნებას იარაღითა და ქონებითურთ მისცემდა. პასკევიჩმა მხოლოდ იარაღის, როგორც სამხედრო ნადავლის ჩაბარება მოითხოვა.

თურქებმა კაპიტულაციას ხელი მოაწერეს და 16 აგვისტოს დილის 8 საათზე ციხის გასაღები რუსებს გადასცეს. ამის შემდეგ ქართველ გრენადერთა პოლკი წმიდა გიორგის დროშითა და საზეიმო მუსიკის თანხლებით ციტადელის ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შევიდა. ამ ფაქტმა შეუძლებელია გულისხმიერი ქართველი მკითხველის ყურადღება არ მიიპყროს: სისხლისმღვრელი სასტიკი ბრძოლა, მართალია, ქართველთა მონაწილეობითაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, რუსულმა არმიამ მოიგო, მიუხედავად ამისა, ციტადელში პირველად შესვლის პატივი არა შირვანის პოლკს, რომელმაც ახ-

[9] **Тифлисские ведомости, №48, 1829 წ.**

ალციხეზე პირველი შეტევა განახორციელა და ქალაქშიც პირველი შეიჭრა, არამედ ქართველ გრენადარებს ერგოთ. ვფიქრობთ, ამ გადაწყვეტილებით რუსული არმიის სარდლობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა განმავლობაში დაპყრობილი და მიტაცებული ქართული მიწა-წყალი უწინარესად დედა სამშობლოს — საქართველოს და ქართველებს უბრუნდებოდა. ამ დღეს, ალბათ, ზეციურ საქართველოში ჩვენი დიდი მეფის ერეკლესა და სხვა თავდადებულ წინაპართა სულებიც ზეიმობდნენ, რომელთათვისაც უძველესი ქართული მიწა-წყლის, ქართული კულტურის აკვანის — სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება აუხდენელ ოცნებად და ნატვრად იყო ქცეული.

როცა ქართველ გრენადერთა პოლკი ციტადელში შედიოდა, დამარცხებული ქიოსა მაჰმად ფაშა და ახალციხის საფაშოს მმართველი ახმედ ფაშა გადარჩენილი მეომრების თანხლებით არტაანის გზას დაადგნენ. სამწუხაროდ, **გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ქრისტიანულ იმპერიაში ცხოვრებას მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება და მათი გაყოლა ამჯობინეს.**

შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ შ. ლომსაძეს, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს ახალციხის ბრძოლების ერთ-ერთი მონაწილის, პოლკოვნიკი ლაზარევის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ახალციხე რუსი სალდათის გაუგონარი მამაცობის წყალობით იქნა აღებული.[10]

17 აგვისტოს ახალციხის ბრძოლებში მოპოვებული ნადავლით დატვირთული ურმები თბილისისკენ გაემართნენ. ქალაქში შესული ურმები მეტეხიდან დაიძრნენ და ზარების რეკვის, ზარბაზნების სროლისა და უამრავი ხალხის თანხლებით მთავარი ქუჩები მოიარეს. გასაგებია, რომ თბილისი ზეიმით აღნიშნავდა ახალციხის განთავისუფლებას, მაგრამ მის აღებას იმპერიის სხვა დიდ ქალაქებშიც ზეიმობდნენ.

[10] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 170.



ელდარ ბუბულაშვილი

ღვაწლი დეკანოზ მელიტონ კელინჯერიძისა

2014 წლის 5 თებერვალს დაბადების 150 წლისთავი შეუსრულდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს. მელიტონ კელენჯერიძე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც XIX ს-ის უკანასკნელი ათწლეულიდან მოყოლებული XX ს-ის 40-იან წლებამდე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მრავალმხრივი იყო მელიტონ კელენჯერიძის მოღვაწეობა. იგი იყო სასულიერო პირი, დეკანოზი, მკვლევარი, პედაგოგი და მრავალი სასიკეთო საქმის თაოსანი. მელიტონ კელენჯერიძის თაობის მოღვაწეებისთვის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საქმიანობა ჩვეულებრივ ფაქტად აღიქმება, XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში მოღვაწეთა მრავალმხრივი საქმიანობა ეპოქის მოთხოვნილებით იყო ნაკარნახები. შესაბამისი კადრების სიმცირის გამო ქართველი ახალგაზრდა სწავლულები ყველა იმ დარგში მოღვაწეობდნენ, რაც მათი სამშობლოს კეთილდღეობას წაადგებოდა.

თითქმის ყველა, ვინც კი მელიტონ კელენჯერიძის ღვაწლის წარმოჩენას შეეხება, ერთხმად მიიჩნევს, რომ იგი ქართველ სამოციანელთა (თერგდალეულთა) ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია,[1] რაც, ჩვენი აზრით, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. მელიტონ კელინჯერიძე ქართველ სამოციანელთა იდეებზე იყო აღზრდილი და მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ამ იდეების პოპულარიზაციას ეწეოდა, რის გამოც იგი მიუღებელი იყო და იდევნებოდა როგორც მეფის ხელისუფლების, ისე საბჭოთა რეჟიმის დროსაც.

მელიტონ კელენჯერიძე დაიბადა 1864 წლის 5 თებერვალს შორაპნის მაზრის სოფელ ტაბაკინში (დღევანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) დიაკონ სპირიდონ კელენჯერიძის ოჯახში. რამდენიმე თვის მელიტონს დედა გარდაეცვალა და იგი აღზარდეს დეიდებმა, რის გამოც მეტწილად დროს დედულეთში, სოფელ ზეგანში (დღევანდელი ბაღდადის მუნიციპალიტეტი) ატარებდა. წერა-კითხვა მელიტონმა ოჯახში ბაბუის დახმარებით შეისწავლა, რომლის სურვილი იყო მელიტონი სასულიერო პირი გამოსულიყო.[2] პირველდაწყებითი განათლების მისაღებად მამამისმა მელიტონი 1876 წლის სექტემბერში ქუთაისში ვ. პეტრიაშვილის კერძო სკოლაში შეიყვანა, რომელიც შემდგომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს შეუერთეს. აღნიშნული სასწავლებელი მან 1884 წელს წარჩინებით დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იგი, როგორც სასულიერო პირის შვილი, ყველა შეღავათით სარგებლობდა – იმყოფებოდა სახელმწიფოს კმაყოფაზე და ცხოვრობდა სემინარიასთან არსებულ პანსიონში. თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი სწავლების დროს (1884–1890 წწ.) მძიმე ატმოსფერო სუფევდა. იგი მომსწრე იყო იმ ფაქტისა, 1886 წელს როგორ დაჭრა სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა სემინარიის რექტორი პ. ჩუდეცკი სასიკვდილოდ, რის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა სემინარისტებზე მკაცრი მეთვალყურეობა. თბილისის სასულიერო სემინარიაში გატარებულმა წლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

მძიმე პირობების მიუხედავად, სემინარიაში მელიტონი წარმატებით სწავლობდა. 1890 წელს მან პირველი ხარისხით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სემინარიის მაშინდელ ხელმძღვანელთა რეკომენდაციით, 1890 წლის სექტემბრიდან სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში. როგორც მისი ბიოგრაფიის მკვლევარები აღნიშნავენ, კიევში სტუდენტობის დროს მელიტონს გარს შემოუკრებია იქ მყოფი სტუდენტები, აქტიურად ჩართულა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობაში, შეუქმნია ქართული წიგნთსაცავი, საქართველოდან გამოუწერია გაზეთი „ივერია," რომელსაც თურმე აცნობდა კიევში მყოფ ქართველ სტუდენტებს. იგი 1893 წლიდან სტუდენტთა სათვისტომოს წევრებს, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის ამაღლების მიზნით, საჯარო ლექციებს უკითხავდა ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში.[3]

1894 წელს მელიტონმა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხ-

ით დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და 1895 წლის 1 თებერვალს მუშაობა დაიწყო ქუთაისში, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მიერ ახლადდაარსებულ სასულიერო სემინარიაში, სადაც ჯერ საღმრთო რჯულს ასწავლიდა, შემდეგ კი ქართულს და მათემატიკას. იგი აქტიურად ჩაერთო ქუთაისის სემინარიის საქმიანობაში. მელიტონი არჩეულ იქნა სემინარიის საბჭოს მდივნად, ხოლო 1898 წელს სემინარიასთან გახსნილი სანიმუშო კლასის საქმიანობას ძირითადად მელიტონი წარმართავდა.[4] პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იგი დაინიშნა იმერეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად. 1896 წლის ივნისში მელიტონს იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველის, ეპისკოპოს ბესარიონ დადიანის კურთხევით, ჯერ დიაკვნად დაასხეს ხელნი, შემდეგ კი მღვდლად და ქუთაისის ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად გაამწესეს. სასულიერო მოღვაწეობისას მელიტონმა მრევლის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ეკლესიაში ერთგული სამსახურის გამო, სასულიერო უწყებამ იგი არაერთი საეკლესიო ჯილდოთი წაახალისა. 1903 წლის დასაწყისში, რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით, მელიტონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა და ამავე წელს აირჩიეს იმერეთის ეპარქიული სასწავლო საბჭოს წევრად. პარალელურად კი საღმრთო რჯულს ასწავლიდა ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში. კეთილსინდისიერი სამსახურის გამო, 1905 წლის მაისში უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მელიტონი დაჯილდოვდა სამკერდე ოქროს ჯვრით.[5]

მელიტონ კელენჯერიძე აქტიურად იბრძოდა დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენისათვის. იგი აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში. მელიტონი ყველა იმ შეკრებების მონაწილე იყო, რომელიც 1905-1906 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდა. ამ საკითხზე მან 1906 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი. 1907 წელს მელიტონი რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით ქუთაისიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს და ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში საღმრთო რჯულის მასწავლებლად დანიშნეს; ამავე დროს ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოვალეობასაც ასრულებდა. ფოთში მელიტონმა საკმაო წარმატებას მიაღწია, რის გამოც მრევლის დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი 1914 წლის 3 ნოემბრამდე ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. რუსეთის უწმინდესი

სინოდის გადაწყვეტილებით მას დეკანოზის წოდება მიენიჭა, ხოლო 1913 წელს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მის დაჯილდოვებაში და წახალისებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეგზარქოსმა პიტირიმ ოკნოვმა (1914–1915).

დეკანოზმა მელიტონ კელენჯერიძემ, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოძრაობის ერთ-ერთმა აქტიურმა მოღვაწემ, მონაწილეობა მიიღო 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თავყრილობაში. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტს. მანვე, როგორც ქუთაისის სასულიერო დეპუტაციის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო 1917 წლის 11-17 სექტემბრის საქართველოს ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის 10 აგვისტოს, დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის პედაგოგად. პარალელურად იგი ქართული ენისა და ფოლკლორის შესახებ საჯარო ლექციებს მართავდა ქუთაისის საზოგადოების წინაშე.

1922-1923 წლებში დეკანოზი მელიტონი საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით ზესტაფონში ტაძრის წინამძღვრად გაამწესეს, მაგრამ ადგილობრივი საბჭოთა რეჟიმის მხრიდან ძალადობის გამო იგი 1923 წელს სასულიერო მოღვაწეობას თავს ანებებს და ქუთაისის სხვადასხვა საერო სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ხოლო 1934 წლიდან თბილისში გადადის საცხოვრებლად და კვლავ პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს. თუმცა, საბჭოთა რეჟიმისათვის მელიტონ კელენჯერიძის მსოფლმხედველობა მიუღებელი იყო, რის გამოც იგი დიდ შევიწროვებას განიცდიდა.[7]

მელიტონ კელენჯერიძეს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან აქტიური ურთიერთობა აკავშირებდა იაკობ გოგებაშვილთან და აკაკი წერეთელთან; დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას და ილია ჭავჭავაძის ღვაწლს. მან ილია ჭავჭავაძის მკვლელობას საინტერესო ნარკვევი და ლექსი მიუძღვნა.[8] ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მის ფონდში არაერთი საინტერესო მოგონება თუ პირადი წერილებია დაცული, რომელნიც ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მის ურთიერთობას ასახავენ.

მელიტონ კელენჯერიძე გარდაიცვალა 1949 წლის 14 აგვისტოს,

დასაფლავებულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, მელიტონ კელენჯერიძე აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მისი მეცნიერული მოღვაწეობის სფერო მრავალფეროვანი იყო. იგი იკვლევდა და აქვეყნებდა ნაშრომებს ქართულ ხალხური ფოლკლორის, ქართული ენის გრამატიკის და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. მისი როლი ქართული ფოლკლორისტიკის კვლევაში სათანადოდაა დაფასებული.[9] ზემოთ დასახელებული საკითხების გარდა, მელიტონ კელენჯერიძის სამეცნიერო კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს. ამ თემატიკასთან დაკავშირებით მან რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ მისი ღვაწლი აღნიშნული საკითხების კვლევაში დღემდე შეუფასებელია.

როგორც ირკვევა, საისტორიო საკითხებით მელიტონი ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს დაინტერესებულა. 1992–1993 წლებში იგი ჟურნალ „მწყემსში“ პერიოდულად აქვეყნებს წერილებს „საისტორიო მასალა. გუჯრები“, რომლებშიც მის მიერ მიკვლეული დოკუმენტები იბეჭდებოდა. მათ იმერეთის მეფე სოლომონ I-ისა (1752–1784) და მეფე ერეკლე II-ის (1745–1798) ხელრთვა ახლავს.[10] ცნობილია აგრეთვე, რომ კიევის სასულიერო აკადემიის დასრულებისას ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მას მიუღია ნაშრომისათვის „საქართველოს ეკლესია მე-18 ს-ში“. აღნიშნული შრომის სამეცნიერო ღირებულებებზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რადგან გასაგები მიზეზების გამო ჩვენ ვერ შევძელით მისი გაცნობა, მაგრამ მინიჭებული ხარისხი ნათლად მეტყველებს, რომ იგი ურიგო არ უნდა ყოფილიყო.

სეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის მიერ 1906 წელს „თონცმელის“ ფსევდონიმით რუსულ ენაზე გამოქვეყნებული შრომა, რომელიც წარმოადგენს პასუხს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგის, რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის ობერ-მდივნის ვ. სამუილოვის წინააღმდეგ.[11] ცნობილია, რომ XX ს-ის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის გამო, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით იმპერიის დედაქალაქში გამართულ წინასაეკლესიო კრების სათათბირო სხდომებზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი, რომლის განხილვაში ქართველთა წარმომადგენლებთან ერთად (ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე); მკვლევარები: ნიკო მარი, ალ. ხანაშვილი, ალ. ცაგარელი) მონაწილეობდნენ რუსი სასულიერო პირები და საეკლესიო საკითხების მკვლევარები. ვ. სამუილოვი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს გააჩნდა ავტოკეფალია. იგი 1906 წლის დასაწყისში ჟურნალ „Церковные ведомости“-ის №1-6 გამოქვეყნებულ წერილებში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესია 1783 წლამდე, კანონიკურად ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა და მის სახელს წირვა-ლოცვებში იხსენიებდა. ვ. სამუილოვის დასკვნით, თუკი საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა ავტოკეფალია, ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლება მას ვერ წაართმევდა.

ვ. სამუილოვის ტენდენციურ მოსაზრებებს დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის გარდა არგუმენტირებული პასუხი გასცეს, აგრეთვე, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ და ალექსანდრე ხახანაშვილმა.[12] ნაშრომში მელიტონ კელენჯერიძე ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, კრიტიკულად განიხილავს ვ. სამუილოვის არგუმენტებს და საეკლესიო სამართლის საშუალებით ახდენს მათ გაქარწყლებას.[13] მელიტონ კელენჯერიძე ნაშრომს დამატების სახით ურთავს აღნიშნულ საკითხზე ძირითადად რუსულ პერიოდულ ორგანოებში („Дух. Вестник груз. Экзархата“, „Вестник возрождения“, „Встань“, „Церковно-общественная жизнь“ და სხვ.) 1905-1906 წლებში გამოქვეყნებულ მასალებს, რომელთა ავტორებიც (სერგი გორგაძე, ილია ფერაძე, რკინიგზის ეკლესიის რუსი მღვდელი იონა ბრიხნიჩევი, ნიკო მარი, არქიმანდრიტი ანდრია, ანტონ ნატროევი (ნატროშვილი), მღვდელი ილია ჯაში) აქტიურად უჭერდნენ მხარს ქართველი ხალხის მოთხოვნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.[14]

როგორც აღინიშნა, მელიტონის დასახელებული ნაშრომი გამოქვეყნებულია „თონცმელის“ ფსევდონიმით. მეტად ორიგინალური და საინტერესოა ლათინური ასო-ნიშნებით შედგენილი აღნიშნული ფსევდონიმი. იგი წარმოადგენს „მელიტონის“, როგორც საკუთარი სახელის, სახეცვლილ ფორმას. ფსევდონიმის პირველი სამი ასო-ნიშანი „თონ“ არის მისი სახელის ბოლო სამი გრაფიკული ნიშანი, რომლის შემდგომ მოთავსებული ლათინური „ც“ არის კელენჯერიძის გვარის აღმნიშვნელი პირველი ასო, „კანი“, ხოლო ფსევდონ-

იმის ბოლო ოთხი ასო „მელი“ არის საკუთარი სახელის დასაწყისი ასო-ნიშნები. უკანასკნელი ლათინური „ს“ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და კუთვნილების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამავე ფსევდონიმით მელიტონმა 1915 წელს ცალკე კრებულად გამოქვეყნა ორი ზღაპარი.[15]

მელიტონ კელენჯერიძემ დიდი ამაგი დასდო წმინდა გაბრიელ (ქიქოძე) მღვდელმთავრის ღვაწლის წარმოჩენას. მის უკვდავსაყოფად მან 1902 წელს გამოსცა „**უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა**“, რომლის ახალი გამოცემა 2009 წელს განახორციელა მელიტონის შვილიშვილმა, ქალბატონმა ცისანა ქოჩეჩაშვილმა. აღნიშნულ გამოცემას ახლავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედაა შეფასებული მელიტონ კელენჯერიძის ღვაწლი. უწმინდესისა და უნეტარესის სამართლიანი შეფასებით მელიტონ კელენჯერიძე „...თაობებისთვის დარჩა ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მანათობელი“.[16]

ამ მცირე მოცულობის ნარკვევში მელიტონ კელენჯერიძე მოკლედ მიმოიხილავს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის გარდაცვალების წინა პერიოდს, ყურადღებას ამახვილებს მის ავადმყოფობასა და სულიერ მდგომარეობაზე. აქვე სათანადო ადგილი ეთმობა მისი გარდაცვალებისა და დასაფლავების აღწერას. ავტორი სრული სახით გვთავაზობს წმინდა გაბრიელის დასაფლავებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, მაშინდელი სხვადასხვა საზოგადოების თუ პიროვნებების მიერ გამოგზავნილი სამძიმრის დეპეშათა შინაარსებს, ჩამოთვლილია განსვენებულისთვის მირთმეული ხატები თუ სხვა ნივთები მათზე არსებული წარწერებით და სხვ.

გამოქვეყნებული ბროშურით მელიტონი აცნობებს საზოგადოებას, რომ მისი სურვილია სრული გამოკვლევა შეიქმნას გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასალების მოძიების მიზნით, მას 74 პუნქტისაგან შედგენილი კითხვარი შეუდგენია, რომელიც გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს ეხებოდა. ამ კითხვარით იგი საზოგადოებას დახმარებას სთხოვს. აღნიშნული კითხვარი ზემოთ დასახელებულ ბროშურაში დამატების სახით არის დაბეჭდილი. ნაშრომში მელიტონი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენ, ქართველებს... სამარცხვინო უსამართლობა გვჭირს: ჯერ ხეირიანი საზოგადო მოღვაწე

და ნიჭიერი კაცი სანთლით საძებარია ჩვენში და მერმედ, კიდეც რომ დაგვებადოს ასეთი პირი და ნიჭიც და მამულიშვილობაც გამოიჩინოს, ჩვენ მაინც არ ვიცით ღირსეული დაფასება ასეთი მოღვაწისა. ნაცვლად ამისა, სიცოცხლეში ხელს ვუშლით, მოსვენებას არ ვაძლევთ, კეთილს გზაზედ ვეღობებით, მტრობასა და შურს არ ვაკლებთ და როდესაც... ცივ სამარეში ჩავა, საფლავზე თუ ვიტყვით ორიოდე ცივ სიტყვას, ქვეყნის შესახედავად, თორემ, რაკი მიწას მივაბარებთ, სრულად დავიწყებას ვაძლებთ...“[17]

მელიტონ კელენჯერიძის თხოვნამ სასურველი შედეგი გამოიღო: მას საზოგადოების ცნობილი სახეების გარდა, უცნობი პიროვნებებიც გამოეხმაურნენ, რომლებიც ახლოს იცნობდნენ გაბრიელ ეპისკოპოსს. მელიტონ კელენჯერიძესთან თავი მოიყარა საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა მიერ შედგენილმა მოგონებებმა, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოგვაწეობის სხვადასხვა მხარეს ეხებოდა. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, მას უკვე 1910 წლისთვის წმიდა გაბრიელ მღვდელმთავრისადმი მიძღვნილი პირველი ტომი გამოსაცემად ჰქონდა გამზადებული, მაგრამ უსახსრობის გამო საქმის ბოლომდე მიყვანას ვერ ახერხებდა. ამ დროისთვის, იგი ფოთში მსახურობდა და დახმარების სათხოვნელად ეწვია იმ დროისთვის ფოთის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძეს. ნიკოს თვითონ არ ჰქონდა სათანადო თანხა, მაგრამ ახლობელთა შორის იშოვა დამფინანსებელი, რომელმაც სამწუხაროდ ვინაობის გამხელა არ ისურვა და უცნობი პიროვნების წყალობით 1913 წლის ბოლოს გამოქვეყნდა მღვდელი მელიტონ კელენჯერიძის „**გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)**“.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მელიტონი ჩამოთვლის და მადლობით მოიხსენიებს ყველა იმ პიროვნებას, რომელმაც მას გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ მოგონებები თუ სხვა სახის მასალები მიაწოდა. მელიტონს პირველი ტომის გარდა კიდევ რამდენიმე ტომის გამოქვეყნება ჰქონდა განზრახული, მაგრამ უსახსრობის გამო განზრახვა ვერ განახორციელა. ნაშრომში დაწვრილებითაა გადმოცემული გაბრიელის ბავშვობა, განათლების მიღება თბილისსა და რუსეთში, სამსახური თბილისსა და იმერეთის ეპარქიაში. მასში საინტერესოდაა აღწერილი გაბრიელის პირადი ცხოვრება, რომელიც ძირითადად ახლობლების ცნობებს ეყრდნობა. სათანადო ადგილი ეთმობა მის ავადმყოფობას, გარდაცვალებასა და დასა-

ფლავებას. დამატების სახით პირველ ტომს ერთვის ზოგიერთი საერო თუ სასულიერო პირის მოგონებები. აქვე დაბეჭდილია მღვდელ ილია ფერაძის „ლექსი-მოგონება“. საინტერესოა, რუსი მღვდლის მეთოდე ავდაშკევიჩის შეხედულება გაბრიელის მოღვაწეობის შესახებ; აგრეთვე, მნიშვნელოვანია რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის აზრი გაბრიელ ეპისკოპოსზე და სხვ.

დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1918 წელს ქუთაისში მის მიერ გამოქვეყნებული განმაზოგადებელი შრომა „**საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია**“. თხზულების სატიტულო ფურცელზე მელიტონ კელენჯერიძე შემდგენელის სახელითაა მოხსენებული, მაგრამ მისი შინაარსის გაცნობა მკითხველს დაარწმუნებს, რომ იგი ავტორის ორიგინალური კვლევის შედეგია. ნაშრომი შეიცავს 202 გვერდს. შესავალი წერილიდან ირკვევა, რომ თხზულება ავტორს 1917 წლის 15 დეკემბერს გამზადებული ჰქონია დასაბეჭდად. წიგნს პირველი საფეხურის სასულიერო სასწავლებლის სახელმძღვანელოს ფუნცია უნდა შეესრულებინა. მასში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია, უძველესი დროიდან XIX ს-მდე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. თითოეული თავი იყოფა პარაგრაფებად, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ვრცელია. მაგალითად, პირველი თავი 29 პარაგრაფს მოიცავს. პირველი თავის პირველ პარაგრაფში ავტორი მიმოიხილავს ქართველთა წარმართულ სარწმუნოებას; ხოლო, ამავე თავის მეორე პარაგრაფში გადმოცემულია ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობამდე. ცალკე პარაგრაფი ეთმობა უფლის კვართის შემოსვენების ისტორიასა და მოციქულთა ქადაგებას. აღნიშნული საკითხების განხილვისას იგი ეყრდნობა უცხოურ წერილობით წყაროებს (ორიგენე და სხვ.), თანამედროვე მკვლევრებიდან იყენებს პროფესორ ბოლოტოვის შრომებს. რაც მთავარია, მელიტონ კელენჯერიძე საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას განიხილავს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე. ნაშრომში, ცალკე მე-5 პარაგრაფი დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ეთმობა. უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მელიტონი აღნიშნავს, რომ კოლხებს უკვე II საუკუნეში თვიანთი ეპისკოპოსი ჰყოლიათ.18 ამავე ნაწილში აღნიშნულია, რომ პირველი საუკუნის ბოლოს რომიდან დევნილმა კლიმენტი რომაელმა დიდი ამაგი

დასდო დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას. ავტორი ემხრობა იმ აზრს, რომ ეგრის-ლაზებზე იოანე ოქროპირს დიდი გავლენა მოუხდენია. მელიტონი აღნიშნავს, რომ დიოკლიტიანეს დროს, IV ს-ში დასავლეთ საქართველოსთვის თავი შეუფარებია წმინდა ორონტს თავის ექვს ვაჟთან ერთად. წყაროების საფუძველზე მელიტონი უტყუარად ადასტურებს, რომ VI ს-ში სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა. კვლევის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ VI ს-ში, კერძოდ კი 515 წელს, ქრისტიანობა ლაზეთში სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებულა იმ დროს, როცა მეფე წათემ და მისმა შვილმა ქრისტიანობა მიიღო ბიზანტიაში.[19]

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა ქართლის მოქცევას წმინდა ნინოს მიერ და ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას. საკითხის განხილვის დროს მელიტონ კელენჯერიძე ქართულ წყაროებთან („მოქცევა ქართლისა“-ის ჭელიშური რედაქცია, ქართლის ცხოვრების ლეონტი მროველისეულის თხრობა, ეფრემ მცირე და სხვ.) ერთად იყენებს უცხოურ წყაროებს (თეოდორიტე კვირელი, სოზომენე, სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი და სხვ.). წმინდა ნინოს ცხოვრების ლეონტი მროველისეული თხრობის მიხედვით დაწვრილებითაა გადმოცემული ქართველთა გაქრისტიანების ისტორია კაპადოკიელი ქალწულის მიერ. ნაშრომში მ. კელენჯერიძე დიდ ადგილს უთმობს ქართლის მოქცევის თარიღის დადგენას. იგი ქართული და უცხოური წყაროების შედეგად ასკვნის, რომ მეფისა და ხალხის გაქრისტიანება უნდა მომხდარიყო 325-326 წლებში. მელიტონ კელენჯერიძესეული დასახელებული თარიღი სავსებით ეთანხმება საეკლესიო ტრადიციას და დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ქართლის გაქრისტიანების თარიღად მიჩნეულია 326 წელი. მისივე აზრით, ქართლში წმ. ნინო უნდა მოსულიყო 319-320 წლებში, მიცვალება კი უნდა მომხდარიყო 338 წელს. ავტორი მოკლედ გადმოგვცემს წმ. ნინოს ჯვრის ისტორიას და ამ დროს ძირითადად პლატონ იოსელიანის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობა.[21]

ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა IV-VII სს-ში ქრისტიანული ტაძრების აშენების ისტორიის წარმოჩენას; აქვე გადმოცემულია ქართული ეკლესიის წმინდანების: რაჟდენ პირველმოწამის, შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის და სხვათა ცხოვრებანი; სათანადოდაა დაფასებული VI ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში მოღ-

ვაწე ასურელი მამების როლი ქრისტიანობის განმტკიცებაში.

ცალკეა გამოყოფილი საქართველოს ეკლესია არაბთა ბატონობის დროს; ყურადღება გამახვილებულია ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობაზე.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს კეთილმსახური მეფეების – დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ღვაწლის ასახვას ეკლესიის წინაშე. ცალკეა განხილული მონღოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის შემოსევების დროს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა.

მელიტონ კელენჯერიძეს მხედველობიდან არ რჩება საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიაც და მიხეილ თამარაშვილის ნაშრომებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ პირველი კათოლიკეები საქართველოში ჩნდებიან XIII ს-ში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მათ სამისიონერო საქმიანობაზე, თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებაზე და სხვა. მელიტონ კელენჯერიძე ნაშრომში განიხილავს ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ პირველი კათოლიკოსის, ამბროსი ნეკრესელის, გაიოზ რექტორის და სხვათა ღვაწლს სამისიონერო საქმიანობაში. პირველი თავის დასკვნით ნაწილში წარმოჩენილია ის მიზეზები, რომელთაც XVI-XVII სს-ში საქართველოს ეკლესიის დამცრობა გამოიწვიეს.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია საქართველოს ეკლესიის იერარქიული წყობილება. მ. კელენჯერიძე საეკლესიო სამართლის საფუძველზე გადმოსცემს, თუ როგორ მოხდა საეკლესიო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება წმინდა ნინოს ხანაში (IV ს.) და კათოლიკოსობის დაარსების დროს V ს-ში. ამავე თავში განხილულია საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ანტოქიის საპატრიარქოსადმი; დიდი ადგილი ეთმობა VI-XI სს-ში არსებული ქართული საეპისკოპოსოების მიმოხილვას. ნაშრომის ამავე ნაწილში საუბარია აფხაზეთის საკათალიკოსოზე და მოცემულია დასავლეთ საქართველოს მწყესმთავართა ზოგადი დახასიათება. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა საეკლესიო ქონების განკარგვის საკითხს. ცალკეა განხილული კათალიკოსის ფუნქცია, მისი როლი საეკლესიო მმართველოსის იერარქიაში. ავტორი წყაროებზე დაყრდნობით მიმოიხილავს სხვადასხვა დროს ჩატარებულ საქართველოს საეკლესიო კრებებს (ანისის, ჯავახეთის, რუისის), დიდი ადგილი ეთმობა ეპარქიების მართვა-გამგეობას, ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის დახასიათებას და სხვ.

მესამე თავში წარმოდგენილია სასულიერო განათლების სისტემა უძველესი დროიდან XVIII სს-ის ბოლომდე. მ. კელენჯერიძე ყურადღებას ამახვილებს სასულიერო ტიპის სასწავლებლებზე, მათ როლზე სასულიერო განათლების გავრცელებაში; საგანგებოდ განიხილავს საქართველოსა და საზღვარგარეთ დაარსებული სამონასტრო ცენტრების ისტორიას, რომლებიც მძლავრ სამეცნიერო კულტურულ კერებს წარმოადგენდნენ. ნაშრომში სათანადოდაა გაშუქებული ათონის, სინას და უცხოეთის სხვა ქართულ კულტურულ ცენტრებში მოღვაწე ქართველი მამების მთარგმნელობითი საქმიანობა.

მელიტონ კელენჯერიძის საქართველოს ეკლესიის ისტორია ზოგადი ხასიათისაა. ავტორს განზრახული ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ მეორე წიგნის გამოცემაც, სადაც ყურადღება იქნებოდა გამახვილებული ეკლესიური ზნეობის, მონასტრული ცხოვრებისა და ღვთისმსახურების შესახებ, მაგრამ საბჭოთა ათეისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, როგორც ჩანს, ხელი აიღო თავისი განზრახვის განხორციელებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მის არქივში ინახება ხელნაწერი სათაურით „**საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის ცხოვრებითგან**,“ რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს მის მიერ 1918 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის ახალ გადამუშავებულ რედაქციას.[22]

მელიტონ კელენჯერიძის პირად არქივში ინახება აგრეთვე საინტერესო ნაშრომი სათაურით „**ქუთაისის სასულიერო სემინარია**“, რომელსაც ავტორის მიერ მიწერილი აქვს „მოგონება“. მასში ავტორი გადმოგვცემს ქუთაისის სემინარიის დაარსების ისტორიას. როგორც აღინიშნა, იგი ახლადდარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მის დახურვამდე (1904 წ.) მუშაობდა და საკუთარ დაკვირვებებს გვთავაზობს სემინარიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჩვენი აზრით, მისი ეს ნარკვევი ძვირფასი წყაროა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიის შესასწავლად.[23]

მელიტონ კელენჯერიძის სამეცნიერო ნაშრომიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, 1915 წელს თბილისში დაბეჭდილი 11 გვერდიანი ნაშრომი „**დამოკიდებულებანი რუსთა და ქართველთა შორის და მნიშვნელობა ამ დამოკიდებულებათა უავგუსტეს რომანოვთა სასახლის მეფობაში**“. მასში მოკლედ, პოპულარულად, საზოგადოების ფართო წრისთვის გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის

ისტორია XI-XIX სს-ში.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ მელიტონ კელენჯერიძე, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, დღევანდელი გადასახედიდან დავიწყებას არ იმსახურებს. საეკლესიო საკითხისადმი მიძღვნილ მის ნაშრომებს ნათლად ატყვია პროფესიონალის ხელი. იგი ეკლესიის წიაღში მოღვაწე პიროვნება გახლდათ და, როგორც საეკლესიო სამართლისა და საღვთისმეტყველო საკითხების ჩინებული მცოდნე, ძირითადად სწორი პოზიციიდან აშუქებს საქართველოს ეკლესიის წარსულს. მართალია, დღეს ბევრი მისი დებულება თუ შეხედულება შეიძლება მოძველებულად მოგვეჩვენოს, ან მის ნაზრევში უზუსტობებიც შევნიშნოთ, მაგრამ ზემოთ წარმოდგენილ მის ნაშრომებს საქართველოს ეკლესიის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მაჩურიშვილი, „ქართველი ერის სულიერი მესაჭე“, დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, საპატრიარქოს უწყებანი, 2009, №39, გვ.17; შდრ.: ო. ფანასკერტელ-ციციშვილი, ქართული ფოლკლორის მოამაგენი, მელიტონ კელენჯერიძე, თბ.,2001, გვ.5.

2. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული მესამე, თბ. 1968, გვ.141.

3. თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ. 1986, გვ. 157.

4. ე. ბუბულაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან (1894–1904), თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, თბ. 2009, გვ.90; შდრ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები; კრებული მესამე. გვ. 142.

5. გ. მაჩურიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ.18.

6. იქვე.

7. მელიტონ კელენჯერიძის დევნა-შევიწროვების შესახებ იხ.: ო. ფანასკერტელ-ციციშვილი, ქართული ფოლკლორის მოამაგენი, მელიტონ კელენჯერიძე, თბ., 2001; შდრ.: გ. მაჩურიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ.20.

8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის

პირადი ფონდი №№106,108,193.

9. იხ.: თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, თბ.,2004, გვ.774-784; მისივე, ქართული ფოლკლორისტის სათავეებთან, თბ, 1986, გვ. 156-194.

10. მწყემსი, 1892, №23; 1893, №7, №9.

11. Toncmelis, Правда об автокефалии Грузинской церкви (Ответ г. В. Самуилову и К.), Кутаиси, 1906.

12. К. Цинцадзе, Историческая справка по вопросу об автокефальности грузинской церкви. Тб., 1906; შდრ.: А . Хаханов, В зашиту автокефалии грузинской церкви, Санкт-Петербургские ведомосты, 1906, № 19.

13. ტონკმელი, დასხ. ნაშრომი, გვ. 17-30.

14. იქვე, გვ. 249-343.

15. თ. ჯაგოდნიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ. 159.

16. ო. ფანასკერტელ-ციციშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ.4.

17. მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე, უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ქუთაისი, 1903, გვ. 14.

18. დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსოს მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 11-12.

19. იქვე.

20. იქვე, გვ.13–30.

21. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тб., 1858, стр. 57.

22. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი ფონდი, №104.

23. ე. ბუბულაშვილი, დასხ. ნაშრომი. გვ. 88–89.



მამუკა ცუხიშვილი

მიხეილ ვორონცოვი – XIX საუკუნის საქართველოს აღმშენებელი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ ვორონცოვის პიროვნების წარმოჩენას, მისი ღვაწლის შეფასებას და ჩვენი დიდი და ღირსეული წინაპრების მოგონებების მიმოხილვას თავად ვორონცოვის შესახებ.

1801 წლის 19 აპრილს საქართველოში რუსეთის ჯარების პირველ მთავარსარდალს, გენერალ კარლ კნორინგს (1746-1820 წწ.) დაევალა მოემზადებინა მასალები იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა ქართლ-კახეთის სახელმწიფო დამოუკიდებლად არსებობას.

შემდეგ მომზადდა დასკვნა, რომლის დედააზრი იყო, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას; მისი გადარჩენის ერთადერთ ხსნას წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის გაუქმება და თვითმპყრობელური მმართველობის დაწესება; მთავარ არგუმენტად კი „ქართველი ხალხის თანხმობა“ მოჰყავდა.

მაგრამ არსებობდა სხვა აზრიც, მაგალითად – გრაფი მიხეილ ვორონცოვის და გრაფი ვიქტორ კოჩუბეისა, რომლებიც 1801 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I რომანოვისადმი მირთმეულ მოხსენებაში უარყოფდნენ კნორინგისეულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არსებობა არ შეეძლო და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას მოითხოვდნენ.

ვორონცოვი ამ დროს სულ რაღაც 19 წლის ჭაბუკი იყო.

გავიდა ათეული წლები და ვორონცოვი საქართველოს და ამიერკავკასიას მოევლინა როგორც პირველი მეფისნაცვალი.

მიხეილ ვორონცოვის შესახებ ვკითხულობთ: „ვორონცოვი მიხეილ სიმეონის ძე – გრაფი, უგანათლებულესი თავადი, ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ფელდმარშალი. ვორონცოვების საგვარეულოს ფუძემდებელი იყო სიმონ აფრიკანის ძე, რომელიც 1287 წელს გერმანიიდან კიევში ჩასულა დიდ მთავარ იაროსლავ ვლადიმერის ძესთან და მიუღია მართლმადიდებლობა. დიმიტრი დონელის დროს სიმონის ერთ-ერთმა შთამომავალმა – თევდორემ მიიღო თიკუნი „ვორონეც“ და იმ დროიდან დაწესდა გვარი ვორონცოვებისა“[1].

რუსეთის საიმპერატორო კარზე დაწინაურებული გრაფი სვიმეონ ვორონცოვის ვაჟი და ამავე კარის კანცლერის ალექსანდრე ვორონცოვის ძმისშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა სწავლისადმი სწრაფვით. მან საუკეთესო განათლება მიიღო ლონდონში, რამაც ხელი შეუწყო მის წინსვლას ჯერ ციციანოვის, ხოლო შემდეგ გულიაკოვის აპარატში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვის[2] კარზე მუშაობისას, ვორონცოვმა შეიყვარა ქართველი ხალხი და შედეგმაც არ დააყოვნა, მისი ფასდაუდებელი ღვაწლის შედეგად XIX საუკუნის საქართველოს სასიკეთო ცვლილებანი დაეტყო.

მანამდე კი იყო ზაქათალას 1804 წლის 15 იანვრის შეტაკება, სადაც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მონაწილეობდა 1805-1807 წლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში, კერძოდ, პუტლუსკისა და ფრიდლანდის მისადგომებთან. ასევე, 1809-1811 წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომში შთამბეჭდავ გამარჯვებებს მიაღწია და არაერთგზის დაიმსახურა სარდლობის მადლობა.

1812 წელს, როდესაც ნაპოლეონი რუსეთს თავს დაესხა, მიხეილ ვორონცოვი პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით მამაცურად იბრძოდა ბოროდინოს ველზე და სათავეში ედგა გრენადერთა ბატალიონს.

ვორონცოვის დივიზია, რომელიც შედგებოდა 4000 მეომრისაგან, გააფთრებით უტევდა მარშალ დევუს ფრთას. მეომართაგან 300 გადარჩა და ბრძოლის ველზე თავადაც დაიჭრა. დაჭრილი ვორონცოვი ბრძოლას დროებით გამოეთიშა, თავის დაჭრილ მეომრებთან ერთად სოფელში მკურნალობდა და 1813 წელს კვლავ დაუბრუნდა თავის საქმიანობას, მაგრამ მას იქ აღარ დახვდა მისი ძვირფასი

[1] **Акти**, ტ. X, თბ., 1885, გვ. 71.

[2] წარმოშობით იყო ქართველი, ვახტანგ VI ერთად რუსეთში გადასახლებული პაატა ციციშვილის (1754-1806 წწ.) შვილიშვილი, მთავარმართებლად მსახურობდა 1802-1806 წლებში.

მასწავლებელი და სახელოვანი სარდალი პეტრე ბაგრატიონი.[3]

1813 წელს იბრძოდა დენევიცისა და ლაიპციგის მისადგომებთან. 1814 წლის მაისში ერთი დღის განმავლობაში კრაონთან ებრძოდა ნაპოლეონს და დაამარცხა კიდეც. 1815-1818 წლებში მიხეილ ვორონცოვი საფრანგეთის წინააღმდეგ ოკუპაციის ძალთა მეთაური იყო. 1823 წლის 7 მაისს იგი დაინიშნა ახალი რუსეთის გენერალ-გუბერნატორად, იმავდროულად იყო ბესარაბიის ნამესტნიკი და რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინციების გამგებელი. მისი დამსახურებაა ოდესისა და ყირიმის აღმშენებლობა და წინსვლა.

მისივე ინიციატივით, 1828 წელს შავ ზღვაზე პირველად გამოჩნდა რუსეთის თბომავალი. იმავე წლებში (1828-1829 წწ.), რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ვარნის მიმართულების დაჭრილი სარდალი მენშიკოვი ჩაანაცვლა და 28 სექტემბერს ბრძოლა დასრულდა რუსეთის გამარჯვებით.

მიხეილ ვორონცოვის დამსახუერებაა, აგრეთვე, მომზადება სპეციალური გეგმისა, რომლის მიხედვით კავკასიასა და რუსეთში თავიდან იქნა აცილებული თურქეთში გავრცელებული შავი ჭირი.

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1796-1855) მიიჩნევდა, რომ კავკასიის რუსეთთან დასაკავშირებლად საჭირო იყო მოქნილი და დიპლომატიური პოლიტიკა, რათა, არც რუსეთის ინტერესები დაზარალებულიყო და არც კავკასიელი ხალხების ეროვნული მენტალიტეტი შელახულიყო, ამიტომ გადაწყვიტა, კავკასიაში არა მთავარმართებელი, არამედ მეფისნაცვალი დაენიშნა და ეს თანამდებობა გრაფ მიხეილ ვორონცოვს მიანდო.

როგორც ცნობილია, კავკასიაში მიხეილ ვორონცოვის აქტიური მოღვაწეობა დაიწყო შამილის[4] წინააღმდეგ შეტევით. გეგმა შეიმუშავა იმპერატორმა ნიკოლოზ I, რომელიც ითვალისწინებდა დარგოზში შამილის რეზიდენციაზე იერიშის მიტანას და დაღესტან-ჩეჩნეთის რუსეთის იურისდიქციაში მოქცევას.

რუსეთის საიმპერატორო კარზე მიხეილ ვორონცოვის გვერდის ავლით მომზადდა გეგმა, რომლის განხორციელება დაევალა ვორონცოვს. დაიწყო შეტევა შამილის წინააღმდეგ არტილერიით, ქვეითი და ცხენოსანთა 8 რაზმით, რომელთაც ცალ-ცალკე გამოცდილი გენერლები ხელმძღვანელობდნენ. ავანგარდში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეომრებიცა და პოლიციის ნაწილებიც. სამ-

[3] იხ. ჩვენი ნარკვევი: „პეტრე ბაგრატიონი“, ჟურ. „სამი საუნჯე“, 3(9), 2013.

[4] 1799-1871 წწ., ხუნძი, იგივე დაღესტნელი რელიგიური მეთაური, იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

წუხაროდ, გეგმა შედგენილი იყო მთელი რიგი ხარვეზებით, რასაც ბრძოლის წაგება და ჯარისკაცთა აუნაზღაურებელი დანაკარგი მოჰყვა. ცუდად შედგენილი გეგმის გამო რუსეთის იმპერატორმა თავი დამნაშავედ იგრძნო და ვორონცოვს მისი გამოსყიდვის მიზნით პირველი ხარისხის თავადობა უბოძა.

1845 წელს მიხეილ ვორონცოვი საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში ჩამოვიდა (დაბრუნდა) არა როგორც რიგითი მოხელე ან ჩინოვნიკი, არამედ როგორც მეფისნაცვალი, ანუ იმპერატორის მოადგილე, იგივე კავკასიის ნამესტნიკი.

მ. ვორონცოვს ასევე მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრის წოდება, რაც უზრუნველყოფდა მისი უფლებების რეალიზაციას ყველა მიმართულებით და გაცილებით აიოლებდა ქვეყნებსა და მმართველ წრეებს შორის ურთიერთობას, რომელიც მანამდე მოუგვარებელი და დაუბალანსებელი იყო.

მეფისნაცვლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება დიდად არ განსხვავდებოდა მთავარმართებლის თანამდებობიდან, მაგრამ არსებობდა რიგი ფაქტორებისა, რომელთა წყალობითაც იგი მეტი დიპლომატიურობით, მოქნილობითა და სიზუსტით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ეს გამოუსადეგარი შეიქნებოდა, რომ არა მიხეილ ვორონცოვის, როგორც შესანიშნავი მმართველის, დიპლომატის, პოლიტიკოსის, ქართველ ერზე მზრუნველი ადამიანის, ხელოვნების, განათლებისა და კულტურის მფარველის, მრეწველობისა და ეკონომიკის სულისჩამდგმელის მოღვაწეობა და საქმის უანგარო ერთგულება.

საქართველოში ჩამოსვლიდან ორ თვეში მიხეილ ვორონცოვმა მოიარა და დაათვალიერა სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, ქართლი, შავი ზღვის მაზრა, ჭარ-ბელაქანი და ახალციხის მაზრა. „მეფისნაცვალმა შეადგინა ამიერკავკასიისა და საქართველოს მხარის გეოგრაფიული მოწყობის გეგმა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა მრეწველობის, განათლების, ეკონომიკისა და სხვა მნიშვნელოვანი დარგების განვითარება. ვორონცოვს მიაჩნდა, რომ ეროვნული მენტალიტეტისა და ადათ-წესების დაცვა იყო უპირველესი გარანტი იმისა, რომ არ დაკარგულიყო ნდობა ხალხსა და მეფისნაცვალს შორის, რამაც უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო“.[5]

თუმცა, იყვნენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველთა გარუსებისა

[5] საქართველოს 1904 წლის კალენდარი, თბ., 1903, გვ. 103.

და გადაგვარებისაკენ. ცხადია, ამ მოსაზრების ავტორებს დღესაც ჰყავთ დამცველები, ჩვენ მათ ნააზრევსაც შევეხებით.

ვორონცოვმა თბილისში დამკვიდრებისთანავე დაიწყო ახალი პოლიტიკური კურსის გატარება, რაც აისახა 1846 წელს ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი საქმე, რომელიც ცვლის საუკუნოვან ადათებს, მეტისმეტად ძნელი გასატარებელია ყველგან, განსაკუთრებით აქაურ მხარეში, და ამიტომ მსგავს შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დიდი სიფრთხილით. ძალდატანებითი ზომები არა თუ მოიტანენ სიკეთეს, მათ შეიძლება ჰქონდეთ ძალიან ცუდი შედეგები“.[6]

მისი, როგორც მეფისნაცვლის, ტოლერანტული დამოკიდებულება ხალხის მიმართ მაშინვე გახდა ცნობილი. მან გააუქმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები — დაწყებული მიწის მესაკუთრეობიდან, დამთავრებული მთელი რიგი საგლეხო რეფორმებით.

მიხეილ ვორონცოვის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თავად-აზნაურთა მხრიდან მთავრობისადმი წოდებრივი კუთვნილების შესახებ წაყენებული ულტიმატუმების დადებითად გადაწყვეტა. კერძოდ, იმპერატორთან შეთანხმებით, გადაისინჯა 1831 წლის სენატის მიერ მიღებული შემოწმების ოქმი და დადგენილება, რომელიც ხარვეზებით სავსე აღმოჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკითხის შესწავლა შედარებით იოლი გამოდგა, ვინაიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული იყო მათი სია, ხოლო დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა პრობლემის გადაწყვეტამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სათავადო აზნაურები ცალკე გამოყვეს და ამიერიდან აღირიცხებოდნენ, როგორც დამოუკიდებელი აზნაურები. 1850 წლის დეკემბრიდან იმერეთისა და გურიის თავადებსა და აზნაურებს მიეცათ უფლება, ცალ-ცალკე აერჩიათ წინამძღოლები. ასევე, ქუთაისში დაფუძნდა თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო.

1846 წელს მიხეილ ვორონცოვის დავალებით ჩრდილო ამერიკიდან და ეგვიპტიდან გამოიწერეს ბამბის თესლი და ბამბის წარმოების მანქანები, ხოლო ალბანეთიდან, ყირიმიდან და სმირნიდან — თამბაქოს თესლი.

მიხეილ ვორონცოვის დამსახურებაა ისიც, რომ თბილისთან ახლოს, ნორიოში 1848 წელს შეიქმნა მეცხვარეობის საცდელი ფერმა,

[6] ვ. ნ. ოვანენკო, ამიერკავკასიის სამოქალაქო აქტები, 1901, მოსკოვი, გვ. 249, რუსულ ენაზე.

საიდანაც დაინტერესებულ ოჯახებს თუ ფერმერებს მოსაშენებლად უფასოდ ეძლეოდათ მერინოსის ჯიშის ცხვარი. ამ ფერმამ სულ 7 წელი იარსება, მაგრამ გარკვეული წვლილი ნამდვილად შეიტანა ქართული მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

1850-იანი წლების დასაწყისში თბილისში დაიწყო სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დაედო საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებს და კუსტარულ საწარმოებს.

იმავე წლებში, თბილისში გაიხსნა აბრეშუმის სახაზინო წარმოება, სადაც დაასაქმეს პატიმარი ქალები; მენეჯმენტის არქონა და კვალიფიციური მუშახელის არარსებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ფაბრიკა მალე დაიხურა, თუმცა მან საქართველოსა და კავკასიის მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელი ნამდვილად შეუწყო.

1851 წელს სოფელ დრეში[7] მ. ვორონცოვის ინიციატივით გაიხსნა მაუდის ფაბრიკა. ჩვენ შემოგვრჩა მისი წერილი მისივე მოადგილის რეადისადმი, სადაც ის წერს: „ჩვენ გვაქვს იმედი იმისა, რომ მაუდის ფაბრიკა წარმატებით გაართმევს თავს მოვალეობას და ის უზრუნველყოფს კავკასიის კორპუსის სალდათებისათვის საჭირო და საკმარისი მაუდის დამზადებას. მაუდის ფაბრიკის არსებობისათვის აუცილებელია ნამდვილი და სარწმუნო გასაღება, ე. ი. ის, რომ კომისარიატი საჭირო მაუდს ფაბრიკიდან ყოველთვის ღებულობდეს. ასეთი ღონისძიება მუდამ ხელსაყრელი იქნებოდა თვით კომისარიატებისთვის. მაგრამ რუსეთში სალდათის მაუდის ფაბრიკისათვის დამტკიცებული წესების პირობებში ფინანსთა მინისტრი თვლის, რომ დიდი რაოდენობით აქაური მაუდის მიღება გაძნელდება და ვშიშობ, რომ ეს სასარგებლო საქმე, ესოდენ ხელსაყრელი როგორც ხაზინისათვის, ისე აქაური უზარმაზარი მეცხვარეობისათვის, რომელიც ბაზარს თითქმის ვერ პოულობს, სავსებით შეწყდება“.[8]

1850-იანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა შვეიცარიელი მეწარმე შტიუსე, რომელმაც 1851 წელს თბილისშივე გახსნა ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა. ამის შესახებ ვორონცოვი იმპერატორს სწერდა: „ჩემი დიდი სურვილი იყო, თბილისში გამეხსნა ლითონჩამომსხმელი ქარხანა და შესაბამისად, 1850 წელს ნება დავრთე შესაბამის სამსახურებს, თბილისში მცხოვრებ მექანიკოს შტიუსესთვის მიეზომათ მიწა და მასვე[9] ჩემს განკარგულებაში არსებუ-

[7] იმხანად შედიოდა თბილისის შემადგენლობაში, ახლა კი ეკუთვნის თეთრიწყაროს რაიონის ორბეთის თემს.

[8] **Акти, X**, გვ. 886.

[9] ანუ შტიუსეს.

ლი თანხიდან მივეცი 10 ათასი მანეთი. ამ წარმოების შენობა დასრულებულია და ეს თავდებია სესხისა. უცხოეთიდან გამოწერილია ზუსტი ნაკეთობის მანქანები, ქარხანა მიმდინარე წელს უკვე ამოქმედდა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშაობს ასეთივე თუჯის სამსხმელო ქარხანა, რომელიც ეკუთვნის არტილერიის პოლკოვნიკს ყორღანოვს".[10]

ვორონცოვის მხარდაჭერით 1846 წელს სოფელ ღვარევში ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა ააგეს მინის ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული მინის ტარა გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და, შესაბამისად, მახლობელ ბაზარზე ყველაზე მაღალტექნოლოგიურ პროდუქციად იყო მიჩნეული.

XIX საუკუნის 50-იან წლებში განახლდა ქართული პერიოდული პრესის გამოცემა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ერისთავი. ჟურნალს ეწოდა „ცისკარი", რომელიც გამოდიოდა ყველთვიურად. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, ასევე რუს და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები.

თბილისში გამოსვლა დაიწყო ყოველწლიურმა კალენდარმა, სადაც თავს იყრიდა ყველა სახის მასალა, რაც ენციკლოპედიურ განათლებას აძლევდა დაინტერესებულ საზოგადოებას.

გარდა იმისა, რომ ხიდების, გვირაბების, გადასარბენი ბორნების, ქარხანა-ფაბრიკების მშენებლობა გაჩაღდა, ვორონცოვი ხელიდან არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ თავისი მოღვაწეობა კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხითაც წარემართა.

თუ როგორ აფასებდა ქართულ კულტურასა და, საერთოდ, ქართველ ერს მიხეილ ვორონცოვი, კარგად ჩანს მის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილ ერთ წერილში: „წიგნის ბეჭდვა აქ პირველად დაიწყო მეფე ვახტანგის დროს, ას წელზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ მის დროს წლიურად ორი წიგნი თუ გამოდიოდა, ხოლო მის შემდეგ შეუწყვეტელი შფოთის წყალობით, ქვეყანას რომ გლეჯდა, ერთიც არ დაბეჭდილა და ახლა საეკლესიო წიგნებს აქ მოსკოვიდან ღებულობენ. ეს მაშინ, როცა ლიტერატურის და მხატვრული სიტყვისადმი გემოვნება აქ არასოდეს არ წყდებოდა. ღირსია აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა ევროპის ყველა ქვეყანაში სალაპარაკო ენა იცვლებოდა, აქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძირეულმა ენამ შეინარჩუნდა თავდაპირველობა. განთქმული პოემა „ვეფხისტყაოსანი", დაწერილი 700 წლის წინათ, თამარ მეფის დროს, ახ-

[10] Акти, X, გვ. 887.

ლაც ითვლება ქართული ენის საუკეთესო ნიმუშად. საქართველოში თითქმის ყველამ ზეპირად იცის ეს პოემა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და ახლაც წარჩინებული ქართველი ოჯახებიდან ბევრნი არიან, რომლებიც ეწევიან ლიტერატურულ მუშაობას პროზაში და ლექსში, ორიგინალის თუ თარგმანის სახით. ამგვარი კულტურული მიმართულება საჭირო იყო წამექეზებინა, რათა საზოგადოებაში გავრცელებულიყო ეს კეთილშობილი მისწრაფება ხელოვნებისადმი".[11]

ვორონცოვისეული შეფასება განსაკუთრებით საგულისხმოა დღეს, როცა თვით ქართველთა შორის შეიმჩნევა ტენდენცია ნიჰილისტური დამოკიდებულებისა ჩვენი ერის ისტორიული წარსულისა და კულტურისადმი.

1850 წლის 2(15) იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში სცენისმოყვარეთა ძალებით, გიორგი ერისთავის რეჟისორობით და მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლი „გაყრა". სწორედ ეს თარიღი არის მიჩნეული ქართული თეატრის აღდგენის დღედ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და ნუმიზმატიკური საზოგადოების დაარსებას მართლაც შეუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოების სულიერი და კულტურული დაწინაურებისათვის.

1846 წელს კავკასიის მეფისნაცვლის შიდა ბიბლიოთეკისა და 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გახსნილი „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის" ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა". ბიბლიოთეკის გამართვა და დირექტორობა დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის ინსპექტორს გავრილ ტოკარევს, რომელსაც ასევე დიდი სამსახური გაუწია იმხანად თბილისში მყოფმა ნევშატელის აკადემიის აკადემიკოსმა, შვეიცარიელმა მოგზაურმა, მკვლევარმა და გეოლოგმა მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850).

აქვე აღვნიშნავთ ერთ ფრიად საგულისხმო ამბავს, მიხეილ ვორონცოვმა 1847 წელს თხოვნით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ ორბელიანს,[12] მისი სახსრებით აეგო საჯარო ბიბლიოთეკისთვის შენობა, რაზეც ვახტანგ ორბელიანი მყისვე დათანხმდა. ახლად აგებული შენობა 1851 წელს გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას. ვორონცოვის დავალებით 1850 წელს

[11] Акти, X, გვ. 881.

[12] 1812-1890, ერეკლე II შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი.

ბიბლიოთეკის დირექტორად მოსკოვიდან მოწვეულ იქნა ლუდვიგ დე სან-ტომა, რომელიც მალევე შეცვალა მისმა შვილმა, რადგან ის ავადმყოფობის გამო უკანვე, მოსკოვში დაბრუნდა.

მანამდე კი ვორონცოვი წერდა იმპერატორს: „რუსული დრამატული წარმოდგენების დამოუკიდებლად, 1850 წლის დასაწყისში იყო პირველი ცდა წარმოდგენების დადგმისა ქართულ ენაზე თბილისის საზოგადოების საუკეთესო პირებისაგან. ამ ცდას წილად ხვდა სრული წარმატება, რამაც დაამტკიცა, რომ შეიძლება შეიქმნეს მუდმივი ქართული თეატრი. გამოჩნდნენ არტისტები, ამოღებულია ქართული მწერლობის ბევრი, ადრე დავიწყებას მიცემული, სრულფასოვანი ნაწარმოებები და გადაკეთებულია სცენისათვის. ქართული ლიტერატურა გამოცოცხლდა“.[13]

შური — ეს განსაკუთრებული სენი კაცთა მოდგმისა ყოველთვის მუდმივი თანამდევი იყო და არის დიდთა და კეთილთა საქმეების შემოქმედთა. არც მიხეილ ვორონცოვი და მისი მოღვაწეობა ყოფილა გამონაკლისი.

მაუდის ფაბრიკის დახურვის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერატორის კარზე მომსახურე უსაქმური ჩინოვნიკები იყვნენ, რომლებიც ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრებს აიძულებდნენ ვორონცოვის დაწყებული ყველა საქმე ჩაეგდოთ, რასაც დრეშის მაუდის კომბინატის (ფაბრიკის) დახურვაც ადასტურებს.

„ჩვენ თვალს ვადევნებთ ვორონცოვის მოღვაწეობას და უნდა აღინიშნოს მისი უეჭველი დამსახურება, რომელიც მიუძღვის მხარის[14] განათლების განვითარების საქმეში, თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნაში, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შექმნაში, სტამბების დაარსებაში, გაზეთ „კავკაზისა“ და „კავკაზსკი კალენდრის“ ბეჭდვის დაწყებაში, თბილისში შესანიშნავი თეატრის აშენებაში“.[15]

XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული კრებული იუწყებოდა: „ვორონცოვს თავის სამშობლოსავით უყვარდა ჩვენი მხარე და სიყვარულით და ერთგულებით განაგებდა მას. მისი ზრუნვის თავი[16] მიზანი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა სიკეთე და ბედნიერება. მას კარგად ესმოდა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ადგილობრივი

[13] Акти, X, გვ. 881.

[14] იგულისხმება საქართველო.

[15] Акти, ტ. X, გვ. 8.

[16] მთავარი.

ელემენტი დაეახლოებინა რუსეთისათვის. ეს უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად, ძალდაუტანებლად, კულტურულად. ძალდატანებითი ზომები არამც თუ სარგებლობას არ მოიტანენ, პირიქით, შეუძლიათ ცუდი შედეგებიც მოიტანონო, — მოახსენა მან ერთხელ იმპერატორს. ამიტომ, ვორონცოვმა თავიდანვე მიჰყო ხელი კულტურულ შრომას. ბევრ ახალგაზრდას რუსეთში განათლების მიღების შეძლება მისცა, დააარსა კავკასიაში გიმნაზიები, სახელოსნო და სახალხო სკოლები, ხელს უწყობდა მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას. ამის გარდა იგი ზრუნავდა ხალხის გონებრივ განვითარებაზეც. დააარსა გაზეთები, მშვენიერი საოპერო და დრამატული თეატრები. ერთი სიტყვით, ვორონცოვში ჩვენ ვხედავთ შეგნებულ მსოფლიოში გავლენიან პოლიტიკოსს, რომელიც ხალხის გულს იგებდა არა შიშით და დევნით, არამედ სიყვარულით, თანადგომითა და სერიოზული დახმარებით“.[17]

მიხეილ ვორონცოვი თავის ყოველწლიურ მიმოხილვაში, რომელიც შეეხებოდა სოფლის მეურნეობის, მეწარმეობის თუ ტექნიკურ მიღწევებს, წერდა: „ყველა საგანი (გაკეთებული მხარეში) ავლენს კავკასიის უდიდეს სიმდიდრეს. სხვადასხვანაირობა, რომელიც ამიერკავკასიის ყოფა-ცხოვრებისათვის საერთოდ დამახასიათებელია, ისტორიულობის, ხალხისა და ჰავის მხრივ, ყველაზე მეტად გამოიხატა ამ მხრის ბუნებრივ და სამრეწველო ნაწარმოებებში. თუ საქართველოს მისწრაფება მრეწველობისადმი, ასევე, ხალხის დაინტერესება ძლიერი ეკონომიკური ბერკეტის შესაქმენლად ხელისუფლების მხრიდან იქნება შეუზღუდავი, უფრო განვითარდება ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიკა და ისინი შეძლებენ რუსეთის მომარაგებას ეროვნული პროდუქციით“.[18]

„1845-1850 წლებში თავად ვორონცოვის მიერ განხორციელებულმა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა, ჩვენში სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, ახლანდელი საზოგადოების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საუკეთესო ნიადაგი შექმნეს“,[19] — აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე. მასვე მიაჩნდა, რომ სწორედ XIX საუკუნის შუა პერიოდმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარების სამამულიშვილო საქმეში, რაშიც მიხეილ ვორონცოვის დამსახურება ენით აუწერელია.

ნიკო ნიკოლაძე ასევე მიუთითებს იმ წარმატებებზე, რომელსაც

[17] საქართველოს კალენდარი-1904, ვ. გუნიას რედაქციით. თბ., 1903, გვ. 219.

[18] Акти, X, გვ. 889-890.

[19] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4. თბ., 1964. გვ.

საქართველომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში უმოკლეს დროში მიაღწია. კერძოდ, „1850 წლის მარტის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 2000-მდე ნიმუში. უყურადღებოდ ვტოვებთ რა აქაური მეურნეობის ჩვეულებრივ ნაწარმოებებს, სიმოკლისათვის დავასახელებთ შემდეგ პროდუქტებს: ხორბალი არნაუტკა, ჩინური ბრინჯი, რომელიც მშრალ ადგილებში მოდის, გარეული შვრია, გამხმარი ხილი, კაკალი, ჭარხალი, წიწმატი[20], ადგილობრივი და იტალიური ამოხვევის აბრეშუმი, აბრეშუმის ქულა, აბრეშუმის პარკი, დართული და დაურთავი მატყლი, თივთიკი, ანგორის ჯიშის თხების თივთიკი, ესპანური მატყლი, იონჯა, ხის ჯიშების 37 ნიმუში, ადგილობრივი, თურქული და ჰავანური (ეიდაროვის) თამბაქო, ბაღისა და გარეული ენდრო (საღებავი) — დამუშავებული ადგილობრივი და ფრანგული ხერხებით, ადგილობრივი და ფრანგული დამუშავების ზაფრანა, ადგილობრივი გამოყვანის ინდიგო, ავინიონური მსხალი, ალისარჩული, ბაია, საღებავი ირმისთვალა, თრიმელი, ბროწეულის ქერქი (საღებავისთვის), გარეული ვაშლის ხის ქერქები (საღებავისთვის), სხვადასხვა ხარისხის მთრმილავი ნივთიერებები, ადგილობრივი, ამერიკული და ეგვიპტური თესლებიდან მოყვანილი ბამბის (გრძელბოჭკოვანი) ბამბაზია და სხვა.

თავადმა ვორონცოვმა ეს გამოფენა მოაწყო რამდენიმე თვით ადრე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებამდე. თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა ჩვენი მხარის ყველა სიმდიდრე. მისი მთავარი დევიზი იყო „ყველაფერი ეს შენ მოგეცი, იშრომე და განავითარე“.[21]

სწორედ ამიტომ დაწერა ლევ ტოლსტოიმ თავის მოგონებებში მიხეილ ვორონცოვის პიროვნებაზე: „ბრძენკაცად და გენიალურ ორგანიზატორად არ დაბადებულა, ის ასეთი გახდა თავისი სურვილით; დაჟინებული მონდომებითა და მეცადინეობით იგონებდა მეთოდებს, როგორ აეყვავებინა და განევითარებინა მის მიერ მართული ქვეყანა; დაძაბული გონებრივი შრომის შედეგი იყო თავადის სწრაფვა და ბრძნული გადაწყვეტილებების მიღება“.[22]

ავის მთქმელს რა გამოლევს?

აი, ესენიც: „დაიწყო საქართველოს კულტურული დაპყრობა რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ. ამ „დაპყრობის“ დასაწყისს

[20] მებაღეებსა და მებოსტნეებს არ შეეძლოთ წლის იმ დროში წარმოედგინათ თავიანთი ნახელავი.

[21] ნიკოლაძე, იქვე.

[22] ლ. ტოლსტოი, ავტობიოგრაფიული ტრილოგია, თბ., 1935, გვ. 212.

დაემთხვა კავკასიაში მეფისნაცვლად მ. ს. ვორონცოვის დანიშვნა (1844-1854), რომლის პირფერობა და ლოიალობა კარგად ნიღბავდა მის ნამდვილ განზრახვებს, საქართველოსა და მთელი კავკასიის რუსიფიკაციის საქმეში“.[23]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, აწ განსვენებული პროფესორი გ. თავზიშვილი ვორონცოვის მოღვაწეობას მიიჩნევდა საქართველოს გარუსებისკენ სწრაფვად, თუმცა ამავდროულად იმასაც აღიარებდა, როგორ აღაშენა და განამშვენა მეფისნაცვალმა მთელი საქართველო. იგი აცხადებს: „ვორონცოვის ყველა ამ ღონისძიებას ობიექტურად არ შეეძლო სარგებლობა არ მოეტანა ხალხისათვის, თუმცა სუბიექტურად ის მათ ატარებდა როგორც უფრო მოხერხებულ საშუალებებს ნაციონალური განვითარების გზიდან ქართველი საზოგადოების აცდენისა და რუსებთან მისი უმტკივნეულო ასიმილაციის მიზნით“.[24] იქვე მოყვანილი აქვს ციტატა რუსი ისტორიკოსის ივანენკოს წერილიდან, რომელსაც მისი აბსურდულობიდან გამომდინარე აქ ნამდვილად არ გავიმეორებთ.

თავზიშვილი ყველა გზით ცდილობს ვორონცოვის ავტორიტეტი დაბლა დასცეს: „მეფისნაცვალი ვორონცოვი, როგორც ამ მოძრაობის[25] აგენტი, მრავალნაირად აჩქარებდა თავადაზნაურული ყოფა-ცხოვრების ლიკვიდაციის პროცესს. ხედავდა რა ვორონცოვი ქართველ თავადაზნაურობაში მეფის ხელისუფლების საიმედო დასაყრდენს, ყოველგვარად უწყობდა ხელს მის შეზრდას რუსულ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ახალ სისტემასთან“.[26]

ვახტანგ კოტეტიშვილიც (1893-1937) ტენდენციურად აფასებდა ვორონცოვის პიროვნებას: „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ. ვორონცოვს მხოლოდ ის „დამსახურება“ მიუძღვის, რომ მან გამოიჩინა დიპლომატიური უნარი და მოქნილობა, რის საშუალებითაც თავისი პოლიტიკის ბადეში მოაქცია ქართველი არისტოკრატიის დიდი ნაწილი. ვორონცოვს საქართველოს სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია“;[27] „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად,

[23] გიორგი თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, წიგნი I, თბ., 1974, გვ. 165.

[24] იქვე.

[25] საუბარია რუსეთთან საქართველოს ასიმილაციაზე.

[26] თავზიშვილი, იქვე.

[27] ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, წ. I., თბ., 1965, გვ. 171.

რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ... ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას,კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა და თუ ზოგჯერ ქართულ საქმეს გადმოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა. იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით ხდებოდა ეროვნული დეგრადაცია“.[28]

მაგრამ რა ვუყოთ ფაქტებს? რა ვუყოთ იმ სახელოვან ქართველთა გამონათქვამებს, რომლითაც ისინი ვორონცოვის მოღვაწეობას აფასებდნენ?

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913 წწ.) ბრძანებს: „ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინედ, არც შემდეგში, მის მსგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ვორონცოვის ხანამდე მხოლოდ პირველ ნაწილს ამ პოლიტიკური ფორმულისას მიეცა რეალური ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილი კი ოცნება იყო და განუხორციელებელი წადილი. ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ, — ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხდილი წადილი ბრჭყვიალა ფერადებით შეიმოსა“.[29]

ასეთივე შეფასებას იძლევა მელანია ბადრიძე-მამაცაშვილიც, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და რომლის სახელი თითქმის დავიწყებულია. ის წერს: „დიდი ხანია არ ვყოფილვარ საქართველოს დედა-ქალაქში, და როცა დავბრუნდი, ვეღარ ვიცანი. ჩემს აქ არ ყოფნაში, ჩვენი აზიური ქალაქის ცვლილება ჩემთვის აუწერლად გასაოცარი იყო... მივხვდი, რომ მოვესწარი საქართველოს განათლების საუკუნეს, რომ მაშასადამე ამაოდ არ მიმეცადინია, რაც შემეძლო ჩემს ცოდნას რომ შევსწირე ძალა, რომ ეხლა არავინ გამკიცხავს, რომ ეხლა თვით ჩვენი ქალ-ვაჟები გამოდიან თეატრის სცენაზე და თამაშობენ პიესებს და როგორს? — **ქართულს!..**

[28] იქვე, 172.

[29] არჩილ ჯორჯაძე, ძველი და ახალი, თბ., 1906, გვ. 78.

არა მჯეროდა რომ ტფილისში ვიყავი, ან უკეთ რომ ვსთქვა, რომ ტფილისში, ჩემს თანამემულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კიდევ გავცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს ახალი წვიმა დამეპკურა, თითქოს გადამერეცხა ჩემს ძვლებიდან მთელი ძველი აზიური ჟანგი... მადლობა ღმერთს და ქება მთავრობისგან მიღებულს ჩემი ძვირფასი სამშობლოსადმი“.[30]

არ არსებობს ეროვნული მნიშვნელობის არც ერთი სფერო კულტურისა და მეცნიერებისა, რომლის განვითარებაში ვორონცოვს თავისი წვლილი არ შეეტანოს. როდესაც ავადმყოფობის გამო მიხეილ ვორონცოვი, იმპერატორთან შეთანხმებით, სამშობლოში დაბრუნდა (მას შემდეგ საქართველოში აღარც დაბრუნებულა), თავის მოადგილეს და მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ რეადს მისცა მითითება, რომ არ უნდა შეჩერებულიყო ის პროცესები, რომელიც დაიწყო მეფისნაცვალმა და მათ შორის ჩამოთვლილია: ზრუნვა განათლებაზე, კულტურაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე.

ალექსანდრე დიუმა თავის ცნობილ რომანში „კავკასია“ ასე ახასიათებს ვორონცოვს: „ჯარისკაცები, რომლებიც ვორონცოვს პორტო-ფრანკოს ეძახდნენ მისი ლიბერალური და პროგრესული იდეებისათვის, ენთუზიაზმით იმსჭვალებოდნენ მისადმი, როცა ამ კეთილშობილ მხცოვანს მუდამ მშვიდს, თანაბარს, ალერსიანს, ყოველივე გაჭირვების გადამტანს, ხიფათში მუდამ აუღელვებელს და მოცინარს ხედავდნენ“.[31]

არის კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომლის ართქმა დანაშაული იქნება, კერძოდ, ამიერკავკასიის შემოსავალი 1845 წლისთვის (ვორონცოვი ახალი ჩამოსული იყო) შეადგენდა – 1 649 151 მანეთს, 1849 წლისთვის – 2 000 000 მანეთი, ხოლო 1851 წლის მონაცემებით – 6 226 492 მანეთი იყო. თავისთავად ცხადია, ასეთი ეკონომიკური ზრდა დაეტყო მოსახლეობის ზრდასაც. **თუ 1835 წელს თბილისის მოსახლეობა იყო 25 000, 1847 წლის აღწერით შეადგენდა 43 862 სულს.**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ: „1835-1845 წლებში[32] რუსეთის იმპერიის მეფისნაცვალი კავკასიაში იყო მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც გარდაბნის მტკვრის ჭალების სანადირო პოტენციალი დადებითად შეაფასა და აქ ააშენა თავისი სანადირო სასახლე“.[33]

[30] გაზ. ტრიბუნა, 1921, № 115.

[31] ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1964, გვ. 366.

[32] წლები მითითებულია შეცდომით.

[33] ამჟამინდელი არქივის და მერიის შენობები.

აკად. გურამ შარაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „მიუხედავად დიდი სამხედრო ნიჭისა და გამოცდილებისა, მ. ვორონცოვი მაინც არ იყო კავკასიის ასათვისებლად რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების მომხრე: კავკასიაში ვორონცოვმა დიდი სახელი უფრო მშვიდობიანი სამოქალაქო მოღვაწეობით დატოვა! მან მოახერხა კავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველების სიმპათიის მოპოვება რუსეთთან კულტურული შეერთების პროპაგანდით“.[34]

მიხეილ ვორონცოვის პიროვნების შესახებ ყველაზე მეტი ნაშრომი აკაკი წერეთელმა დაგვიტოვა.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი არ იყო ვორონცოვის არც თანამედროვე და არც პოლიტიკური მოღვაწე, მან ყველაზე ნათლად დაინახა მეფისნაცვლის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. „ძმობისა და მეგობრობის დამნერგავი“, „ქართველი ხალხის მამაშვილურად მოყვარული“, „ცით მოვლენილი ზე-კაცი“ და სხვ. ეს ეპითეტები აკაკის შემოქმედებაში მიხეილ ვორონცოვის მისამართითაა ნათქვამი.

პოემაში „ვორონცოვი“ აკაკი წერეთელი წარმოგვიდგენს ძმების, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის და დიმიტრი ყიფიანის სახეებს, რომლებიც ბჭობენ საქართველოს მომავალზე. ერთი ეპიზოდი დიმიტრი ყიფიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დიალოგს ეთმობა:

(დიმიტრი)
„შენც კი მატყობ, მგონია,
რომ ვარ გახარებული?
დღემდი ჩვეულს ტანჯვისას,
სხვა გვარად მიგრძნობს გული.
გავიცანი ახალი
მე მთავარმართებელი
მისგან ჩვენი ქვეყნისთვის
ბევრ კეთილს გამოველი“.

პოეტს არ ავიწყდება ვორონცოვის მოღვაწეობის ადრეული წლებიც:

„ეს ის ვორონცოვია
ოდესას რომ მართავდა;
ვის ხელშიაც ზღვის პირი
გახრეკილი აჰყავდა.
ჩვენში ადრეც ყოფილა
და უყვარს საქართველო,

[34] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თბ., 1991, გვ. 76.

მაშინ ყვავილოვანი
დღეს კი დამჭკნარი მდელო!“

დიდი იმედით შეჰყურებს დიმიტრი ყიფიანი უკვე მხცით შემოსილი ვორონცოვის საქართველოში ჩამოსვლას.

„მჯერა, რომ საქართველოს,
ასე დასნეულებულს
ნელა-ნელა განკურნავს
და მოუბრუნებს ის გულს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი პასუხობს:

„თუ მართლა შეიყვარა
საბრალო ქართველობა,
და თანც გამოიჩინა
ჩვეულებრივ ქველობა.
მეტიც არა უნდა რა...
მოიგებს ქართველის გულს
და აქ საშვილიშვილოთ
ჩაჰნერგავს წრფელ სიყვარულს“.

დიახ, არ შემცდარა აკაკი, როცა ამ სიტყვებს წერდა, ვორონცოვმა საქართველოს ახალ ისტორიაში თავისი სათქმელი ისე თქვა, რომ მისი წაშლა გამორიცხულია.

მე-19 საუკუნის შუა ხანებში საქართველო, ვორონცოვის თვალით დანახული, ასე წარმოგვიდგინა:

(ვორონცოვი, მარტო დაფიქრებული დადის)
„მე რომ მინახავს, ის აღარ არის!
რამ გამოცვალა ასე ქართველი?
სადღაა მისი ამაყი სახე,
შეუპოვრობის გამომხატველი?
ძალ-დატანებით შეშინებულსა,
თითქოს, დასმია რაღაც ბეჭედი,
გმირი ქცეულა ნაცარქექიად
და მოუხრია მონურად ქედი“.

რა თქმა უნდა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ნამდვილად ჰქონდა თავისი ჩრდილოვანი მხარეები, რასაც არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაეჩნია ქართველი ერის ყოფისათვის, მაგრამ მეფე ერეკლეს ბრძნულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ მთავარი შედეგი მოიტანა: ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა, რაც ძირითადად სარწმუნოების ერთიანობით იყო განპირობებული.

დიმიტრი ყიფიანისა და მიხეილ ვორონცოვის დიალოგი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, რადგან ურთიერთპატივისცემითაა გამსჭვალული და მიზნად არა საკუთარ აზრთა უპირატესობის დამტკიცებას, არამედ ჭეშმარიტებამდე მისვლასა და სწორი დასკვნების გამოტანას ისახავს:

(დიმიტრი)
„ვამბობდით: ძმურად გამოგვაშუშებს,
რომ აღგვადგინოს უფრო ძლიერად
და მასთან ერთად ჩვენც შევებრძოლოთ
საქრისტიანოს მტერს ღონიერად.
„ძალა აღმართს ხნავს“ ნათქვამი არის,
არ აგვისრულდა ის, რაც გვეგონა
აგვხადეთ მძინარს ყოველიფერი
და შევიქმენით მორჩილი მონა“.
(ვორონცოვი)
„სცდები! რუსეთმა თქვენს დასაპყრობად
როდის იხმარა მახვილით ძალა?
თქვენ თხოულობდით, ხომ, დახმარებას?
და თქვენი თხოვნა მან შეიწყალა!“.

ვორონცოვის პასუხში არა დაყვედრების სულისკვეთება, არამედ მოყვასისადმი ქრისტიანის გულწრფელი სიყვარული ჩანს:

„აბა, მეც გეტყვი, როგორც მამა შვილს,
გაგიზიარებ ყველა ჩემს ზრახვებს,
თუ ქართველები მომეშველებით
და შენც გადასცემ ამ ჩემ სურვილს სხვებს:
მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად
ისე, როგორიც ყოფილა ძველად,
მისი წარსული მომავლისათვის
ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად.
არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას,
არც მისს სიწმინდეს, მის დედა-ენას,
რომ არ უშლიდეს მომავლისათვის
სწორსა მსვლელობას და აღმა-ფრენას!“

რაც მთავარია, ეს არ ყოფილა ცარიელი სიტყვები, ვორონცოვმა სიყვარული იმპერიისათვის თავშეფარებული მცირერიცხოვანი ერისა, რომელიც რწმენისა და მამულის დაცვისათვის ყოველდღიურმა თავგანწირულმა ბრძოლამ სრული მოსპობის საფრთხის წი-

ნაშე დააყენა, თავისი მოღვაწეობით დაადასტურა.

დიმიტრი ყიფიანი გულწრფელად ლოცავს:

„კურთხეულ იყოს თქვენი განზრახვა
და მობრძანება მთავარ-მართებლად!
თქვენთვის თავს დადებს მთლად საქართველო
და გაუხდებით სადიდებელად!“

მართალია, ეს პოემა მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა და ამ მხრივ დიდად ჩამორჩება აკაკის სხვა სახელგანთქმულ პოემებს, მაგრამ იგი ყურადსაღებია და დიდად საგულისხმო იმ ობიექტურობის გამო, რომელსაც აკაკი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენის ანალიზისას იჩენს. აკაკი წერეთელი მიხეილ ვორონცოვისადმი გულწრფელი პატივისცემით გამსჭვალული ნახევარი საუკუნის შემდეგ ასე მიმართავს მის ქანდაკებას, რომელიც თბილისში მისივე სახელობის მოედანზე იდგა:

„ეგ შენი სახე, სხივმომფინარე,
ხიდის წინა სდგას გაბრწყინვებული
და გადაჰყურებს მტკვარს ქუდ-მოხდილი
მოწყენილი და დაფიქრებული.
შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებზე
ჩამონაყოლი, ცით ჩამოსული,
მარად სახსოვარ-დაუვიწყარი
დიდ-ვორონცოვის უკვდავი სული?
თავს მიქნევ? ის ხარ? მაშ ნება მომეც,
დავემხო მის წინ და ვსცე თაყვანი
იმას, რომელსაც შეთვისებია
ჩემი გულის თქმა, ჩემი ზრახვანი“.

გამოღვიძებული და კმაყოფილი აკაკი თავის პოემას ასრულებს იმედიანად და დიდი რწმენით:

„ეს რა მეზმანა? ცხადივით ვნახე,
რომ ვორონცოვი გამომეცხადა
და დღევანდელი შავი პირ-ბადე,
ვით მოციქულმა მაღლით ამხადა.
თან „სამი სიტყვა“ გადმომცა მცნებად
და ამიღელვა მძინარეს გული!
ჩვენს ქვეყნებს შორის უნდა დამყარდეს
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

1900 წელს აკაკიმ კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი უძღვნა ვო-

რონცოვს. ეს ლექსი მან წაიკითხა მიხეილ ვორონცოვის ძეგლთან:

„გონება ნათელს, გრძნობა ბრწყინვალეს,
უნდა შევსჩივლო მოხუც ვორონცოვს,
რომ როგორც მის დროს ჩემს სამშობლოში,
„მგელი და კრავი ერთად ვერა სძოვს“.
რაც მის დროს იყო წაღმა დახნული,
დღეს უგნურება უკუღმა ჰფარცხავს,
და შუამდგომლად აწ საქართველოს,
როგორც მოსარჩლე, აღარავინ ჰყავს...
კურთხეულ იყოს საქართველოში
შენი სახელი, შენი ხსენება!
და მათ ვინც შენს გზას გადაუხვია,
რისხვა ქრისტესი და შეჩვენება“. [35]

ჩემი აზრით, აკაკის ამ ლექსს აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც პოემა და არც ეს ლექსი 1940-იანი წლების შემდეგ აღარ შეუტანიათ აკაკის ტომებში.

აქვე მოვიტანთ ვრცელ ციტატას ცნობილი რუსი მოგზაურისა და მეცნიერის, კორნელი ბოროზდინის (1828-1896 წწ.) წიგნიდან „სამეგრელო და სვანეთი 1854-1861“: „ვორონცოვის პროგრამა სადა და მარტივი იყო, იგი უდიდეს სტრატეგიულ მუშაობას აწარმოებდა, ეს მუშაობა უდიდესი იყო როგორც განზრახვით, ისე თავისი წვრილმანებითაც. ამავე დროს, აწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობას კავკასიის ყველა ნაწილების მართვა-გამგეობის საქმეში; თანაც, ვორონცოვი არ ივიწყებს მესამენაირ, მეტად მნიშვნელოვან მუშაობას — პირადი გავლენა ჰქონდა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების შინაურ მხარეზე და აქაც მისი ნიჭი სავსებით იყო ხოლმე გაშლილი. ამ მხარეში წარმოების დარგი არ იყო ისეთი, რომლისათვის ვორონცოვს თავისი გამჭრიახი თვალით არ შეეხედნა და სადაც თავისი პირადი მონაწილეობით არ აემოძრავებინა, არ წაეხალისებინა ადგილობრივი მკვიდრნი. მისი ხასიათის ასეთი თვისებების წყალობით დიდძალი ნაცნობობა გაიჩინა მკვიდრთა შორის, მერე პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ იმახსოვრებდა ყველას სახესა და სახელს, და ეს ხომ მეტად ხელს უწყობდა მის ნაყოფიერ მოღვაწეობას. როცა მხარის მოსანახულებლად მიდიოდა, ყველგან ისე ჰგრძნობდა თავს, თითქოს შინაურიაო: ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა კერძო, პირადი ურთიერთობა ადგილობრივ მკვიდრებთან. ერთ-ერთისათვის რაღაც თესლი მიეცა. ისიც ისწრაფვოდა მისთვის ეთქვა — მშვენივრად იხარაო. მეორესთვის ნამყენი მიეცა ხილისა და კარგი ხილი რომ დაუკრეფია, მასთან საჩვენებლად მიჰქონდა“... „მხარის დავლის დროს მასთან მიდიოდნენ ომში მოკლულთა ობლები, ქვრივები და ყველანი, ვისაც კი მართლაც უჭირდათ. განუკითხავნი არა რჩებოდნენ, ხელცარიელს არავის გაუშვებდა. რომელსამე მის პირად ადიუტანტს ყოველთვის თან ჰქონდა პარკით ჩერვონცები, რომელიც ვორონცოვის ბრძანებით დაუყოვნელივ ურიგდებოდათ ხოლმე, როგორც შესაწირავი გაჭირვებულთ“... „თვით ტფილისში ვორონცოვი პირდაპირ სული და გული იყო ამ ქალაქისა. ყოველდღე დილით სასეირნოდ გამოდიოდა, უკან მოდიოდა ყაზახ-რუსი, რომელსაც მისი ქოლგა და კალოშები მოჰქონდა. და ამ სეირნობის დროსაც კი რასმე სასარგებლოს აკეთებდა... აქ ხურო მიხაკო აუხსნიდა, რა გააკეთეს გუშინ დილიდან, იქ ივანიკა კალატოზი უჩვენებდა, თუ რამდენზე ამოიყვანა აგურით კედელი სპარსელი მუშების დახმარებით...

ასეთის გულისამაჩვილებელის სისადავისა იყო ვორონცოვი, მაგრამ აზრადაც კი არავის მოუვიდოდა, მას შესაფერისი პატივით არ მოპყრობოდნენ“.[36]

აქვე ვიტყვით, რომ თურმე თბილისში ვორონცოვის ორი ძეგლი მდგარა. გთავაზობთ ერთ პატარა ამონარიდს საგაზეთო წერილიდან: „ვორონცოვის ერთი ძეგლი სრულიად შემთხვევით, 1957 წლის ზამთარში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარდაფში მუშაობის დროს ნახა მეცეცხლურმა მიშა თაბორიძემ. ეს ბრინჯაოს ძეგლი მიხეილ ვორონცოვისა რომ იყო, მაშინვე დაადასტურეს ქალბატონმა ქრისტინე შარაშიძემ და მხატვარმა გიორგი ერისთავმა. ამის შემდეგ რა ბედი ეწია მიხეილ ვორონცოვის ძეგლს, არ ვიცით.

მიხეილ ვორონცოვის უფრო მცირე ზომის ძეგლი, იტალიური კერარის მარმარილოსგან არის გამოქანდაკებული. ის ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

პროფესორი გურამ ჩხაიძე განმარტავს: „მიხეილ ვორონცოვის მარმარილოს ქანდაკება, რომელიც ახლა ჩვენს მუზეუმში ინახება, თავის დროზე ვიღაც თბილისელ სომეხ სოვდაგარს დაუმზადებინებია. მეფისნაცვლის დიდი პატივისცემის ნიშნად ეს ძეგლი თავიდანვე მეფისნაცვლის სასახლის ბაღში დაუდგამთ. საქართ-

[35] აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1935, გვ 341.

[36] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებანი, თარგმნა თედო სახოკიამ, თბ., 1935, გვ. 199-200.

ველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მიხეილ ვორონცოვის ძეგლები ადგილიდან აიღეს, მაგრამ, როგორც ჩანს, პიროვნება, ვისაც ძეგლების აღება დაავალეს, განათლებული და კულტურული პიროვნება ყოფილა და ვორონცოვიც სცოდნია, თუ არა ისე ეს ძეგლები ჩვენამდე ვერ მოაღწევდა".[37]

მიხეილ ვორონცოვის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალი იყო ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1875, მეფისნაცვლად 1856-1862 წლებში), რომელსაც მიმართეს ქართველმა თავად-აზნაურებმა და მოითხოვეს თბილისში ვორონცოვის ძეგლის დადგმა. შეგროვდა ხელმოწერები, შეგროვდა თანხა 36104 რუბლი და ძეგლის დამზადება დაუკვეთეს სამხატვრო აკადემიის პროფესორს პიმენოვას, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ ვერ დაასრულა სამუშაოები. ძეგლი დაასრულა მხატვარმა კრეიგანმა.

ძეგლი ჩამოისხა პეტერბურგში, ჩამოიტანეს თბილისში და 1866 წლის 25 მარტს დაიდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე. კურთხევასა და გახსნას ესწრებოდა კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

კიდევ ბევრის თქმა შეგვიძლია მიხეილ ვორონცოვის ღვაწლის, შრომის, გამბედაობის და გმირობის შესახებ, მაგრამ ჩვენს სტატიაში აუცილებლად უნდა შევიტანოთ რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I მიწერილი დეკლარაციის შესავალი, რომელიც მთელი საქართველოს სახელით შეადგინა დიმიტრი ყიფიანმა (წმიდა დიმიტრი საშობლოსათვის თავდადებულმა) და რომელიც სავსებით ამომწურავ პასუხს გასცემს ყველა დაინტერესებულ თუ პოლიტიკურად აჟიტირებულ მკითხველს, რატომ შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება მიხეილ ვორონცოვის პიროვნებაზე, რატომ გაგვახსენდა საქართველოსა და თბილისის აღმშენებელი და რა როლი მიუძღვის მას ქართველი და რუსი ერების მეგობრობის საქმეში.

„ჩვენ, ქართველები, ძველი ქრისტიანული ხალხის მცირე ნაწილი[38], გარშემორტყმული ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებით, დიდხანს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ვიბრძოდით მათთან ჩვენ საზღვრებზე და მხოლოდ.... ამ საუკუნის დასაწყისში მოვისვენეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ. თუ ჩვენ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნეობისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს

[37] დ. ცინცაძე, თბილისში მიხეილ ვორონცოვის ორი ძეგლი იდგა, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, თბ., 2006 წლის 23 ივნისი, გვ. 11.

[38] გულისხმობს ქრისტიან ერებს.

სამეფოს უკეთეს ხანის დროიდანვე; თუ ჩვენ არ ვუღალატეთ მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ამით მოვალენი ვართ რუსეთის თვითმპყრობელობისა და ერთმთავრობისა. რასაკვირველია, თვითმპყრობელობა ერთადერთი დასაწყისია, საიდანაც ყოველთვის წარმოდგებოდა ჩვენი საერთოცა და კერძო კეთილდღეობა. ახლა ჩვენ შიგნით სავსებით მშვიდობიანად ვგრძნობთ თავს, ჩვენ შინაურ საქმეებს დამშვიდებით ვასრულებთ, ვებრძვით მტრებს არა ჩვენს სახლში, არამედ მათ სახლში. ჩვენს შვილებს ვზრდით ისე, რომ არაფრის გვეშინია და შევხარით მათ მომავალს; ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ განიცდის. ვინ მიგვიყვანა ჩვენ ამ მდგომარეობამდე? თვითმპყრობელობამ და ერთმთავრობამ **საქრისტიანო მსოფლიოს ერთადერთმა მართლმადიდებელმა და დიდმა მონარქიამ....** ჩვენი სიკეთე ხელმწიფის გულშია.... გვინდა მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინა მყუდროების გამო, რომლითაც ვსტკბებით მის ზეცით ნაკურთხ თვითმპყრობელოვან მონარქიულ ხელისუფლების ქვეშ. გვინდა, რომ მოხსენდეს მის იმპერატორობით უდიდებულესობას, ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშნულ გრძნობათა მიხედვით მოგვეთხოვოს სამსახური უცხოეთშიც, თუნდაც სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, როგორც იყო, ჩვენი მეფეები მოგვთხოვდნენ ჩვენ სამსახურში ქუდზე კაცს საერთო საფრთხის დროს, თუ კი უწესრიგობანი, რომელიც ამჟამად ევროპას აღელვებს, დაემუქრებიან კეთილდღეობას სახელმწიფოსას, რომლის საზღვრებში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს, თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხი მეფეების გადაწყვეტილებისა".[39]

დაბოლოს, მინდა მივმართო იმ ადამიანებს, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხის გადაწყვეტა, რომ ქართველი ერის მადლიერების გამოხატულება იქნება, თუ თბილისში გამორჩეულ ადგილზე დაიდგმება საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში შენახული მიხეილ ვორონცოვის ძეგლი, ნიშნად ამ დიდებული ადამიანის პატივისცემისა.

[39] **Акти, X,** დოკუმენტი № 29.



ბონდო არველაძე

სომხური ფალსიფიკაციის მხილება გრძელდება

გამოვიდა მეორე ტომი — „ფალსიფიკაციის დამანგრეველნი“ (2014, ბაქო, რუს. ენაზე). წინასიტყვაობის ავტორი და შემდგენელი გახლავთ აკად. ფუად ახუნდოვი. მასში შესულია ამერიკის, აზიის, ავსტრალიისა და საბჭოთა კავშირის შემდეგ ჩამოყალიბებული ქვეყნების მეცნიერთა და პოლიტოლოგთა სტატიები და თეზისები, რომლებშიც მხილებულია სომეხ მეცნიერთა მიერ ათეული წლების განმავლობაში გაყალბებული ისტორიისა და კულტურის უამრავი ფაქტი.

ერევნის სახანოს შექმნით დავიწყოთ. ეს სახანო ჩამოაყალიბა შაჰის დიდმა ვეზირმა რევანგულ ხანმა და აქ ააშენა ციხე-სიმაგრე (1511). ამ დროს და შემდგომ საუკუნეებში ერევანი მუსლიმთა მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო. მას მართავდნენ ხანები, რომელთა შორის რამდენიმე გამაჰმადიანებული ქართველიც იყო. XVIII ს-ში ერევანის სახანო და მისი მმართველი ხანი ერეკლე II-ის ვასალია.

რუსეთის მიერ ერევნის ციხე-სიმაგრის აღებამდე ეს ქალაქი მუსულმანური იყო. ციხე-სიმაგრის აღების ისტორიული მომენტი შემოგვინახა რუსმა მხატვარმა, ბატალისტმა ფრანც რუბომ — „ერევნის ციხე-სიმაგრის გადაცემა 1827 წლის 1 ოქტომბერს“. სურათში ჩანს მუსულმანური მეჩეთები და რელიგიური ნაგებობანი. დღეს ისინი აღგვილია პირისაგან მიწისა. ეს რა გასაკვირია, ერევანში იყო ლაშა-გიორგის დროინდელი ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, ისეა წაშლილი, კვალიც ვერ მივაგენი.

ისტორიას მივყვეთ. საუკუნეების განმავლობაში სომხები ალბანურ ეკლესიებსა და ისტორიულ ძეგლებზე ფხეკდნენ ალბანურ ეპიგრაფიკას და მათზე სომხურ წარწერას აკეთებდნენ. მათ ახლა სომხურად აცხადებენ. ჩვენ დროში ასეთ ფალსიფიკაციას ეწევიან

აფსუა სეპარატისტები. ისინი უძველეს ქართულ ტაძრებსა და ისტორიულ ძეგლებზე ქართულ ეპიგრაფიკას ანადგურებენ და არარსებულ აფხაზურ ძეგლებად აცხადებენ.

როგორც ჩანს, სეპარატისტებს ერთნაირი ხელწერა აქვთ!

ერთ-ერთი ტიპური მაგალითი: სომეხი ექსტრემისტები ყოველნაირად ცდილობენ ხალხის მეხსიერებიდან ამოშალონ ისტორიული ფაქტი — ყარაბაღში 1978 წელს აღმართეს ობელისკი „მარაღა — 150“. ეს გაკეთდა სპარსეთიდან ყარაბაღში სომხების შემოსახლების (1828) ხსოვნის აღსანიშნავად. სომეხმა სეპარატისტებმა 1988 წელს ეს ობელისკი გაანადგურეს იმიტომ, რომ თავი წარმოაჩინონ ყარაბაღის აბორიგენებად და არა გვიან მოსულებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ სომეხი მეცნიერები მათთვის არასასურველი ისტორიული ძეგლების ფალსიფიკაციასა და განადგურებას არ სჯერდებოდნენ და სისტემატურად ეწეოდნენ და ეწევიან ისტორიული წერილობითი წყაროებისა და დოკუმენტების ფალსიკაცია-გაყალბებას. შორეულ ისტორიულ წარსულში როგორ ცუღლუტობდნენ, ამის საუკეთესო მაგალითია ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი (დადგენილი არ არის V-VII, VIII თუ IX ს-ში ცხოვრობდა). აი, რას წერს ისტორიკოსი გ. ჭეიშვილი: „მოვსეს ხორენაცი კოსმოკრატიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. „სომეხთა ჰეროდოტემ“ ირანის ისტორია მოხერხებულად მოარგო მშობელი ქვეყნის წარსულს და აქემენიდების და სასანიდების სამხედრო გამარჯვებები ჰაიკიდებსა და არშაკუნიანებს მიაწერა. თხრობაც ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და შექმნა მწყობრი კონცეფცია, რომელიც აზიური სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე „სამყაროს მბრძანებელი“ ჰაოსიანების უფლებებს ასაბუთებდა“.[1] მაგრამ „დიდი სომხეთი“ დიდხანს არარსებულა, რადგან რომაელებმა დაიპყრეს და დაიმონეს. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ არტაშესიდების სამეფო დინასტიამ უარი თქვა „მეფეთა მეფის“ ტიტულზე. ამავე დროს მათ გამოუჩნდა მეტოქე კავკასიაში იბერთა „დიდი მეფეების“ სახით. ასე რომ, დაბეჩავებული არმენია წარსულის დიდებით სულდგმულობდა. შელახულმა პოლიტიკურმა თავმოყვარეობამ გააძლიერა ნოსტალგია წარსული დიდებისადმი. პართული დინასტიის დამკვიდრებამ ე. წ. დიდი არმენიის ტახტზე, გარდასულ დღეებზე მოგონებები ირანული კოსმოკრატიული კონცეფციით გააჯერა და კიდევ უფრო შეასხა

[1] იხ. კრებ. „სამეცნიერო პარადიგმები“, თბ., 2009, გვ. 282.

ფრთები არმენიელთა ტერიტორიულ პრეტენზიებს.[2]

სომეხ ხალხში ასე ჩამოყალიბდა და განვითარდა „ავადმყოფური ისტორიზმი“ (ი. სტალინი), რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ძველ სომეხ ისტორიკოსებს. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, ეს „სენი“ პირველად მკვეთრად ჩანს მოვსეს ხორენაცის ისტორიაში. სომხური შედარებითი ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, მხითარისტი ანტონ გარაგაშიანი (1818-1903), რომელიც არის ავტორი „სომეხი ხალხის კრიტიკული ისტორიისა“, წერდა: „არ არსებობს ისტორიული წყარო, ან ზეპირი ტრადიცია ისტორიაში სომეხთა წინაპრის (ჰაიკის შესახებ)... მოვსეს ხორენაცამდე ვერავინ და ვერასდროს ვერ იპოვა ცნობა, რომ „ჰაიკი“, „ჰაიკა“ ან „ჰაიკაზუნი“ იყო სომეხთა ეთნარქი... აგრეთვე, არავის არ დაუმტკიცებია, რომ ტიგრანი, არტაშესი, არფტავაზდი და სხვანი იყვნენ სომხები“ (გვ. 21).

მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი გრიგორ ხალათიანცი (1858-1912), 1896 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სომხური ეპოსი მოვსეს ხორენაცის ისტორიაში“, მართებულად აღნიშნავდა: „რაც შეეხება ლეგენდას ჰაიკიდან სომეხი ხალხის წარმომავლობის ან ჰაიკის ქვეყანას, რომელზეც ლაპარაკობს მოვსეს ხორენაცი მისი პირველი წიგნის 11 თავში, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, იგი შექმნილია ხელოვნურად და თვითნებურად, მოვსეს ხორენაცამდე, და მის წყარომდე — ანონიმამდე არცერთი სომეხი მწერალი არ იცნობს ჰაიკს, როგორც სომეხთა ეთნარქს. ასევე უცნობია როგორ ჩამოყალიბდა ამ გმირის სახელისგან ზედსართავი ჰაიკური, ჰაიკიდი, ჰაიკაზუნი. იგი არ არის მოხსენიებული ანონიმთან. მოიხსენება მხოლოდ IX ს-ის ბოლოდან, ე. ი. მოვსეს ხორენაცის შემდეგ. მოვსეს ხორენაცმა გაავრცელა იგი“ (გვ. 33).

ამ წიგნში („ფალსიფიკაციის დამანგრეველნი“, ტ. II) უხვად არის მოტანილი სომეხი სწავლულების მიერ ისტორიის გაყალბების ნიმუშები. თუმცა, როგორც ვნახეთ, სომეხთა შორისაც იყვნენ მეცნიერები, რომელნიც მეცნიერულ სიმართლეს საკუთარ ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. მათგან კიდევ შეიძლება დავასახელოთ სწავლული და გამომცემელი გაგიკ ოზანიანი. იგი წერდა: „მოვსეს ხორენაცი ეყრდნობა ევსები კესარიელის ეკლესიის ისტორიას, რომლის ორგინალი თვალით არ უნახავს და მოაქვს ამონარიდი... მოვსეს ხორენაცი არ არის V ს-ის ისტორიკოსი, იგი თვითმარქვიაა, რომელიც შესაძლოა ცხოვრობდა VII ს-ში, მისი თხზულება მითების

[2] გ. ჭეიშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 283.

და ხალხური ზღაპრების კრებულს წარმოადგენს. მას არავითარი ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია“ (გვ. 29).

რუმინელი ისტორიკოსი, პროფ. ვლად ბენეციანი ნაშრომში „რამდენიმე საკითხი სომეხთა ეთნოგენეზისის შესახებ“, წერს: „აკად. გრ. ღაფანციანის თეორია სომეხთა წინაპრების შესახებ დაუსაბუთებელია და სუსტია. მოკლებულია ყოველივე ისტორიულ დასაყრდენს და ნამდვილი დეკლარაციული მტკიცებაა“ (გვ. 43).

ევროპელ მეცნიერთა მიერ გამოვლენილი სიყალბის სურათი კი ასეთია. ფრანგი მეცნიერი-ორიენტალისტი ჟოზეფ დეგინი (1721-1800) თავის დროზე მოვსეს ხორენაცისა და მისი ისტორიის შესახებ წერდა: „მოვსეს ხორენაცი მის ისტორიაში პიროვნებების სახელებსა და გვარებს რომ მოიხსენიებს, როგორც სომეხთა მეფეებს, ისინი სომხურისათვის სრულიად უცხოა. მაგალითად, საკუთარი სახელები — არამ და მენაზ წარმოქმნილია ქალდეის მეფეების არამ და მენუას სახელებისგან. მოვსეს ხორენაცი მისი ისტორიის პირველ თავში გვაძლევს მრავალ სომხურ სახელს, რომელთა წარმოშობა გაუებარია. მაგალითად — ჰაიკ, არმენაკ, ამასია, ჰარმა, არა და ღატროს. ესენი რა თქმა უნდა სომხური წარმომავლობის სახელები არ არიან და სომხური ენის ნიადაგზე არ აიხსენება“ (გვ. 46).

სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული მოვსეს ხორენცის ისტორია ოდითგანვე საეჭვო ღირებულების თხზულებად იყო მიჩნეული და, შეიძლება ითქვას, ეს ეჭვი დღესაც განაგრძობს არსებობას. მის ისტორიას პირდაპირ უწოდებდნენ ყალბს და გვიანდელ ეპოქაში გამონაგონს. ეს აზრი აქვს გამოთქმული ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეს ეტიენ-მარკ-კატრმერს (1782-1857): „მოვსე ხორენაცის ისტორია — ეს ფაბრიკაცია გამოიკვლია და დაამტკიცა მარიპასმა ნინევიის საარქივო მასალების საფუძველზე. ამ მხრივ სომეხმა ავტორმა მითის შეთხზვის ბრწყინვალე დემონსტრირება მოახერხა“ (გვ. 48).

ანალოგიური მოსაზრება ეკუთვნის ფრანგ არქეოლოგს ჟაკ მორგანს (1857-1924): „ამ ქვეყნის (სომხეთის — ბ. ა.) ისტორიკოსები იყვნენ სასულიერო პირები, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა, ძველი ლეგენდები, გადმოცემები, ტენდენციურად გადაესწორებინათ, გადმოესწორებინათ, დაემახინჯებინათ, იმ მიზნით, რომ ბიბლიასა და ჰაიკს შორის კავშირი გაებათ და იგი ბიბლიურ სახედ წარმოესახათ“... არავითარი წერილობითი წყარო არ არსებობს, რომლითაც შეიძლება გამოვლინდეს სომხური ენის პირველი საწყისი ფორმა“ (გვ. 50).

სომეხი ჟურნალისტების და პოლიტოლოგების მეზღაპრეობაზე

წერს ცნობილი ებრაელი პოლიტოლოგი დავით ეიდელმანი: „სომეხი ჟურნალისტებისა და პოლიტოლოგების ზღაპრულმა ფანტაზიამ გადააჭარბა ღაზროს აღაიანის მიერ ჩაწერილ სომხურ ზღაპრებსა და ყოველგვარ გამონაგონს. ისინი თვითონ ქმნიან მტრის ხატს, თვითონ იგონებენ თეზისებს და ყოველივე ამას მიმართავენ მათთვის საჭირო მხარისკენ. შემდეგ კი თვითონვე თავდავიწყებით კამათობენ (გვ. 54).

გამოჩენილი ებრაელი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე ავიგდორ ესკინი შენიშნავს: „ხაზგასმით მინდა ვთქვა ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ — ისრაელს არ შეუძლია სომეხთა გენოციდი ცნოს იმიტომ, რომ დღეს სომხური პრესა ამტკიცებს — მცირე თურქების ყველა ლიდერი ებრაელები იყვნენო. სომხური მხარე აგრეთვე ამბობს, ეს გენოციდი ორგანიზებული იყო ებრაელების მიერ, რათა მათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის საკითხი წამოეყენებინათო“ (გვ. 55).

გამოჩენილი ისტორიკოსი და სამხედრო დარგის სპეციალისტი, გენერალ-მაიორი აბაზა ვიქტორი (1831-1898), სომეხ მეცნიერთა გრანდიომანიის შესახებ წერს: „როცა ბაგრატიდებმა 961 წ. ქრისტეს შობიდან ანი აირჩიეს თავიანთ დედაქალაქად, მასში ხალხი სწრაფად დასახლდა. ზოგიერთი სომეხი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობს, რომ ამ დროს ანის მოსახლეობა 100 ათას აღწევდა, ხოლო ეკლესიების რიცხვი კი 101-მდე იყო. დღევანდელი მდგომარეობით თუ განვსჯით, ამ ქალაქის ნანგრევების ფართობზე შეიძლება ეცხოვრა მხოლოდ 15.000 ადამიანს (გვ. 58).

დღემდე მეგონა, სომხები მარტო ქართველების სიმღერებს, ღვინოს, სამზარეულოს და კულტურულ ძეგლებს ისაკუთრებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქურთებსაც მოპარეს ხალხური სიმღერები და ცეკვები. ამის შესახებ გულისტკივილით წერს ქურთი პუბლიცისტი აზა ავდალი: „გავიდა დრო და სომხებმა ისწავლეს ჩვენი სიმღერები და ცეკვები, წეს-ჩვეულებანი, სამზარეულო, ეს მათ მოქწონათ და დაისაკუთრეს, დაბრუნებას აღარ აპირებენ. აი, უსირცხვილობა, უსინდისობა! საზიზღრობა და საძაგლობაა. მოუწევთ დაბრუნება!“ (გვ. 58).

XIX საუკუნის ცნობილი რუსი ისტორიკოსი ალექსანდრე ანინსკი თვლიდა: „სომხური თქმულება მოციქულების ქადაგების შესახებ სომხეთში ნდობას არ იმსახურებს. ასე თუ ისე, გვიანდელია და ეყრდნობა რაღაც ზღაპრებს და გამონაგონებს“ (გვ. 59).

სომეხ მეცნიერთა მიერ სხვისი კულტურის მისაკუთრების სენზე ჩივის როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის უდინთა სათვისტომოს თავმჯდომარე ოლეგ დანილოვი: „სომხებმა თავის დროზე უდინები დაიმორჩილეს და ჩვენი ეკლესიების ლიკვიდაცია მოახდინეს. მათ მოგვპარეს ჩვენ ისტორია, კულტურა და რელიგიური რწმენა“ (გვ. 65).

ალბანურ-უდინური კულტურის მიტაცების შესახებ სომეხთა მიერ საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დანაკარ არამი: „სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიებმა XX ს-ის დასაწყისში ალბანურ-უდინური კულტურისა და ლიტერატურის კვალის წაშლის მიზნით მოსკოვის წმინდა სინოდის და საპატრიარქოს ნებართვით გაანადგურეს ალბანეთის ძველი ეკლესიების არქივები. დაწვეს და მოსპეს ძველი მატიანეები, ძველი წიგნები, გაანადგურეს ძველი ალბანური კულტურის და რელიგიის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც თავისი არსებობის რამდენიმე ათასწლეულს ითვლიდა. ერთი სიტყვით, სამუდამოდ დაიკარგა კავკასიის ხალხის უზარმაზარი სულიერი მონაპოვარი და კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის უდინთა ძველი და შუა საუკუნეების ისტორიული და ლიტერატურული ძეგლები, საეკლესიო მსახურება, განსაკუთრებით ენა, საუკუნეთა მეხსიერება — „სიცოცხლის წყარო“, ადამიანები, ეროვნულ ღირებულებათა სისტემა, წესი და ჩვეულება“ (გვ. 64).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ალბანისტიკის ინსტიტუტის დირექტორი ნაგიევი წერს: „სომხებმა თვითნებურად „რესტავრაცია“ ჩაუტარეს ძველ ალბანურ ტაძრებს; გათხარეს და რა ნახეს და რა დამალეს, მხოლოდ ღმერთმა იცის; ალბანური ტაძრები სომხური ეპიგრაფიკით „დაამშვენეს“. სომხური ეკლესიის საცეცები ისეთი გრძელი აღმოჩნდა, რომ მიიტაცეს და მიითვისეს ლეკური კულტურულ-ისტორიულ-ძეგლები ლეკურ მიწაზე“ (გვ. 73).

XX ს-ის უდიდესი ორიენტალისტი, აკად. იგორ დიაკონოვი (1915-1999) სომხურსა და აქადურ ენებს შორის შორეულ ნათესაობასაც კი გამორიცხავს: „ნ. მკრტიჩიანის მიერ აქადური ენიდან ეტიმოლოგიურად გამოკვლეული 96 სიტყვიდან (უფრო სწორად, ასიდან ოთხ შემთხვევაში ორი სხვადასხვა სიტყვა ერთ ნომრად არის წარმოდგენილი) აქადური არც ერთი არ არის. ამდენად, შეიძლება ითქვას, აქადური ენის არეალი სომხურს არსად და არასდროს არ შეხებია“ (გვ. 67).

სომეხი მეცნიერები კი ამ ენათა ნათესაობას თავგამოდებით ამტკიცებენ.

სომხური პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ ტერორისტული საქმიანობის შესახებ არც თუ მცირე ინფორმაცია და მასალაა გამოქვეყ-

ნებული პრესაში. მოვიტანთ ბოსტონის უნივერსიტეტის პროფ. ანნა გეიფამანის სტატიიდან ერთ-ერთ ამონარიდს: „სომხური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ („კავშირი“) არის რუსეთის ПСР კავკასიური ანალოგი. დაშნაკებს ტერორის ქვეშ ჰყავდა მთელი კავკასია. მდიდრებს აიძულებდნენ სოლიდური თანხა, 80 ათას მანეთამდე, გადაეცათ ამ პირებისათვის. ვინც მათ წინააღმდეგობას გაუწევდა და არ გადაიხდიდა, ადგილზევე კლავდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კავკასიაში მარტო 1907 წელს მათ მოკლეს 1239 კაცი, 1253 კი დაჭრეს“ (გვ. 87).

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ძნელი არ იქნება დასკვნის გამოტანა, რა ტერორისტული პარტია არის დაშნაკცუთიუნი.

სომხები ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთი მოსახლეობის შეგნებულ იგნორირებას ეწევიან. ამის შესახებ წერს ავსტრალიაში მცხოვრები ქურთი მწერალი ტოსიე რაშიდი: „ვინც ასე თუ ისე იცნობს ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობას, კურმანჯები (ქურთები) ცხოვრობდნენ ვანის ტბის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში. მაგრამ სომეხი ნაციონალისტების აზრით, ეს ტერიტორია არის სომხეთის და კურმანჯებმა აქ არ უნდა იცხოვრონ!“ (გვ. 93).

სომხებს უყვართ აღნიშვნა, რომ თბილისში სომხები რიცხობრივად მეტნი იყვნენ ქართველებზე XIX ს-ში, მაგრამ გაგონებაც არ უნდათ, XVII-XVIII სს. ერევანი მუსულმანური ქალაქი რომ იყო. ეს დადასტურებულია მრავალ წერილობით წყაროში. ამის შესახებ აღნიშნავს მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი როლანდ სიუნი, რომელიც, სხვათა შორის, სომხური წარმომავლობისა გახლავთ. იგი წერს: „ერევნის სახანოში 1827 წლამდე, პასკევიჩის მიერ ერევნის ციხე-სიმაგრის აღებამდე, ცხოვრობდა 87.000 მუსულმანი, ხოლო 20.000 კი იყო სომეხი“ (გვ. 95).

განსაკუთრებით მწვავე რეაქცია აქვთ სომხებს იმათ მიმართ, ვინც ეჭვის ქვეშ დააყენებს „გენოციდს“. ამ მხრივ საინტერესოა კანადელი ჟურნალისტის სკოტ ტეილორის სტატია „გამოგონილი „გენოციდი“ სომეხთა საავიზიტო ბარათი გახდა“. იგი წერს: „როცა ანტისომხური თეზისები გამოვაქვეყნე, ჩემს ოჯახს ფიზიკური ანგარისწორებით დაემუქრნენ. ამის გარდა, სომხური ლობი ყოველ ღონეს ხმარობდა, ამ სამუშაოს ჩამოვეცილებინე.

მათი სწრაფვა, აღიარონ „სომეხთა გენოციდი“, სომეხთა საავიზიტო ბარათი გახდა. ამით ცდილობენ, მიიქციონ მსოფლიოს ყურადღება, როგორც დაჩაგრულმა ხალხმა... სომხებს ძალიან უყვართ თავის წარმოჩენა, როგორც მრავალტანჯული ერისა. როცა ისინი ხვდებიან თურქებს ან აზერბაიჯანელებს, თავს განზე სწევენ. ჩემთან საუბარში მითხრეს, მთიანი ყარაბაღის სომხური ჯარის შენაერთებს ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ მებრძოლი სომეხი გენერლების სახელებს არქმევენ და ცდილობენ, ამის შესახებ მსოფლიო საზოგადოებამ შეიტყოს. ასე მალავდნენ სიმართლეს იმის შესახებ, რომ მათ შეთქმულება მოუწყეს ოსმალურ თურქეთს და ასეულ ათასობით მშვიდობიანი თურქი რომ დახოცეს. სომხებს ძალიან სურთ, დევნილი ხალხის სტატუსი ჰქონდეთ, მაგრამ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში აზერბაიჯანელებს ანალოგიური გენოციდი მოუწყვეს 1992 წელს მთიან ყარაბაღში. მათ არ უნდათ, მსოფლიომ გაიგოს ამის შესახებ, იმიტომ რომ ამან შეიძლება დააზარალოს მათი, როგორც მრავალტანჯული ხალხის იმიჯი... 1915 წელს დახოცილების რიცხვს სომხური ლობი ყოველთვის ზრდის და აზვიადებს. პირველ ხანებში გენოციდის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 300-600 ათასამდე მერყეობდა. უკანასკნელ წლებში გაიზარდა მილიონ ნახევრამდე, მაშინ როცა ოსმალურ თურქეთში სულ მილიონ ექვსასი სომეხი ცხოვრობდა. ეს რიცხვი რომ დაზუსტდეს, სომხები უნდა დათანხმდნენ თურქეთის მოთხოვნას და გახსნან თავიანთი არქივები. მაგრამ სომხები თავიანთი არქივის გახსნაზე პრინციპულად უარს ამბობენ. თუ ასე გაგრძელდა, დახოცილ სომეხთა რიცხვი გადააჭარბებს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ებრაელთა რაოდენობას. სომეხთა მიერ ეს შეთხზული პრეტენზია აღიზიანებთ ებრაელებს.

არცერთი ქვეყნის პარლამენტს არ აქვს იურიდიული და მორალური უფლება ცნოს ეს გამოგონილი „გენოციდი“. ამერიკის კონგრესი ვიდრე თურქეთს დაგმობს, სჯობია დაინტერესდეს, რა უფლებით გაანადგურეს მათ ინდიელები“ (გვ. 181).

სკოტ ტეილორი მართებულად შენიშნავს, რომ სომხები გენოციდზე გოდებენ, მაგრამ პირველსავე შემთხვევაში მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელ მოსახლეობას იგივე მოუწყვესო. ალბათ მან არ იცის, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთში, XIX ს-ში შემოსახლებულმა სომხებმა ჩამოაყალიბეს სომხური ბატალიონი, უწოდეს მარშალ ბაგრამიანის სახელი და აფხაზეთის მკვიდრ ქართველებს უწვავდნენ სახლ-კარს, სადისტურად აწამებდნენ და მასიურად ხოცავდნენ. ისინი უფრო სასტიკად ექცეოდნენ ქართვე-

ლებს, ვიდრე აფსუები და კაზაკები.[3]

ამერიკის პრეზიდენტის რეიგანის დავალებით პოლიტოლოგ რ. ბრიუს ფეინმა სპეციალური კვლევა ჩაატარა 1915 წლის სომეხთა გენოციდის შესახებ: „შევისწავლე ევროპის და ოსმალეთის იმპერიის სამხედრო არქივებში დაცული მასალები. ამ კვლევის შედეგად დავადგინე, რომ ამ პერიოდში (1915-1918) უფრო მეტი თურქი იქნა მოკლული, ვიდრე სომეხი. აგრთვე დავადგინე, რომ სომეხთა პრეტენზია გენოციდთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. ეს ზღაპარი — „სომეხთა გენოციდი“ თვითონ სომეხი ისტორიკოსების ფანტაზიის ნაყოფია... სომეხთა ბანდფორმირებებს ანატოლიის ტერიტორიაზე ორ მილიონზე მეტი თურქი ჰყავთ მოკლული“ (გვ. 185).

ვფიქრობთ, ბრიუს ფეინის დასკვნა ანგარიშგასაწევია.

ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი სამუელ უიზი სომხების მიერ თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებისა და გენოციდისადმი მიძღვნილ სტატიაში „ფალსიფიცირებული სომეხთა გენოციდი“ წერს: „1919 წლის პარიზის კონფერენციამ მოისმინა სომეხთა პრეტენზია, მაგრამ ვერაფერი ვერ მიიღეს. დღეს სომხები თხოულობენ, თურქებმა მათ მისცენ მილიარდი დოლარი და თურქული მიწები. ასეთი მოთხოვნა უბრალოდ უჭკუობაა. ეს გენოციდი იყო ფალსიფიცირებული. პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ უარყო და ფალსიფიცირებულია დღესაც... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციამ 1948 წლის 9 დეკემბერს დაადგინა, რომ არავითარი „სომხური გენოციდი“ არ ყოფილა... სისულელეა მტკიცება იმისა, რომ თურქებმა გაჟლიტეს მილიონ ნახევარი სომეხი! როგორც ამერიკელი, ისე ბრიტანელი თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ არავითარი ჟლეტა და არავითარი გენოციდი არ ყოფილა... თურქეთში ვნახე სომხები, ისინი კარგად ცხოვრობენ. აქვთ სრული თავისუფლება, ისე როგორც თურქებს. განსაკუთრებით მდიდრები არიან დიდი ქალაქის მცხოვრებნი. მათ აქვთ ბიზნესი და თურქებთან სრულ ჰარმონიაში არიან... რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობას, დღეს სომხეთში დარჩა რაღაც ხუთი პროცენტი“ (გვ. 183-184).

ქურთი მწერალი ხასან ხან არაფა წერს: „1914 წელს რუსების მიერ თურქების სარკამიშთან დამარცხების შემდეგ, აქ შემოვიდა ე. წ. „მოხალისეთა პოლკი“, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კავკასიის და

[3] იხ. ბონდო არველაძე, თეიმურაზ მიბჩუანი, „ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში და ბაგრამიანის სომხური ბატალიონი“, 2000. ქართ., რუს. და ინგ. ენაზე.

თურქეთის სომხები. მათ მეთაურობდა ნამდვილი კაციჭამია ვიღაც ანდრანიკი, გაუგონარი მხეცობა ჩაიდინეს. 1915-1918 წლებში აღმოსავლეთის ვილაეთებში დახოცეს 600 ათასამდე ქურთი“ (გვ. 120).

ჟურნალისტი ტიერ ზარკონი ადასტურებს: „რუსების მიერ 1916 წელს ერზერუმის აღების შემდეგ სომეხთა მოხალისე რაზმებმა მუსულმანთა მასიური ჟლეტა ჩაატარეს“ (გვ. 47).

ალფრედ რაულინსონ — „სომხურმა ჯარმა გაძარცვა და გაანადგურა მუსლიმთა სოფლები. ამ დროს უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მუსლიმ ლტოლვილთა ქარავნები, თურქი მოსახლეობა გარბოდა; და მიჰქონდათ, სახელდახელოდ რისი წაღებაც მოასწრეს... მუსლიმ მცხოვრებთა დიდი რაოდენობა დახოცეს სომხებმა. ისინი მათ აწამებდნენ და ჟლეტდნენ“ (გვ. 51).

სომეხ მეცნიერთა სწრაფვა ყველაფერში პირველობისაკენ, ბევრმა უცხოელმა მეცნიერმა აღნიშნა. მათთაგან შეიძლება მოვიტანოთ მეცგერ ბრიუს მენონგის აზრი: „სომხეთი პრეტენზიას აცხადებს, რომ იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. მაგრამ საეკლესიო გადმოცემებით არ არის დამტკიცებული, რომ სომხეთში ქრისტიანობა პირველად იქადაგეს მოციქულებმა თადეოზმა და ბართლომემ“ (გვ. 94).

სომეხთა თვითგანდიდებაზე მიუთითებს, აგრეთვე, ისტორიკოსი ვიქტორ შნილერმანი: „სომხები განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ ერევანი 30 წლით ძველია რომზე. მაგრამ ერევნის ტერიტორიაზე დღემდე არ არის აღმოჩენილი ურარტუს დროინდელი კულტურული ფენა“ (გვ. 13).

სომეხი მეცნიერების და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ სომეხი ხალხის წარმომავლობის და ისტორიის ფალსიფიკაცია მარტო უცხოელმა მეცნიერებმა კი არ გამოიტანეს სააშკარაოზე, არამედ ამ ეროვნული თვითგანდიდების ავადმყოფური სენის წინააღმდეგ ზოგიერთმა ობიექტურად მოაზროვნე სომეხმა სწავლულმაც გაილაშქრა. ერთ-ერთი მათგანია პროფ. აზატ აღიაზარიანი. მას ეკუთვნის სტატია „ფსევდოპატრიოტიზმი არის სინდრომი, მცირერიცხოვანი ერების ავადმყოფობა“. ამ სტატიიდან მოვიტანთ ამონარიდს: „ჩვენი სიყვარული სამშობლოსადმი ხანდახან უცნაურად ვლინდება... ერევნელმა მეცნიერებმა მთელი კამპანია გააჩაღეს ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის წევრების, ცნობილი მეცნიერების წინააღმდეგ. ესენია — რიჩარდ ჰოვანესიანი, ჩვენი აკადემიის წევრი და პიტერ კუი, ლოს-ანჯელესის „გრიგორ ნარეკა-

ლის“ სახელობის არმენოლოგიის კათედრის გამგე. ჩვენ მგრძნობიარენი ვართ ეროვნული საკითხის მიმართ, მაგრამ საჭიროა მას ჭკვიანურად მივუდგეთ. პიტერმა შეისწავლა სომხური ენა, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იკვლევს სომხეთის ისტორიას და უცებ გახდა მოღალატე!.. ამბობენ, მას დოლარებს უხდის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, თურქები და ასე შემდეგ. თუ ვინმე იტყვის, მოვსეს ხორენაცი არის არა V ს-ის ავტორი, არამედ არის VIII ს-ის ისტორიკოსი, მოღალატეა. რატომ? ასე რომ ფიქრობდნენ ჩვენი ისტორიკოსები წლების წინ, ამიტომ ისინი მოღალატეთა სიაში ჩავწეროთ? მე პირადად ვემხრობი მოსაზრებას — ეღიშე და ხორენაცი არიან V ს-ის ავტორები. მაგრამ თუ გამოითქვა სხვა მოსაზრება, მაშინ უნდა ვიკამათოთ, მეცნიერებაში სხვა გზა არ არსებობს... ოვანეს თუმანიანის პატრიოტიზმში ვერავითარ შემთხვევაში ეჭვს ვერ შეიტან, მაგრამ პირდაპირ წერს სომხურ კულტურაზე სპასრულის გავლენის შესახებ, თუმანიანი იყო სულიერად თავისუფალი ადამიანი და არ ეშინოდა თავის აზრის გამოთქმის. მან ბრწყინვალედ იცოდა ჩვენი ისტორია და ეს რაღაც ისტორიული გავლენა არ აშფოთებდა... ლოს-ანჯელესში მცხოვრებ სომეხთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. ისინი ითხოვდნენ ოვანესიანის, კუის, სიუნის და სხვების არმენოლოგიის კათედრიდან განდევნას. ოვანესიანის და კუის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი, ხოლო სხვების შეხედულებებს არ ვიზიარებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა გავანადგურონ. თუნდაც მათ დოლარებს უხდიდეს ცსს. არ შეიძლება დავეშვათ ასეთ პრიმიტივიზამდე. მათ უნდა შეიგნონ, ეს არის ამერიკა და არა საბჭოთა კავშირი. მეცნიერის ანათემაზე გადაცემა ბრძოლის მცდარი გზაა... ამტკიცებენ, რომ სომხური ანბანი ყველაზე საუკეთესოა მსოფლიო ანბანთა შორის. ეს არის პატრიოტიზმი? ამას არავინ სერიოზულად არ მიიღებს... სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა ლოს-ანჯელესის სომეხთა ეს ჯგუფი. ისინი ამ მეცნიერებს ადანაშაულებენ, რომ ისინი კრემლის შეკვეთას ასრულებენ, მაგრამ თვითონ მოქმედებენ კრემლის მეთოდებით — დახურეთ, გადაეცით ანათემას, გამოაცხადეთ მოღალატედ და ა. შ. განა ყოველივე ამას რაიმე კავშირი აქვს პატრიოტიზმთან. თუმცა ისინი სომეხი ხალხის სახელით ლაპარაკობენ... განა დანაშაულია, პიტერი თვლის, მოვსეს ხორენაცი არის არა V ს-ის, არამედ VIII ს-ის ავტორი. ამ პატრიოტულ გაწამაწიაში პიტერს მიაწერენ ისეთ აზრს, რომელიც მას არ გამოუთქვამს.

მაგ., „სასნაწრერ“-ი შექმნილია სპარსული „შაჰნამეს“ გავლენით. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. მათ ვერ გაიგეს. პიტერი ამბობს, სომხებს აქვთ ნატურალიზებული, თავიანთი ვარიანტი ნაწყვეტისა „შაჰ-ნამედან“, რომელიც არის შექმნილი „სასნაწრერის“ გავლენით. და ამით დამთავრდა“ (გვ. 217-218).

ჩვენი მხრივ, გვსურს აღვნიშნოთ, ამ სტატიის მიზანია, შევაგონოთ ახალგაზრდა სომეხ მეცნიერ-მკვლევარებს, ნუ მიბაძავენ მათ თანამემამულე ზოგიერთ სომეხ ფალსიფიკატორ ისტორიკოსს და კეთილსინდისიერად, ობიექტურად გამოიკვლიონ, როგორც სომხეთის ისტორია და კულტურა, ისე მათი ახლო მეზობელი ხალხების წარსული მემკვიდრეობა.

უნდა ახსოვდეთ, მეცნიერული სიმართლე სუბიექტურ შეხედულებებზე მაღლა დგას!





გულბაათ რცხილაძე

ანტიქართული შეთქმულება

უკვე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას პროვოკაციულ მიმართვაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი, რომ საქართველოში განთავსებულ იქნას ამერიკული ანტისარაკეტო სისტემა. სიფრთხილით გამორჩეული, ნაკლებად ემოციური ალასანია ასეთ თამამ განცხადებას საკუთარი ინიციატივით ვერ გააკეთებდა. მაგრამ ალასანიას უკან ამ შემთხვევაში არ დგას საქართველოს მთავრობა — ეს ოფიციალურად იქნა განმარტებული. ბუნებრივია, ალასანიას არც ხალხში რეიტინგის აწევის პრობლემამ უბიძგა ამგვარი განცხადების გაკეთებისაკენ, ვინაიდან დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობა ჯანსაღად უყურებს ვითარებას და ხედავს, რომ რუსეთთან კეთილმეზობლობის გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არ უწერია, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის მილიტარიზაციას ხალხი მხარს არ უჭერს.

გამოდის, რომ ალასანია დასავლეთის „გარკვეული წრეების“ იმედად აკეთებდა ზემოთ აღნიშნულ, ერთმნიშვნელოვნად უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებას. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ბოლო დრომდე მუდამ ჭაობივით ჩუმი ალასანია არ ცხრება და ახლა უკვე პირდაპირ ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის მოწოდებებით გამოდის. კერძოდ, თავდაცვის მინისტრის აზრით, **„დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამნისტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯა“**. მინისტრი პირდაპირ ამბობს, რომ სააკაშვილის მიერ ნატანჯი ის პოლიტპატიმრები, რომელთა პოლიტიკური მრწამსი არ შეესაბამება ხელისუფლების ოფიციალურ საგარეო კურსს, აღებულს ნატოსა და ევროკავშირზე, ციხიდან არ უნდა გამოეშვათ. გამოდის, რომ ამ ხალხს, ალასანიას ნება რომ იყოს, კვლავ საპატიმრო ელოდება, რაღაც „კონტრდაზვერვითი საფრთხის“ საფუძველზე.

ევრაზიის ინსტიტუტში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ორი ასეთი ყოფილი პოლიტპატიმარია წარმოდგენილი — საერთაშორისო სამართლის მაგისტრი შოთა აფხაიძე და სამხედრო ოფიცერი, პოლკოვნიკი კობა ოთანაძე. ორივე მათგანი, ირაკლი ალასანიასგან განსხვავებით, ანალიტიკურად აღიქვამს საქართველოს მდგომარეობას და გარესამყაროს მარტივ, შავ-თეთრ ფერებში არ ხატავს. ანუ, ისინი არ არიან ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს უპირობო წევრობის მომხრენი. სწორედ ამ მიზეზით, ამჟამად მათ თავისუფალ არსებობას და აზრის გამოხატვას საფრთხეს უქმნის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი — საბჭოთა კაგებეს მაღალჩინოსნის ოჯახში დაბადებული, საეჭვო ქუჩური წარსულის მქონე, სააკაშვილის რეჟიმის ერთგული მსახური (ერთგული მანამ, სანამ რეჟიმი მყარად იდგა ფეხზე), კაგებეს გენერალ იგორ გიორგაძის ნათლული (ეს ისე, „კონტრდაზვერვითი“ ამბებისათვის) ირაკლი მამიას ძე ალასანია.

ვინაიდან საქართველოში არ არსებობს განვითარებული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი სასამართლო და ქვეყანაც მხოლოდ ფორმალურ სუვერენიტეტს ფლობს, ევრაზიის ინსტიტუტი სამართლებრივ პასუხს ვერ მოსთხოვს თავდაცვის მინისტრს, თუნდაც მისი აშკარად ანტიდემოკრატიული განცხადების გამო. მხოლოდ ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, იმის მოსასინჯად, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოს „დასავლელი მეგობრები“ მოცემულ ვითარებას, ჩვენ წინამდებარე განცხადებას გავუგზავნით „შესაბამის ორგანოებს“ — საქართველოში წარმოდგენილ ამერიკულ და ევროპულ დიპლომატიურ მისიებს — საქართველოს ხელისუფლების რეალურ მმართველებს. საინტერესოა, აუწევენ ისინი ყურს „თავიანთ შვილობილს“ (ფორმალურად მაინც რომ დაადასტურონ დემოკრატიის პრინციპების პრიორიტეტულობა) თუ პირში წყალს ჩაიგუბებენ?!

სხვა მხრივ კი, საზოგადოების ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე: ხელისუფლების რადიკალური პროდასავლური ფრთა, „ნაცმოძრაობასთან“ სრულ თანხმობაში, ქართულ საზოგა-

დოებას თანდათან აჩვევს აზრს, რომ აუცილებელია საქართველოს ინტეგრირება დასავლურ სტრუქტურებში (პირველ ყოვლისა, ნატოში), თუნდაც ეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ფაქტობრივად უარის თქმას მოასწავებდეს. ეს ძალები ასევე არ იშურებენ ენერგიას, რომ რუსეთთან რის ვაი-ვაგლახით დაწყებული ეკონომიკური დათბობის პროცესი არ გადაიზარდოს პოლიტიკურ დათბობაშიც. მეტიც, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რუსეთის სრული დემონიზაცია მოხდეს ხალხის თვალში. საინტერესოა, რომ ამ პროცესში ზოგიერთი სასულიერო პირიც არის ჩართული — განსაკუთრებით გააქტიურდა ააკაშვილის რეჟიმის ფეხის ამწყობი და სანაცვლოდ ფუფუნებაში მცხოვრები, ცხვრის ქურქში გადაცმული ერთი-ორი ეპისკოპოსი და რამდენიმე მღვდელი.

ვფიქრობ, ქვემოთ წარმოდგენილი განცხადებები, რომლებიც გაკეთდა ალასანიას პირველ განცხადებასა და ბოლო განცხადებას შორის დროის მონაკვეთში, კომენტირებას არ საჭიროებს, ეს პირები — პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, მთავრობის წევრი, ეპისკოპოსი, ჟურნალისტი, უცხოელი დიპლომატი — საკუთარ თავს არ მალავენ.

თედო ჯაფარიძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე (ვილნიუსის ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, 30.5.2014): "ნატო-ს წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი იზიარებს საქართველოს ურყევ არჩევანს და მათ კიდეც გამოხატეს მტკიცე მხარდაჭერა ჩვენი ნების მიმართ, რომ სამოქმედო გეგმა სექტემბრის სამიტზე იქნას მიღებული. სხვების აზრით კი, ჩვენ უნდა დავჯერდეთ ნატო-ს წევრობის პერსპექტივას და გავააქტიუროთ რუსეთთან დიალოგი. მოვლენათა განვითარების ჭრილში, დიალოგი კარგავს ძალას მანამ, სანამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია ეს „მომავალი".

ალექსი პეტრიაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (ჟურ. „უოლ სტრიტ ჯორნელ", 31.5.2014): „პუტინის შესაჩერებლად საქართველო ნატო-ს უნდა დაუახლოვდეს"; „ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის აგრესიისა და ჩარევისთვის საფასური მაღალი და გრძელვადიანი უნდა იყოს, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სანქციებით, არამედ უნდა მოახდინოს გრძელვადიანი გეოპოლიტიკური ცვლილების სტიმულირება. ასეთი ცვლილებისთვის, ნატო-მ ახალი მზერა უნდა მიაპყროს საქართველოს ... ახლა უკვე აშკარაა, რომ საქართველო რუსეთისთვის უიმედობის მიზეზია. მაშინ, როცა დასავლეთი განიხილავს, თუ რა არის უკრაინის კრიზისის გადაჭრის საუკეთესო გზა, ერთი ნაბიჯი ცხადი უნდა იყოს: საქართველოს უნდა მიეცეს საშუალება, შემდეგი ნაბიჯი გადადგას ნატო-ში სრული წევრობისკენ".

გურამ როგავა, ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი („ფეისბუკის" გვერდი, 29.5.2014): „წუხელ ქართველი ჟურნალისტები საშშობლოში კიევი-თბილისის რეისით ვბრუნდებოდით, როცა ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა შეუძლოდ გახდა, გონება დაკარგა და რომ არა დათო კაკულიას სწრაფი რეაქცია, ყველაფერი ტრაგედიით დასრულდებოდა. ჩვენი თხოვნით პილოტმა საგანგებო დაშვება როსტოვში განახორციელა. ყველაფრის მიუხედავად, არ ველოდით ასეთ ირონიას რუსი მესაზღვრეებისგან და განსაკუთრებით ექიმებისგან (ჰიპოკრატეს ფიცის იმედად ვიყავით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამათ პუტინის ფიცი აქვთ დადებული). დიდი ხნით ადრე იცოდნენ თვითმფრინავის დაშვების მიზეზი, მაგრამ აეროპორტში სასწრაფო დახმარება ერთი საათის დაგვიანებით მოვიდა. დაწვრილებით რუსების დამოკიდებულებაზე არ დავწერ, ისედაც ხვდებით, ალბათ, რა გამოვიარეთ. ექიმები ბორტზე ამოვიდნენ, ქართველებს რუსეთის ტერიტორიაზე შემოსვლის ნებართვა არ გაქვთო. ბევრი გაურკვევლობა იყო, მაგრამ გაგებით მოვეკიდეთ. კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ ჩვენი მოძმე, ერთმორწმუნე რუსებისგან კარგს არაფერს უნდა ელოდე".

გრიგოლ ბერბიჭაშვილი, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი (ხობის სამონასტრო კომპლექსში ჩატარებული ქადაგება, 28.5.2014): „როდესაც წინ მიიწევ, სულ უფრო მომძლავრებულია ძალისხმევა ადამიანებში შიშის დათესვის. ჩვენ გვინდა ძლიერ და ნათელ ქვეყანაში, მართლმადიდებლურ წიაღში ცხოვრება და მე ვწუხვარ, როდესაც მართლმადიდებლობას და რუსეთს ერთმანეთთან აიგივებენ. ამას ვერ მივესალმები, რადგან ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ დამისახელებს, რა სიკეთეები მიიღო საქართველომ მართლმადიდებელი რუსეთისგან".

რასა იუკნევიჩენე, ლიტვის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ნატო-ში ქვეყნის დელეგაციის წევრი (ინტერვიუ, გაზ. „კვირის პალიტრა", 02.6.2014): ჯერჯერობით საკითხი ასე დგას — ნატო-ს ქარტიის მეხუთე მუხლი არ იმოქმედებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის

ან სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა უნდა აღიაროთ ან ოკუპაციას შეეგუოთ, მაგრამ ალიანსის ზოგიერთი წევრი ჯერაც ფიქრობს, რომ გაუმართლებელია, ნატო-მ თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა ტერიტორიული პრობლემებით. მაპ-ის მოპოვებისას რეალობას თვალი უნდა გაუსწოროთ — ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვაშინგტონის ხელშეკრულება არ გავრცელდება, განსაკუთრებით კი — მისი მეხუთე მუხლი, რომლის თანახმადაც, ნატო-ს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დრო გადის – დღევანდელი მოცემულობა, ავია ის თუ კარგი, შეიძლება ხვალ აღარ იყოს აქტუალური. ოკუპირებული ტერიტორიების აუღიარებლობა, რა თქმა უნდა, ტოპპრიორიტეტია, მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, საქართველოს დანარჩენი ნაწილი მაინც იყოს ნატო-ს შემადგენლობაში, ვიდრე საერთოდ ალიანსის მიღმა დარჩეთ“.

დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (გაზ. „ფაინენშნლ ტაიმს“, 17 ივნისი, 2014): „აფხაზეთის პრეზიდენტის ჩამოგდება, შესაძლოა, მოსკოვის ტაქტიკის შემადგენელი ნაწილი იყოს, საქართველოს ევროკავშირისკენ მოძრაობის საპასუხოდ... ჩვენ ვმოძრაობთ ნატოსკენ რუსეთის მხრიდან დემონსტრაციული მუქარის გამო. თუკი საქართველოს ნატოსკენ მოძრაობა რუსეთს აწუხებს, მან საქართველოსგან ეს მუქარა უნდა მოხსნას“.



ირაკლი ყიფიანი

რას მოიგებს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით?

ევროკავშირთან ასოციაციის თაობაზე შეთანხმება საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მთავარი პრობლემა უმუშევრობა და სოციალური სიდუხჭირეა, დიდი ალბათობით, არ მოუტანს შვებას. ასოცირება გავლენას ვერ მოახდენს ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო კლიმატზე და ვერ გააძლიერებს წარმოებას.

ხელშეკრულების პროექტი, რომელიც, როგორც იქნა, ქართულად ითარგმნა, არ შეიცავს არანაირ კონკრეტიკას საგაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაზე, არც სხვა რაიმე სიახლეს; იგი მხოლოდ დადასტურებაა მოცემული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებისადმი ერთგულების შესახებ, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის პოსტულატების შესაბამისად.

უფრო მეტიც, ქართული კანონმდებლობა შებოჭილ მდგომარეობაში ექცევა. საქართველო იღებს ვალდებულებას, „დაუახლოვოს“ საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას და უარს ამბობს, ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინების გარეშე რაიმე სახის ცვლილებები შეიტანოს თავის ჰორიზონტალურსა და სექტორალურ კანონმდებლობაში.

გამოდის, რომ საქართველო ზღუდავს თავის ეკონომიკურ სუვერენიტეტს იმის გამო, რომ ქართული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობის შესატყვისად იწოდებოდეს.

ხელშეკრულების პროექტის მე-2 დანართში მოცემულია პროდუქტების სია, რომლებიც უბაჟო შემოტანას ექვემდებარებიან. ძირითადად, ეს იმგვარი პროდუქციაა, რომელიც საქართველოში დიდი რაოდენობით არ იწარმოება (მაგალითად, ხორცისა და რძის

პროდუქცია და ა. შ.), და ამ მიზეზით ვერ იქნება ევროკავშირში ექსპორტირებული. სამაგიეროდ, ევროპელ მწარმოებლებს ეძლევათ საშუალება, თავიანთი ექსპორტი გააძლიერონ საქართველოს მიმართულებით.

სხვა დანართები შეიცავს ევროპელი მწარმოებლებისა და საკაჭრო ბრენდების ვრცელ სიას, რომლებიც საქართველოში ოფიციალურად იქნებიან დაცულნი.

გაუგებარი რჩება, რას ღებულობს ყოველივე ამის სანაცვლოდ ქართული მხარე. ალბათ, ეს დაპირებებია, რომ საქართველო ჩართული იქნება ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროგრამაში, ანუ გაიზრდება ქართული ბიუროკრატიისთვის განკუთვნილი გრანტებისა და საფინანსო დახმარების რაოდენობა. ხალხი კი, როგორც იყო, ისევე დარჩება უმუშევრად და უპერსპექტივოდ.

საინტერესოა ენერგეტიკის სფეროსთან დაკავშირებული დებულებები. აშკარად იკვეთება განზრახვა საქართველოს მიზიდვისა ევროკავშირის სტრატეგიულ ენერგეტიკულ ორბიტაზე. მომავალში საქართველო, შეიძლება, გამოყენებულ იქნას ტრანზიტულ ტერიტორიად ენერგოშემცველებით მდიდარ კასპიის რეგიონსა და ევროპას შორის. რა თქმა უნდა, სარგებელს ამ საქმიდან, პირველ რიგში, ისევ და ისევ დასავლეთი ნახავს, და არა ქართველი ხალხი.

მთლიანობაში, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ასოციაციის ხელშეკრულების მიზანია, საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ „მიაბას“ დასავლეთს, კერძოდ, ევროკავშირს, რათა იგი სტრატეგიული კონტროლის ქვეშ იყოლიოს და არ დაუშვას რუსეთისა და მომავალი ევრაზიის კავშირის გაძლიერება კავკასიის რეგიონში.

ევროკავშირთან ასოცირებას არ შეუძლია, გადაჭრას საქართველოს აქტუალური პრობლემები, თუნდაც შორეულ პექსპექტივაში. შეიძლებოდა, გვევარაუდა საviზო რეჟიმის შერბილება, საქართველოში უმუშევრობის პრობლემის შესამსუბუქებლად, მაგრამ ამგვარ პერსპექტივებს ევროასოციაცია ასევე არ ითვალისწინებს. საბოლოო ჯამში, მოგებული რჩება ჩინოვნიკთა ფენა და ე. წ. პოლიტიკური ელიტა.



გრიგოლ რუხაძე

საქვეყნო ამბების მიმოხილვა
ცოტა რამ ნატო-ს, უკრაინის, სერბეთის, საქართველოსა და რუსეთის შესახებ

ქართველი ხალხი, 2013 წელს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» დანაშაულებრივი რეჟიმის დამარცხების შემდეგ, დიდი მოთმინებით ელის გამოძიების გარეშეც ყველასთვის ცნობილი დამნაშავეების დასჯას. დადგა ის ჟამიც (27.03.2014), როცა ექსპრეზიდენტი **მ. სააკაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე იქნა დაბარებული.** თითქოს ყინული უნდა დაძრულიყო, მაგრამ «დემოკრატიის შუქურის» მუდმივად კიაფისთვის მთელმა დასავლეთმა რეაგირება სწრაფად მოახდინა. კერძოდ, რამდენიმე დღით ადრე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებასა და სამართალდაცვის ორგანოებს მოუწოდა, ხელი აეღოთ მ. სააკაშვილის დაკითხვის განზრახვაზე. ევროპელი პოლიტიკოსებიც მსგავსი განცხადებებით გამოვიდნენ.

მედიაში გავრცელებული ცნობით, აღნიშნული დეპარტამენტის ყოფილმა წარმომადგენელმა მეთიუ ბრაიზამ კი ოფიციალურ თბილისს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა: საქართველოს ხელისუფლებამ ან უნდა ხელი აიღოს სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებათა გამოძიებაზე, ან ამა წლის სექტემბერში NATO-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა უელსის სამიტზე საქართველო ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას არ მიიღებსო. ბრაიზამ ამის თაობაზე ბრიუსელში მიმდინარე მარშალის ფონდის ფორუმზე განაცხადა, რომელსაც ზოგიერთმა სხვა დასავლელმა პოლიტიკოსმაც

დაუჭირა მხარი. სხვათა შორის, ამ ფორუმს «საპატიო სტუმრის» სტატუსით მ. სააკაშვილიც ესწრებოდა.

ზემოთ აღწერილ მოვლენათა კონტექსტში არის განსახილველი მ. სააკაშვილის მუქარაც: «მალე დავბრუნდები საქართველოში, რათა გავათავისუფლო ქვეყანა ამჟამინდელი ხელისუფლებისგან, გავაგრძელო რეფორმები და გამოვიყვანო იგი რუსეთის ჩაგვრიდან». — ეტყობა, ამ ქართველთმოძულე «რეფორმატორმა» დასავლელ მეპატრონეთაგან ახალი დირექტივა მიიღო, რათა მათივე მხარდაჭერით საბოლოოდ ჩაკლას ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული სული და ნატო-ევროკავშირის ძახილით ერი ამორალიზმის უფსკრულში გადაჩეხოს. ზნედაცემული კაცის მართვა კი, ოდენ მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებითაც ადვილად შეიძლება, რადგან მისთვის წინაპართაგან ნაანდერძევ «სამ საუნჯეს» პური, სექსი და სანახაობა ცვლის.

ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას, მიუხედავად სიტუაციის სიმძიმისა, ყველა პრობლემა ხელის გულზე უდევს. არჩევანიც არ არის ახალი და უცხო: სიკეთეს გულმართალი და ვაჟკაცი ირჩევს, ბოროტებას — ცრუ და ლაჩარი; სიკეთე ჩვენი მამა-პაპათა სარწმუნოების დაცვაა, ბოროტება — ლგბტ-ის მხარდაჭერა; სიკეთე ქრისტიანობის დამცველ ძლიერ სახელმწიფოსთან, რუსეთთან ისტორიული კავშირის აღდგენაა, ბოროტება — ნატოსთან და ევროკავშირთან ზავის შეკვრა.

სრულიად განუსწავლელმა, უფრო სწორად, ნაცების მიერ ზომბირებულმა ადამიანებმა არ იციან მხოლოდ, რატომ არის სწორი ზემოთ მოცემული სიკეთისა და ბოროტების კლასიფიკაცია, მაგრამ **თქვენ, ბატონო ხელისუფალნო, მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებისა (რომელიც ამ თვის ბოლოს, 27 ივნისს უნდა გაფორმდეს), სიმართლის დაცვა და სამშობლოს ერთგულება მოგეთხოვებათ! თქვენ უკვე აღარავისთან გაქვთ დასამალი, რომ ე. წ. დემოკრატიული დასავლეთი გაიძულებთ ბოროტების მხარეზე დგომას, ბოროტმოქმედი ექსპრეზიდენტის ხელშეუხებლობას, ანტიეროვნული მედიის საქმიანობაში ჩაურევლობას და ა. შ.**

შეუძლებელია, მთავრობა ვერ აცნობიერებდეს საშიშროებას, რომელიც დასავლეთის მიერ სააკაშვილის მფარველობით არის განპირობებული. ალბათობა სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებისა მავანისთვის შეიძლება აბსურდი იყოს, მაგრამ დასავლეთს,

ზემოთ აღნიშნული ულტიმატუმის გათვალისწინებით, ნაცური რეჟიმის რეანიმაციის იმედი რეალურად აქვს. ამ რეალიზმს კი მას ჩვენი ხელისუფლების უპირობო მორჩილება სძენს, რომლის გადალახვის გარეშე, ამჟამად შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, «ქართული ოცნება» თავის თავსაც და ქართველ ხალხსაც დასაღუპად გაწირავს.

ვფიქრობთ, ხელისუფლებას რეალობის ობიექტური შეფასებისთვის თვითმმართველობის არჩევნების (15.06.2014) შედეგებიც გამოადგება, რადგან თავდაჯერებულობისა და კვეხნის წილ მან იძულებითი მეორე ტური მიიღო, თანაც — 18 უბანში და თანაც — მოქალაქეთა უმრავლესობისთვის საძულველ ნაცებთან პაექრობაში! არჩევნებმა დაადასტურა, რომ აღუდგენელმა სამართლიანობამ და პრემია-ხელფასების ფორმით უსამართლოდ (მტაცებლურად!) განაწილებულმა სახალხო დოვლათმა საზოგადოების ნაწილს «ქართული ოცნებისადმი» ნდობა დაუკარგა. გასათვალისწინებელია, რომ არჩევნებზე არგამოცხადებულ მოქალაქეთა რაოდენობა (როგორც ცნობილია — 70%), ჯერჯერობით უმოქმედო ვულკანის პოტენციას ფლობს, მაგრამ, თუ შურისძიებასა და ანგარიშსწორებაზე გავრცელებული ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას გავარვარებული მასა უკვე ყელში აქვს ამოსული. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაცები ტყუილად ლაღობენ! თუ ვულკანი ამოქმედდა, ლავა პირველად მათ თავებზე გადმოინთხევა. თან, ეს ისე სწრაფად შეიძლება მოხდეს, რომ «ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან» მხოლოდ პომპეის ანალოგი შემორჩეს ისტორიას.

უკრაინაში მომხდარი გადატრიალების შემდეგ (თებერვალი, 2014), რუსეთსა და დასავლეთს (აშშ, ევროკავშირი) შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც დასაბამს XI ს-დან იღებს, როცა რომის კათოლიკური (დასავლური) ეკლესია ბიზანტიის მართლმადიდებლურ (აღმოსავლურ) ეკლესიას გამოეყო და პოლიტიკურ, ცეზარულ-პაპისტურ ინსტიტუტად გარდაიქმნა.

მომდევნო ოთხი საუკუნის განმავლობაში, ჯვაროსნული ლაშქრობების მეშვეობით კათოლიკურმა ევროპამ ძირი გამოუთხარა ბიზანტიის იმპერიას და XV ს-ში, საბოლოო განადგურებისთვის, იგი მაჰმადიანთა ხელში ჩასაგდებად გაწირა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ თითქოს ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრის სტატუსი ვატიკანს უნდა შეეძინა, მაგრამ იდეოლოგიურად დეგრადირებული კათოლიციზმი XIII ს-ში შექმნილმა პოლიციურმა

ორგანიზაციამ, ინკვიზიციამ საბოლოოდ გახრწნა და მისივე სნეულ სხეულზე, XVI ს-ში, პროტესტანტიზმის სახით ახალი მეტასტაზები გააჩინა. რეფორმაციით დასუსტებულმა ვატიკანმა იეზუიტური მეთოდებით პოლიტიკური გავლენის სფეროთა აღდგენა და გაფართოება თანდათან შეძლო, მაგრამ XVIII ს-ში ევროპულ ექსპანსიას წინ აღუდგა ბიზანტიის იდეოლოგიური მემკვიდრე, რუსეთის მართლმადიდებლური იმპერია. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობრივმა შეუთავსებლობამ XX ს-ში ორი მსოფლიო ომი გამოიწვია, დაძაბულობა მაინც არ ჩამცხრალა.

ძლევამოსილი მხედართმთავრის, გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ ფაშიზმზე მოპოვებული გამარჯვების საპასუხოდ, დასავლურმა კოალიციამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი აგრესიული ძალის სადემონსტრაციოდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი თვის თავზე (6-9.08.1945), ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავებმა უკვე დამარცხებული იაპონიის ორ ქალაქში, ხიროსიმასა და ნაგასაკში, ატომური ბომბები ჩამოყარა.

არავინ იცის, რა ელოდა მსოფლიოს, სტალინის გენიალური ნიჭისა და ორგანიზებულობის წყალობით საბჭოთა მეცნიერებს ბირთვული იარაღი სასწრაფოდ რომ არ შეექმნათ და რუსეთთან შეკავშირებული ხალხები დასავლურ ჰეგემონიას წინ არ აღდგომოდნენ. ამ ფაქტმა პირდაპირი ინტერვენციის გეგმა ჩაშალა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკონომიკურად უზომოდ გაქსუებულმა დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა, ომის დასრულებისთანავე, საბჭოთა საფრთხის მოტივით, ოპერატიულად შეიმუშავა ეკონომიკური «მარშალის გეგმა» და შექმნა NATO-ს სამხედრო ბლოკი. ყოველივე ამას, ელექტრული საინფორმაციო საშუალებების განვითარებასთან ერთად, დაემატა ახალი სტრატეგიული აღჭურვილობა — მედია და ინტერნეტი.

ამჟამად აღმოსავლურ-დასავლური პოლუსების ფლაგმანებად რუსეთი და აშშ გვევლინებიან. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ აღნიშნული დაპირისპირების ეპოქაში, რომელმაც, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ახალი მსოფლიო წესრიგი წარმოქმნა და დიპლომატიურ მეტყველებაში «**ცივი ომის**» სახელი შეიძინა. სახელწოდება 1946 წელს, ფულტონის კოლეჯში (აშშ), აღმოსავლეთ ევროპაზე დაშვებული რკინის ფარდის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-

მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი პოლიტოლოგის ვარაუდი, საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად ცივი ომის დასასრულზე, მცდარი აღმოჩნდა. პირიქით, ცივი ომის «ტემპერატურა» ეკოლოგიური საფრთხეების მსგავსად გლობალურად მატულობს.

მტკიცება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად არსებობის მდგომარეობას ვერ შეუქმნის. ჩვენ დილემის წინაშე ვდგავართ: რუსეთი თუ ამერიკა. — ვისაც ესმის სარწმუნოების მნიშვნელობა და მართლაც სწამს ღმერთი, მაშინ ჩვენი ღირსეული წინაპრებისა და „ქართლის ცხოვრების“ შეგონებანი მას გაუადვილებენ გადაწყვეტილების მიღებას, რათა «ცხოვრება ჩვენი იყოს სასოებითა ჯვარცმულისათა».

ისტორიული თვალსაზრისით, რუსეთისა და რუსების, ისევე როგორც ჩვენივე თანამემამულეების, წინააღმდეგ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ **ჩვენ ვდგავართ ყოფნა-არყოფნის წინაშე;** შექმნილია ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ავირჩიოთ. მიუხედავად XX ს-ის 70-წლიანი ანექსიისა, უნდა შევძლოთ განსხვავება: რუსეთში გადარჩა საქართველო თუ თურქეთში? რუსეთთან შეერთებულ საქართველოში შეინარჩუნა ქართველმა ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე თუ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ტაო-კლარჯეთის ძალით გამაჰმადიანებულმა გურჯმა? თუნდაც ახლანდელი და საბჭოთა კავშირის დროინდელი საზოგადოების ზნეობრივი სახე შევადაროთ ერთმანეთს: უკაცრავად, მაგრამ ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა მანდილოსნებმა დასავლური მანერები იმდენად შეითვისეს, რომ დაფლეთილი სამოსის ტარება და ჟარგონით მეტყველება კულტურულ გარემოშიც აღარ ერიდებათ. ახლა წარმოიდგინეთ, რუსეთთან ორსაუკუნოვანი ურთიერთობის მსგავსად, ამერიკასთან და ევროპასთან რომ გაგრძელდეს პოლიტიკური თანამშრომლობა, საერთოდ იარსებებს თუ არა ქართული ეთნოსი?!

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ნუთუ საკვირველი არ არის, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ასე ერთნაირად რატომ შეუყვარდათ ჩრდილოელი NATO? განა რა აქვს ამ ნატოს ასეთი მიმზიდველი? — თავისუფლებასა და უსაფრთხოებას მოგვიტანსო, ამბობენ. — მაშინ გვიპასუხეთ, ამერიკელი ოფიცრის მიერ საქა-

რთველოს ტერიტორიაზე მართული სამხედრო შენაერთი ჩვენს ინტერესებს გაითვალისწინებს და საჭიროების შემთხვევაში ჩვენ შეგვეკითხება, რომელი ბაზიდან რომელ სახელმწიფოს დაარტყას? ხოლო თუ ეს ჩვენთვის სულ ერთია, მაშინ მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობის მოხსნა გვსურვებია, ჩვენს გადარჩენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამასთანავე, ნატოს თაყვანისმცემელნო, თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს ერთი ისტორიული ფაქტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იოსებ სტალინმა მიზნად საქართველოს ძირძველი ტერიტორიის, ტაო-კლარჯეთის შემოერთება დაისახა. ამის საპასუხოდ აშშ-მა თურქეთს პოლიტიკური კურსი განუსაზღვრა და სამხედრო („ტრუმენის დოქტრინა“, 1947 წ.) და ეკონომიკური („მარშალის გეგმა“, 1948 წ.) მხარდაჭერის შემდგომ, დაჩქარებული წესით 1952 წელს ნატოშიც შეიყვანა, რითაც მან, ფაქტობრივად, თურქეთს ტაო-კლარჯეთი დაუკანონა.

აქედან გამომდინარე, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებით (1949 წ.) დაფუძნებულმა ამ სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ერთი-მესამედი სხვა სახელმწიფოს საზღვრებში აღიარა და სამომავლოდ თურქეთ-კავკასიის ფედერაციის შექმნას ჩაუყარა საფუძველი; ფედერაციისა, რომელიც ამერიკას მხოლოდ რუსეთზე ყულფის ჩამოსაცმელად ესაჭიროება და არა თურქეთის, ან კავკასიის ხალხთა ინტერესების გასათვალისწინებლად. ამიტომ, გაზვიადების გარეშე ვიტყვით, ნატოს აპოლოგეტები სინამდვილეში დაქირავებული მწყემსები არიან და სამშობლოზე ზრუნვით მხოლოდ ინიღბებიან.

მართალია, ყოველივე ზემოთქმულის აღქმას დინჯი და, თანაც, ცოტა ნაწრთობი გონება სჭირდება, მაგრამ არც მხურვალე გულის გარეშე გამოვა რამე. ამის ცხადი მაგალითია ქცევა რუსთმოძულე ადამიანებისა, რომელნიც, სამი თვის წინ, ნატოს მოქმედებათა შესაფასებლად შეკრებილ თანამოაზრეებს ისტერიკულად დაუპირისპირდნენ. მათთან ლოგიკური მსჯელობა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის მომხდარი ინციდენტის ახსნა აუცილებელია; მით უმეტეს, რომ ვიღაც ექსპერტის თუ ჟურნალისტის მიერ ნატოს მოწინააღმდეგეთა გაიგივებას «მეხუთე კოლონასთან» პოლიტიკური ცილისწამების ელფერი ადევს.

2014 წლის 24 მარტს სერბეთის ტრაგედიიდან 15 წელი შესრულდა. 1999 წლის 24 მარტიდან აშშ-ის მთავრობის ბრძანებით NATO-ს ჯარ-

ები 78 დღის განმავლობაში უმოწყალოდ ბომბავდნენ მართლმადიდებელი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებს, სასაფლაოებს(!), კულტურის ძეგლებს, ქალაქებსა და სოფლებს. ამ დღეს, ისევე როგორც 1946 წელს, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევითა და გაეროს დადგენილებათა უგულებელყოფით აშშ-მა დაუნდობელი აგრესორის ნიღაბი ჩამოიხსნა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, **ერთმორწმუნე სერბი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად საზოგადოების ერთი ნაწილი, დაახლოებით 150-მდე ადამიანი, თბილისის კინოს სახლში შეიკრიბა,** სადაც ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა ჩვენება სერბი დოკუმენტალისტების მიერ გადაღებული ფილმისა, რომელიც NATO-ს გამოკვეთილად ანტიქრისტიანული სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციის შედეგებს ასახავდა.

ფილმის ჩვენების შემდეგ, როგორც წინასწარვე იყო დაგეგმილი და ქალაქის მერიასთან შეთანხმებული, პროტესტის ნიშნად მოეწყო ფეხით მსვლელობა, რომელშიც მსურველებმა მიიღეს მონაწილეობა — კინოს სახლიდან, რუსთაველის პროსპექტის გავლით, ნატოს საინფორმაციო ცენტრამდე, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკასთან არის განთავსებული. ნატოს წარმომადგენლებს მიეწოდა მათივე ორგანიზაციის აგრესიაზე შეკრებილი ობიექტური მასალა და აქციაც ამით იქნა დასრულებული.

ძნელი დასანახი არ არის, რომ აქციის მონაწილეთა არც განზრახვასა და არც ქმედებაში ეთიკური ან სამართლებრივი ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაცებისა და ლგბტ-აქტივისტებისთვის დემოკრატია არა მარტო მათი უფლებების, არამედ უკვე მათი სურვილების დაცვასაც ნიშნავს. რომ არაფერი ვთქვათ კინოს დარბაზში შემოპარულ ორ პროვოკატორზე, კინოს სახლთან შეკრებილი ნაც-ლგბტ-ური მცირე ჯგუფი თავგამოდებით ლანძღავდა აქციის ყველა მონაწილეს. ამას ვერ დავარქმევთ მხოლოდ ხულიგნობას, რადგან ისინი არა მარტო უხამსად ილანძღებოდნენ, არამედ აქციის მონაწილეებს ცილს ურცხვად სწამებდნენ.

როცა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება სტიქიურად წარმოიშვება, ასეთ შემთხვევას შეიძლება გაგებით მოეკიდო კიდეც, მაგრამ, როცა ვიღაც სპეციალურად მოგზავნილი თავხედი, პოლიციის კორდონის იმედით, მშვიდობიანად და ყოველგვარი ხმაურის გარეშე თავიანთი საქმისთვის შეკრებილ ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებს, ბუნებრივია, იგი მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის. ეს მოგზავნილი პროვოკატორები კადრულობენ უკადრებელს, რათა კაცი როგორმე

მოთმინებიდან გამოიყვანონ.

ჩვენი აზრით, თუ საქართველო ახლო მომავალში რეალურად შეძლებს საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაცვას, ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად უნდა გაუქმდეს ქვეყნის დამაქცევარი «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა», ხოლო ჰომოსექსუალებს (ლგბტ), როგორც უზნეობის ადეპტებს, აეკრძალოთ საკუთარი ცოდვის დემონსტრირება და მისი ყოველგვარი პროპაგანდა. მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ «დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ» მიღებული კანონი (02.05.2014) ქართველი ხალხის მორალურ კანონებზე მაღლა ვერ დადგება და, საჭიროების შემთხვევაში, არც მისი გაუქმება გახდება ძნელი.



ვალერიან მაჭარაძე

რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო

ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის
ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1988

თ ე ზ ი ს ე ბ ი

რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში საყურადღებო ეტაპია რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდი, როცა რეალურად განხორციელდა სამხედრო კავშირი. ქართველი ხალხი ომის დამთავრებამდე ურყევად იდგა თავისი მოკავშირის — დიდი რუსეთის მხარეზე, მის მხარდამხარ ებრძოდა თავის მოსისხლე და დაუძინებელ მტერს, **სულთნის თურქეთს,** რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხსენებულ ომსა და რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირს უშედეგოდ არ ჩაუვლია: **ჯერ ერთი,** რუსეთმა გატეხა თურქეთის ძლიერება, საბოლოოდ დამკვიდრდა **შავი ზღვის** ჩრდილო ნაწილში და მოიპოვა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება, რითაც უზრუნველყო ქვეყნის უშიშროება და ნორმალური ეკონომიკური განვითარება; ომში დამარცხებული თურქეთი კი ერთბაშად გადაიქცა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელმაც ამიერიდან საბოლოოდ დაკარგა იმის შესაძლებლობა, რომ შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში ბატონობისთვის რუსეთის სერიოზულ მეტოქედ გამოსულიყო; **მეორე, ყირიმის სახანოს** თურქეთისაგან ჩამოცილებითა და მისი დამოუკიდებლად გამოცხადებით, თურქეთმა არა მარტო პლაცდარმი

და საიმედო რეზერვი დაკარგა, ამ აქტმა წინასწარვე გადაწყვიტა აგრეთვე ყირიმის საკითხი და გააიოლა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების საქმეც; **მესამე,** ქართველი ხალხის გმირული ბრძოლითა და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით თურქები განდევნილ იქნენ **იმერეთის** ციხეებიდან. თურქეთმა „საზეიმოდ და სამუდამოდ“ აიღო ხელი იმერეთის ყოველგვარ ხარკზე, მათ შორის ხარკზე ქალ-ვაჟებით, ხოლო ომის მძიმე შედეგების წყალობით თურქებმა ვერ შეძლეს ტრაქტატის ორაზროვანი ადგილების გამოყენება და იმერეთის სამეფოზე თავიანთი ბატონობის აღდგენა; **მეოთხე,** რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირმა ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას. ასეთია საკითხის ისტორიული მნიშვნელობა.

რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობის მიზეზები. რუსეთის ვითარება ომის წინ. ომის დასაწყისი

თურქეთი, სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ძირითადად დაპყრობებითა და ძარცვით ცხოვრობდა, მე-15 ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გაბატონდა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. ჯერ ყირიმის სახანო გახდა თურქეთის სავასალო, ხოლო შემდეგ თურქები დონის შესართავს დაეუფლნენ და აზოვის სიმაგრე, სადაც იანიჩართა გარნიზონი იდგა, გადააქციეს თავიანთი აგრესიის ძირითად ბაზად. აზოვი გასაღები იყო ვოლგისპირეთის, სამხრეთ რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის და საერთოდ აღმოსავლეთისაკენ თურქეთის ექსპანსიისა.

ყირიმის ხანი, თურქეთის სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერით, XVI ს-ის დასაწყისიდან აქტიურად დაუპირისპირდა რუსეთს. მართალია, მე-17 ს-ში რუსეთზე თათართა ბატონობის აღდგენა რეალურ ნიადაგს მოკლებული იყო, მაგრამ თურქების მფარველობის პირობებში ყირიმელი თათრები ახერხებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრას. თათრები თარეშების დროს ძარცვავდნენ და წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ტყვედ იტაცებდნენ ადამიანებს, რომელთაც თურქეთის მონათა ბაზრებზე ყიდდნენ.

რუსეთს შეეძლო თათრების თარეშის ალაგმვა (ამას მოწმობს 1559 წელს ა. ადაშევის წარმატებული ლაშქრობა ყირიმში, 1637-1642 წლებში კაზაკების მიერ აზოვის დაკავება და სხვ.), მაგრამ მთავარ დაბრკოლებას მას უქმნიდა თურქეთი. ჯერ ერთ, თურქები

იცავდნენ თათრებს, როგორც თავიანთ ვასალებს, ამიტომაც რუსეთს საქმე ჰქონდა არა მარტო თათრებთან, არამედ თურქებთანაც; მეორე, თურქებს ეჭირათ აზოვის სიმაგრე, რომლის დაკავების გარეშე თათრების ალაგმვა არ შეიძლებოდა.

მე-17 ს-ის მეორე ნახევარში, უკრაინის ნაწილის რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უფრო დაიძაბა: ჯერ ერთი, თურქეთი აქტიურად გამოვიდა უკრაინის ხელში ჩასაგდებად, რაც რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ხელყოფას ნიშნავდა (თურქეთ-თათართა ჩიგირინის ლაშქრობების წარუმატებლობა და ბაღჩისარაის ზავი სრულებითაც არ იძლეოდა საკითხის მოგვარების გარანტიას); გარდა ამისა, უკრაინის შეერთებისა და სამხრეთ ველების კოლონიზაციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო საზღვარი შავი ზღვის სანაპიროებს მიუახლოვდა. ამასთან, საწარმოო ძალებიც აღმავლობას განიცდიდნენ. რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთი ოლქების ნორმალური ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი იყო, დაცული ყოფილიყო ეს ოლქები თათართა თარეშისაგან და ამ ოლქების ნაწარმს მისცემოდა შავი ზღვის საავჭრო გზით ბაზარზე გასვლის საშუალება.

პეტრე I-მა სცადა ესარგებლა აზოვის ლაშქრობის შედეგებით და კარლოვიცის კონფერენციაზე (1698-1699) თურქეთს შავი ზღვის სანაოსნო გზის გახსნა მოსთხოვა, მაგრამ **ავსტრია** ადრე მოურიგდა თურქებს, რითაც თავისი მოკავშირე რუსეთი მარტო დატოვა. რაკი თურქეთმა რუსეთის დიპლომატები დაიმარტოხელა, ხელცარიელი გამოისტუმრა კარლოვიციდან. 1699 წელს პეტრე I-მა სამხედრო გემით სპეციალური მისია გაგზავნა ზავის დასადებად კონსტანტინეპოლში. ამ მისიას ე. ურკაინცევი მეთაურობდა.

რუსეთის მთავრობა თურქეთს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უყენებდა: ა) აზოვისა და კაზი-კერმენის სიმაგრეები, რომლებიც რუსეთის არმიას ჰქონდა დაკავებული, რუსეთის კუთვნილებად ეცნო, რათა ამ უკანასკნელს საშუალება ჰქონოდა აელაგმა თათართა თარეში რუსეთის მიწა-წყალზე; ბ) რუსეთის განთავისუფლებას ყირიმის ხანის სასარგებლო ხარკისაგან; გ) შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლებას ორივე მხარისთვის ნორმალური საავჭრო ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით.

თურქეთს ამ დროს შავი და აზოვის ზღვები შიდა ზღვებად ჰქონდა გადაქცეული, ამიტომ თავის უფლებას არ თმობდა.

კონსტანტინეპოლის ზავით (1700 წ.) რუსეთის ხელში გადა-

ვიდა აზოვი მომიჯნავე ტერიტორიითურთ, კაზი-კერმენის სიმაგრე დაინგრა და მისი ტერიტორია დაუბრუნდა თურქეთს. ტრაქტატში აღნიშნული იყო ისიც, რომ რუსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ყირიმის ხანმა ხარკი არ უნდა მოსთხოვოსო.

შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

კონსტანტინეპოლში მოლაპარაკებისას კარლოვიცელი მედიატორების **(ინგლისი** და **ჰოლანდია)** პოზიციას რუსი ელჩი პეტრე I-ს ასე აცნობდა: ინგლისის და ჰოლანდიის ელჩებს ყველაფერში თურქეთის მხარე უჭირავთ, რადგან ამ ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობა თურქეთთან ძველთაგანვე ფართო ხასიათისაა, ამიტომ შენ რომ გააჩაღე საზღვაო გემთმშენებლობა და ნაოსნობა აზოვთან, შურთ, რადგან ამაში ხედავენ თავიანთი საზღვაო ვაჭრობის შეფერხებასო.

რუსეთის პირველი გემის გამოჩენა შავ ზღვაზე და შავი ზღვის პრობლემის რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დასმა საკმარისი გახდა, რომ ევროპის ქვეყნები თურქეთის მხარეზე დამდგარიყვნენ.

პრუტის მარცხიანი ლაშქრობის (1711 წ.) შემდეგ რუსეთმა დაკარგა აზოვის სიმაგრე, რომელიც თათართა თარეშების ალაგმვისა და შავ ზღვაზე გასვლის იმედს იძლეოდა.

1735-1739 წლების ომში რუსეთის იარაღის წარმატებას არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. ევროპის ქვეყნებმა, განსაკუთრებით **საფრანგეთმა** (მას ამ დროს ლევანტის ვაჭრობაში პირველი ადგილი ეჭირა), მტრული პოზიცია დაიკავეს, რადგან რუსეთის შავ ზღვაზე გასვლით ლევანტის ვაჭრობაში კონკურენტი უჩნდებოდათ. ამ მხრივ რუსეთის გეგმების წარუმატებლობაში გარკვეული როლი შეასრულა რუსეთის მოკავშირის **ავსტრიის** მიერ სეპარატიული ზავის დადებამაც.

ბელგრადის ზავით (1739 წ.) რუსეთს დაუბრუნდა აზოვი, მაგრამ სიმაგრეების აგების უფლება ვერ მოიპოვა; რუსეთმა მიიღო ტერიტორია დნეპრსა და ბუგს შორის (შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამოკლებით).

თუ XVI-XVII სს-ების რუსეთი ვერ ახერხებდა თათართა პრობლემის გადაჭრას იმის გამო, რომ თათრების ზურგს უკან ძლიერი თურქეთი იდგა, ვერც მე-18 ს-ის პირველი ნახევრის რუსეთმა შეძლო შავი ზღვის პრობლემის გადაჭრა, რადგან რღვევის გზაზე დამდგარი თურქეთის იმპერიის ზურგს უკან ევროპის დიდი ქვეყნები აღმოჩნდა, რომელთა პოზიციისთვის რუსეთს არ შეეძლო, ანგარიში არ გაეწია.

თურქეთი მე-18 ს-ის პირველ ნახევარში შავი ზღვის „ქალწულობის“ დაცვასა და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში აგრესიის ბაზების (ყირიმის სახანოსა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სიმაგრეების) შენარჩუნებას ახერხებდა ევროპის ქვეყნების დახმარებით.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, მე-17 ს-ის მეორე ნახევარში უშუალოდ მიუახლოვდა შავ ზღვას. თურქეთი თითქმის მთელი ს-ის მანძილზე ხელოვნურად წყვეტდა რუსეთს შავი ზღვის სავაჭრო გზიდან. თათართა თარეში სამი ს-ის მანძილზე ხელს უშლიდა რუსეთის სამხრეთ ოლქებში მეურნეობის ნორმალურად წარმოებას. ზემოაღნიშნული მიზეზები აფერხებდა რუსეთში საწარმოო ძალთა განვითარებას. აი, რატომ არ შეეძლო რუსეთს დონის, დნეპრის, ბუგის შესართავები და ქერჩის სრუტე მომთაბარე თათარი ყაჩაღების ხელში დაეტოვებინა და დასთანხმებოდა თურქეთს იმაში, რომ შავი ზღვა „უმანკო ქალწულად“, თურქეთის ტბად, დარჩენილიყო.

ასეთი იყო ამოცანა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ეკატერინე მეორის მთავრობამ თურქეთთან ურთიერთობის საკითხში. ამასთან, XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთი აღარ იყო ის ქვეყანა, რომელმაც ადრე ამ ამოცანის გადაჭრა ვერ შეძლო.

მე-18 ს-ის 60-იან წლებში რუსეთისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა, რაც, რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებასთან ერთად, მომწიფებული საგარეო პრობლემების გადაჭრას შესაძლებელს ხდიდა. ამ დროს ტახტზე ავიდა ეკატერინე II. რუსეთის მთავრობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება შვიდწლიანი ომის მონაწილეებისადმი. 1761 წლის ბოლომდე რუსეთი ავსტრია-საფრანგეთთან კავშირში ომს აწარმოებდა პრუსიის წინააღმდეგ. 1762 წელს ახალმა იმპერატორმა, პეტრე III-ემ, სამხედრო კავშირი დადო პრუსიასთან და ჯარი დაძრა ყოფილი მოკავშირის წინააღმდეგ, რითაც ფრიდრიხ II იხსნა განადგურებისგან. პეტრე III-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობა ძველ კურსს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ეს არ მომხდარა.

რუსეთის ახალმა მთავრობამ პრუსიასთან გაწყვიტა სამხედრო კავშირი, მაგრამ მასთან ზავი ძალაში დატოვა. რუსეთის ასეთი გადაწყვეტილება შემთხვევითი როდი იყო. პრუსია ამ დროს საკმაოდ დასუსტდა და მის მთლიანად გაწირვას აზრი არ ჰქონდა. იგი საჭირო იყო ავსტრიისა და საფრანგეთის დასაპირისპირებლად ევ-

როპაში წონასწორობის შენარჩუნების მიზნით.

რუსეთის მთავრობამ მთელი თავისი ძალ-ღონე იქითკენ მიმართა, რომ ევროპის ქვეყნებს ხელი არ შეეშალათ რუსეთის ინტერესების სამსახურში, რაც მიხეილის ძისა და პეტრე I-ის დროიდან რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლის ყურადღების ცენტრში იდგა: შემოეერთებინა **უკრაინა** და **ბელორუსია,** რომლებიც პოლონეთს ჰქონდა დაპყრობილი, გამაგრებულიყო ბალტიის სანაპიროზე და წინ წაწეულიყო შავი ზღვისაკენ. ეს პრობლემები რუსეთის ისტორიულ მოწინააღმდეგეებად აქცევდა **შვეციას, თურქეთსა** და **პოლონეთს.**

მე-18 ს-ის სამოციან წლებში არც ერთი ზემოაღნიშნული სახელმწიფო ცალ-ცალკე არ წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომ რუსეთის იმპერიის გეგმების განხორციელების გზაზე გადაულახავი დაბრკოლება შეექმნა. სიძნელე ის იყო, რომ ამ ქვეყნების ზურგს უკან იდგა **საფრანგეთი** და მასთან კავშირში მყოფი **ავსტრია.**

საფრანგეთი შვიდწლიანი ომიდან დაზარალებული გამოვიდა. ლუდოვიკო XV-ის უხეირო პოლიტიკით საფრანგეთი კონტინენტზე ჩაება ომში, რათა ავსტრიისთვის დაებრუნებინა ფრიდრიხ II-ის მიერ მიტაცებული სილეზია; შედეგები საგალალო გამოდგა. ფრიდრიხ II-ემ შეინარჩუნა სილეზია, ხოლო ინგლისთან კოლონიურ ომში დამარცხებულმა საფრანგეთმა **კანადა** და **ინდოეთი** ინგლისს დაუმთო (1763 წ.). ფრანგი ვაჭრები და მრეწველები რუსეთის წინ წაწევას შავი ზღვისაკენ და ყოველგვარ საშიშროებას თურქეთის სამფლობელოების მიმართ პირდაპირ და სერიოზულ საშიშროებად თვლიდნენ საფრანგეთის ეკონომიკური ინტერესებისთვის. გარდა ამისა, რუსეთ-საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა აღმოსავლეთ ევროპაშიც.

საფრანგეთის პოლიტიკური სისტემა აღმოსავლეთ ევროპაში ძველთაგანვე აგებული იყო პოლონეთის, შვეციისა და თურქეთის კავშირზე, რომელთაც რუსეთის მზარდი გავლენის წინააღმდეგ ზღუდის როლი უნდა შეესრულებინათ. ამიტომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა ევროპის საქმეებიდან რუსეთის ჩამოცილებით უზრუნველეყო თავისი უპირატესობა.

რუსეთის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას საფრანგეთი დიდ სახსრებს ახმარდა, აგენტების საკმაოდ ფართო ქსელიც ამ საქმეზე მუშაობდა. რუსეთშიც არ იყვნენ გულუბრყვილონი. ამის გამო, ვარშავასა და სტოკჰოლმში ორი „პარტია“ იბრძოდა, რაც ფაქტობრივად

ასუსტებდა პოლონეთსა და შვეციას. რაც შეეხება ავსტრიას, იგი 1762 წლიდან ცდილობდა რუსეთთან ტრადიციული კავშირის აღდგენას, რადგან კარგად ესმოდა, რომ მასთან მეგობრობის გაწყვეტით ბევრს დაკარგავდა. ავსტრიისთვის რუსეთთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთისა და პრუსიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ პოლონეთის საკითხში მათი ინტერესები ერთმანეთს სცდილდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის საკითხის პირველ რიგში დასმამ გამოიწვია რუსეთ-ავსტრიის ტრადიციული კავშირის დარღვევა. სხვანაირად არც შეიძლება გაგებულ იქნეს რუსეთის თავისებური დამოკიდებულება ავსტრიის მიმართ: რუსეთი, უახლოვდებოდა რა პრუსიას, ცდილობდა შეენარჩუნებინა მეგობრობა ავსტრიასთანაც, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, რუსეთმა წინა ომების გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ავსტრია თურქეთის წინააღმდეგ არცთუ საიმედო მოკავშირე იყო; ამის გამო ავსტრიის, როგორც თურქეთის წინააღმდეგ მომავალ ომში შესაძლო მოკავშირის, შენარჩუნების მიზნით პრუსიის დაკარგვა და პოლონეთში საქმის ჩაშლა, როგორც ჩანს, რუს სახელმწიფო მოღვაწეებს მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ რიგში პოლონეთის საკითხი დადგა. პოლონეთის საკითხში საფრანგეთის და ავსტრიის პოზიცია აიძულებდა რუსეთს, მოკავშირეები ეძებნა ამ ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებში. ასეთი ამ დროს **ინგლისი** და **პრუსია** იყო. ინგლისს ეშინოდა საფრანგეთის მხრით რევანშისა, რადგან ის ახალი გამოდევნილი ჰყავდა ამერიკიდან და ინდოეთიდან; პრუსიას — ავსტრიისა, რომლისგან, თუმცა ძვირად დაუჯდა, მაგრამ მაინც მიიტაცა სილეზია.

შვიდწლიან ომში განადგურების პირას მისული და ევროპაში იზოლირებული პრუსიის სახელმწიფო მხოლოდ იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის უეცარი სიკვდილისა და პეტრე III-ის მიერ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მკვეთრი მობრუნების წყალობით გადარჩა გარდაუვალ დაღუპვას. გარდა ამისა, მტაცებელ პრუსიას თვალი ეჭირა პოლონეთზე, მაგრამ ამ ამოცანის დასმა აშკარად არ შეიძლებოდა, რუსეთთან სიახლოვეს კი შეეძლო ფრიდრიხ II-სათვის გარკვეული სარგებლობა მოეტანა. აი, რა იყო პრუსიის რუსეთთან დაახლოების საფუძველი. რუსეთისთვის პრუსია ამ დროს საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა, რადგან იგი საკმაოდ გატეხილი

იყო. ახლა შეიძლებოდა მისი გამოყენება პოლონეთის საკითხის მოსაგვარებლად. რუსეთ-პრუსიის დაახლოება სამხედრო კავშირით დაგვირგვინდა (1764 წ.).

რაც შეეხება ინგლისს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ეშინოდა რევანშისა საფრანგეთის მხრიდან და სჭირდებოდა მოკავშირე კონტინენტზე; მაგრამ ინგლის-რუსეთის დაახლოებას სხვა მიზეზებიც აადვილებდა. ინგლისის ვაჭრობა და გავლენა თურქეთში მე-17 ს-ში დიდი იყო, განსაკუთრებით გაძლიერდა იგი 1675 წლის „კაპიტულაციით“, მაგრამ მე-18 ს-ში საფრანგეთის ენერგიული კონკურენციის წყალობით მისი ვაჭრობა დასუსტდა. ამის გამო „ინგლისი უფრო დაინტერესებული იყო რუსეთთან მეგობრობით, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ მოქმედებით აღმოსავლეთში“. ინგლისის კაბინეტი ორი ბოროტებისგან უმცირესს ირჩევდა. გარდა ამისა, ინგლისს რუსეთში დიდი საავჭრო ინტერესები ჰქონდა.

რუსეთის მთავრობამ კურსი აიღო ინგლისსა და პრუსიაზე, რათა ავსტრია-საფრანგეთის კავშირისთვის (ე. წ. სამხრეთის ქვეყნების კავშირი) დაეპირისპირებინა ჩრდილოეთის ქვეყნების კავშირი. რუსეთის მთავრობის ანგარიშით, ჩრდილოეთ ევროპაში უნდა შექმნილიყო სახელმწიფოთა კოალიცია, რომელშიც შევიდოდნენ **რუსეთი, პრუსია, ინგლისი** და **დანია,** როგორც აქტიური მონაწილენი; კოალიციაში უნდა შესულიყვნენ აგრეთვე **პოლონეთი, შვეცია** და **საქსონია.** მაგრამ ამ უკანასკნელთ, როგორც პასიურ წევრებს, მოეთხოვებოდათ მხოლოდ ნეიტრალიტეტი.

მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ვერ მოახერხა ერთიანი ანტიფრანგული კოალიციის შექმნა გათვალისწინებული მთავარი მონაწილე ქვეყნების პოზიციის გამო, მაგრამ ინგლისსა და პრუსიასთან დაახლოებამ, რაც ცალკე ხელშეკრულებების გაფორმებით დამთავრდა, რუსეთის გეგმების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა.

***

რუსეთ-თურქეთის ომის საბაბი გახდა რუსეთის ჩარევა პოლონეთის საქმეებში.

მე-18 ს-ში პოლონეთი, როგორც ზემოთ ითქვა, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სადაც ცენტრალური ხელისუფლებაც ძალზე მოისუსტებდა. მსხვილი მაგნატები, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნების

მიზნით, გულმოდგინედ იცავდნენ პოლონეთის კონსტიტუციას, „პოლონეთის დანგრევის საუკეთესო საშუალებას“; ასევე გულმოდგინედ იცავდნენ მას ევროპის ქვეყნებიც, რათა სუსტი პოლონეთის საშინაო საქმეებში თავისუფლად ჩარეულიყვნენ.

პოლონეთში მეფის არჩევის საკითხი (მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გრძელდებოდა) ევროპის ქვეყნებს პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას აძლევდა. ავგუსტ III-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სამზადისის სიგნალი გახდა. რუსეთის სამეფო კარზე გადაწყდა: მომავალ არჩევნებში მეფედ აერჩიათ პოლონელი, კერძოდ, გრაფი სტანისლავ პონიატოვსკი; თუ მისი არჩევა არ მოხერხდებოდა, მაშინ ტახტზე მისი ბიძაშვილი, თავადი ადამ ჩარტორიისკი უნდა აეყვანათ; ამავე დროს გადაწყდა, რომ რუსეთს საზღვართან მზად ჰყოლოდა 30.000-იანი არმია, ხოლო 50.000 კაცი გამზადებული ყოფილიყო. რა თქმა უნდა, სამზადისი საიდუმლოდ მიმდინარეობდა.

1764 წელს დაიდო რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირი. რუსეთ-პრუსიის ერთობლივმა მოქმედებამ უზრუნველყო რუსული „პარტიის“ გამარჯვება — 1764 წელს რუსეთის ჯარის დახმარებით ტახტზე ავიდა სტანისლავ პონიატოვსკი. რუსეთის მთავრობამ ახალ მეფეს და რუსული „პარტიის“ მეთაურებს, ჩარტორიისკებს წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: 1) დისიდენტები (არაკათოლიკები — მართლმადიდებლები და პროტესტანტები) სამოქალაქო უფლებებში გაეთანაბრებინათ კათოლიკებთან და 2) პოლონეთის კონსტიტუციის დაცვა დაეყენებინათ გარანტიის ქვეშ. პირველი საბოლოოდ მტკიცე და საიმედო „პარტიას“ შეუქმნიდა რუსეთს პოლონეთში, ხოლო მეორე პოლონეთის საშინაო საქმეებში მუდმივი ჩარევის შესაძლებლობას მისცემდა.

კათოლიკური სამღვდელოება და შლიახტა დისიდენტთა საკითხში დათმობას არ ფიქრობდნენ, რადგან ეს იყო უმთავრესი საშუალება, რათა უკრაინელი და ბელორუსი ხალხები მონობაში ჰყოლოდათ. რუსი ელჩის ენერგიული მოქმედებით მიზანი მიღწეულ იქნა; პოლონეთის საკითხი 1768 წლის დასაწყისში მოგვარებული ჩანდა. რუსეთის ჯარი ვარშავიდან გამოვიდა, იგი პოლონეთის სამეფოს ტერიტორიის დასატოვებლადაც ემზადებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. უკმაყოფილო ელემენტებმა ქ. ბარში მოაწყვეს კონფედერაცია. კონფედერატებმა კავშირი დაამყარეს თურქეთსა და საფრანგეთთან.

პოლონეთში რუსეთის აქტიური საქმიანობის პარალელურად თურქეთში აქტიურად მოქმედებდნენ საფრანგეთის აგენტები. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა 1768 წელს უკიდურესად დაიძაბა.

ამ ამბებს დაემთხვა გლეხთა **აჯანყება უკრაინაში**. პოლონელი პანებისა და ბარის კონფედერატების თვითნებობით განაწამები დნეპრის მარჯვენა მხარის უკრაინელი გლეხობა აჯანყდა. აჯანყებულ გლეხთა ერთი რაზმი შილის მეთაურობით შეიჭრა საზღვრისპირა სოფ. ბალტაში; ეს სასაზღვრო ინციდენტი რუსეთის მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს, რომ გაეძლიერებინათ დაწოლა თურქეთზე. თურქეთმაც ხელზე დაიხვია ეს უბრალო სასაზღვრო ინციდენტი (რომელსაც რუსეთის მთავრობის პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა), რათა ომი დაეწყო მის წინააღმდეგ. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა თვით ებრძოდა უკრაინელ გლეხთა აჯანყებას და მისმა ჯარმა ჩააქრო კიდევაც იგი ეკატერინეს ბრძანებით; მეორე, ცნობილია ისიც, რომ რუსეთი ამ დროს ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გართულებას. ასეთი სასაზღვრო ინციდენტები, ჩვეულებრივ, დიპლომატიური ნოტების გაცვლით მთავრდება ხოლმე, როცა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სურთ.

საფრანგეთის აგენტები მოქმედებდნენ ყველგან — ვარშავაშიც, კონსტანტინოპოლშიც, სტოკჰოლმშიც. არ ზოგავდნენ თანხებს რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგების მოსაწყობად. ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ პოლონელ კონფედერატებს. 1767 წლიდან საფრანგეთის მთავრობა აშკარად გამოვიდა რუსეთზე კოალიციური თავდასხმის ორგანიზატორად. გენ. დიუმურიე ოფიცერთა მთელი შტატითა და იარაღით პოლონელი კონფედერატების დასახმარებლად გაიგზავნა, გაძლიერდა თურქეთზე დაწოლა.

1768 წლის 11 ივლისს რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში, ა. ობრესკოვს წინადადება მისცეს, რომ რუსეთს დაუყოვნებლივ გაეყვანა ჯარი პოლონეთიდან. 25 აგვისტოს შეიცვალა დიდი ვეზირი. სულ მალე შეიცვალა რეის-ეფენდიც (საგარეო საქმეთა მინისტრი). ა. ობრესკოვი ამჩნევდა, რომ ომის მანქანა ამოქმედებული იყო. ნ. პანინი სპეციალური წერილით არწმუნებდა დიდ ვეზირს რუსეთის მშვიდობიან განზრახვებში თურქეთის მიმართ და თან უგზავნიდა საფრანგეთის აგენტის წერილს, საიდანაც ცხადი ხდებოდა, რომ საფრანგეთის აგენტებს მოსყიდული ჰყავდათ სოფ. ბალტის უფროსი იაკუბი (ინციდენტის შესახებ იგი გაზვიადებულ ცნობებს გზავნიდა თურქეთში), მაგრამ პანინ-ობრესკოვის ცდა — ომი გადაედოთ — მარცხით დამთავრდა.

1768 წლის 25 სექტემბერს დიდმა ვეზირმა მოსთხოვა ა. ობრესკოვს, რომ რუსეთს დაუყოვნებლივ გაეყვანა ჯარი პოლონეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ომით. ორი საათის შემდეგ კი ელჩს დამატებითი წინადადება მისცა, რუსეთს ხელი აეღო უკანასკნელი სეიმის გადაწყვეტილებათა გარანტიასა და დისიდენტთა საკითხზე. ა. ობრესკოვმა სთხოვა თურქეთის მთავრობას, რომ ეს წინადადება წერილობით გადაეცათ მისთვის, რათა მას გადაეგზავნა თავისი მთავრობისთვის. მაგრამ ა. ობრესკოვი საელჩოს 11 წევრთან ერთად დააპატიმრეს და სარდაფში ჩასვეს. ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. თურქეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ასეთ მოთხოვნებზე მთავრობის დაუკითხავად რუსეთის ელჩს დაპირების მიცემა არ შეეძლო. მან ეს შეგნებულად გააკეთა, რათა საქმის მშვიდობიანად მოგვარების გზა მოესპო.

საფრანგეთის მინისტრი შუაზელი არც ფარავდა, რომ მან ადვილად მოახერხა თურქების ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ. ფრანგები აშკარად მოქმედებდნენ. მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის გამოსვლას ფარულად ხელს უწყობდა ავსტრია და რუსეთის მოკავშირე პრუსიაც კი. გარკვეული როლი შეასრულა ყირიმის ხსნის აქტიურმა პოზიციამაც.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ არც საფრანგეთის ინტრიგებს, არც პოლონეთის საქმეებში რუსეთის ჩარევას და არც ბალტის ინციდენტს რუსეთ-თურქეთის ომი არ გამოუწვევია. მათ მხოლოდ დააჩქარეს ომის დაწყება. ომს ბევრად უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა: იგი განაპირობა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში ბატონობისთვის მებრძოლი რუსეთის და თურქეთის მეტოქეობამ.

რუსეთი საერთოდ თურქეთთან ომის წინააღმდეგი არ ყოფილა, მაგრამ ამჯერად ვითარება სასურველი არ იყო: მას პოლონეთში საქმე გართულებული ჰქონდა, ევროპის ქვეყნებს მტრული პოზიცია ეჭირათ, ინგლისთან სამხედრო კავშირის დადება არ მოხერხდა (თუმცა 1766 წ. ინგლისთან დადებულმა საავჭრო ხელშეკრულებამ გარკვეული სამსახური გაუწია რუსეთს: შვეციაში ფრანგული „პარტია“ დამარცხდა, რითაც ჩრდილოეთიდან საშიშროება მოიხსნა). რაკი თურქეთმა ომი დაიწყო, რუსეთს გამოწვევა უნდა მიეღო და დღის წესრიგში დაესვა ის ამოცანები, რომლებიც მე-17 ს-ის ბოლოდან გადაუჭრელი რჩებოდა.

თურქეთის აგრესიულ გადაწყვეტილებას პოლონეთის დაცვის

კეთილშობილურ მიზნებთან საერთო არაფერი ჰქონდა. ევროპის ქვეყნების მიერ დაიმედებული თურქები ვარაუდობდნენ, რომ პოლონეთის საქმეებით დაკავებულ რუსეთს ადვილად დაამარცხებდნენ და უკრაინას ხელში ჩაიგდებდნენ. ყირიმის ხანი კი პეტრეს წინადროინდელი უფლების აღდგენაზე (რუსეთიდან ხარკის მიღებაზე) ოცნებობდა.

ოფიციალურად მოკავშირის გარეშე დარჩენილ რუსეთს მაინც ჰყავდა ერთი საიმედო დასაყრდენი — თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხები, რომლებმაც თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლით, ოსმალური სამხედრო ლენური სისტემის რღვევასთან ერთად, მცირედი როლი როდი შეასრულეს ოდესღაც ძლიერი ოტომანის პორტას სამხედრო ძლიერების მსხვრევის საქმეში. ბუნებრივია, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება (ომისა, რომელსაც უნდა გაეტეხა თურქი დამპყრობლები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებს) ამ ხალხებში გამოძახილის გარეშე ვერ დარჩებოდა.

საქართველო XVIII ს-ის 60-იან წლებში და მისი ურთიერთობა რუსეთთან

XVIII ს-ის 60-იან წლებში საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა ერთნაირი არ იყო. აღმოსავლეთ საქართველო, რომელმაც ფაქტობრივ დამოუკიდებლობას 50-იან წლებში მიაღწია, 60-იან წლებში ოფიციალურად გაერთიანდა, მეზობელ ქვეყნებთან დამოკიდებულება დროებით მოაგვარა და აღმავლობის გზას ადგა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მისი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო: სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში, რომელსაც თურქი აგრესორები მოსვენებას არ აძლევდნენ, შინაპოლიტიკური ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა, ქვეყანა სისხლიდან იცლებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფო

რუსეთიდან ელჩობის დაბრუნების შემდეგ (რომელსაც თეიმურაზ II მეთაურობდა), ერეკლე მეორისთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთს კავკასიის საქმეებში ჩარევა ამჯერადაც არ შეეძლო; ამიტომ მეფეს უნდა გადაესინჯა თავისი საგარეო პოლიტიკის კურსი: უპირველეს

ყოვლისა, ირანის საქმეებში აქტიური ჩარევის ნაცვლად, მასთან მორიგების გზას უნდა დასდგომოდა, რათა არსებული მდგომარეობა მაინც განემტკიცებინა და ვითარების შეცვლამდე ძალები შეენარჩუნებინა; ასევე უნდა ეზრუნა ერეკლეს კავკასიის ხალხებსა და თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეც.

1747 წლიდან ირანში შექმნილმა ვითარებამ ქართლ-კახეთს საშუალება მისცა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, ამასთან ერთად ირანის ყოფილ პროვინციებზე (ერევნისა და განჯის სახანოებზე) თავისი გავლენა გაევრცელებინა, ხოლო 50-იან წლებში ირანელ სარდლებთან წარმატებული ბრძოლით ეს მიღწევა განემტკიცებინა.

60-იანი წლების დასაწყისში ირანში ტახტის მაძიებელთა ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. მაჰმედ-ჰასან-ხანი ყაჯარი, რომელიც 1749 წელს ამიერკავკასიაში გაბატონებისთვის იბრძოდა, ერეკლემ ერევანთან დაამარცხა, შემდეგ იგი ქერიმ-ხან ზენდთან ბრძოლაშიც დამარცხდა. მაჰმედ-ხანის ჯარში უკმაყოფილება ჩამოვარდა. ხანი მისმა მსახურებმა შეიპყრეს და 1760 წელს მოკლეს. მთელი მისი ოჯახი ტყვედ მიჰგვარეს შირაზის მფლობელს ქერიმ-ხან ზენდს. ქერიმ-ხანს რჩებოდა კიდევ ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე — აზატ-ხან ავღანი. ქერიმ-ხანმა ისიც დაამარცხა და აიძულა ირანიდან გაქცეულიყო. 1761 წელს ქერიმ-ხანმა თავრიზიც აიღო და ამ დროიდან თითქმის მთელი ირანის მმართველი გახდა (ხორასნის გამოკლებით, სადაც შაჰ-როჰი იჯდა). 1760 წლის დეკემბერში ერეკლე მეორემ შეიპყრო აზატ-ხანი, რომელიც 1762 წლის მეორე ნახევრამდე დაპატიმრებული ჰყავდა, მაგრამ რუსეთიდან ელჩობის უშედეგოდ დაბრუნების შემდეგ იგი ქერიმ-ხანს გაუგზავნა, რითაც ამ უკანასკნელთან ურთიერთობა მოაგვარა. „ქერიმ-ხანმა სცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე, და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში“ (ნ. ბერძენიშვილი). კიდევ მეტი, ქერიმ-ხანს წერილი გამოუგზავნია ამიერკავკასიის ხანებისთვის, რომ ისინი ერეკლე მეორის მორჩილებაში ყოფილიყვნენ.

XVIII ს-ის 60-იან წლებში თურქეთი იძულებული იყო, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა. თუმცა, თურქეთის დიპლომატია ქართლ-კახეთისადმი მტრობას ფარულად აგრძელებდა, რისთვისაც ლეკებსა და აზერბაიჯანელ

ხანებს იყენებდა. ერეკლემ რომ 50-იან წლებში აღმოსავლეთ კახეთისთვის (ჭარისთვის) ბრძოლა წააგო, ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

ლეკები, 50-იანი წლების მარცხის შემდეგ, დიდი ლაშქრობების მოწყობას ვერ ახერხებდნენ, თუმცა მათი თავდასხმები 60-იან წლებშიც არანაკლებ ზიანს აყენებდა ქართლ-კახეთს. მუდმივი ქურდული თარეშისა და ძარცვა-ტყვევნის პირობებში ცხოვრების ნორმალურად წარმართვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ირღვეოდა ინტენსიური მეურნეობა, ჩანაგდებოდა და მოსახლეობისაგან იცლებოდა სოფლები. ასე რომ, ლეკიანობა დაღუპვას უქადდა ქვეყანას.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად საჭირო იყო მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება, უამისოდ ქვეყანა საგარეო მტერს ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ მთავარ დაბრკოლებას აქ სათავადოების სისტემა ქმნიდა. თავადები, იბრძოდნენ რა თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ქვეყნის ყველა მტერს განურჩევლად უკავშირდებოდნენ, ოღონდ კი ცენტრალური ხელისუფლება დაესუსტებინათ.

60-იან წლებში რეაქციონერ თავადებსა და ქართლის ტახტის მაძიებლებს გარედან დახმარების იმედი გადაეწურათ, რადგან საერთაშორისო ვითარება ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს სასარგებლოდ შეტრიალდა: ირანში ტახტის მაძიებლებს შორის ბრძოლა დამთავრდა, ხოლო ქერიმ-ხანი ერეკლესთან მტრობას, ამჯერად, მასთან მეგობრობას არჩევდა; თურქეთს, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში, ქართლ-კახეთის დაპირისპირება არ შეეძლო, ამას რუსეთის დიპლომატია არ დაუშვებდა. ასეთ ვითარებაში იგი ამჯობინებდა ერეკლესთან კარგ ურთიერთობაში დარჩენილიყო; რუსეთს, პოლონეთის საქმეებში გახლართულს, როდესაც თურქეთთან ომი ყოველდღე მოსალოდნელი იყო, საქართველოს საქმეებისთვის არ ეცალა და აღარც ვახტანგის მემკვიდრეებს საჭიროებდა (ან კი რუსეთისთვის ვახტანგის მემკვიდრეები რით სჯობდნენ ერეკლეს?). ასე რომ, ქართლის თავადებს ამ ძალაზე ვარაუდი ერეკლეს წინააღმდეგ საერთოდ არც გამოადგებოდათ, მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობამ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფედ ოფიციალურად სცნო ერეკლე II.

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის რეაქციონერ თავადებს ისღა დარჩენოდათ, რომ საკუთარი ძალით რაიმე ეღონათ ერეკლეს წინააღმდეგ და მათაც ცდა არ დაუკლიათ: „წელსა ამასვე 1765 შეითქვნენ რამოდენიმე ქართველნი თავადნი და

აზნაურნი და აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას... რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაჲ ქართლისა“. მეფემ შეიტყო შეთქმულთა განზრახვა და დააპატიმრა ისინი, „ხოლო საზოგადოებამ საქართველოსამან თანხმობითა სულიერთა კრებათამან განაწესეს დასჯა მათი სიკვდილითა“. „მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქიშვილი ელისბარ. და დიმიტრი (ამილახვარი — ვ. მ.) პატიმარ ჰყვეს და შეურაცხვ ჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა. მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა“.

პაატა ბატონიშვილის მარცხის შემდეგ ალექსანდრე ბაქარის ძემ სცადა ქართლში დაბრუნება, მაგრამ ველარ გაბედა, იგი ჩრდილო კავკასიიდან ირანს წავიდა.

ერეკლეს ბრძოლა თავადების წინააღმდეგ მტკიცე ზურგის შესაქმნელად პროგრესული მოვლენა იყო. მაგრამ ერეკლეს წარმატებანი მიზნის საბოლოო მიღწევას როდი ნიშნავდა. სათავადოების არსებობა, რაც იმ დროს საკმაოდ მყარ ეკონომიკურ ნიადაგზე იდგა, ასეთ მტკიცე ზურგს გამორიცხავდა. რეაქციონერთა ფიზიკურ თუ მორალურ მარცხს, ბუნებრივია, მათი გაქრობა ვერ მოჰყვებოდა.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ნამდვილი გაერთიანება და მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა შეიძლება გარკვეულ პირობებში (საწარმოო ძალთა განვითარება; ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერება და საერთო ნაციონალური ბაზრის წარმოქმნა; გარკვეული სოციალური ფენის ან კლასის არსებობა, რომელიც დაუპირისპირდება მემამულეთა კლასს და შექმნის წონასწორობას ძალებისა). საქართველოში კი მაშინ საამისო პირობები არ არსებობდა. ქართლ-კახეთის გაერთიანება და შედარებით მტკიცე ხელისუფლების შექმნა, რაც ერეკლემ მოახერხა, მხოლოდ „ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა“ და მალე შეიძლებოდა დარღვეულიყო „მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა, საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცების პირობებში“ (ი. სტალინი). ისიც აღსანიშნავია, რომ ერეკლეს წარმატებანი ფაქტობრივად საგარეო ვითარებით იყო გაპირობებული, ქვეყნის პროგრესულ ძალებს შეგნებული ჰქონდათ, რომ სხვაგვარად სამშობლოს დაცვა შეუძლებელი იყო, და მეფეს მხარში ედგნენ.

მე-18 ს-ის საქართველო ფეოდალური ქვეყანა იყო, სადაც მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური წესი ბატონობდა. ლეკების თარეშს

მემამულეთა განუკითხავი თვითნებობაც ემატებოდა, ამიტომ გლეხს სამკვიდროზე აღარ ედგომებოდა და გარბოდა. ასე რომ, **XVIII ს-ში უცხოელთა მძლავრობისა და ლეკთა თავდასხმების შედეგად საქართველოს მოსახლეობა თითქმის 10-ჯერ შემცირებულა** (810 ათასი კომლიდან — 87 ათას კომლამდე, ანუ 4-5 მილიონიდან 1/2 მილიონამდე). სამეფო ვერ ახერხებდა ვერც 5 ათასიანი რეგულარული ჯარის შექმნას, ვერც მის დაქირავებას, რომ ქვეყანაში ლეკთა ყაჩაღური თარეში აელაგმა. ასევე ქვეყნის თავდაცვა ძნელდებოდა სახელმწიფოს ტექნიკური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო და, პირიქით, თავდაცვის მოუგვარებლობის პირობებში ვერ ხერხდებოდა მისი ეკონომიკური აღორძინება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართლ-კახეთის სამეფო და მისი გული, თბილისი, იმ დროს ამიერკავკასიაში მაინც დაწინაურებული იყო. ქართლ-კახეთის მეფეს შეეძლო ბრძოლის ველზე რეალურად გამოეყვანა 14-15 ათასი კაცი. ქართველი ჯარი ამ მხარეში განთქმული იყო თავისი მამაცობით, მეფე — მხედართმთავრული ნიჭით. მეფეს მეზობელი მაჰმადიანური სახანოების ნაწილი დამორჩილებული ჰყავდა, ზოგიც — დაშინებული და თვით აწესრიგებდა მათ საქმეებს.

ერეკლემ მარჯვედ ისარგებლა მე-18 ს-ის 50-60-იან წლებში ირანში შექმნილი ვითარებით და ქვეყნის მოწინავე ძალებზე დაყრდნობით შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტობრივი განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, ქვეყნის შიგნით რეაქციული ძალების დამარცხება და შედარებით მტკიცე ხელისუფლების შექმნა. ასეთ პირობებში ქართლ-კახეთის სამეფო ახერხებდა წამყვანი როლის შესრულებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეზობელი ქვეყნები მას ანგარიშს უწევდნენ.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტი რჩებოდა, ქვეყნის მომავალი ჯერ უზრუნველყოფილი არ იყო, ირანთან სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლით მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდებოდა. ლეკთა საკითხიც საბოლოო გადაჭრას საჭიროებდა — საქმის მოგვარება უნდა დაწყებულიყო ჭარ-ბელაქნის დაპყრობით, რაც, როგორც 50-იანი წლების გამოცდილებიდან ჩანდა, საკუთარი ძალით ძნელი გადასაწყვეტი იყო. ამ პრობლემების გადაუჭრელად კი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ვერ მოხერხდებოდა.

დაბოლოს, მართალია, მე-18 ს-ის 60-იან წლებში ქართლ-კახეთს

თურქეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მისი შემოტევისგან ქვეყანა დაზღვეული იყო. თურქეთთან სამსაუკუნოვანი ურთიერთობა საქართველოს ძვირად დაუჯდა. რაც მთავარია, ამჯერად თურქეთს ხელთ ჰქონდა „ქართლის ქვეყნის ნაწილი“ — მესხეთი — და იყენებდა მას, როგორც აგრესიის პლაცდარმს, საქართველოს დანარჩენი ნაწილების ხელში ჩასაგდებად. სანამ ეს პლაცდარმი მტრის ხელში რჩებოდა და თურქეთს აგრესიის უნარი საბოლოოდ დაკარგული არ ჰქონდა, ქვეყნის უშიშროება ამ მიმართულებითაც უზრუნველყოფილად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ამ ამოცანების გადაჭრა ერეკლე II-ს საკუთარი ძალებით არ შეეძლო.

ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა და ერეკლეც მთელს იმედებს რუსეთზე ამყარებდა. მაგრამ ელჩობის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1762 წ.) მეფე მიხვდა, რომ ვიდრე ბელგრადის ზავი ძალაში რჩებოდა, რუსეთიდან რეალური დახმარების მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა. რუსეთი თავს არიდებდა და არც ერეკლესათვის იყო ხელსაყრელი ასეთ პირობებში ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობის დემონსტრირება (რითაც იგი მაჰმადიან მეზობლებს გააღიზიანებდა). ამიტომ მომდევნო ხუთი წლის მანძილზე (რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე) ოფიციალური ელჩობა რუსეთში არ გაგზავნილა, მაგრამ ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია: დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ყიზლარის კომენდანტთან და ასტრახანის გუბერნატორთან. რუსეთის სამეფო ხელისუფლების ეს წარმომადგენლები მთავრობის სათანადო ინსტრუქციებით იყვნენ აღჭურვილნი და მათი საშუალებით ხდებოდა რიგი საკითხების მოგვარება.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ ფაქტსაც. ყირიმელთა, დაღესტნელთა და სხვათა ტყვეობიდან გაქცეული ქართველები ჩვეულებრივ რუსეთს აფარებდნენ ხოლმე თავს. რუსეთის მთავრობა მათ მატერიალურად ეხმარებოდა და სამშობლოში დაბრუნებასაც უზრუნველყოფდა ხოლმე. 60-70-იან წლებში ასე დაბრუნდნენ საქართველოში ტყვეყოფილი ქართველები. ეს კი ერთ-ერთი ნათელი ფურცელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა.

დასავლეთი საქართველო

XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის მეფე **სოლომონ პირველმა** გარკვეულ წარმატებებს მიაღწია: დაამარცხა შეთქმულნი, ხრესი-

ლის ბრძოლაში გაანადგურა იმერეთის მსხვილი თავადები და მათი მოკავშირე თურქები, აკრძალა ტყვის სყიდვა, გააჩაღა ბრძოლა მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ, 1758 წელს თავდაცვითი კავშირი დადო ქართლისა და კახეთის მეფეებთან, 1759 წლის დეკემბერში აღადგინა საქუთათლო, რითაც განამტკიცა თავისი მოკავშირის — ეკლესიის — ნივთიერი მდგომარეობა, ხოლო 1759 წლის 30 დეკემბერს მეფემ მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების კრება, რომელსაც ახალციხის ფაშის „სასმენლად საზარო სიტყვის“ („ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო“) პასუხად დაადგენინა: «სანამდის სული გვედგას, ეს საქმე (ტყვის სყიდვა — ვ. მ.) ჩუჭნგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბძანების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზე ჩუჭნი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩუჭნს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუჭნგან იქნეს».

ტყვის სყიდვის აკრძალვის ზემოხსენებული დადგენილება, რომელშიც ეკლესია შეჩვენებით ემუქრებოდა მის დამრღვევს, სიანტერესოა იმით, რომ სოლომონ მეფეს, როგორც დასავლეთ საქართველოს ხელმწიფეს, მის შესრულებაზე პირობას აძლევენ არა მარტო იმერეთის თავადები, არამედ სამეგრელოსა და გურიის მთავრებიცა და თავადებიც. ეს ფაქტი ცენტრალური ხელისუფლების ზრდის მომასწავებელი იყო. მეფე დასავლეთ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად გამოდის, რომელიც კისრულობს ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული ამოცანის გადაჭრას. მაგრამ აქ საყურადღებოა ისიც, რომ დადგენილება მიღებული იყო ახალციხის ფაშის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, რაც თურქეთის გამოწვევასაც ნიშნავდა.

თურქები ვერ ურიგდებოდნენ სოლომონ მეფის პოლიტიკას, რადგან ისინი ქართველი ტყვეებით ავსებდნენ იანიჩართა რიგებსა და ჰარამხანებს, იაფფასიანი ქართველი ტყვეებით ვაჭრობა მონათა ბაზრებზე დიდ მოგებას იძლეოდა.

1760 წელს თურქების დიდი ჯარი დაიძრა დასავლეთ საქართველოს დასასჯელად მოლა აბდულა ფაშას სარდლობით, მაგრამ მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. მომდევნო (1761) წელს თურქეთმა ხელახლა გამოგზავნა ჯარი, მაგრამ ისეთივე პასუხი მიიღო. 1763 წელს თურქეთის მთავრობას ორგზის მოუწყვია იმერეთზე თავდასხმა. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული.

1764 წლის დასაწყისში სულთანმა არტილერიით შეიარაღებული

დიდი ჯარი (მაქსიმე აბაშიძის ცნობით, 80 ათასი კაცი) სერასკირ ჰასან-ფაშას სარდლობით გამოგზავნა იმერეთში, რომელმაც ასევე მარცხი განიცადა. სულთანმა 1765 წლის იანვარში ახალციხის ჰასან-ფაშას გაუგზავნა ფირმანი, რომლითაც უბრძანებდა, გაზაფხულამდე მომზადებულიყო იმერეთის დასათრგუნავად, თან აცნობებდა, რომ ანალოგიური ბრძანებები სხვა ფაშებსაც გაეგზავნაო.

დასავლეთ საქართველოში თურქეთის წინააღმდეგ 1765 წელს წარმოებული ბრძოლების შესახებ საყურადღებო ცნობებია შემონახული. ასე მაგალითად, 1765 წლის 31 აგვისტოს რუსი დიპლომატები კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდნენ, რომ აქ ხმები გავრცელდა, გაზაფხულზე ევროპიდან გაგზავნილი თურქთა 8-10 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსი, რომელიც თურქთა აზიის ჯარებს უნდა შეერთებოდა, გადაუსხამთ ბათუმში, სადაც იმერლები დახვედრიან და ერთიანად გაუნადგურებიათო.

იმ მარცხის მიუხედავად, რომელიც დასავლეთ საქართველოში უგემნიათ, თურქებს 1765 წელს მაინც მიუღწევიათ გარკვეული წარმატებისთვის. სხვა ცნობები დაბეჯითებით იუწყება, რომ ჩილდირის ჰასან-ფაშას მოუხერხებია გურიის დაჭერა, მამია გურიელი გადაუყენებია და ტახტზე მამიას უმცროსი ძმა გიორგი დაუსვამს. შეშინებული დადიანი თურქებს მორიგებია და თურქთა ჯარების ნაწილისთვის ოდიშში გაზამთრების უფლება და სურსათი მიუცია.

ასე რომ, თურქების მარცხი, რომლის თაობაზე იუწყებიან რუსი დიპლომატები კონსტანტინოპოლიდან, იმერეთში წარუმატებლობას უნდა ეხებოდეს და არა გურია-სამეგრელოში. მაგრამ 1765 წლის ბრძოლების საერთო შედეგები რომ მაინც არ ყოფილა სახარბიელო თურქებისთვის, ამას რუსი დიპლომატების სხვა მოხსენებები ადასტურებენ.

სამწუხაროდ, საქმე ასე არ წასულა. 1766 წლის ზაფხულის მიწურულში ბრძოლაში გარდატეხა მოხდა, სექტემბერში სვერის ციხე დაეცა და თურქები ქუთაისში შევიდნენ. ახალციხის ფაშამ, სულთანის სახელით, სოლომონ I-ის ბიძაშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. იმერეთის თავადებმა თეიმურაზს მორჩილება განუცხადეს. რაკი საქმე მოგვარებული ჩანდა, თურქთა მთავარმა ძალამ იმერეთი დატოვა, ოღონდ ციხეთა გარნიზონები მნიშვნელოვნად გააძლიერა.

სოლომონ მეფე საწერეთლოში, მოდინახეს ციხეში, აფარებდა თავს. მეფის ერთგული ქვეშევრდომების წყალობით თურქებმა ვერ შეძლეს მისი შეპყრობა.

დამარცხებულ სოლომონ მეფეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მან 1766 წლის 20 ოქტომბერს ყიზლარში გენ. პოტაპოვთან გაგზავნა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და გიორგი აბდუშერიძე წერილით, რომლითაც ატყობინებდა: თურქებმა აიძულეს ჩემი წინამორბედი მეფეები, რომ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლება დაეშვათ, მე ეს ავკრძალე, ამიტომ ორჯერ გამომიგზავნა სულთანმა წერილი და მომთხოვა აკრძალვა გამეუქმებინა, მე არ დავთანხმდი, ამიტომ რამდენჯერმე დაგვესხნენ თავს სულთანის გამოგზავნილი ჯარები, მაგრამ მარცხი იგემეს; მე თანახმა ვარ ფულადი ხარკი ვაძლიო, მაგრამ სულთანი კვლავ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებას ითხოვს, რაზედაც მე არასოდეს დავთანხმდები; ამჯერად თურქებმა ჯარების ნაწილი ქვეყნიდან გაიყვანეს, ხოლო ნაწილი კი დატოვეს ქუთაისში, სადაც მათი გარნიზონი ჩვეულებრივ დგასო. ქვემოთ სოლომონ I, თეიმურაზ ბაგრატიონის იმერეთში გამეფების მოუხსენიებლად, წერს: „თუ ჩემი სამეფო ჩემს ნებაზე დამანება და ტყვის სყიდვა არა შემამიკვეთა, ხომ ვიქნები ჩემს სამეფოში და, თუ არ დაიშალა და დამიჟინა ტყვის გასყიდვის დასტურის მიცემა ხალხისა, მე არც ხორციელი სიმდიდრე და დიდება და პატივი მინდა და არც ჩემის სულის წაწყმენდა. და ჩემი განზრახულობა ეს არის, რომ ჩემი სამეფო დაუტეო, მართლმადიდებელს და ყოვლად მოწყალეს ხელმწიფის საფარველს ქუეშე გადმოვიდე და ამას ვევედრები მის იმპერატორობის დიდებულებას, რომელნიც ჩემთან თავადნი, აზნაურნი და გლეხნი თან გადმამყვებიან, ან რომელს ადგილს ბრძანებს ჩვენს დასახლებას, ან რას დედობრივს მოწყალებას მოიღებს ჩვენზე, ესენი სრულიად მის დიდებულების კარზე მისწეროთ“.

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1767 წლის იანვრის ბოლოს შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი სოლომონ I-ის თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც 1 თებერვალს ეკატერინე II-მ მოიწონა. იმპერატორს კოლეგია სთავაზობდა: ყიზლარის კომენდანტისთვის ბრძანებით დაევალებინათ, სოლომონთან საიმედო კაცი გაეგზავნა, რომელიც საიდუმლოდ აცნობებდა იმერეთის მეფეს, რომ რუსეთის ხელმწიფემ დიდის კმაყოფილებით შეიტყო მისი თავდადებული ბრძოლის ამბავი. იწონებს კიდეც მის განზრახვას, მაგრამ ახლა თურქები მოღლილნი არიან, სოლომონ მეფესთან შერიგებას აპირებენ და იქნებ საჭირო არც იყოს, ახლა მან სამშობლო დატოვოსო; ქვემოთ კიდევ უფრო ნათლადაა ნათქვამი: თურქეთთან ზავი გვაქვს და თქვენი მიღება რუსეთში ახლა არ შეგვიძლია, ეს განზრახვა უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადადეო.

როგორც მასალებიდან ჩანს, სოლომონ მეფეს რუსეთიდან პასუხის მოლოდინში ბრძოლა არ შეუწყვეტია. როგორც კი თურქთა ძირითადი ძალები იმერეთიდან წავიდა, სოლომონ მეფემ ნიკოლოზ წერეთელი გაგზავნა დაღისტანში, სადაც დააქირავებინა სამასამდე ლეკი, რომელთაც უხდიდა თვეში თითოეულს ორ-ორ, სამ-სამ თუმანს. მეფემ ერთგული ხალხი შემოიკრიბა და აქტიურ შეტევაზე გადავიდა. თეიმურაზ ბაგრატიონმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ დადიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი, ვერ შეძლო გამკლავებოდა სოლომონ მეფეს. იგი სოლომონ I-მა ჩხარის მახლობლად დაამარცხა, შეიპყრო და მუხურის ციხეში დაამწყვდია, სადაც მოკვდა კიდეც.

მართალია, სოლომონ მეფემ მოახერხა ტახტის დაბრუნება, მაგრამ ქვეყანა სამშვიდობოს გასული როდი იყო: თურქთა ჯარების ლაშქრობათა შედეგად მეურნეობა დაეცა; თურქებს ეჭირათ ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, ფოთის, რუხის, ანაკლიის, სოხუმის, ქუთაისის, შორაპნის, ბაღდადის, ციცხვათის ციხეები, სადაც იანიჩართა სამიათასიანი გარნიზონი იდგა; მტრის ხელში რჩებოდა დედაქალაქი ქუთაისიც; გუშინდელი მტრები, რომლებიც თურქებთან ერთად მხარში ედგნენ თეიმურაზ ბაგრატიონს (კ. დადიანი, გ. გურიელი, როსტომ რაჭის ერისთავი) და ებრძოდნენ სოლომონ მეფეს, მოყვრებად არ გადაქცეულან; 1759 წლის საზეიმო პირობა, თურქების აქტიური შემოტევის შედეგად, 1766 წელს არარაობად იქცა,; ცენტრალური ხელისუფლება კვლავ შესუსტდა. ამიერიდან მტრებთან ზავი არაფერს ნიშნავდა. საერისთავოცა და სამთავროებიც მხოლოდ ძალით დამორჩილების შედეგად შეიძლებოდა დაეთანხმებია მეფეს 1759 წლის შეთანხმების შესრულებაზე. ამასთან, ეს ნომინალური ვასალები ძლიერებაში მეფეს არ ჩამოუვარდებოდნენ. გარდა ამისა, თურქებს შეეძლოთ კვლავ ახალი დამსჯელი ჯარების გადმოსროლაც.

აი, რა აიძულებდა სოლომონ მეფეს 1768 წლის 23 ივნისს, მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ გრიგოლ არქიმანდრიტის პირით ახლახან შემოთვლილი უარისა, დიდი უფლებებით აღჭურვილი ელჩი გაეგზავნა რუსეთს.

სოლომონ მეფის შიში უსაფუძვლო როდი იყო. სულთანი მართლაც არ აპატიებდა მას ურჩობას. მაგრამ რუსეთში ელჩობის გაგზავნის შემდეგ საერთაშორისო ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, რამაც იმერეთი იხსნა. საქმე ისაა, რომ 1768 წლის 11 ივლისს კონ-

სტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტს ა. ობრესკოს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ რუსეთს ჯარი გაეყვანა პოლონეთიდან. 25 აგვისტოს შეიცვალა დიდი ვეზირი, „კაცი მშვიდობის მოყვარე“ და რუსეთისადმი კეთილგანწყობილი. რუსი დიპლომატები ამჩნევდნენ, რომ ომის მანქანა ამოქმედებული იყო. როგორც აღვნიშნეთ, 1768 წლის 25 სექტემბერს რუსეთის რეზიდენტი ა. ობრესკოვი დააპატიმრეს, რითაც ფაქტობრივად ომი გამოუცხადეს რუსეთს. ასეთ ვითარებაში იმერეთის დასასჯელად ჯარის გაგზავნას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ თურქეთის მთავრობამ ამჯობინა, დროებით დათმობაზე წასულიყო და სულთანმაც იმავე დღეს სოლომონ მეფეს „აპატია“ ძველი „დანაშაული“ და წყალობის წიგნი გამოუგზავნა. ახალციხის ფაშამ სულთანის სახელით, სოლომონ I-ს ხმალი აჩუქა და წერილობითაც დააიმედა, რომ ძველი დანაშაული აპატია, ოღონდ ახალი არ უნდა ჩაედინა და ხარკი უნდა ეკისრა. ნიშანდობლივია, რომ ა. ობრესკოვის დაპატიმრება და სოლომონ მეფის „შეწყალებაც“ 25 სექტემბერს მოხდა, რაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სწორედ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ აიძულა სულთანი დათმობაზე წასულიყო.

სოლომონ მეფეც გარკვეულ დათმობაზე წავიდა: მან ივალდებულა 30 ათასი მანეთის გადახდა ახალციხის ფაშას სასარგებლოდ, იმერლებმა კი, რაკი ფული არ ჰქონდათ, შვილები გაჰყიდეს, რომ ხარკი დაეფარათ. ძნელია იმის თქმა, მეფე წავიდოდა თუ არა ამ დათმობაზე, მისთვის რომ ცნობილი ყოფილიყო ის, რაც თურქეთში ხდებოდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სოლომონი გრძნობდა, რომ ქვეყნისთვის სულის მოთქმა აუცილებელი იყო, რათა შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაეჩაღებინა.

დასასრული ჟურნალის მომდევნო ნომერში დაიბეჭდება.

ჩვენი ავტორები

ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია მონოგრაფიებისა: წიგნი და საჭრეთელი (პროფესიული განათლების პედაგოგიკური ასპექტები, 1985), განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები (1991), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (I ნაწ., აღზრდის თეორია, 1997), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (II ნაწ., განათლებისა და სწავლების თეორია, 1999), ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში (2001), განათლების თანამედროვე თეორიები (2005), განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო კონცეფციების შედარებითი ანალიზი (2009); 500-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ნაილი ალექსანდრეს ასული სვანიძე

ფრანგული ენის სპეციალისტი. თარგმნა ფრანგულიდან: Mars Bloch. Apologie pour l'histoire ou Métier d'historien (2006); „ფრანგული ენის ახალი გრამატიკა“ (2008); სტატიები კრებულისთვის: Actes du colloque: L'Europe et le Caucase. Les relations interrégionale et la question de l'identité (2012); მასალები კონფერენციისა: ევროპა და კავკასია, რეგიონალური ურთიერთობები და საკითხი იდენტურობისა (2012).

ინეზა აპოლონის ასული იამანიძე

მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია ნარკვევების და წერილებისა: სკოლა, როგორც საზოგადოების მინი მოდელი (1996), საბაზრო ეკონომიკა და განათლების სისტემა (1998), საავტორო სკოლა-კომპლექსის მოდელი (1998), აქტიური სწავლება ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით (2002), 100ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

რუსთველი მიტროპოლიტი იოანე
(ზურაბ ვახტანგის ძე გამრეკელი)

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი; გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; საპატრიარქოსთან არსებული განათლების ცენტრის თავმჯდომარე; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი (1989-1993); საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფის ხელმძღვანელი; საღმრთო სჯულის სასკოლო სახელმძღვანელოე-

ბის შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი; ხელმძღვანელი ჟურნალისა „რწმენა და ცოდნა“; ავტორია მრავალი ქადაგებისა და პუბლიცისტური წერილისა.

თინათინ ვლადიმერის ასული იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

ანზორ ბაგრატის ძე თოთაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დემოგრაფი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე (1999), საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2009), კავკასიის მოსახლეობა (თანაავტ. პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ინგლისურ ენაზე, ნიუიორკი, 2009); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

გვანცა ვახტანგის ასული კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეხუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

ელდარ მირიანის ძე ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

— მუშაობს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მისი ნაშრომები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი ავტორია 170 ნაშრომისა, მათ შორის 11 მონოგრაფიისა. გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი მონოგრაფიები: საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი ანტონ მეორე, თბ., 2002, რომლის მეორე გამოცემა განხორციელდა 2011 წელს; ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ. 2004; საქართველოს ეკლესიის სიჭმინდეები, თბ., 2007; მისი ინგლისური თარგმანი გამოიცა 2010 წელს; ორსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ისტორია, თანაავტორობით ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ინგლისში 2006 წელს. საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მამუკა ავთანდილის ძე ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელობა და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბონდო ვალერიანის ძე არველაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ ღაღადებენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

გულბაათ ვიქტორის ძე რცხილაძე

პოლიტოლოგი და გერმანისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების (1995 წ.) შემდეგ ჯერ სტაჟორად, შემდგომ — საერთაშორისო საკითხების რეფერენტად მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ევრაზიის ინსტი-

ტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

გრიგოლ ნიკოლოზის ძე რუხაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

ვალერიან გიორგის ძე მაჭარაძე (1920-2000)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ავტორია ნაშრომებისა: „იასე ცინცაძე“ (1990), „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (4 ტომად, 1968-2007 წწ.), „ასპინძის ბრძოლა“ (1957), „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა“ (1962), „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“ (1968), „გიორგი ლეონიძე და რუმინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“ (1976).

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2 (12), 2014
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ

ПИРАТЫ НРАВСТВЕННОСТИ

Пиратство и в прошлом и настоящее время является большой бедой и наносит значительный урон обществу. Однако большую опасность содержит новая форма пиратства, которая в XXI веке проявилась в виде пиратства нравственности. «Новым пиратам» не нужно ни оружие, ни корабль. Их оружие деньги и информационные средства: пресса, радио, телевидение, интернет. С их помощью с легкостью берут на «абордаж» целые общества и государства, которых одурманивают пропагандистским опиумом, лишают нравственности и обрекают на безнравственное существование. По мнению автора, опасность пиратства совершенно очевидна, а отношение общества к этой опасности – неадекватно.

НАИЛИ СВАНИДЗЕ

ДИДАКТИКА ЯЗЫКОВ И КУЛЬТУР

В статье проанализированы те методы и средства, которые необходимы студентам для изучения иностранных языков и культур. Автор подчеркивает, что в процессе обучения большое значение имеет подача понятийного и концептуального аппарата, что обеспечивает интердисциплинарное обучение; а это, со своей стороны, подразумывает внесение в университетскую программу следующих дисциплин – лингвистики, литературной критики, текстологии, социологии, социолингвистики, культурологии и лингвокультурологии.

ИНЕЗА ИАМАНИДЗЕ

ГЛОБАЛИЗАЦИАЯ ПОДОРВАЛА ОСНОВЫ ТРАДИЦИОННОЙ ШКОЛЫ

Автор в статье описывает проблемы, существующие в школьной образовательной системе; конкретизирует факт отсуствия в стране концепции воспитания; выражает обоснованное опасение в связи с тем, что в стране, где не определен ориентир воспитания будущего поколения, существет угроза того, чтобы в систему высоконравственных ценностей не вошел закон, который известен как защита прав ЛГБТ общества и меньшиств. Поскольку, фактически, принятием в православной стране антидискриминационного закона уже была узаконена безнравственность и греховность. Исходя из этого, автор в статье ставит вопрос: как поступить школе? На этот вопрос ответа пока нет. А время не ждет.

МИТРОПОЛИТ ИОАНЭ (ГАМРЕКЕЛИ)

ПУТЬ ГРУЗИИ

Актуальность вопроса, поставленного в письме, уже обозначена в заглавии. Вкратце анализируя историческое прошлое Грузии, автор представляет путь, который грузинский народ выбрал без принуждения, по собственной воле и вследствие этого выбора, продолжал существовать, не теряя национальной самобытности. Сегодня страну опять поставили перед выбором: продолжить путь служения Христу, который выбрал 1500 лет назад, или поменять его на т.н. европейские ценности, т.е. с кем нужно иметь тесные взаимоотношения — с Западом или Россией. Вывод такой : выбор должен быть сделан на основе того, где больше возможности сохранить верность выбранного предками пути и, соответственно, спасение – взаимоотношением с Западом или Россией.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

ТЯГЧАЙШЕЕ ПРЕСТУПЛЕНИЕ ВЕКА

Парламент Грузии принял закон «Об искоренении всех форм дискриминации в Грузии». Закон был подписан Президентом 2 мая 2014 года и сразу же вступил в силу. В первом пункте закона сексуальная ориентация и гендерная идентичность уравнивается с национальностью и этнической принадлежностью и рассматривается в одном контексте, что недопустимо. Закон можно интерпретировать и так: как будто «сексуальное меньшинство» в Грузии является жертвой гомофобии. Автор статьи напоминает составителям закона, что грузинское общество всегда было толерантным по отношению ко всем больным (психически или физически) и по силе возможности пыталось протянуть им руку помощи. Поэтому отношение грузина к сексуальному меньшинству не следует оценивать, как преследование из-за какой-то сексуальной ориентации, преследования, ненависти, социальной изоляции и насилия. На сегодняшний день, критическое отношение к сексуальному меньшинству вызвано тем, что оно как секта превратилось в идеологию, приняло прозелитский характер и имеет претензию всеобщего признания, универсальности, международного признания и государственной поддержки.

Этот закон нельзя уподобить с традициами и здоровым образом жизни грузинского народа. Любой такой закон может стать причиной духовного и государственного, территориального или религиозного раскола-раздробления нации. К сожалению, наше сегодняшнее правительство, подобно предшествующему, по отношении к Западу проводит политику покорного слуги и несогласовавшись с народом узаконивает (придает вид закона) то, что диктуют внешние силы.

АНЗОР ТОТАДЗЕ

«ЧТОБ КРАСОТА ЖИЛА, НЕ УВЯДАЯ»

В парламенте Грузии готовиться законопроект, согласно которому женщине, чтобы сделать аборт, на обдумывание вместо трех дается пять дней. В связи с этим фактом внегосударственные организации Запада подняли шум. Сторонники у них нашлись и в Грузии. Они считают, что это изменение нарушит права женщин и поставит под сомнение возможность принятия женщиной самостоятельного решения. В статье высказывается противоположное мнение. В частности, законодательство Грузии дает женщине право на аборт, однако в процессе реализации этого права возникают другие

(других) права, которые вступают в конфликт друг с другом. По мнению автора, увеличение срока на обдумывание до пяти дней, целесообразно.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

АТАБАГСТВО САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Причину удаления южной Грузии, исторической Самцхе-Джавахети от родины и ее превращения в ахалцихский пашалык, прежде всего, следует искать в грехах предков, в частности, честолюбии и изменах. Царь Эрекле в известный трактат, согласно которому, Картли-Кахетинское царство являлось подданным Российской Православной Империи, одним из пунктов внес пункт, предусматривающий усилия со стороны Российской империи, направленные на возвращении потерянных грузинских краев. В статье, на основе анализа исторических фактов, представлена реальная картина попыток Россииской Империи по возвращении Самцхе-Джавахети, которые под конец увенчались успехом. Однако честолюбие и измена и на сей раз проявились, что, естественно, причинило вред общему национальному делу, последствия которого по сей день пожинает Грузия.

ЕЛДАР БУБУЛАШВИЛИ

ЗАСЛУГА ПРОТОИЕРЕЯ МЕЛИТОНА КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ

В статье представлена многосторонная деятельность протоиерея Мелитона Келенджеридзе. Он активно совмещал духовную деятельность с общественной. Многообразной была и научная деятельность Мелитона Келенджеридзе, которая охватывает разные сферы науки. Он был фольклористом, языковедом, литературоведом, историком церкви и др. В статье оценивается его заслуга в развитии грузинской церковной историографии.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

МИХАИЛ ВОРОНЦОВ РАДЕТЕЛЬ ГРУЗИИ XIX ВЕКА

В очерке выявлена заслуга известного русского государственного и общественного деятеля XIX века, наместника Кавказа (1844-1854 гг.), князя Михаила Воронцова перед Грузией. Опираясь на исторические документы и оценки грузинских общественных деятелей, автор представляет нам знаменитого чиновника, который внес бесценный вклад в развитии грузинской культуры, образования и сельского хозяйства.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ

РАЗОБЛАЧЕНИЕ АРМЯНСКОЙ ФАЛЬСИФИКАЦИИ ПРОДОЛЖАЕТСЯ

На этот раз автор дает обзор второго тома сборника «Разрушители фальсификации» (Баку, 2014, на русс. яз.). В сборник внесены очерки ученых и политологов многих стран, которые разоблачают множество исторических и культурных фактов, фальсифицированных армянскими учеными. Целью автора статьи является вразумить молодых армянских ученых не подражать соотечественникам, фальсификаторам истории и добросовестно, объективно исследовать историю и культуру как Армении, так и соседних народов.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

АНТИГРУЗИНСКИЙ ЗАГОВОР

Автор выявляет антидемократическую суть мышления министра обороны Ираклия Аласания, который недавно заявил, что те политзаключенные режима Саакашвили, которые сегодня критикуют НАТО и ЕС, представляют собой «контрразведывательную опасность» и, следовательно, парламент не должен был их освобождать так просто.

В обращении Г.Рцхиладзе говорится: «В Институте Евразии два таких бывших заключенных – магистр международного права Шота Апхаидзе и боевой офицер, полковник Коба Отанадзе. Оба

они, в отличие от Ираклия Аласания, аналитически воспринимают положение Грузии и не рисуют окружающий мир в простых, черно-белых тонах. То есть, они не являются безусловными сторонниками вступления Грузии в НАТО и ЕС. Именно поэтому, их нынешнему свободному существованию и выражению мнения угрожает сегодняшний министр обороны – родившийся в семье бывшего высокопоставленного офицера КГБ, имеющий сомнительное прошлое, связанное с неформальными уличными бандами, верный слуга режима Саакашвили (верный, пока режим прочно стоял на ногах), крестник генерала КГБ Игоря Гиоргадзе (это так, для «контрразведывательных рисков») - Ираклий Мамиевич Аласания.

Поскольку в Грузии не существует развитой правовой системы, справедливого суда и страна лишь формально суверенна, Институт Евразии не может потребовать правового ответа от министра обороны, даже из-за его явно антидемократического заявления. Только с целью удовлетворения интереса, как «западные друзья» воспринимают данную ситуацию, мы отправим данное заявление в «соответствующие органы» — представленным в Грузии дипломатическим миссиям США и Европы – реальным правителям Грузии. Интересно, пожурят они своих «усыновленных» чиновников (чтобы хотя бы формально подтвердить приоритетность принципов демократии) или предпочтут отмолчаться?»

Кроме этого в статье приводится множество фактов вербальных провокаций грузинских политиков, журналистов и даже некоторых клириков, направленных против возможного сближения Грузии с Россией.

ИРАКЛИ КИПИАНИ

ЧТО ВЫИГРАЕТ ГРУЗИЯ ОТ СОГЛАШЕНИЯ ОБ АССОЦИАЦИИ С ЕВРОСОЮЗОМ?

Автор рассматривает основные пункты проекта соглашения об ассоциации между Европейским Союзом и Грузией, подготовленного к подписанию. Вывод однозначен – Грузия ничего не выигрывает от этого соглашения ни в экономическом, ни в политическом аспектах, а ЕС закрепляет Грузию на своей стратегической орбите, к тому же обеспечивает привилегированные условия для своих экспортеров.

Scientific and Social Journal
"SAMI SAUNJE" (Three Treasures) №2 (12), 2014
(in Georgian)

SUMMARY

ZURAB TSUTSKIRIDZE

PIRATES OF MORALITY

Piracy has always been and is a great misfortune that causes significant damage to the society. There is even a greater danger in a new form of privacy, which has manifested itself in the 21st century: The piracy of morality. These "new pirates" do not need physical weapons or ships. Their weapon is money and the information tools: Press, radio, TV and the internet. Using these tools, they can easily attack states and societies, cloud their judgment by propagandistic opiate, rob them of morality and destine them for a dissolute existence. According to the author, the threat of piracy is evident but the society's attitude towards this danger is inadequate.

NAILI SVANIDZE

DIDACTICS OF LANGUAGES AND CULTURES

In the article, the author analyzes the methods and tools necessary for students studying foreign languages and cultures. The author emphasizes the importance of theoretical and conceptual means, which become available via interdisciplinary teachings; this entails introducing the following disciplines into the university program: linguistics, literary criticism, textology, sociology, sociolinguistics, culturology and linguo-culturology.

INEZA IAMANIDZE

GLOBALIZATION UNDERMINED THE FOUNDATION OF TRADITIONAL SCHOOL

In the article, the author describes problems in the school educational system. She emphasizes that the general upbringing has been de-

graded and is lacking nationwide. She expresses substantiated fear that the moral reference point of upbringing of the future generation is not defined. The author raises concerns that the law known as the protection of the rights of LGBT society and minority may compromise our nation's high moral values. In fact, by accepting this antidiscrimination law in the orthodox country, immorality and sinfulness has already been legalized. Based on this the author poses the question: What should schools do? To this question, there is no answer; however, time is running out.

MITROPOLIT IOANE (GAMREKELI)

GEORGIA'S PATH

The urgency of the issue, posed in the letter, is already indicated in the title. After a brief analysis of Georgia's history, the author presents the path that the Georgian nation has chosen without any coercion, of its own free will. As a result, Georgia maintained its national identity. Today, the country is yet again facing a choice: to continue serving Christ, which it chose 1500 years ago, or to trade it with the so-called European values, i.e., with whom is it necessary to have close interrelations - with the West or Russia. The conclusion follows: A choice must be made so Georgiareceives the best possibilities of preserving the faithfulness of the way chosen by its ancestors. Respectively, would the Georgian people survive by having a relationship with the West or Russia?

TINA IVELASHVILI

GRAVE CRIME OF THE CENTURY

The Parliament of Georgia passed a law on the elimination of all forms of discrimination in Georgia. The law was signed into effect by the President on May 2, 2014. The first paragraph of the law, sexual orientation and gender identity is equated with nationality and ethnicity. This type of contextual consideration is unthinkable. The law may be interpreted as if sexual minority in Georgia is a victim of homophobia. The author wants to remind the lawmakers that the Georgian society has always been tolerant towards all sick (mentally and physically) and has lent a helping hand to the best of the possibilities. Therefore,

Georgian person's attitude towards the sexual minority cannot be seen as persecution, hatred, social isolation and violence. Today, critical attitude towards sexual minority is due to it turning into ideology. It has adopted proselytic nature and demands general acceptance, universality, international recognition and state support.

This law cannot be assimilated with the traditions and healthy lifestyle of the Georgian people. Any such law can cause spiritual, state, territorial or religious dissent and disintegration of the nation. Unfortunately, our current government (and its predecessor) is an obedient servant to the West, acts without the consent of the Georgian people and legalizes what the external forces dictate.

ANZOR TOTADZE

MAY BEAUTY NEVER FADE

In the Georgian parliament, abill is being prepared according to which a woman is given five days instead of three days to reconsider the decision of abortion. In this regard, Western non-governmental agencies have raised an uproar. They have Georgian supporters as well. They believe that these changes would violate women's rights and jeopardize women's ability to make an independent decision. The article offers the opposite view. In particular, the legislation of Georgia gives a woman the right to abortion however during the undertaking of this process the rights of others come into conflict with it. In the author's opinion, increasing the decision timeframe to five days is highly advisable.

GVANTSA KOPLATADZE

SAMTSKHE-JAVAKHETI PRINCIPALITY IN THE FIRST HALF OF THE 19TH CENTURY

The reason for separating Samtskhe-Javakheti from the historical homeland of southern Georgia, and of its transformation into Akhaltsikhe province is partly due to the sins of their ancestors, their ambition and their treachery. In much known Treaty of King Erekle, according to which Kartli and Kakheti kingdoms became subjects of the Russian Orthodox Empire, one of the requests was to aid Georgia in regaining its lost territories. The article presents evidence based on the analysis of

historical facts that demonstrates the Russian Empire's attempts to return the Samtskhe-Javakheti region to Georgia;however, just like in the past, ambition and high treason emerged this time as well. This harmed the country so severely that even nowadays Georgia is still paying for it.

ELDAR BUBULASHVILI

ARCHPRIEST MELITON KELENJERIDZE'S MERIT

The article presents multilateral activities of archpriest Meliton Kelenjeridze. He simultaneouslypracticed in the spiritual field as well as the public field. Meliton Kelenjeridze's scientific activities were also diverse and comprised of different areas of science. He was a folklorist, linguist, literary critic, church historian, etc. The author assesses the archpriest's work in the development of Georgian church historiography.

MAMUKA TSUKHISHVILI

MIKHAIL VORONTSOV - THE BUILDER OF THE 19TH CENTURY GEORGIA

The essay talks about a highly educated and well-known Russian state and public figure of the 19th century, The Caucasus Viceroyalty, Prince Mikhail Vorontsov's contributions towards Georgia (1844-1854 years). Based on the historical documents and assessments of Georgian public figures, the author presents to us, a great official who made an invaluable contribution to the development of Georgian culture, education and agriculture.

BONDO ARVELADZE

EXPOSURE OF ARMENIAN FALSIFICATIONS CONTINUES

In this article, the author provides an overview of the second volume of the collection: "Destroyers of Falsifications" (Baku, 2014 in Russian). The collection includes essays of scholars and political scientists of many countries who expose numerous historical and cultural facts falsified by Armenian scientists. The author's objective is to convince the young Armenian scientists not to emulate their compatriots by falsifying their history. He urges them to conduct the research of the history and culture of Armenia, as well as their neighboring countries conscientiously and objectively.

GULBAAT RTSKHILADZE

ANTI-GEORGIAN CONSPIRACY

The author reveals the anti-democratic thinking of Defense minister Irakli Alasania, who recently stated that the political prisoners of the Saakashvili regime criticizing NATO and EU pose a counter-intelligence threat; therefore, parliament should not have released them so quickly. In addition, the article provides many facts of verbal provocations of Georgian politicians, journalists and even some clergymen against a possible rapprochement of Georgia with Russia.

IRAKLI KIPIANI

HOW DOES GEORGIA BENEFIT FROM SIGNING AN ASSOCIATION AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION?

The author examines the main points of an association agreement between Georgia and European Union, which has been prepared for signature. The conclusion is unequivocal – Georgia does not benefit from this agreement either politically or economically. On the contrary, EU establishes Georgia on it strategic orbit and provides privileged trade conditions to its exporters.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №2(12), 2014

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23

❖

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2(12), 2014
(на грузинском языке)

❖

Scientific and Social Journal
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №2(12), 2014
(in Georgian)

❖

პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.06.2014. ტირაჟი 300.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.

ფასი 3,50 ლ.

მკითხველთა საყურადღებოდ.

«სამ საუნჯეში» გამოქვეყნებული სტატიების, ცალკეული პუბლიცისტური წერილებისა და მონოგრაფიების საფუძველზე რედაქცია ამზადებს კრებულს: *რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი — ისტორია და თანამედროვეობა.*

გთხოვთ მიიღოთ ონაწილეობა კრებულის შედგენაში და წერილები მოგვაწოდოთ ამა წლის სექტემბრის თვის ბოლომე.

სარედაქციო საბჭო.

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge